

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ქართველურ ენათა სტრუქტურის
საკითხები

XVI

Issues of the Structure of Kartvelian
Languages

თბილისი 2022 Tbilisi

მთავარი რედაქტორი

გიორგი გოგოლაშვილი

Editor-in-Chief

Giorgi Gogolashvili

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
ლელა გიგლემიანი
ნანა მაჭავარიანი
მურმან სუხიშვილი
ხათუნა ყანდაშვილი (სწავლული
მდივანი)

ვაჟა შენგელია
იზა ჩანტლაძე
მერაბ ჩუხუა
გიორგი ცოცანიძე

Editorial Board

Avtandil Arabuli
Iela Giglemiani
Nana Machavariani
Murman Sukhishvili
Khatuna Kandashvili (scientific
secretary)

Vazha Shengelia
Iza Chantladze
Merab Chukhua
Giorgi Tsotsanidze

მ ი ს ა მ ა რ თ ი :

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ.8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :

0108, 8 Ingorokva Str., Tbilisi
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: contact.icege@gmail.com

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

ISBN

ნატო ახალაია

აქტიურ ზმნათა ერგატიული კონსტრუქციისათვის მეგრულსა და ლაზურში*

ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიურენათა გარდამავალი ზმნების უძველეს და ნიშანდობლივ კონსტრუქციად არის მიჩნეული. აღნიშნულია, რომ იგი დამახასიათებელია კავკასიური ჯგუფის 37-ვე ენისათვის; შენიშნულია ისიც, რომ სამხრეთ-კავკასიურ ენათა ზანური ჯგუფის-მეგრულს დაკარგული აქვს ერგატიულობის ფუნქცია (კეტფორდი 1974:3).

ერგატიულობის თავისებურების არსის გარკვევას XIX ს-ის მეორე ნახევრიდან XX ს-ის პირველ ნახევრამდე ბევრი მეცნიერი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით ცდილობდა (იხ. ჩიქობავა 1948); იმ დროისათვის აქტუალური მაინც ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის თეორია იყო, რომელიც გარკვეულწილად გაქარწყლდა XX ს-ის 70-იან წლებში ჯ. კეტფორდის მიერ წარმოდგენილი საკმაოდ არგუმენტირებული ნაშრომით (იხ. კეტფორდი 1974). XX ს-ის ბოლოსთვის კი უკვე აქტიურობის თეორია გახდა პოპულარული (გ. კლიმოვი, ა. ჰარისი, ბ. კომრი და სხვ.).

არნ. ჩიქობავა, რომელმაც აღნიშნულ საკითხს რამდენიმე ფუნდამენტური კვლევა მიუძღვნა, ერგატიულობას გარდამავალ ზმნათათვის დამახასიათებელ პირველად კონსტრუქციად მიიჩნევდა, გარდაუვალ ზმნებში კი – მეორეულ სიახლედ. მეცნიერის აზრით, გარდამავალი ზმნის ერგატიულ კონსტრუქციას, რომელიც საწყის ეტაპზე დამახასიათებელი იყო აწმყოს მონაცვლე ხოლმეობითისათვის, შუალედური საფეხური უჭირავს განუსაზღვრელ /ინდეფინიტიურ და ნომინატიურ კონსტრუქციებს შორის:

- I. განუსაზღვრელი (ანუ ინდეფინიტიური) – აბრაამ შვა ისააკ
- II. მოთხრობითიანი (ანუ ერგატიული) – აბრაამმან შვა ისააკი
- III. სახელობითიანი (ანუ ნომინატიური) – აბრაამი შობს ისაკს

(ჩიქობავა 1948:114-115)

ცნობილია, რომ გარდამავალ ზმნათა აწმყოს ნაკვეთებში ნომინატივიზაციის პროცესი ქართულში, მეგრულსა და სვანურში დასრულებულია; თუმცა ლაზური, ფაქტობრივად, დღემდე სრულად ერგატიულია¹, მესამე სერიაშიც კი, თუკი წყობა პირდაპირია. მაგ.:

* წაკითხულია მოხსენებად „კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიურ კონგრესზე“ 2022 წლის 15 ნოემბერს.

¹ ანალოგიური ვითარება დასტურდება წოვა-თუშურშიც: „გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს ერგატივი გამოხატავს დრო-კილოთა ყველა სერიაში“ (იხ.

- (1) **ბიჭიქ** ჰეიჯანდან ნენა ვა **ნაჩუდონ** ჯოღაბი (კარტოზია 1993¹⁴⁹)
 „**ბიჭმა** (=ბიჭს) აღელვებისაგან სიტყვა ვერ გაუცია“
 (2) **ბადიქ** ოხვეწუ-დორენ თრანგის (ემპ. მასალა)
 „**მოხუცმა** (=მოხუცს) უხვეწნია ღმერთისთვის“

მიღებული თვალსაზრისით, ლაზურის ნაკვეთა პირველ წყებაშიც ერგატიულობა არქაული **ნამყო უსრულისაგან** (= II ხოლმეობითს) არის შემნილი და სინტაქსური თვალსაზრისით აქაც ახალი ვითარება გვაქვს¹. ვნებითის წარმოება აწმყოში (ლაზ. ირდ-ე-ნ – იზრდება, ითქვ-ე-ნ – ითქმ-ო-ს) არნ. ჩიქობავას აფიქრებინებს, რომ გარდამავალ ზმნათა აწმყოს ადგილი ძველად ზანურშიც მეორე წყების ნაკვეთს, ხოლმეობითს, უნდა სჭეროდა (იხ. ჩიქობავა 1948:100-101); თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ხოლმეობითის გაგება მეგრულსა და ლაზურს არ მოეპოვება.

ლაზურში ასევე სრულად ერგატიულია გარდაუვალი ზმნის ე.წ. მედიოაქტივთა ჯგუფიც (ბუნების მოვლენების გამომხატველი რამდენიმე ერთეულის გარდა), მეგრულის ამგვარი ფორმები კი, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, მოთხრობითბრუნვიან სუბიექტს მხოლოდ მეორე სერიაში შეიწყობს.

სტატიაში განვიხილავთ გარდაუვალი ზმნების, კერძოდ, ე.წ. მედიოაქტივების ერგატიულობის საკითხს მეგრულ-ლაზურში, რომლებსაც ჩვენ დინამიკურ და აქტიურ ზმნებად მივიჩნევთ.

კვლევა ეყრდნობა ჩვენ მიერ გაკეთებულ მონაცემთა ბაზას, რომელიც აერთიანებს მეგრული და ლაზური ლექსიკონებიდან ამოღებულ 1 200-ამდე ზმნურ ფუმეს და ასევე საქართველოსა და თურქეთში საველე პირობებში მოპოვებულ უახლეს ემპირიულ მასალას (2011-2018 წწ). ანლიზისას გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, ტაპოლოგიური და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდები.

სათანადო ლინგვისტური ლიტერატურის მიხედვით ამგვარი ზმნები არქაულ, არასრული სისტემის მქონე ფორმებად არის მიჩნეული, რომლებსაც ისტორიულად მხოლოდ აწმყო ან აწმყოს წრის ნაკვეთები გააჩნია და ნაკლები მწკრივების შესავსებად სესხულობენ შესაბამისი ფუმის მოქმედებითი გვარის ფორმებს. ცხადია, ოპოზიცია ნამყო უსრულსა და ნამყო ძირითადად შორის არ არსებობდა. ამგვარი ნიმუშები სტატიკურებად არის კვალიფიცირებული (არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, ბ. ჯორბენაძე, ნ. ნათაძე, მ. სუხიშვილი, მ. ჩუხუა და სხვ.) არნ. ჩიქობავას შენიშვნით, „**ყოველი სტატიკური ზმნა დიურატიულია; მომენტობრივი ასპექტისა ვერ იქნება სტატიკური ზმნა! მომენტობრივი ასპექტისა შეიძლება იყოს მხოლოდ დინამიკური**“ (ჩიქობავა 1948:106-107; ხ.გ. ავტორისაა).

ნ. მიქელაძე, წოვა-თუშური ზმნის პირის კატეგორიის საკითხისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. X, 2000)

¹ იხ. „ერგატიული კონსტრუქცია არქაულ ნამყო უსრულთან“ წიგნში: არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ. 1948, გვ. 64-65

ამგვარ ფორმათა სტატიკურობა ნაწილობრივ ზმნის სახელური ბუნებითაც არის ახსნილი: „სახელური ფუძისაგან წარმოქმნილი ზმნა **არააქტიურია**“ (ჩიქობავა 1948; ხ.გ. ავტორისა); იბადება მთავარი კითხვა: მაშ რა განაპირობებს სტატიკურ ზმნათა სრულ ერგატიულობას ლაზურსა და ნაწილობრივ მეგრულში? შდრ:

<i>ჯოდორი-ქ</i> <i>დალი-ERG</i>	<i>ლალ-უფ-ს</i> <i>ყეფა-ATM</i> <i>PRS.S3.SG</i>	I სერია	<i>ჯოდორ-ო</i> <i>დალი-NOM</i>	<i>ლალ-უნ-ს</i> <i>ყეფა-ATM-</i> <i>PRS.S3.SG</i>
„ <i>დალმა (=დალი) ყეფს</i> “			„ <i>დალი ყეფს</i> “	
<i>ჯოდორი-ქ</i> <i>დალი-ERG</i>	<i>ლალ-უ</i> <i>ყეფა-AOR.S3.</i>	II სერია	<i>ჯოდორი-ქ</i> <i>დალი-ERG</i>	<i>ლალ-უ</i> <i>ყეფ-AOR.S3.SG</i>
„ <i>დალმა (=დალი) იყეფა</i> “			„ <i>დალმა (=დალი) იყეფა</i> “	
<i>ჯოდორი-ქ</i> <i>დალი-ERG</i>	<i>ლალუ-დორენ</i> <i>ყეფა-AUX</i>	III სერია	<i>ჯოდორი-ხ</i> <i>დალი-DAT</i>	<i>უ-ლალ-უ-უ-ნ</i> <i>OV-ყეფა-ATM-</i> <i>ST-S3</i>
„ <i>დალმა (= დალს) უყეფია</i> “			„ <i>დალს უყეფია</i> “	

ცხადია, ლაზურის სრულ ერგატიულობას ვერ დავუკავშირებთ ნომინატიური კონსტრუქციის მქონე ბერძნული და თურქული ენების გავლენას, რაც დამახასიათებელი იყო ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ამგვარი ტიპის ზმნები ისტორიულად გარდამავალ ზმნებად არის კვალიფიცირებული, რომლებმაც გარკვეული დროის შემდეგ დაკარგეს სამოქმედო ობიექტი (იხ. შანიძე 1942; ჩიქობავა 1979:165). ამიტომაც მათ ხშირად თანამედროვე კვლევებში „ფსევდოგარდამავალ“, „ლაზილურ-გარდამავალ“, „პოტენციურად გარდამავალ“ ზმნებადაც მოიხსენიებენ (გ. გოგოლაშვილი, დ. მელიქიშვილი, მ. ნიკოლაიშვილი...). ქ. ლაზარის აზრით, „ისინი გამოხატავენ ერთი პარტიციპანტის ქმედებას და ამ მხრივ ემსგავსებიან გარდაუვალ ზმნებს. მაგრამ მათი მორფოსინტაქსი ორაქტანტიანია: ანუ შედგება აგენსისაგან, რომელიც ერთადერთ პარტიციპანტს გამოხატავს და მისი ნომინალური (ფიქტიური) ობიექტისაგან (იხ. ლაზარი 2009:294). ფიქტიური ობიექტი გრამატიკულ ზედაპირზე არ ჩანს, რადგან იგი იმავე რეფერენციული მნიშვნელობისაა, როგორც ზმნა (იხ. ნებიერიძე 1987). ვ. ბოედერი თვლის, რომ მედიალურ ზმნებს აქვთ შიდა იმპლიციტური ობიექტი და „მედიალური ზმნები ძირითადად მანინგ გარდამავალია, განურჩევლად იმისა, დადასტურებულია თუ არა ისინი ზედაპირული პირდაპირი ობიექტით“ (ბოედერი 1979: 463).

მეგრულ-ლაზურში ზმნურ ფუძეთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოვლენა, რომელიც სემანტიკურად დაკავშირებული იყო სუბიექტის თვისებასთან / უნართან, ზნე-ჩვეულებასთან, ზანურში **R-უ-ნ** სტრუქტურითა და ნომინატიური კონსტრუქციით გადმოიცემოდა, ხოლო ზმნურ ფუძეთა განვითარების მომდევნო საფეხურზე, სავარაუდოდ, როდესაც

მოვლენა სულიერი სუბიექტის აქტიურობას დაუკავშირდა და თავისი მა-
აქტივებელი **-ს** (S3) ნიშანიც გააჩინა, უნდა შექმნილიყო **R-უნ/უფ-ს** ყალი-
ბის **თვისება + აქტიურობა** სემანტიკის მქონე თემატური ფუძე. *შდრ:*

- (ა) ლაზ. ფუთხ-**უნ**-ს კვინჩი „ფრთხილებს ჩიტი“ (**თვისება**)
ფუთხ-**უნ-ს** კვინჩი-ქ „ფრთხილებს ჩიტმა“ (**თვისება + აქტიურობა**)
(ბ) ლაზ. *ვალ-**უნ**-ს ვალი „ელავს ელვა“ (**თვისება**)
ვალ-**უმ/უფ-ს** ვალი-ქ „ელავს ელვამ“ (**თვისება + აქტიურობა**)
(გ) ლაზ. ტყვაც-**უნ**-ს ტყვაცი „ჭექს ჭექა“ (**თვისება**)
მეგრ. ტყვაც-**უნ-ს** ტყვაცი „ჭექს ჭექა“ (**თვისება + აქტიურობა**)
(იხ. ახალაია 2021)

ლაზურში ერგატიული კონსტრუქციითაა წარმოდგენილი ყოველი-
ვე სულიერის – ადამიანის, ცხოველის, ფრინველის ხმის, ხმიანობის, გადა-
ადგილების, ჭამის, ლაპარაკის, ასევე ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი
ფონოსემანტიკური ლექსემები აწმყოს ნაკვთებში. ამგვარი ფორმები დრო-
ის თვალსაზრისით შემოუსაზღვრავია, სემანტიკურად ზედროულია.

- ERG:** ჯოლოი-ქ ლალ-**უფ/უმ-ს** „ძაღლმა (=ძაღლი) ყეფს“
ERG: წყარი-ქ ფ-**უმ-ს** „წყალმა (=წყალი) დულს“
ERG: ოვალუ-ქ ვალ-**უფ/უმ-ს** „ელვამ (=ელვა) ელავს“
ERG: ოხორჯა-ქ რვი-**აფ/ამ-ს** „ქალმა (=ქალი)კვივს“
ERG: მამული-ქ ყი-**აფ/ამ-ს** „მამალმა (=მამალი) ყივის“
ERG: თხა-ქ პეტელ-**აფ/ამ-ს** „თხამ (=თხა) კიკინებს“
ERG: კოჩი-ქ მიც-**აფ-ს** „კაცმა (=კაცი) იცინის“
ERG: ბადი-ქ ღაღალ-**აფ-ს** „მოხუცმა (=მოხუცი) ლაპარაკობს“
ERG: ბერე-ქ ინჩვირ-ს „ბავშვმა (=ბავშვი) ცურავს“

აღსანიშნავია, რომ გ. კლიმოვი ლაზურის ამგვარ ნიმუშებში ერგა-
ტიული კონსტრუქციის გაჩენას ზმნური ფუძეების შინაარსს უკავშირებს.
მისი აზრით, ამგვარი ფუძეები გამოხატავენ აქტიური დენოტატის – „სუ-
ლიერის“ მოქმედებას: **ო-ძიგინ-უ** „სიცილი“, **ო-ლალ-უ** „ყეფა“, **ო-პარამით-უ**
„ლაპარაკი“, **ო-პეტელ-უ** „კიკინი“, **ო-ხვეწინ-უ** „ხვეწა“. გ. კლიმოვი მიიჩ-
ნევს, რომ ისტორიულად ლაზურში აქტიური და სტატიკური ზმნები ლექ-
სიკურად იყვნენ დაპირისპირებული, რაც განაპირობებდა აქტიურ და ინაქ-
ტიურ კონსტრუქციებს, რაც, თავის მხრივ, სისტემურ კოორდინაციას ჰქმნი-
და არსებით სახელთა აქტიურ (სულიერ) და ინაქტიურ (უსულთ) ჯგუფებ-
თან (იხ. კლიმოვი 1976).

ამგვარი ზმნური ფორმები ქართულში ნაკლები მწკრივების შესა-
ვებად იყენებენ სათანადო მოქმედებითი გვარის ფუძეებს, მეგრულსა და
ლაზურში კი მოცემულ ნიმუშებს საკუთარი თვითმყოფადი უღლების პა-
რადიგმა მოეპოვებათ და არ საჭიროებენ ნასესხები ფორმებით სისტემის
სრულყოფას. *შდრ:*

ლალ-უნ-ს / ლალ-უფ/უმ-ს : ლალუ „ყეფს : იყეფა“
ფ-უნ-ს / ფ-უმ-ს: ფუ „დულს:იდულა“

- ვალ-უნ-ს / ვალ-უფ/უმ-ს : ვალუ** „ელავს : იელვა“
რკი-ან-ს / რკი-აფ/ამ-ს: რკიუ „კივის : იკივლა“
ყი-ან-ს/ ყი-აფ/ამ-ს: ყიუ „ყივის : იყივლა“
ზადალ-ან-ს / ზადალ-აფ/ამ-ს : ზადალუ „ბოდავს : იბოდა“
ღაღალ-აფ/ამ-ს : ღაღალუ „ლაპარაკობს : ილაპარაკა“
ქვარჭვალ-ან-ს : ქვარჭვალუ „ციმციმებს : იციმციმა“

ი. ყიფშიძე მეგრულში მათ უღლებას ცალკე არ გამოყოფდა, რადგან- მოქმედებითი და „მედიაოქტივებად“ მიჩნეული ზმნები ერთნაირად იულ- ლვის (ყიფშიძე 1994:057). ჰიბრიდული – აწმყო ჯგუფში უპრეფიქსო, მყო- ფადსა და ნამყო ძირითაში კი **ი** – პრეფიქსიანი – წარმოება მეგრულსა და ლაზურში ძირითადად ქართულ ნასესხობებში გვხვდება და, მსგავს ფორ- მათა წარმოების ანალოგიით, რამდენიმე ორგანულ ფუძეშიც.

- | | | |
|------------------------------------|-----------------------------|----------------------------|
| PRS: ნადირენს „ნადირობს“ | ვაჭრენს „ვაჭრობს“ | დარდენს „დარდობს“ |
| FUT: ი-ნადირენს „ინადირებს“ | ი-ვაჭრენს „ივაჭრებს“ | იდარდენს „იდარდებს“ |
| AOR: ი-ნადირუ „ინადირა“ | ი-ვაჭრუ „ივაჭრა“ | იდარდუ „იდარდა“ |

- | | |
|------------------------------------|----------------------------------|
| PRS: ორჩანენს „ორჭოფობს“ | ლაფენს „თამაშობს“ |
| FUT: ი-ორჩანენს „იორჭოფებს“ | ქ(ო)-ი-ლაფენს „ითამაშებს“ |
| AOR: ი-ორჩანუ „იორჭოფა“ | ქ(ო)-ი-ლაფუ „ითამაშა“ |

გაანალიზებული მეგრული მკვიდრი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ე. წ. მედიაოქტივებიც „მომენტობრივი ასპექტისა“ არიან. მომენტობ- რივი ასპექტი/წყვეტა კი, როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ დინამიკური ზმნებისათვის არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, ამგვარი ზმნები ზანურში შესაძლოა კვალიფიცირდეს როგორც დინამიკურები. სა- გულისხმაა ის ფაქტიც, რომ ქართულშიც ამგვარ ზმნებს ვ. თოფურია და სხვა ცნობილი მეცნიერები (ქ. ლომთათიძე, ი. მელიქიშვილი, ლ. ნოზაძე...) დინამიკურებად მიიჩნევდნენ.

რაც შეეხება ისტორიულად ე.წ. მედიაოქტივთა გარდამავლობის სა- კითხს და მათ კავშირს მოთხრობით ბრუნვასთან, შესაძლოა, ამგვარმა ზმნებმა მეგრულ-ლაზურში დაკარგეს რელაციის უნარი, თუმცა ფაქტია, რომ მათ არ დაუკარგავთ აქტიური სემანტიკის გამოხატვის შესაძლებლო- ბა. ა. შანიძე ამგვარ ფორმათა განმარტებისას ხშირად აღნიშნავს: „სუბიექ- ტური პირი აქაც მოქმედებს, ასე ვთქვათ, თავისთვის, სხვა პირზე მოქმე- დების გადაუტანლად“ (შანიძე 1980:287).

თუ დავუშვებთ საპირისპირო თვალსაზრისის მართებულობას, რომ ამგვარ ზმნებს ისტორიულად არ მოეპოვებოდა პირდაპირი ობიექტი, ანუ „საშუალი გვარის“ ზმნები არ გამოხატავდნენ სუბიექტიდან გარემიმარ- თულ მოქმედებას, სუბიექტი პროცესის შიგნით ივარაუდება (ე. ბენვენის- ტი, თ. უთურგაძე, ლ. ნოზაძე, დ. მელიქიშვილი). მაშინ იბადება მთავარი კითხვა: გააჩნდა თუ არა ფიქტიურ ობიექტს იმხელა სინტაქსური ძალა,

რომ ერგატიულობა ზედაპირზე წარმოეჩინა? ანუ რეალურ სუბიექტსა და ნომინალურ ობიექტს შორის იყო რელაცია ისეთი მაღალი ხარისხის, როგორც ეს გვაქვს გარდამავალ ზმნებში?

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ორივე თვალსაზრისის მართებულობის შემთხვევაში სუბიექტი მოქმედია, მიუხედავად იმისა, მისი მოქმედება მიმართულია თუ მიუმართავი (გადის თუ მასში რჩება); ვფიქრობთ, სწორედ ეს აქტიური სემანტიკა განსაზღვრავს მის ერგატიულობას და არა რელაცია, ანუ „სუბიექტი მოთხრობითი იმ გარდაუვალ ზმნებთან დაისმის, რომელნიც აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ“ (იხ. სარჯველაძე 1973:172). აღსანიშნავია, რომ საერთოლექსიკონში ენობრივი რეკონსტრუქციისას წარმოჩენილ ერგატიულ ტიპს მკვლევრები ზმნური ფუძის აქტიურობასთან აკავშირებენ (იხ. აზმაიფარაშვილი და სხვ. 2016:88).

თვითმოქმედი სემანტიკის მქონე სუბიექტი მხოლოდ **მოვლენასთან** უნდა ყოფილიყო დაკავშირებული¹ და ეს კოორდინაცია ყოველთვის გამოიხატებოდა ერგატიული კონსტრუქციით, რაც დღემდე სრულად შემოინახა, უფრო ზუსტად, უცხო ენების მუდმივი ზეწოლის გავლენის შედეგად, ვერ განავითარა (ვერ განომინატიურა) ლაზურმა; მეგრულმა კითავის ორგანულ გარემოში ძირითადად მიიღო ყველა ის გრამატიკული მოდიფიკაცია, რაც სალიტერატურო ქართულისათვის იყო დამახასიათებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაგვარაუდებინებს, რომ ლაზური, რომელსაც მთის კავკასიური ენების მსგავსად დაცული აქვს არქაული ვითარება, ნათლად ასახავს მეგრული და ლაზური **აქტიური** ზმნის ამოსავალ ერგატიულ კონსტრუქციას.

აბრევიატურა:

AOR – Aorist – წყვეტილი	MSD – Masdar – მასდარი
ATM – Active Voice Thematic Marker – მოქმედებითი გვარის თემის ნიშანი	OV – Objective Version – სასხვისო ქცევა
AUX – Auxilary Verb – დამხმარე ზმნა	PRS – Presens – აწმყო
DAT – Dative Case – მიცემითი ბრუნვა	S3 – Subject person 3 – III სუბიექტური პირი
ERG – Ergative Case – მოთხრობითი ბრუნვა	SG – Singular – მხოლობითი რიცხვი
FUT – Future – მოყოფადი	ST – State – სტატიკური

¹ გაზიარებულია ავთ. არაბულის თვალსაზრისი ზმნური ფუძეთქმნადობის პროცესში მოვლენის უწინარესობის შესახებ (იხ. ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი, 2001).

ლიტერატურა

- აზმაიფარაშვილი და სხვ. 2016** – ლ. აზმაიფარაშვილი, ნ. არდოტელი, რ. ლოლუა, ლ. სანიკიძე, რ. ფარულაძე, ნახურ და დადესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა, IV ნაწილი, თბილისი, 2016.
- არაბული 2001** – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნალობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი, 2001.
- ახალაია 2021** – ნ. ახალაია, გვარის გრამატიკული კატეგორია მეგრულ-ლაზურში (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 2021.
- ბოედერი 1979** – W. Boeder, Ergative Syntax in Language Change: the South Caucasian languages, In: Frans Plank (ed.): Ergativity. Towards a theory of grammatical relations, Academic Press, London..., 1979.
- გოგოლაშვილი და სხვ. 2011** – გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი, 2011.
- კარტოზია 1993** – გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბილისი, 1993.
- კეტფორდი 1974** – J. C. Catford, Ergativity in Caucasian Languages, ERICCollection [eric.ed.gov], 1974.
- კლიმოვი 1976** – Г. А. Климов, Аномалии эргативности в лезгинском языке, აღმოსავლური ფილოლოგია, IV, თბილისი, 1976.
- ლაზარი 2009** – Le géorgien : actance duale («active») ou ergative? Typologie des verbes anti-impersonnels, Études de linguistique générale. Typologie grammaticale, Leuven-Paris, 2001; ქართულად თარგმნა ე. გიუნაშვილი: ქართული ენა: დუალური („აქტიური“) აქტანტი თუ ერგატიული? ანტი-იმპერსონალური ზმნების ტიპოლოგია, იკე, XXXVII, თბილისი, 2009.
- ნებიერიძე 1987** – გ. ნებიერიძე, არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში, მაცნე, ელს, N3, თბილისი, 1987.
- სარჯველაძე 1973** – ზ. სარჯველაძე, სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში ზოგ გარდაუვალ ზმნასთან, ქელს, თბილისი, 1973.
- შანიძე 1980** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბილისი, 1980.
- შანიძე 1942** – ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 3, N 2, თბილისი, 1942.
- ჩიქობავა 1979** – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979.
- ჩიქობავა 1948** – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948.
- ყიფშიძე 1994** – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1994.

Nato Akhalaia

On the Ergative Construction of Active Verbs in Megrelian and Laz

Summary

The ergative construction is considered to be the oldest and most significant construction of transitive verbs in the Ibero-Caucasian languages. From the second half of the 19th century to the first half of the 20th century, many scholars tried to clarify the essence of its peculiarity; Most of them followed the theory of passiveness of transitive verbs, and some of them followed the theory of activeness, although they also tried to develop intermediate viewpoints.

In the mentioned period, the theory of the passivity of the ergative construction was still more relevant, which was somewhat disproved in the 70s of the 20th century by the J. Catford's argumentative work. By the end of the 20th century, the theory of activity became popular.

Arn. Chikobava, who devoted several fundamental studies to the mentioned issue, considered the stem of the transitive verb of the ergative construction in the Kartvelian languages as neutral, indefinite (in the first and second person) and indifferent to the gender. It should be noted that historically qualification of transitive verbs was also given to so-called medio-actives ones and their ergativity was explained just by this fact. In addition, similar examples, in the broad sense of the concept of static, are considered to be static verbs, which is partly related to their nominal origin.

Analyzing the finite amount of Magrelian-Laz material, it was revealed that ergativity is determined by the active semantics of the subject and not by the existence of a formal or nominal direct object in the actant construction of the verb. A subject with active semantics could only coordinate with an occurrence, and this coordination was always expressed by an ergative construction, which is actually completely preserved in Laz (except for a few entries expressing natural phenomenon), and partially in Megrelian, cf.:

Laz		Megrelian	
<i>žoğori-k</i>	<i>lal-up-s</i>	I Series	<i>žoğor-i</i>
<i>dog-ERG</i>	<i>bark-ATM-PRS.S3.SG</i>		<i>dog-NOM</i>
			<i>bark-ATM-PRS.S3.SG</i>
„The dog barks“			„The dog barks“
<i>žoğori-k</i>	<i>lal-u</i>	II Series	<i>žoğori-k</i>
<i>dog-ERG</i>	<i>bark-AOR.S3.S</i>		<i>dog-ERG</i>
			<i>bark-AOR.S3.SG</i>

„The dog barked“			„The dog barked“	
<i>ჭოგორი-კ</i>	<i>ლალ-დორენ</i>	III Series	<i>ჭოგორი-ს</i>	<i>უ-ლალ-უ-უ-ნ</i>
<i>dog-ERG</i>	<i>barking -AUX</i>		<i>dog-DAT</i>	<i>OV-bark-ATM-ST-S3</i>
„The dog has barked“			„The dog has barked“	

In the paper, the author discusses such constructions in Megrelian-Laz in detail, and based on historical-comparative and typological research methods, presents the validity of the mentioned standpoint.

ამირან ზასილაშვილი

უდიურ-ქართული მორფოლოგიური პარალელები

უდიურსა და ქართულში ვლინდება მსგავსი აფიქსური მორფემები, რომლებიც თავს იჩენს, როგორც გრამატიკულ კატეგორიათა წარმოებაში, აგრეთვე, სიტყვაწარმოებაში. უმეტესობა ამათგან, როგორც ჩანს, გენეზისურად უკავშირდება ერთმანეთს, ანუ საერთო კავკასიური წარმომავლობისა – დასტურდება სხვა მონათესავე ენებშიც. ნაწილი კი, შესაძლოა, მხოლოდ გარეგნულად თანხვედბოდეს ერთმანეთს.

უდიურ-ქართული ლექსიკური შეხვედრების მსგავსად, უდიურ-ქართული მორფოლოგიურ პარალელებსაც არაერთი მეცნიერი შეხვებია. წინამორბედ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით და ახალ დაკავშირებათა გამოვლენით, წარმოვადგენ უდიურ-ქართულ მორფოლოგიურ შეხვედრებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ უდიურსა და ქართულში გამოვლენილი კანონზომიერი ბგერათფარდობა მორფოლოგიური ინვენტარის დონეზეც დაცულია.

1. უდიურში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად საკმაოდ მრავალფეროვანი მაწარმოებლები გამოიყენება: -უხ, -რ, -ი-უხ/-იმ-უხ, -მ-უხ, -რ-უხ// -ურ-უხ, -მ-ხოხ// -რ-ხოხ, -ყოხ.

ოდენ **-რ** სუფიქსით იწარმოება გასუბსტანტივებულ მსაზღვრელ სახელთა მრ. რიცხვი: შელო-**რ** „კარგები“, ბისიო-**რ** „ძველები“, ხიბო-**რ** „სამნი“, ქანო-**რ** „ეგენი“, ეღალო-**რ** „მომსვლელები“... **-რ** ნიშანი მონაწილეობს მრ. რიცხვის რთული სუფიქსების შემადგენლობაშიც: ხოდ-**რ-უხ**//ხოდ-**ურ-უხ** „ხეები“, კოჯ-**რ-უხ**//კოჯ-**ურ-უხ** „სახლები“, ეზ-**რ-უხ**//ეზ-**ურ-უხ** „ხნულები“, აშ-**რ-უხ**//აშ-**ურ-უხ** „საქმეები“, გა-**რ-ხოხ** „ადგილები“, ღი-**რ-ხოხ** „დღეები“... ამ სუფიქსის (**-რ**//← **-ურ**) პარალელს ვლ. ფანჩვიძე სვანურ **-არ** მრ. რიცხვის ნიშანში ხედავდა, ხოლო **-უხ**-ის ფარდად სვანურ ზმნებში თავჩენილ **-ხ**-ში. მეცნიერი, ადოლფ დირზე მითითებით, სამართლიანად აღნიშნავდა **-ურ**-ისა და **-უხ**-ის შესატყვისი ფორმანტების პოვნეირებაზე დადესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ენებში (ფანჩვიძე 1946 : 366). სვანურ **-არ**-ს ქართულში შეესატყვისება **-არ** სუფიქსი (ბუჩქ-**-არ**-ი, ქვიშ-**-არ**-ი, გომ-**-არ**-ეთ-ი) (ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 83-84), ხოლო ზანურში – **ერ**-ე ← ***ორ**-ე (ენთ-**ერ**-ე „ისინი“) (ჩუხუა 2017 : 97).

ვლ. ფანჩვიძე მხოლოდ უდიურ **-ურ** სუფიქსს მოიხმობდა უდიურ-ქართულ მორფოლოგიურ შეხვედრათა კონტექსტში, ევგ. ჯეირანიშვილი კი **-რ**-ს (მიღებულს **-ურ**-ისგან) რთული ფორმანტის შემადგენლობაში (**-რ-უხ**//**-ურ-უხ**, **-რ-ხოხ**) ისტორიულად ფუძის კუთვნილებად მიიჩნევდა (ჯე-

ირანიშვილი 1971 : 46). ვფიქრობ, **-რ** // ← **-ურ** სუფიქსთა მრ. რიცხვის დამოუკიდებელ მაწარმოებლად გამოყოფას აქვს საფუძველი: **-რ** აწარმოებს მრ. რიცხვს გასუბსტანტივებულ მსაზღვრელ სახელებში და მას მოეპოვება უხვი პარალელები მონათესავე ენებში.

2. **-მ**-უხ მრ. რიცხვის ნიშანს ევგ. ჯეირანიშვილი რთული შედგენილობისად და მის პირველ კომპონენტს **-მ**- მრ. რიცხვის ისტორიულ, ამჟამად ფუნქციამოშლილ, გაქვავებულ ნიშნად მიიჩნევს და საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად წახურ-რთული ენების მრ. რიცხვის ფორმანტებს **-მV**, **-მV** მოიხმობს (ჯეირანიშვილი 1971 : 47). იქვე მეცნიერი აღნიშნავს, რომ **-ი**-უხ//**-იმ**-უხ ფორმატა პირველი ნაწილის (**-ო**-/**-ომ**-) რაობა შემდგომ მიებას საჭიროებს. ჩემი აზრით, კვლევის ამ ეტაპზე მაინც, ამ რთულ სუფიქსთა პირველი კომპონენტების **-მ**-, **-ო**-//← **-იმ**- ერთმანეთთან დაკავშირება არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. როგორც ვიცით, **-მV** მრ. რიცხვის ნიშანი წახურშიც გვაქვს (**-მი** ← **-ხი**, **-მე** ← **-ხე**, **-მუ** ← **-ხუ**) და რთულშიც (**-მა**, **-მე**) (ჯეირანიშვილი 1983 : 64, 76), უდიურშიც, შესაძლოა დავუშვათ, რომ **-იმ** მრ. რიცხვის ფორმანტი იყო ძველად, დაკარგა რა ფუნქცია, იქცა რთული სუფიქსის ნაწილად (**-უხ** მაწარმოებლის დართვა სწორედ მისი ფუნქციის მოშლამ განაპირობა). ზოგიერთ სახელთან სრული სახით შემოგვრჩა (**-იმ**), ზოგიერთთან კი გამარტივდა, ერთი მხრივ, ხმოვნის დაკარგვით (**-იმ** → **-მ**), მეორე მხრივ, თანხმოვნის დაკარგვით (**-იმ** → **-ი**). თუკი აქ წარმოებული მსჯელობა რეალობას ასახავს, უდიური **-იმ** (← ***-იმ**/**-ხი**?) მრ. რიცხვის ნიშნის პარალელის მოძიება ქართველური ენებიდან არ გაგვიჭირდება: ქართ. **-ებ** (კაც-**ებ**-ი), მეგრ.-ლაზ. **-ებ**/**-ეფ** (კოჩ-**ებ**-ი/კოჩ-**ეფ**-ე „კაცები“, ოსურ-**ეფ**-ი „ცოლები“). საინტერესოა, რომ უდიურისთვის თეორიულად ნავარაუდები ფორმანტების იდენტური მრ. რიცხვის სუფიქსები **-ხი**, **-მ-ხი**-, **-იმ-ხი**-, **-იხ**, **-იმ** დადასტურებულია კრიწულ ენაში (Саадиев 1961 : 242).

3. უდიურში **-ხ** ელემენტი მონაწილეობს მრ. რიცხვის არაერთი მაწარმოებლის შედგენილობაში: **-უხ** (ჰასო-**უხ** „ღრუბლები“), **-მ-უხ** (ვიჩი-**მ-უხ** „ძმები“), **-რ-უხ**//**-ურ-უხ** (აშ-**რ-უხ**//აშ-**ურ-უხ** „საქმეები“), **-ი-უხ**//**-იმ-უხ** (კაშ-**ი-უხ**//კაშ-**იმ-უხ** „თითები“), **-ოხ** (მუყა-**ოხ** „რქები“), **ა-ოხ** (პრზაჩი-**ა-ოხ** „მოძივნები“), **-ყოხ** (ჩუბ-**ყოხ** „ქალები“, „ცოლები“), **-მ-ხოხ**//**-რ-ხოხ** (ლი-**მ-ხოხ**//ლი-**რ-ხოხ** „დღეები“), **-ხო** (მოლდაშ-**ხო** „ამხანაგები“). **-ხ** სიმრავლის აღმნიშვნელი ელემენტი გამოიყოფა უძველეს ქართულ ეთნონიმებში: მეს-**ხ**-ი, ჯავა-**ხ**-ი, დიაო-**ხ**-ი და სხვ. (იხ. ასევე მე-8 დაკავშირება).

4. **-ყოხ** სუფიქსი უდიურში მრ. რიცხვს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში აწარმოებს – ჩუბ-**ყოხ** „ქალები“, „დედაკაცები“, „ცოლები“ (შდრ.: მხ. რიცხვის ფორმა ჩუბუხ „ქალი“, „დედაკაცი“). **-ყოხ** სუფიქსი რთული შედგენილობისა უნდა იყოს **-ყო+**-**ოხ** → **-ყოხ**. **-ოხ** მრ. რიცხვის დამოუკიდებელ მაწარმოებლად დასტურდება ნიჯურ კილოში (მუყა-**ოხ** „რქები“...) და რთული სუფიქსის შემადგენლობაში ორივე დიალექტში (გა-**მ-ხოხ** „ადგილები“, ლი-**რ-ხოხ** „დღეები“...). ევგ. ჯეირანიშვილი ამ ფორმანტის ორგვარ სეგმენტაციას გვთავაზობს: **-ყოხ** და **-ყო-ხ** (ჯეირანიშვილი

1971 : 47), შემდგომი მსჯელობით კი ვიგებთ, რომ მეცნიერს **-ობ** სუფიქსი - **უბ**-ისგან მომდინარედ მიაჩნია. ეს მოსაზრება გასაზიარებელი ჩანს, მაგრამ **-ყ** ელემენტის რაობაზე აღარაფერია ნათქვამი. **-ყ** ელემენტის შემცველი ფორმანტები დასტურდება უდიურ ზმნაშიც, კერძოდ, მრ. რიცხვის მესამე პირის ნიშნებად: **-ყუნ** ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ზმნებში (ბუ-**ყუნ** „არიან“...), **-ყო** გრძნობა-აღქმის გამომხატველ (დატიური კონსტრუქციის) ზმნებში (აბა-**ყო** „იციან“...), **-ყოა//ყო** ქონა-ყოლის გამომხატველ (გენეტიური კონსტრუქციის) ზმნებში (ბუ-**ყოა** „აქვთ“, „ჰყავთ“...). უდიურში, სხვა კავკასიურ ენათა მსგავსად, პირის ნიშნები ნაცვალსახელოვანი წარმომავლობისაა, მაგრამ **-ყუნ**, **-ყობ//ყო**, **-ყოა** პირის ნიშნების ნაცვალსახელოვანი პროტოტიპების მიგნება გართულებულია. მიუხედავად ევგ. ჯეირანიშვილის არგუმენტირებული დაკვირვებისა, რომ ეს ელემენტებიც ნაცვალსახელოვანი წარმოშობისაა (ჯეირანიშვილი 1971 : 82-83), ვლ. ფანჩვიძის თავდაპირველი მოსაზრებაც დამაჯერებელი ჩანს. მისი აზრით, ერთმანეთს უნდა უკავშირდებოდეს **-ყუნ//ყო** პირის ნიშნებში მონაწილე **-ყ** ელემენტი და მრ. რიცხვის რთული **-ყობ** მაწარმოებლის პირველი კომპონენტი (ფანჩვიძე 1946 : 368). მანვე მიუთითა უდიური მონაცემის ქართულ პარალელზე, კერძოდ, ქართულ ენის კილოებში დადასტურებულ **-ყე** ელემენტზე, რომელიც აღნიშნავს სახელობითი ან მიცემითი ბრუნვით გადმოცემული ობიექტის მრავლობითობას, და მისი საშუალებით აფხაზურ-ჩერქეზულ მონაცემებთან კავშირზე (ფანჩვიძე 1942 : 79-80; 1946 : 368). ქართული **-ყე** (→ **-კე**) ნაწილაკის მნიშვნელობა არნაწილობავე შეისწავლა (ჩიქობავა 1923). ამ წერილიდან ვიგებთ, რომ **-ყე** ნაწილაკის მრ. რიცხვის აღნიშვნის ფუნქცია ჯერ კიდევ ჰუგო შუხარდტს შეუნიშნავს და მისი ეტიმოლოგიური ძიების მიმართულებაზეც ფრთხილად მიუთითებია, დაუსახელებია რა სვანურ-ჩერქეზულ-აფხაზური მრ. რიცხვის ზმნური და სახელოვანი ფორმანტები (ჩიქობავა, 2010 : 50). ვლ. ფანჩვიძე ცდილობს უდიურ-ქართულ მორფოლოგიურ შეხვედრას ეტიმოლოგიური საფუძველი მოუნახოს და ივ. ჯავახიშვილის ძიებანის კვალდაკვალ, „ორის“ აღნიშვნელ საერთოკავკასიურ ძირს უკავშირებს. მეცნიერის დასკვნით: „მრავლობითის მესამე პირში ჩვენ გვაქვს მხოლოდ მ რ ა ვ ლ ო ბ ი ს ნიშანი, პირის ნიშანი კი არა. ამდენადვე **-ყუნ//ყო** აფიქსებს კავშირი არ ექნებათ პირის ნაცვალსახელებთან“ (ფანჩვიძე 1942 : 80-81). თუმცა, როგორც ჩანს, მოგვიანებით მეცნიერი არ დააკმაყოფილა საკუთარმა მოსაზრებამ და ყველა ეს ნიშანი (**-ყუნ**, **-ყობ//ყო**, **-ყოა**) ნაცვალსახელოვანი წარმომავლობის ფორმანტებად მიიჩნია (ფანჩვიძე 1974 : 151). დავძენდი, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, რაც ზემოთ იქნა აღნიშნული, მაინც ჩანს შესაძლებლობა, **-ყუნ**, **-ყობ//ყო**, **-ყოა** პირის ნიშნებისა და **-ყობ** მრ. რიცხვის ფორმანტის ერთმანეთთან დაკავშირებისა, ანუ არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც, აღნიშნული პირის ნიშნები ნაცვალსახელოვანი წარმომავლობის იყოს. არგუმენტად გამოდგებოდა ის ფაქტი, რომ პირის ნიშნები (მრ. რიცხვში) და მრ. რიცხვის მაწარმოებლები სახელებში, მთლიანად თუ არა, ძირითადი ელემენტით მაინც სხვა კავკასიურ ენებშიც თანხვდება

ერთმანეთს (შდრ.: აფხაზ. -ქჷა სახელებში და -ქ ზმნებში; ქართ. -თ და -ნ სახელებსა და ზმნებში...)

5. უდიური და ქართული იმ იბერიულ-კავკასიურ ენათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც კლასის გრამატიკული კატეგორია მოიშალა. მოშლაში ვგულისხმობთ, რომ გრამატიკული კლასი ამ ენებში დღეს ცოცხალი მორფოლოგიური კატეგორია აღარ არის, თუმცა მისი კვალი თვალსაჩინოა. ეს კვალი შესამჩნევია ფუძესთან შეხორცებული გრამატიკული კლასის ექსპონენტების სახით. უდიურში სიტყვა-ფორმათა გარკვეულ ჯგუფში გამოყოფილია გრამატიკული კლასის ისტორიული ნიშნები, რომლებიც პარალელს პოულობენ მონათესავე ენათა ანალოგიურ ოდენობებთან. ამ ფორმანტებიდან ამჟამად გვიანტერესებს **ბV**- სტრუქტურის მქონე პრეფიქსები: **ბა-**, **ბე-**, **ბი-**, **ბო-**, **ბუ-**. უდიურის ფორმათა შედარება მონათესავე ენების შესაბამის ფუძე-ფორმებთან და ამ ენებში საერთო მორფემების – როგორც ძირეული, ისე აფიქსური, გამოყოფა იძლევა საშუალებას ამ ფუნქციამოშლილ და ძირს შეხორცებულ ელემენტთა ეტიმოლოგიური ძიებისა. ევგ. ჯეირანიშვილის მიერ უდიური ზმნური ფორმები შედარებულია სხვა დაღესტნური ჯგუფის ენათა შესაბამის ფორმებთან. ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ამ ელემენტს უდიურ სიტყვა-ფორმებში უჭირავთ ის ადგილი, რაც მონათესავე ენათა შესაბამის სიტყვა-ფორმებში გრამატიკული კლასის ნიშნებს: უდიური **ბა-ქ-ეს** „ყოფნა“ ~ მუხადური **ბი-ქ-ის** „ყოფნა“ (კაცის, ნივთის, მოვლენის), **ბო-ქ-ის** „ყოფნა“ (ქალისა), **ბი-ქ-ის** „ყოფნა“ (ცხოველისა), **ბი-ქ-ის** „ყოფნა“ (მრავალთა) ~ არჩიბული: **ბი-ქ-ირ**, **ბი-ქ-ირ**, **ბი-ქ-ირ**, **ბი-ქ-ირ** („ყოფნა“ – იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით); უდ. **ბი-ბ-ეს** „შობა“ ~ წახ.: **ბ-ბ-ი**, **ბ-ბ-ი**, **ბ-ბ-ი** „id“ (გრამატიკული კლასების მიხედვით); უდ. **ბო-კ-ეს** „წვა“ ~ არჩიბ.: **ბ-კ-ას**, **ბო-კ-ას** „id“ (გრამატიკული კლასების მიხედვით).

ევგ. ჯეირანიშვილის მიერ **ბV**- თავკიდური ელემენტი კვალიფიცირებულია, როგორც გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქვევებული პრეფიქსი (ჯეირანიშვილი 1971 : 11, 113).

უდიურში დიაქრონიული ანალიზის შედეგად გრამატიკული კლასის არსებობა პირველად ივანე ჯავახიშვილმა გახადა ცხადი თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. მეცნიერმა სახელთა ფუძეების ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად გამოავლინა გრამატიკულ კლას-კატეგორიათა გაქვევებული ფორმანტები უდიურში (ჯავახიშვილი 1937). მოგვიანებით ევგ. ჯეირანიშვილმა ამ საკითხს მიუძღვნა ცალკე ნაშრომი (ჯეირანიშვილი 1956).

ქართულში ივანე ჯავახიშვილის მიერ ზოგიერთ სახელში გამოყოფილია უდიურის მსგავსად პრეფიქსული **ბV**- ელემენტი, რომელსაც მეცნიერი „უასაკობის“ აღმნიშვნელ ფორმანტად მიიჩნევს. ასეთი ელემენტი გამოყოფილია, მაგალითად, სიტყვაში **ბა**-(ვ)შვ-ი (ჯეირანიშვილი 1937 : 199). როგორც ვიცით, **ბ-//ბV**- მესამე (ნივთის) გრამატიკული კლასის ნიშა-

ნია კავკასიურ ენებში. ამდენად, უდიურსა და ქართულში მორფოლოგიური შეხვედრა ისტორიულ გრამატიკულ ინვენტარშიც იჩენს თავს.

6. უდიურში ერგატიული ბრუნვის ნიშნებად **-ენ**, **-ონ**, **-ნ** სუფიქსები გამოიყოფა. **-ნ** სუფიქსი **-ა** / **-ე** / **-ჲ** ხმოვანებზე დაბოლოებულ ზოგიერთ სახელთან გვხვდება: ნანა-**ნ** „დედამ“, სევეჩე-**ნ** „მაზღმა“, დად-**ნ** „მამიდამ“... მართალია, არსებობს სხვადასხვა მოსაზრება უდიური ერგატივის ნიშნების წარმომავლობის შესახებ (სიხარულიძე 2005 : 115-118), მაინც, ვფიქრობ, ღირს მითითება უდიური **-ნ** მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტის ქართულ პარალელზე, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში საბოლოოდ გამოირიცხოს მათი კავშირი. ქართულ ნაცვლსახელებში **ვინ** და **მან** ბოლოკიდური **-ნ** ისტორიულად მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტად მიიჩნევა.

7. **-ონ** ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ნიშანია უდიურში: კოჯ-**ონ** „სახლის“, თურ-**ონ** „ფეხის“, ბ-**ონ** „თავის“... ვლ. ფანჩვიძემ ვ. თოფურიას კვლევაზე დაყრდნობით მიუთითა უდიურ-სვანურ შეხვედრაზე ნათესაობითი ბრუნვის **-ონ** ნიშანში (ფანჩვიძე 1946 : 366). თუ ვ. თოფურიას აღნიშნულ კვლევას მივმართავთ, უდიურის პარალელი შეგვიძლია ქართულიდანაც მოვიხმოთ, ქართულშიც აღმოჩნდება რა **-ონ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. ვ. თოფურიას მიერ სიტყვებში: გუმ-**ონ**, ხვალ-**ონ**-დელი, აწ-**ონ**-დელი, თვ-**ონ** (შდრ.: თვ-**ის**), მდ-**ონ** (სოფლამდ-**ონ**) (შდრ.: მდ-**ის**: სოფლამდ-**ის**) გამოყოფილია **-ონ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (თოფურია 1941 : 192).

8. მიცემითი ბრუნვის ნიშნად უდიურში გამოიყენება **-ბ** სუფიქსი, რომელიც გართულებულია რომელიმე ხმოვნით: **-ახ**, **-ეხ**, **-ობ**, **-უხ** (ჯეირანიშვილი 1971 : 51). ამოსავალი მიცემითი ბრუნვისთვის **-Vბ** სტრუქტურის მქონე აფიქსი ივარაუდება, თუმცა იქვე მიუთითებენ, რომ ამ სუფიქსის **-ბ** ელემენტი შესაძლოა საერთო დადესტნურ ***-ჰა**-ს რეფლექსი იყოს, რომელიც ერთ-ერთი ადგილობითი ბრუნვის ნიშნად აღდგება „თან“, „ახლოს“ მნიშვნელობით (სიხარულიძე 2005 : 128). აღსანიშნავია, რომ მიცემითი ბრუნვით ლოკატიური მნიშველობაც გამოიხატება უდიურში: ფაქ-**ობ** „ბაღს“ / „ბაღში“, ჭანაგ-**ობ** „ტყეში“, ჟომოკუ-**ა** „წისქვილში“... (ჯეირანიშვილი 1974 : 51; სიხარულიძე 2005 : 47) (შდრ.: ქართ. ქალაქ-ს = ქალაქ-ში).

უძველეს ქართულ ტოპონიმებსა და ეთნონიმებში, როგორებიცაა: დიაო-**ბ**-ი, კოლ-**ბ**-ი, მეს-**ბ**-ი, ჯავა-**ბ**-ი..., გამოყოფენ **-ბ** სუფიქსს, რომლის წარმომავლობის შესახებაც არაერთგვაროვანი მოსაზრებებია გამოთქმული. მის ძირითად ფუნქციად სიმრავლის, სატომო და წარმომავლობის სახელთა წარმოება გამოიკვეთება. რ. აბაშიამ აღნიშნულ საკითხს მიუძღვანა ნაშრომი (აბაშია 2013). მეცნიერმა დადესტნურსა და ნახურ ენებში გამოვლენილ **-ბ** ფორმანტს, რომელიც ლოკატიურ ბრუნვებში დასტურდება, ლოკატიური ბრუნვის ნიშანი კი გამოყენებულია ტოპონიმთა წარმოებაში, ხოლო შემდეგ ტოპონიმთა მეშვეობით ეთნონიმთა, სატომო და წარმომავლობის სახელები იწარმოება, ქართველურშიც მოუძებნა ფონემური და ფუნქციურ-მორფოლოგიური ეკვივალენტი. კერძოდ, ზანური **-ბ** ფორმანტი, რომელიც ნახურ-დადესტნურ ენების მსგავსად თანდებულაიან ბრუნვებს ახლავს: გვალა-შა-**ბ**

„მთამდე“ (გვალა „მთა“) და სვანური **-ხან/-ხენ** თანდებული: ლახუ-**ხან/ლახუ-ხენ** „მთიდან“ (ლახუ „მთა“) (აბაშია, 2013: 7).

უდიურ ენაში, როგორც ვნახეთ, **-ხ** ელემენტი მრავლობითი რიცხვის წარმოებაში იჩენს თავს და მიცემითი ბრუნვის ნიშანიც არის და, შესაძლოა, ლოკატიური წარმომავლობისაც იყოს (სიხარულიძე 2005 : 136). ეს ფაქტი ეჭვს ბადებს, რომ ქართველურში შეიძლება ორი ფონემურად მსგავსი, მაგრამ ფუნქციურად განსხვავებული ფორმანტი გვექონდეს. კერძოდ, კოლ-**-ხ**-ი (შდრ.: კოლა), დიაო-**-ხ**-ი (შდრ.: დაიენი), ტაო-**-ხ**-ი (შდრ.: ტაო), კარდუ-**-ხ**-ი (შდრ.: კარდუ, ქარდუ, ქართ-, ხალდ-ურ-ი), ჰენიო-**-ხ**-ი წარმომავლობის ეთნოტოპონიმებში **-ხ** სიმრავლე-კრებითობის (→ სატომო სახელთა) აღმნიშვნელი ფუნქციით გამოიყენება და, ამ მხრივ, უკავშირდება დადესტურ ენებში დადასტურებულ ანალოგიური ფუნქციის მქონე **-ხ** ელემენტს, ხოლო ქართულ ტოპონიმებში დაცული **-ეხ/-ახ** სუფიქსები (კატ-**-ეხ**-ი, წინარ-**-ეხ**-ი, კარდან-**-ეხ**-ი → კარდენ-**-ახ**-ი, გუდარ-**-ახ**-ი), რომლებიც ტოპონიმთა მწარმოებლებად ივარაუდება (ივანიშვილი 2016 : 102), მეგრულ-სვანურ მონაცემებთან ერთად (მეგ. **-ხ**, სვან. **-ხან/-ხენ**) ნახურ-დადესტურ ლოკატიური ბრუნვის ნიშნებს დაუკავშირდებოდა.

9. უდიურ-ქართული მორფოლოგიური შეხვედრების ძიებანის გზაზე საინტერესო ჩანს უდ. V-**-ს**-ტა (ა-**-ს**-ტა, ე-**-ს**-ტა, ი-**-ს**-ტა, უ-**-ს**-ტა) ადესივის (თანამყოფობითი) ბრუნვის ელემენტისა და ქართ. მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშნის შეპირისპირება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული, საერთოლექსიკური ქრონოლოგიური დონისთვის მიცემითი ბრუნვის ფორმანტად აღდგენილი **-სა**, უდიურში დაკარგულია, მაგრამ შესაძლოა მისი რეფლექსი ჩანდეს ადესივის V-**-ს**-ტა ნიშანში. მიცემითი ბრუნვიდან ლოკატივის წარმოება უჩვეულო არ არის. ასეა, ეს, მაგალითად, წახურში (სიხარულიძე 2005 : 128) და თავად უდიურში (შდრ.: მიც. ადამარ-ა[ხ] „ადამიანს“ ~ აბლ. ადამარ-ახ-ო „ადამიანისგან“, კომიტ. ადამარ-ახ-ოლ(ან) „ადამიანთან ერთად“, ადეს. ადამარ-ა-ს-ტა „ადამიანთან“; კვან-ეხ „მინდორს“ ~ ალატ. კვან-ე-ჰ „მინდორისკენ“, სუპერ. კვან-ე-ლ „მინდორზე“...). აღსანიშნავია, რომ ევგ. ჯეირანიშვილს **-ახ** მიცემითი ბრუნვის და **-ას** ადესივის ნიშნები სინონიმური მნიშვნელობის მორფემებად მიაჩნია (ჯეირანიშვილი 1971 : 71). როგორც ვიცით, არც ქართულისთვისაა უცხო მიცემითი ბრუნვის საშუალებით ლოკატივის მნიშვნელობის გადმოცემა, მაგ., მივემგზავრები ქალაქს = მივემგზავრები ქალაქში, დავბრუნდი სოფელს = დავბრუნდი სოფელში... ეს ყველაფერი განამტკიცებს ჩვენს აზრს დასახელებული ქართულ-უდიური მორფოლოგიური დაკავშირების ლოგიკურობაზე.

10. უდიურში **-ო** გამოიყენება მასუბსტანტივებელ სუფიქსად: ამ სუფიქსის დართვით მსაზღვრელი სახელები (ზედასართავი სახელი, რიცხვითი სახელი, კუთვნილებითი ნაცვალსახელი, მითითებითი ნაცვალსახელი, მიმღეობა) არსებით სახელს (სუბსტანტივს) უტოლდებიან, მაგალითად: *ქალა ვიჩი* აშ-ნე-ბსა „უფროსი ძმა მუშაობს“ ~ *ქალბ-ტინ* (← ქალა-ო-ტ-ინ) აშ-ნე-ბსა „უფროსი მუშაობს“; *ხიბ ეშ* „სამი ვაშლი“ ~ *ხიბო* [ემნად]

მა-ნე „სამი ვაშლი ← [ზედმიწ. ვაშლისა] აქაა“; *ეჭი კოჯ* ქალა-ნე, *ბეშიო* კიწი-ნე „თქვენი სახლი დიდია, ჩვენი – *პატარა*“; *მე დას* ზომ-ბაქა! „ეს გაკვეთილი ისწავლე!“ ~ *მენო* ვი ზომ-ბაქალ-ლე „ეს შენი სასწავლია“; *მა ეჩერი ქაღვზ* ში-ა? „აქ *მოტანილი წერილი* ვისია?“ ~ *მა ეჩერიო* შეტამ-ნე „აქ *მოტანილი [წერილი]* მისია“.

ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, -**თ** სუფიქსი ნაცვალსახელოვანი წარმომავლობისა: სა „ერთი“ ~ სრ „ერთი“ (გასუბსტ.) ← *სა-ო ← *სა-ლო ← *სა-ლუა/*სა-ლუე. მონათესავე ენათა ჩვენების მიხედვით, უდიურში აღდგენილია *ლუა/*ლუე ნაცვალსახელოვანი ძირი (ჯეირანიშვილი 1983 : 345-346).

ვლ. ფანჩვიძის ვარაუდით, -**თ** წარმომამვლობით განყენებულ ცნებათა მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს, ქართული აბსტრაქტულობის საწარმოებელ -**ობ**-ა, -**ებ**-ა... დერივანტთა მსგავსად, და შეიძლება უკავშირდებოდეს ლეზგიურში დადასტურებულ ამგავრი ფუნქციის მქონე -**ტალ** სუფიქსს (ფანჩვიძე 1974 : 119-120). -**თ** მასუბსტანტივებელი სუფიქსი კავკასიის ალბანურშიც მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენდა (ლოლოვა 2018 : 122). აღსანიშნავია, რომ -**თ** სადერივაციო სუფიქსი ხუნძურშიც გვაქვს: მესედ „ოქრო“ – მესედ-**თ** „მესედო“ (ქალის საკუთარი სახელი) (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 140). -**თ** სუფიქსი ქართული ენის სიტყვაწარმოებისთვისაც არ არის უცხო (ფერდ-**ო**/ფერდ-**თ**, გრილ-**ო**/გრილ-**თ**, მაღალ-**ო**/მაღალ-**თ**, ბნელ-**ო**/ბნელ-**თ**, ჭრელ-**ო**/ჭრელ-**ა**/ჭრელ-**თ**). უდიურში, შესაძლოა, -**თ** ელემენტი ზოგიერთ სახელშიც გამოიყოს, ფუძესთან შეხორცებული (დეტერმინანტი სუფიქსის ?) სახით. ასეთი სახელი ჩანს **ზიდო** (ვართ.) / **ზიდო** (ნიჯ.) „რკინა“ (შდრ.: ქართ. **წიდა** „რკინისა და ილეკროს ნადნობი“ (საბა)). შემდგომმა კვლევებმა უნდა მოჰფინოს ნათელი, არის თუ არა გენეტიკური კავშირი მატერიალურად და ფუნქციურად მსგავს -**თ** სუფიქსს შორის, რომელიც სხვადასხვა მონათესავე ენებში გვხვდება.

11. უდიური -**ოკ** კნინობითობის სუფიქსი ქართ. ანალოგიური შედგენილობისა და ფუნქციის -**ოკ** სუფიქსს შეესატყვისება. ამ სუფიქსთა ურთიერთმიმართებასა და წარმომავლობას ცალკე წერილი მივუძღვენი (ბასილაშვილი 2018). აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავდი, რომ ეს ფორმანტი საერთოკავკასიური წარმომავლობისა უნდა იყოს, რადგან დასტურდება თითქმის ყველა ჯგუფის ენაში და აგრეთვე ძველი ცივილიზაციის ენებში (ეტრუსკული, ჰურიტული), რომელთა ნათესაური კავშირიც ივარაუდება კავსიურ ენებთან.

ლიტერატურა

აბაშია 2013 – რ. აბაშია, კავკასიის უძველეს ეთნოტოპონიმთა წარმოების ისტორიიდან. III, კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2013.

ბასილაშვილი 2018 – ა. ბასილაშვილი, ერთი საერთო სადერივაციო სუფიქსი უდიურსა და ქართულში, ეტიმოლოგიური ძიებანი, XV, თბ., 2018.

თოფურია 1941 – ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1-2, თბ., 1941.

ივანიშვილი 2016 – მ. ივანიშვილი, ეტიმოლოგიური ძიებანი: ლაგოდები, მაჭი. ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2016..

ლოლუა 2018 – რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი, თბ., 2018.

საადიევი 1961 – Саадиев, Ш. М., Склонение существительных в крытском языке, Вопросы изучения иберийско-кавказских языков, Москва, 1961.

სიხარულიძე 2005 – ტ. სიხარულიძე, არსებით სახელთა ბრუნება უდიურში, თბ., 2005.

ფანჩვიძე 1942 – ვლ. ფანჩვიძე, მრავლობითი რიცხვის მესამე პირის აფიქსები -ყუნ- // -ყო- უდიურ ენაში, ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942.

ფანჩვიძე 1946 – ვლ. ფანჩვიძე, მორფოლოგიური შეხვედრებისათვის უდიური ენისა ქართულ-ქართველურ ენებთან, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946.

ფანჩვიძე 1974 – ვლ. ფანჩვიძე, უდიური ენის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1974.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962.

ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, შრომები, I, 2010.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 2017.

ჯავახიშვილი 1937 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937.

ჯეირანიშვილი 1956 – ევგ. ჯეირანიშვილი, გრამატიკული კლასის გაქვევებული ნიშნები უდიურ ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII, თბ., 1956.

ჯეირანიშვილი 1971 – ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი), თბ., 1971.

ჯეირანიშვილი 1983 – ევგ. ჯეირანიშვილი, წახური და მუხადური ენები, II, მორფოლოგია, თბ., 1983.

Amiran Basilashvili

Udi-Georgian Morphological Parallels

Summary

Similar affixal morphemes appear in Udi and Georgian, which appear both in the grammatical inventory and in word formation. Most of them seem to be genetically related to each other, since they are of the common Caucasian origin - this is also confirmed in other related languages. Some of them may only match one another in appearance.

A number of scholars have discussed Udi-Georgian morphological parallels. Based on the previous works of the scholars and by revealing new connections, we present Udi-Georgian morphological parallels.

მანანა ზუკია

მეგრულის დარგობრივი ლექსიკიდან – რძისა და რძის პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულში

მესაქონლეობა სამეგრელოს უძველესი და უმთავრესი სამეურნეო დარგია. მესაქონლეობის ერთ-ერთი მთავარი პროდუქტი – რძე და მისი ნაწარმი კი კვების ძირითადი პროდუქტი იყო.

სამეგრელოში არსებობდა რძის გადამამუშავების სხვადასხვა ტრადიცია და წესი. რძე და მისი ნაწარმი, გარდა ყველისა, მესაქონლეობის სხვა პროდუქტისაგან განსხვავებით, ძირითადად ოჯახში მოიხმარებოდა და იშვიათად იყო გაცვლა-გამოცვლის თუ გაყიდვის საგანი.

რძის პროდუქტების დამზადება-გამოყენების ტრადიცია განსხვავებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთში არ ამზადებდნენ ერბო-კარაქს. „მეგრელები დღემდის არ აკეთებდნენ და არც ხმარობდნენ ერბოსა და კარაქს, რადგანაც მათი წარმოდგენით ეს არ უხდება ღომსა და მჭადს“ (მაკალათია 2006: 287). ისინი აკეთებდნენ სხვადასხვა სახეობის მაღალი ხარისხის ყველს, მაწონს, მრავალფეროვან კერძებს რძისა და ყველის ინგრედიენტებით.

რძის პროდუქტების ზოგადი სახელწოდება

ზოგადად რძის პროდუქტის აღსანიშნავად მეგრული რამდენიმე ტერმინს იყენებს:

ბჟაშ ნაწარმი „რძის პროდუქტი ზოგადად“ (ზუგდ.).

ტერმინოლოგიური შესიტყვება (მართული სინტაგმა) ზედმიწევნით „რძის ნაწარმს“ ნიშნავს. ასევეა წარმოდგენილი ქართულ სალიტერატურო ენასა და მის მიკროსისტემებში. შდრ. მთიულ. **რძეული** „რძიდან მიღებული სხვადასხვა ნაყოფი“ (ლეონიძე 1925: 57).

კვალა / ნაკვალა „რძის ნაწარმი ზოგადად, ზედმ. წველა“: **კვალა** ვა ულუნი ის სამგარიო ვაუტიბუნია (ყიფშიძე 1914: 182) „წველა რომ არა აქვს იმას სამგარიო (მიქელგაბრიელი) არ წყალობს („არ უთბება“)“.

რძის პროდუქტის ზოგადი სახელის ასეთი აღნიშვნა ბუნებრივია ქართველურ ენებში. შდრ. ჯავახ. **წველა** „რძე-მაწონი, ერბო-კარაქი“ (ბერიძე 1981: 164); ქართლ. **წველა** „რძე და რძის ნაწარმი“ (მესხიშვილი 2006: 166); მთიულ. **ნაწველ-ნადღვები** „რძე და მისი ნაწარმი“ (კაიშაური 1967:

223); აჭარ. **ნაწველი** „რძე და მისი ნაწარმი“ (სურმაგა 1990: 4); რაჭ. **წველეული** „რძე და რძის ნაწარმი“ (კობახიძე 1987: 127). შდრ. აფხ. **ა-წარა** წველასა ც ნიშნავს და „რძის პროდუქტსაც“ ზოგადად (კასლანძია 2005-ა: 348).

ივ. ჯავახიშვილის ცნობით, დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში ნახმარი ტერმინი **წველა** წველის ნაწარმს გულისხმობდა... ნ. თოფურია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ, რადგანაც ანდერძში საუბარია მონაზონთა კვებაზე, იქნებ **წველა**ში წველის უმთავრესი პროდუქტი ყველი იგულისხმებოდესო. „წველა“ ტერმინის ასეთი მნიშვნელობით ძველ ქართულში არსებობის შესაძლებლობას თანამედროვე მეგრულში დაცული ერთი საგულისხმო ტერმინი გვაფიქრებინებს. წველას მეგრულად **კვალუა** ეწოდება, ხოლო **კვალა** ერთი მოწველით მიღებული რძისაგან შეკვეთილ ყველს ნიშნავს. მაშასადამე, **წველა** ყველს გულისხმობს“ (თოფურია 1960: 43). ანგარიშგასაწვევია ის გარემოება, რომ კახურში **წველა** „მაწონს“ ნიშნავს (ლეონიძე 1925: 91).

შევნიშნავთ, რომ ერთი მოწველით მიღებული რძისაგან შეკვეთილი ყველი მეგრულში გადმოიცემა არა **კვალა** / **კვალუა** ფორმით, არამედ სინტაგმით **ართ კვალა** (ყიფშიძე 1914: 592). აქ მარკირება ძალზე გამჭვირვალეა და პირდაპირ ნიშნავს „ერთ წველას“ (შდრ. იმერ. **ერთი წველა ყველი**). აფხაზური **ა-ხშ**, „რძეს“ აღნიშნავს. ხანდახან ამ (რძის) მნიშვნელობით გამოიყენება **ა-წარა** „წველა“, მაგ. **ა-წარა რემამ** „რძე (ზედმ. „წველა“) არა აქვთ“ (კვარჯია 1981: 51).

ჰამო „რძის პროდუქტი ზოგადად“ (ჯვ., წალენჯ., ხობი, ზუგდი).

მეგრულს ტერმინი ქართულიდან აქვს შეთვისებული, ქართულში ნიშნავს „ტკბილს, ამოს“. შდრ. ძვ. ქართ. **ჰამო** „გემრიელი, საამური“ (აბულაძე 1973: 576). ასეთი მარკირება მიგვანიშნებს, რომ რძის პროდუქტს წამყვანი ადგილი ეჭირა მეგრელთა რაციონში. მეგრულში **ჰამო** არასამარხვოსაც აღნიშნავს – პიჩვანს ჰამომ ჰკომუა ვეშლებე „მარხვამი ამოს (= რძის პროდუქტის) ჰამა არ შეიძლება“; მისი ანტონიმია **საპიჩო** „სამარხვო“.

ჩეობუა „რძის პროდუქტები“: **ჩეობუა** ვა არკუ დო მუთუნი „თეთრეულობა (რძის ნაწარმი) არ აკლია და არაფერი“ (ლომთათიძე 1984: 68). იმავე სემანტიკის სიტყვა რძის პროდუქტების აღსანიშნავად გვხვდება ქართული ენის დიალექტებში: **თეთრეული** (ქართლ.) „წველა“ (ლლონტი 1984: 246).

საკუთრივ რძის აღმნიშვნელი ტერმინები

რძე მეგრულში გამოიხატება საერთოქართველური წარმომავლობის **ბჟა** ფორმით (ყიფშიძე 1914: 411). **ბჟას** მინაჯინენი, ირო მინახვილუა უჩასია „რძეს რომ ჩახედო, ყოველთვის შეამჩნევო შავს“ (სიბრძნე 1994: 134). შდრ. ლაზ. **მჟა** / **ბჟა** (მარი 1910: 168; ქუთელია 1982: 67). **მჯა** / **მჟა** / **ბჟა** „რძე“ (ჩიქობავა 1938: 94). **მ-ყალვა** / **ბყალვა** / **ყალვა** „რძე“ (მარი 1910: 180); გენი ეწაუჩქუმერ დო **ბჟა** პჰვალუფ „ხბოს მივუშვებ და რძეს ვწველი“ (ასათიანი 1974: 222); წკაი ოქვასუთენ **მჟა** ივენი? „წყალი ნაყვით რძედ იქცევა?“

(სიბრძნე 1994: 262); **რძე** „1. თეთრი ან მოყვითალო ფერის სითხე, რომელსაც გამოყოფენ ქალი და ძუძუმწოვარი ცხოველები მკერდის ჯირკვლებიდან მშობიარობის შემდეგ ჩვილი შვილების საკვებად. 2. ასეთი სითხე, ჩვეულებრივ ძროხისა (აგრეთვე თხისა და ზოგი სხვა ცხოველისა), როგორც ადამიანის საკვები“ (ქეგლ VI: 476); ძვ. ქართ. **სძე** (აბულაძე 1973: 407), სვან. **ლგჯე** „რძე“ (თოფურია 2000: 543).

მეგრულისთვის ამოსავალია **ბ-ყალ-** ძირი, რომელიც აღდგება წარმოქმნილ სიტყვებში **გე-ბყალ-ია** „რძიანი კერძი“, **მა-ბყალ-ია** „რძიანა“... ლაზური საკმაოდ მრავალფეროვან ფონეტიკურ სპექტრს წარმოგვიდგენს – **მჯა / მჟა / ბჟა / ბჯა**; ამოსავალია **მ-ყა < მ-ყალ**, სადაც **მ-** ფონეტიკური დანართია (ჩიქობავა 1938: 94).

ბავშვის ენაზე რძე **ყაბუ / ყაყუ** ფორმით გადმოიცემა (ელიავა 1997: 265; ქაჯაია 2002: 495). როგორც ჩანს, სიტყვა **ბ-ყა-**ს რედუპლიცირებული ფორმაა და თავდაპირველად უნდა ყოფილიყო **ბყა-ბყუ**, რომელშიც შემდგომ რიგი ფონეტიკური პროცესი განვითარდა.

ხბოს მოწველის შემდეგ პირველად მოწველილი რძის აღმნიშვნელი საერთოქართველური **ხსენ-** (ძვ. ქართ. **ჰსენ-**) ლექსემა ერთი შეხედვით მეგრულში არ ჩანს (შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 721), მაგრამ ჩვენ მიერ ველზე მოპოვებული მასალების მიხედვით, **ხსენი** არის „დვრიტის შემცველობა, რომელსაც რძის შესაკვებად იყენებენ“ (ჯვ.). საერთოქართველური ფორმა კარგადაა დაცული ლაზურში: **ცხონი** „ახალმოგებული საქონლის რძე პირველი სამი დღის განმავლობაში“: ფუჯიში **ცხონის** მაქვალეფე დულუტახუტეს და იმხორტეს „ძროხის ხსენს კვერცხებს ჩაატეხავდნენ და ჭამდნენ“ (ნარაკიძე 1983: 70). ამ ლექსემას ლაზურში სხვა სემანტიკაც აქვს: **ცხონი** „ყველის მაგვარი კერძი“ (მარი 1910: 215); „ყველის მაგვარი საჭმელი; ამზადებენ კვერცხებითა და ახლადმოგებული ძროხის რძისაგან“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 721); შდრ. ძვ. ქართ. **ჰსენი** „პირველი ნაწოვნი სძე“ (საბა 1993: 437); სვან. **ლგჯ** „ხსენი“ (თოფურია 2000: 542); დიალექტური **ხსენი** (ქართლ., კახ., ფშ.) – [**სხენი** (იმერ.) – **ნაპირველა** (გურ.)] „ნაყოფის გაჩენის შემდეგ პირველად გამოწველილი უვარგისი რძე“ (ლეონიძე 1925: 98); ჯავახ. **სხენი** „ხსენი საქონლისა“ (ბერიძე 1981: 119); მთიულ. **ხსენი** „კვეთი, ცხრა დღის ბოჩოლას მუცელში“ (კაიშაური 1967: 251); რაჭ. **ფხსენი** „ახალი რძე“ (მიქიაშვილი 1988: 146).

ალ. ჭინჭარაული მიიჩნევს, რომ ქართული **ჰსენ-**ს მონათესავე ენებში შესატყვისი არ მოეპოვება. მკვლევარი ფიქრობს, რომ სიტყვა დაკავშირებულია **ჰსენ-** / **ჰსენ-** ფუძესთან (**გ-ჰსენ**), რომელიც თავის მხრივ **ჰს-** / **ჰშ-** ძირიდან მოდის (ჭინჭარაული 1974: 64).

გ. კარტოზია ერთმანეთს უდარებს ქართულ და ლაზურ ფორმებს და მიიჩნევს, რომ **ჰს** არის **ცხ-**ს კანონზომიერი შესატყვისი. „რაც შეეხება ხმოვანთშესატყვისობას – ქართ. **ე** : ზან. **ო**, აქ ისეთივე თანაფარდობა გვაქვს, როგორცაა ქართ. **მწყერ-** და მეგრ. **ჰყორ-**, ქართ. **ტრედ-** და მეგრ. **ტორონჯ-** / ლაზ. **ტოროჯ-**, ქართ. **ღერღედ-** და მეგრ. **ღორღონჯ-** / ლაზ. **ღორღოჯ-** ფუძეთა შემთხვევაში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ-

ლია ვარაუდი, რომ ასეთ შემთხვევებში ქართული **ე** მეორეულია, მიღებულია **ა** ხმოვნისაგან: **მწყერ-** < ***მწყარ-**, **ტრედ-** < ***ტრად-**... ამის შესაბამისად უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული **ესენ-** მიღებულია ***ესან-** არქეტიპისაგან“ (კარტოზია 1979: 75).

მ. ჩუხუა არკვევს ფუძის აგებულების ზოგიერთ საკითხს: „ანლაუტური შეფარდება ქართ. **ს** : სვან. **ლ** ახსნას არ საჭიროებს (შდრ. ქართ. **სძე** : სვან. **ლგჯე** „რძე“...). ამდენად, სვანურსა და ჭანურს ფუძის აგებულების უფრო ძველი სახეობა დაუცავთ – ქართ. **ესენ-ი** < **სენ-ი**, შდრ. ლეჩხ. **სხენ-ი**. პირიქით პროცესს ვერ დავუშვებთ. არ ჩანს საფუძველი **ხგ > ცხ** გადასმისა (გ. კარტოზია) ჭანურში. **ხგ** კომპლექსი აქ სუპერაციას არ ექვემდებარება – შდრ. ჭან. **ო-ხგ-უ** „ლბობა“, არც საერთოქართველურ **ჰგ-ს** (**მ-ჰგ-ე**) მოუცია ჭანურში **ჩხ** (შდრ. **ხჩე** „თეთრი“), ხოლო **სგ > ეს** გადასვლას ქართულში განაპირობებს მოქმედი წესი: სიბილანტი + ჯ აფრიკატი თანმიმდევრობა ქართულ ფონოტაქტიკაში აკრძალულია (შდრ. **ეს**)“. მკვლევარი (მ. ჩუხუა) მიუთითებს კავკასიურ ენებში დაცულ სავარაუდო შესატყვისებზე: საერთონახური ***ხჯი** (ინგუშ. **პყი**, ჩაჩნ. **ფხი** „ხსენი“); დარგ. **ნოც < ნოყ**, ლაკ. **ნაკ**, ლეზგ. **ნეჟ**, არჩიბ. **ნატ**, თაბ. **ნეჟ**, რუთ. **ნაჟ**, უდ. **ნაყ** „რძე“... (ჩუხუა 2000-2003: 143).

სხვა თვალსაზრისით ეს ფორმა ოსურიდან ნასესხობა უნდა იყოს (ო. თედევი). მისი ავტორის აზრით, ოსური **axsæn** („კუჭი“) მომდინარეობს **axsyn** „შედედება“, „აჭრა“ ფორმიდან. შესაბამისად, **axsæn** ნიშნავს „მკვეთელს“, „შემდედებელს“. მკვლევრის აზრით, **ესენ** ფორმისთვის ამოსავალია ოსური **xsæn** (აბაევი 1958: 154). უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელს მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. თუ მაინც ვისაუბრებთ ნასესხობაზე, უნდა დავუშვათ ქართული ნასესხობა ოსურში.

ხსენის სემანტიკის გამოსახატავად მეგრული იყენებს სინტაგმებს:

პირველ ჭვალა „ხბოს გაჩენის შემდეგ პირველად მოწველილი რძე, ხსენი“ (მარტვ.). სინტაგმა ზედმიწევნით „პირველ წველას“ ნიშნავს.

თხომურთ ზყა „ხბოს გაჩენის შემდეგ პირველად მოწველილი რძე, ხსენი“ (ჩხორ.). მართულ სინტაგმაში საზღვრულია **ზყა** „რძე“, მსაზღვრელი კი საერთოქართველური **თხომურ-** / **თხრამლ-** „ჩირქი“, ე. ი. ტერმინოლოგიური შესიტყვება ზედმიწევნით „ჩირქის, თხრამლის რძეს“ ნიშნავს. მოტივაცია ხდება ფერის და კონსისტენციის მიხედვით.

გარდა ამისა, ხსენის აღსანიშნავად მეგრული იყენებს ტერმინს **ნაპირველა** (ქაჯაია 2002: 526). წინა ვითარების აღმნიშვნელი სახელის ეტიმოლოგია ნათელია და ზედმიწევნით „ნაპირველარს, პირველს“ ნიშნავს. შდრ. გურ. **ნაპირველა** „ნაყოფის გაჩენის შემდეგ პირველად გამოწველილი უვარგისი რძე“ (ლეონიძე 1925: 48).

ხსენის აღმნიშვნელია მეგრული **ნათებერა** (მარტვ.). ტერმინი სტრუქტურულად წინა ვითარების სახელს ჰგავს. **ნა-ა** (< **ნა-უ**) წინა ვითარების ცირკუმფიქსია. თუ ამ ვარაუდს მივიღებთ, ტერმინი ასე დაიშლება **ნა-თებ-ერ-ა**; ძირი **თებ-ა** სავარაუდოდ უკავშირდება ქართულ **თბე** „პურის ცომი, ხაში“ (ქეგლ), სვანურ **ლიშდებ** „აფუება ცომის“ (ფენრიხი, სარჯვე-

ლაძე 2000: 231) ფორმებს (შეპირისპირებაზე მიგვითითა მ. ჩუხუამ, რის-თვისაც მაღლობას ვუხდით).

სტრუქტურულად წინა ვითარების სახელად მივიჩნევთ აგრეთვე ხსენის აღმნიშვნელ **ნაყუბერა / ნაყუბურა / ნაუბერა** ფორმას (ჩხორ., ხობი, სენაკი). სემენტაციის შედეგად (**ნა-ყუბერ-ა / ნა-ყუბურ-ა / ნა-უბერ-ა**) ძირად გამოყოფილი **ყუბერ-** მეგრულად „ისრიმს, დაუმწიფებელ ყურძენს“ ნიშნავს (ყიფშიძე 1914: 421). მოტივაცია ნათელი არ არის, შესაძლოა, მომწარო-მომყავო გემოს გამო დაუკავშირდა.

ხსენის აღსანიშნავად მეგრული იყენებს აგრეთვე აფხაზურიდან შეთვისებულ ლექსემას **ხიჯაჯა / ხეჯაჯა / ხაჯაჯა / ხეჯაჯა / ხეჯეჯი** (ჭარაია 1997: 179; მიქიაშვილი 1986: 34; ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ზუგდ.). შდრ. აფხაზ. **ა-ხჯაჯა** (ჯანაშია 1954: 431) „ხსენი“. აფხაზური სიტყვა კომპოზიტია: **ა-ხ** „რძე“, **ა-ჯაჯა** „მსხვილი, ხორკლიანი, უხეში“ (ჯანაშია 1954: 447).

იგივე ფუძეა გამოყენებული მეგრულ ჰიბრიდულ კომპოზიტში **ხი-ჯეხა** „ხსენი“ (მიქიაშვილი 1986: 34). კომპოზიტი ასე სემენტირდება: **ხი-ჯე-ხა**; პირველი კომპონენტი აფხაზური **ა-ხჯაჯა**-ს შეკვეცილი ვარიანტია და მისი ფონეტიკური ცვლილება ასე წარმოგვიდგენია: **ახჯაჯა > ხეჯაჯა > ხიჯაჯა > ხიჯეჯა > ხიჯე** (შეგნიშნავთ, რომ მეგრულში ყველა ფონეტიკური ვარიანტია დაცული), მეორე კი – რძის აღმნიშვნელი მეგრული **ხეა** (ბუკია 2013: 192).

ცუდად დამუშავებული რძე იჭრება. მას მეგრულში ეძახიან **ეჭკი-რილ ხეა**-ს (ზედმიწევნით „აჭრილი რძე“). ცუდად შედედებული რძის აღსანიშნავად იგივე სინტაგმა გამოყენებული ლაზურში: **ოჭკიელი ხეა** „აჭრილი რძე“ (ასათიანი 1974: 161). **ოჭკირელი მეაში** წკაი გიბუფან (ჩიქობავა 1929: 141) „აჭრილ რძეში წყალს ასხამენ“. შდრ. იმერ. **აჭრილი რძე** „რძე, რომელიც კვეთის ჩასხმის შემდეგ კარგად არ შედედდა ყველის ამოსაღებად, ნამცეც-ნამცეც იქცა“ (გაჩეჩილაძე 1976: 21). მოხ. **აჭრილა** „აჭრილი, ამჟავებული რძის შეჭამაღია ერთგვარი“ (ქავთარაძე 1985: 175); ჯავახ. **რძის აჭრა** „როცა რძე ადუღების დროს დამჟავდება, იტყვიან აიჭრაო“ (ბერიძე 1981: 108).

ცუდად შედედებულ რძეს აღნიშნავს მეგრულში სინტაგმა **ხეცერელი ხეა**. ტერმინოლოგიურ შესიტყვებაში მსაზღვრელი სტრუქტურულად მიმდებარს ჰგავს, სემენტაციაც კი შეიძლება **ხეც-ერ-ელ-ი**, მაგრამ ძირის მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია.

მოწველის დროს რძის თავზე მომდგარ ქაფს **პერუეი** ჰქვია (ზუგდ.). შდრ. მეგრულივე **პერუეი / პეროეი** „ქაფი“. როგორც ჩანს, მომდინარეობს **პერ-** ძირიდან, რომელიც ქართულში „ქაფს, დუფს“ ნიშნავს (ქეგლ VI: 168).

იშვიათად (როგორც ზემოთ შეგნიშნეთ, მეგრელები კარაქს არ დღვებდნენ) რძეს ცხიმს აცლიდნენ. ასეთ რძეს **ყვეპურმუნოღალირი** ერქვა (ჩხორ.). კომპოზიტის პირველი ნაწილი **ყვეპურ-** „ქაფს“ ნიშნავს, მეორე **მუნო-ღალ-ირ-ი** კი მიმდებარა და „მოხდილს, გადაღებულს, გადატანილს“ ნიშნავს, თავად ტერმინი კი „ქაფმოხდილს“ აღნიშნავს.

რძის შესადედებელი საშუალებები

მაწვნის შესადედებლად მეგრელებს ყოველთვის ჰქონდათ მომარაგებული მაწვნის დედა, რომელსაც **მარწვენიმ თასი** (ზედმ. მაწვნის თესლი“) ჰქვია (ყიფშიძე 1914: 400). მ. ჩუხუა სინტაგმაში წარმოდგენილ ქართული **თესლ**-ის შესატყვის მეგრულ **თას**-ს უდარებს სვანურ ყველის აღმნიშვნელ **თაშ** / **თაშ** ფორმას და მიუთითებს, რომ **თესლი** სემანტემა ენაში თავდაპირველად კვეთის, დვრიტის სინონიმად გამოიყენებოდა, საიდანაც მოგვიანებით ყველის შინაარსი განვითარდა: **თესლი** > **დვრიტა** > **ყველი**, შდრ. მეგრ. **თას**-ი „თესლი“ > **მარწვენიმ თასი** „მაწვნის დვრიტა“ (ჩუხუა 2000-2003: 107).

იმავე მნიშვნელობისაა **ხაწა** „მაწვნის დედა“ (ჭარაია 1997: 177). ტერმინი მეგრულს აფხაზურიდან აქვს შეთვისებული: **ა-ხაწა** „1. მაწვნის დედა, 2. დვრიტა, მაჭიკი ყველისა“ (ჯანაშია 1954: 406).

ყველის შესადედებლად გამოიყენებოდა **ნაწი** „კვეთი, დვრიტა“ (ყიფშიძე 1914: 170); **ნაწი** საქონლის კუჭის ნაწილია, რომლისგანაც აკეთებენ რძის შემადედებელ კვეთს (ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ხობი, სენაკი). უნდა შევნიშნოთ, რომ მეგრული **ნაწი** საქონლის ნაწლავს ნიშნავს და ამ მნიშვნელობით ისევეა გავრცელებული, როგორც ქართული **წელ** („ნაწლავ“-ის) კანონზომიერი შესატყვისი **ჭი** / **ჭგ**. მეგრულის სუბსტრატად განვიხილავთ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებულ იმავე სემანტიკის **ნაწი** „მცოხნავ ჩვილ საქონლის მეოთხე განყოფილება, რომელიც შეიცავს კვეთს“ (ლეონიძე 1925: 50), იმერ. **ნაწა** „რძის შესადედებელი, საქონლის ფაშვისაგან გაკეთებული“ (ჯავახიშვილი 1986: 184) ფორმებს. შდრ. **ნაწი** „კუთხ. (იმერ., გურ.) იგივეა, რაც დვრიტა“ (ქეგლ V: 1427).

იმავე მნიშვნელობისაა **კვეთი** / **კვეთარი** (ჭარაია 1997: 78; ჯავახიშვილი 1986: 217, 223; ჩხორ., ხობი, ზუგდ., წალენჯ.). მარტივი და **-არ** (როგორც ჩანს, მიმღეობური) სუფიქსით გაფორმებული **კვეთი** / **კვეთარი** დასავლურქართული კილოებიდან ჩანს შეთვისებული და შესადედებელ, შესაკვეთებელ ფერმენტს გულისხმობს. შდრ.: **კვეთი** „იგივეა, რაც დვრიტა“ (ქეგლ IV: 1170); **სამკვეთო** „1. იგივეა, რაც კვეთი, 2. კუთხ. (გურ.) კვეთის ჭურჭელი“ (ქეგლ VI: 710); **კვეთი** (გურ.) „დვრიტას ექსტრაქტი, რომლითაც იკვეთება რძე საყველედ“ (ლეონიძე 1925: 32); იმერ. **კვეთი** „რძის შესადედებელი სითხე, ნაწაზეა დაყენებული“ (ბერიძე 1912: 33); ზ.-იმერ. **კვეთი** „დვრიტა“ (ძოწენიძე 1974: 193), ქვ.-იმერ. **კვეთი** (გიგინეიშვილი 1961: 481).

როგორც ჩანს, ზემოთ მითითებული **კვეთი** / **კვეთარი** არის ამოსავალი იმავე სემანტიკის **კვეცი** / **კვეცრა** ფორმებისათვის (ჯავახიშვილი 1986: 223). ფუძეში მოხდა აფრიკატიზაცია **თ** > **ც**. სხვა მხრივ, მორფოლოგიური ინვენტარი იგივეა, აუსლაუტის **-ა**-ც ხშირად დაჩნდება მეგრულ დერივატებში.

კვეცრა-ა ამოსავალი **კვეცრე** / **ქვეცრე** / **ქვეცილე** (ყიფშიძე 1914: 343; სახოკია 1985: 367; ჯავახიშვილი 1986: 223; წალენჯ.) ფორმებისათვის.

ყველის სახეობანი

სამეგრელოში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ყველის გაკეთება-დამუშავებას. მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ მეგრული სამზარეულო გაამდიდრა ყველის სახეობებით, შესაბამისად, მეგრული ლექსიკა გამდიდრდა მისი აღმნიშვნელი ტერმინებით.

ყვალი / **ყვაი** „ყველი“ (ყიფშიძე 1914: 418; ელიავა 1997: 331). თქედორხვადუ ღუმ რგილი დო ჭიჭე **ყვალი** – „იქ დაგხვდება ცივი ღომი და ცოტა ყველი“ (გუდავა 1975: 202). ლაზ. **ყვალი** / **ყუალი** / **ყოალი** / **ყვალი** / **კვალი** / **კუალი** / **ვალი** „ყველი“ (მარი 1910: 204; ჩიქობავა 1938: 95; ქუთელია 1982: 92). **ყვალი** დო მჭკიდი დემიტკოჩი, მან ამბაი გეგიტკომე „ყველი და მჭადი ამომიგდე, მე ამბავს ჩამოგიგდებ“ (კარტოზია 1968: 158); **კვალი** მხირუს კვალი შუნს „ყველიპარიას ყველი ახსოვს“ (სიბრძნე 1994: 223). მჯაშენ დოღურთი ბიქუმთ, **ვალი** ბიქუმთ „რძისაგან მაწონს ვაკეთებთ... ყველს ვაკეთებთ...“ (ჩიქობავა 1938: 95).

საერთოქართველური ფორმა წარმოდგენილია სამსავე მონათესავე ენაში. **ყველი** : **ყვალი** ფორმებში ჩიქობავა გამოყოფს -ელ-, -ალ- დეტერმინანტ სუფიქსს (ჩიქობავა 1938: 95). ლაზურში წარმოდგენილი ფონეტიკური ვარიანტები ყვ > კვ > ვ ამ დიალექტისთვის ბუნებრივია (იქვე). სვანურში საერთოქართველური **ყველი** : **ყვალი** არ ჩანს, მაგრამ ამ ძირს უკავშირდება ბალსზემოური **ლი-ყელი** „ყველის ამოყვანა“. ეს ფორმა მასდარად წარმოგვიდგება, საიდანაც ზმნური ფორმები იწარმოება: **ენ-ყელ-ე** „ყველი ამოიყვანა, ამოყველა“; **ი-ყელ-ე** „იჭრება, ყველდება“; **ნა-ყელ** „ამონაყველი“; მზ. შანიძე ძვ. ქართული **ყავ-** ფუძისაგან ნაწარმოებ სუბსტანტივად მიიჩნევს **ყავ-ელ-ი** > **ყველ-ი** ფორმას, ე. ი. ფორმის მნიშვნელობა ასე განისაზღვრება: აჭრილი, შედედებული, რძიდან მიღებული რამ, – შეყველებული (შანიძე 1960: 63).

ავცხურა „გუდის ყველი“ (ჯავახიშვილი 1986: 223; ქაჯაია 2001: 165). საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალების (და მასზე დაყრდნობილი ლექსიკონის) გარდა ეს ტერმინი არ გვხვდება არც გამოქვეყნებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსა თუ სამეცნიერო შრომებში და არც ჩვენ მიერ მოძიებულ საველე მასალაში.

ართ ჭვალა „ერთი ძროხის ნაწველში ამოღებული ყველი“ (ყიფშიძე 1914: 592). ტერმინოლოგიური შესიტყვება (ატრიბუტული სინტაგმა) ზედმიწევნით ნიშნავს „ერთ წველას“.

ბეჭილია „ყველისაგან გაკეთებული წნული“; „სულუგუნის გაკეთების დროს ბეჭილიასაც აკეთებენ“ (ინსტ. მასალები). **ბეჭილი ყვალი** „დაწნული ყველი“ (ქაჯაია 2001: 238). **ბეჭილია ყვალი** „დაწნული ყველი. ახლად გადაზელილ სულუგუნს წნავენ“ (ზუგდ.). შდრ. იმერ. **ბწილი** „დაწნული ყველი, ან მოხარშული ყველის ძაფებისაგან მოქსოვილი რაიმე“ (გაჩეჩილაძე 1976: 113). ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში ერთ შემთხვევაში გამოყენებულია **ბეჭ[უა]** „[ბწნ-] ძირისაგან ნაწარმოები მიმღობა **ბეჭილ-ი** („დაბწილი, დაწნული“), მეორე შემთხვევაში **ბეჭილ-**ს დართული

აქვს კნინობითობის აღმნიშვნელი **-ია** სუფიქსი. **ბეჰილია**-ს შემთხვევაში ტერმინოლოგიზაციის პროცესი დასრულებულია, საზღვრული ჩავარდნილია და ტერმინი წარმოდგენილია კნინობითობის სუფიქსდართული მიმდევრობით (**ბეჰ-ილ-ია**).

ბუყუნში ყვალი „დიდი ყველი, ბუყუნში ჩადებული“ (ჯვარი). ტერმინოლოგიური შესიტყვება (მართული სინტაგმა) ზედმიწევნით ნიშნავს „ბუყუნის (ყველის შესანახი ჭურჭელი) ყველს“. თავისებური ტექნოლოგიის, დანიშნულებისა და არომატის გამო მიიღო სულუგუნის ამ სახეობამ თავისი სახელი.

ბუჯგა „სასულუგუნოდ მოუსვლელი ყველი“ (ელიავა 1997: 37). ტერმინი სხვა ლექსიკოლოგ-ლექსიკოგრაფთან, წერილობით ძეგლებში და ზეპირ მასალაში არ გვხვდება. შესაძლებელია ეს იყოს სასულუგუნოდ უვარგისი, ცუდად ამოყვანილი ყველი. ასეთი ყველი მეგრულში სხვა ტერმინითაც არის წარმოდგენილი: **პუჭკოლია ყვალი** „ცუდად ამოყვანილი ყველი“ (ზუგდ.). **ბუჯგ-** და **პუჭკ-** ძირების დაკავშირება ადვილია (მოხდა მჟღერთა გამკვეთრება).

გეფურხოლირი ყვალი „დაფშვნილი, პიტნით შეკმაზული ყველი“ (ქაჯაია 2001: 308). ტერმინოლოგიური შესიტყვება წარმოდგენილია ატრიბუტული სინტაგმით. საზღვრულია საერთოქართველური **ყვალი**, მსაზღვრელად წარმოდგენილ მიმდევრობაში ძირად გამოიყოფა **ფურხ-** **ფშვნ-** ძირი. **ფურხა** „ფინჩხი, ნამცეცი“ (ყიფშიძე 1914: 340). ზედმიწევნით ნიშნავს „დაფშვნილ ყველს“. **გე-ფურხ-ოლ-ირ-ი**, **ფურხ-ოლ-ია** (იხ. ქვ.) ფორმებში გამოყოფილ ძირს **ფურხ-**, რომელიც დასავლურ დიალექტებში (გურულსა და იმერულში) **ფინჩხა / ფუნჩხა** სახით გვაქვს (ქლენტი 1936: 26), ლაზურში კი **ფუნჩხა / ფუნცხი** სახითაა წარმოდგენილი (მარი 1910: 194; ქუთელია 2005: 261). ქ. ლომთათიძე აფხაზურიდან შეთვისებულად მიიჩნევს და ამოსავლად თვლის **ა-ფჩხა / ა-ფჩგხა** ფორმებს, ნიშნავს „ნატეხს, ნამსხვრევს“ (ჯანაშია 1954: 287). ქართულ ენობრივ სინამდვილეში ამ სიტყვას საფუძვლად დასდებია აფხაზურის **გ** ხმოვნთან (**ა-ფჩგხა**) სახეობა. აფხაზური **გ** ხმოვანი კი ქართულში გადმოდის **ი** ხმოვნით. ბაგისმიერის მომდევნოდ ასევე ბუნებრივია მისი გადმოღება **უ** ხმოვნით. ამ ნიადაგზე ქართულ ენობრივ არეალში მან მიიღო **ფურჩხა / ფიჩხა**-ს სახე. შემდგომ ქართულად ადაპტირებული **ფურჩხა / ფიჩხა** „საჭმლის ნამცეცის“, საერთოდ „ნამცეცის“ მნიშვნელობით უკანვე შესულა აფხაზურში და მიუღია **ა-ფჩგხა** სახე (ლომთათიძე 1989: 50).

გვალაშ ყვალი „მწყემსის ქოხში გაკეთებული ყველი“. განსაკუთრებულ გარემოში დამზადებულმა სულუგუნმა სპეციფიკური არომატის და გემოს გამო მიიღო დამატებითი მარკირება. მართული სინტაგმა ზედმიწევნით „მთის ყველს“ ნიშნავს.

გუდამ ყვალი „გუდის ყველი. მწყემსები ამზადებდნენ მთიან სამეგრელოში“ (ინსტ. მასალები). ყველის ეს სახეობა მთელ საქართველოშია (განსაკუთრებით აღმოსავლეთ მთაში) ცნობილი, მაგრამ მეგრული გუდის ყველი მისგან განსხვავებული ტექნოლოგიით მზადდებოდა: გუდამი ჩა-

სხმულ დვრიტადამატებულ რძეს აყრიდნენ წიწაკიან მარილს, მზეზე კიდებდნენ და ანჯღრევდნენ, სანამ არ შედედებოდა. მეგრულ **გუდამ ცვაღს** ძროხის რძისაგან აკეთებდნენ.

ტერმინი გვაქვს ლაზურშიც: **გუდამ ცვაღი** „გუდის ყველი“ (ასათიანი 1974: 196). ფართოდაა წარმოდგენილი ქართული ენის მიკროსისტემებში: ქიზიყ. **გუდის ყველი** „უმთავრესად ცხვრის ყველი გუდამი ჩადებულ“ (მენტეშაშვილი 1943: 43), მოხ. **გუდაის ყველი** „გუდამი შეწურული ყველი“ (ქავთარაძე 1985: 209).

დერგომ ცვაღი „დერგის ყველი“: აკა ეთექ **დერგომ** ცვაღი კინოდგენი, ქენომჯინია თიშავა „ერთი იქ ყველიანი ხალამი („დერგის ყველი“) დგას გვერდზე, გამისინჯე ის („გამიხედე იმასო“)“ (დანელია 1991: 192). ყველიერისთვის მომარაგებულ ყველს შესანახად დერგში დებდნენ. დროთა განმავლობაში დამარილებული, თიხის ჭურჭელში შენახული ყველი თავისებურ, სხვა სულუგუნისაგან განსხვავებულ არომატს იძენდა, რის გამოც სახელიც განსხვავებული შეერქვა. ზედმ. „დერგის ყველი“.

ნადერგუ „ნადერგალი (იტყვიან დერგით შენახულ ყველზე)“ (ელიავა 1997: 243), **ნადერგუ ცვაღი** „დერგში შენახული ყველი“ (ქაჯაია 2001: 457). მეგრელები განსაკუთრებულად ემზადებოდნენ ყველიერისათვის. სამზადისი თვეზე მეტი ხნის წინ იწყებოდა. სხვა საქმეთა შორის, ყველიერის შვიდეულისათვის დერგში ინახავდნენ ყველს. თიხის ჭურჭელში შენახული ყველი განსაკუთრებულ არომატს იძენდა, გემოც და სუნიც სხვანაირი ჰქონდა. ტერმინები წარმოდგენილია წინა ვითარების სახელითა და სინტაგმით. მეგრელები **ნადერგუ**-ს ძირითადად განმარტავენ, როგორც ყველიერისთვის შენახულ ყველს. შდრ. აჭარ. **ნადერგალი ყველი** „დერგში შენახული ყველი“ (სურმავა 1990: 19).

თოთო ცვაღი „ჭყინტი ყველი“. ახალამოდებულ, ჩვილ ყველს ეძახიან. ამგვარი მარკირება მხოლოდ მეგრულისთვის არ არის დამახასიათებელი: შდრ. სვან. **თოთ თაშ** „ახალამოდებული ყველი“ (ჯავახიშვილი 1986: 208), ზედმ. „თოთო ყველი“, აჭარ. **თოთო ყველი** „ჭყინტი ყველი“ (სურმავა 1990: 19).

კაზგლა / კაზლა ცვაღი „გადაუზელებელი ყველი“. **კაზილა ცვაღი** „მოუხარშავად დამარილებული ყველი, კაზალა“ (ს.) (ყიფშიძე 1914: 249; ჭარაია 1997: 149); „გადაუზელებელი ყველი“ (ელიავა 1997: 191): შხვა მეკომოკონეფი – ჟირი დერგი **კაზლა ცვაღი...** მუთუნ ვადომტებუნა „სხვა რადაც-რადაცეები – ორი დერგი (იმერული) ყველი – არაფერი დაგვიტოვებია“ (გუდავა 1975: 216).

ტერმინი წარმოდგენილია საბასთან: **კაზალა** „ნაჭერი ყველი“ (საბა 1991: 346). გვაქვს სვანურშიც: **კაზალ** „ნაჭერი ყველი. დაჭრილ ყველს დამარილებენ, რაც შეიძლება მეტად და ჩადებენ ხალამში, თიხის ქოთანში, თავზე სარქველს დაახურავენ. ასეთი წესით შენახულ ყველს ეძახიან კაზალ-ს. **კაზალი შდიქ** – კაზალის ყველი; ეს ერთი სახეა ყველისა“ (ჯავახიშვილი 1986: 209). ი. ჯავახიშვილის განმარტებით, „საფიქრალია, რომ „კაზილა უნდა „კაზუა“ ზმნისაგან ნაწარმოები ვნებითი მიმღეობა იყოს „კა-

ზილი“. კაზმა, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში (და ნაწილობრივ თანამედროვეში) მომზადებას და შემზადებას ნიშნავდა. მეგრული **კაზუა კაზმის** შესატყვისობას წარმოადგენს. ერთ კვერეულად შემზადებულ ყველს უნდა ნიშნავდეს” (ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი IV, გვ. 232-236).

ნ. თოფურია გამოთქვამს ვარაუდს, რომ **კაზილა** შეკაზმასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული: „შესაძლოა, კაზილა ყველის ფორმასთან ან ჭურჭელთან იყოს კავშირში. რა რაოდენობის ყველს იძლეოდა ესა თუ ის ჭურჭელი, მაგ. ჩეჩო, დერგი“ (თოფურია 1960: 48); ე. ი. **კაზგლა** აღნიშნავს ყველის ფორმას, ან ჭურჭელს, რაშიც მას ათავსებდნენ.

მსგავსი ფორმა გვაქვს აფხაზურში: **ა-შტაზგლა** „ყველის სახეობა“. ტერმინი კომპოზიტია, რომლის მეორე ნაწილი აშკარად უკავშირდება **კაზლა**-ს, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ **ტაზლა**-სთვის ამოსავალი თურქ. **tuzlu** „მარილიანია“ (კვარჭია 1981: 119). ამ მსჯელობის მიღება ჭირს. თუ **ა-შტაზგლა**-სთვის ამოსავალ ფორმად თურქულს ჩავთვლით, ჩნდება კითხვა – რატომ არ მოგვცა **ტუ** კომპლექსმა **ტ** ლაბიალური თანხმოვანი? ვ. კვარჭია იქვე მიუთითებს, რომ ფორმა მხოლოდ აბჟურშია გავრცელებული. აფხაზური კომპოზიტის გავრცელების არეალი გვავარაუდებინებს, რომ ქართველურიდანაა შეთვისებული.

კვეკვერიში / ჭვეჭვერიში „ახალამოღებული უმარილო ყველი“ (ყიფშიძე 1914: 255); „ჭაჭუტა, ჩვილი ახალამოყვანილი ყველი“ (ჭარაია 1997: 78). ტერმინი ნაგენეტივარი რედუპლიცირებული კომპოზიტითაა წარმოდგენილი. გვხვდება საბას ლექსიკონში: **კვეკვერიში** „უმარილო ჭმელი ყველი“ (საბა 1991: 370); ლ. ლეონიძის განმარტებით: **კვეკვერიში** „უმარილო ხმელი ყველი“ (ლეონიძე 1925: 33).

კიბგვალი / კიფგვალი „გადაუზელელი, გადაუხარშავი ყველი“ (ყიფშიძე 1914: 257; ელიავა 1997: 195); „ახლად ამოყვანილი ყველი“ (ჩხორ.); **კიბუ ცვალი** (მაკალათია 2006: 269); „კაზლა ყველს (მარილიანს) ინახავენ ქვევრის მსგავსად მიწაში დამარხულ დერგში. ინახავენ მშრალად, ბლომად მარილში. ხსნიან ყველიერზე. ეძახიან **დერგიშ ცვალს** ანუ საყველიეროს, აგრეთვე **კიბგვალს**“ (ზუგდ.). სინტაგმაში მსაზღვრელი ფონეტიკური ვარიანტებითაა წარმოდგენილი მჟღერი > ფშვინვიერი > აბრუპტივი. ეტიმოლოგია ბუნდოვანია. როგორც ჩანს, **კიბგვალი / კიფგვალი** ფორმისგან არის მიღებული **წკიბ ცვალი** „მოუხარშავად დამარილებული ყველი“ (ინსტ. მასალები) თუმცა წ-ს გაჩენას ახსნა სჭირდება.

ლაგვანიშ ცვალი „ქვევრში შენახული ყველი, ინახავდნენ ყველიერისთვის“ (ხოზი). მართულ სინტაგმაში საზღვრული საერთოქართველური **ყველ**-ია, მსაზღვრელად ჭურჭლის აღმნიშვნელი **ლაგვანი** (< ბერძნ.). ზედმიწევნით „ქვევრის ყველს“ ნიშნავს. აბაზურში ყველის ერთ-ერთ სახეობას **ა-შგლაგან** ჰქვია. წ. ბჟანია მას უკავშირებს მეგრულ სულუგუნს (მომზადების ტექნოლოგიის მიხედვით). ის ფონეტიკურ ინვენტარს ყურადღებას არ აქცევს, ტერმინს კომპოზიტად მიიჩნევს, შლის მას **ა-შ** და **ლაგან** სეგმენტებად, სადაც **ა-შ** „ყველია“, მეორე კომპონენტი კი მკვლევ-

რისთვის დაუდგენელია. შემდგომ ბჟანიას მოჰყავს **ა-შ^ამკათ**, **გამამკათ** ფორმების სემენტაცია (რომელსაც ჩვენ არ ვიზიარებთ – ბუკია 2003: 26-29) და სვამს კითხვას: ხომ არ აღნიშნავს ამ ტერმინების ერთნაირი, ეტიმოლოგიურად დაუდგენელი **-მკათ** სათავსოს და იგივე სემანტიკა ხომ არა აქვს **ლაგან**-ს (ბჟანია 1962: 127). მიუხედავად იმისა, რომ **სულუგუნი** > **ა-შ^ალაგან** არავითარი ფონეტიკური დაბრკოლება არ ახლავს (**სუ** > **შ^ა**, **უ** > **ა**, **გუ** > **გ**), მაინც ვუშვებთ, რომ აფხაზური ტერმინი ჰიბრიდული კომპოზიტია: **ა-შ^ა** „ყველი“, **ლაგან** მეგრული (< ბერძნული) **ლაგვანი** „ქვევრი“. მეგრულში გვაქვს მსგავსი სემანტიკის **ლაგვანიშ ცვალი**, **დერგიშ ცვალი**, იმერ. **ნოგის ყველი** „დერგის, ნოგის ყველი“. ვვარაუდობთ, რომ აფხაზური ტერმინი ჰიბრიდული კომპოზიტია.

ნაგვალე ცვალი „მთის ყველი, მწყემსის კარავში გაკეთებული ყველი“ (ჯჯვ.), წარმოდგენილია ტერმინოლოგიური შესიტყვებით, მსაზღვრელია წინა ვითარების **ნაგვალ** < **ნაგვალე** < **ნაგვალუ** ზედმიწევნით ნიშნავს „ნამთევ ყველს“.

წოლამ ცვალი „ჭვარტლიანი ყველი“ (ქაჯაია 2002-ა: 438); გადატ. „შებოლილი, ბოლში გამოყვანილი ყველი“. **წოლა** / **წოლა** მეგრულად „მჭვარტლს“ ნიშნავს, სინტაგმის ზედმიწევნითი მნიშვნელობა „ჭვარტლიანი ყველია“.

ოცაშური ცვალი „ყველიერის ყველი“ (ქაჯაია 2002: 463). **ოცაშური** „საქონლის გამრავლებასთან დაკავშირებული საკულტო რიტუალია, იცოდნენ ყველიერის ხუთშაბათს და ამ დღეს ლოცულობდნენ საქონლის გამრავლებაზე“ (მაკალათია 2006: 398). **ოცაშური** „აღნიშნავდნენ ყველიერის ხუთშაბათს, ლოცულობდნენ საქონლის გამრავლებაზე“ (ქაჯაია 2002: 463). მსაზღვრელში ძირად გამოიყოფა ხუთშაბათის აღმნიშვნელი **ცაშა**-სგან ნაწარმოები დანიშნულების **ო-ცაშ-ურ-ი** ფორმა. ტერმინოლოგიური შესიტყვება ზედმიწევნით „სახუთშაბათო ყველს“ ნიშნავს.

პუჭკოლია ცვალი „ცუდად ამოყვანილი ყველი; გადამწიფებული ჭყინტი ყველისაგან გაკეთებული დაფშვნილი სულუგუნი“ (ზუგდ.). სინტაგმის მსაზღვრელი **პუჭკოლუნს** ზმნისაგან მიღებული გასუბსტანტივებული **პუჭკოლიაა**, ზედმიწევნით „დაჭყლეტილს, დაფშვნილს“ ნიშნავს (იხ. **ბუჯგა**).

სელეგინი / სელეგუნი / სიოგინი / სელგგინი / სულოგინი / სიოგინი / სილოგინი „სულუგუნი“ (ყიფშიძე 1914: 418; ჯავახიშვილი 1986: 218, 224; მაკალათია 2006: 269; ელიავა 1997: 288). ჯგირ რე, ჩხოუ პირდაპირ **სულოგინს** იჭვალუნდასგნი „კარგია, ძროხა პირდაპირ სულუგუნს იწველიდესო“ (დანელია 1991: 461); ართი მოჭვალუათი **სელეგინი** ვეჭვალენია „ერთი მოწველით სულუგუნი არ მოიწველებაო“ (სიბრძნე 1994: 11). შდრ. **სულუგუნი** „საგანგებოდ დამზადებული ყველი, მოხარშული და გადაზელილი“ (ქეგლ VI: 1186); **სულუგუნი** „გარდაზელილი ყველი“ (საბა 1993: 116); „სულუდგუნი გარდაზელილი ყველი“ (ჩუბინაშვილი 1961: 372). **სულგუნი**, **სურგუნი** (მეგრ.) „გურია-სამეგრელოში მეტად გავრცელებული ყველი, რომელსაც ჯერ კიდევ ჭყლინტს ხარშამენ მდულარეში და ჰზელა-

მენ“ (ლეონიძე 1925: 67). იმერ. **სულგუნი** / **სურგუნი** „მოხარშული და გადაზეული ყველი“ (ბერიძე 1912: 51). ზემოიმერ. **სურგუნი** / **სულგუნი** „სულგუნი“ (მოწინიძე 1974: 363).

ვ. აბაევი მეგრულ-ქართულ **სულგუნს** უკავშირებს ოსურ-დიგორულ **სულგუნს**-ს, რაც ნიშნავს „შრატან, წაქიან ყველს“, სიტყვას ჰყოფს **სულუ-** და **-გუნ** ელემენტებად. **სულუ** „შრატი“, **გუნ** – სუფიქსალური ელემენტი. მკვლევარი თვლის, რომ **სულუ**, **სულ'** „წყლიანი, თხიერი, სველი“ ძველი ნასესხობაა თურქულიდან და უდარებს ქართულ **სველ**-ს, მეგრულ-ლაზურ **შოლირ-**, **შუ**-ს. შესაბამისად, **სულგუნი** ოსურიდანაა წარმომდგარი (აბაევი 1979: 196–197). ვ. აბაევი არ განმარტავს მეორე, სუფიქსური ელემენტის მნიშვნელობას. ნ. თოფურია საკითხს შემდეგნაირად აყენებს: თუ ტერმინს კომპოზიტად განვიხილავთ, ოსური არ დაგვჭირდება, რადგან ანალოგიური სიტყვა ქართულში გვაქვს: „ქართულ დიალექტებში **სველს**, მეგრული **გირი** შეესატყვისება. დამაკმაყოფილებელი ეტიმოლოგია ამ სიტყვისა არც ჩვენ მოგვეპოვება... შესაძლოა, მეგრული **სელეგინი** დაკავშირებული იყოს ქართულ „**სველ**“ და მეგრულ „**გირ**“ სიტყვებთან. დაბეჯითებით ამის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან მრავალ ფონეტიკურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სულგუნის დამზადების პროცესს (ვგულისხმობთ, რომ ყველი იხარშება სველში ან გირში ორჯერ), მაშინ საშუალება გვეძლევა, წამოვაყენოთ ასეთი ვარაუდი: ეს სახელწოდება ქართულ დიალექტებში და სვანურში არ გვხვდება, ამდენად უფრო მეგრული წარმოშობისაა“ (თოფურია 1960: 58). ეთნოლოგმა რ. თოფჩიშვილმა ფუნდამენტურად გამოიკვლია სულგუნის ლინგვისტურ-ეთნოლოგიური ასპექტები და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ „სულგუნი მხოლოდ და მხოლოდ დასავლურქართული კულტურა / პროდუქტია, კოლხეთის დაბლობში შექმნილი“ (თოფჩიშვილი 2014: 21).

უჯიშოლი ცვალი „უმარილო ყველი“. ჟანნეჩ დღას დომირგით **უჯიშოლ ცვალითია** – „ორმოც დღეს მიგლოვით უმარილო ყველით“ (გუდავა 1975: 271). ტერმინოლოგიური შესიტყვების მსაზღვრელი უარყოფითი აფიქსით ნაწარმოები სიტყვა **უ-ჯიშ-ოლ-ია** „უმარილო“ (შდრ.: **ჯიშუ** „მარილი“).

ფუჩხოლია ცვალი „დაფშვნილი ყველი, კეთდება პიტნით“; „ჰყინტ ან კაზლა ყველს დაფშვნიან, დაამატებენ პიტნის, ნივრის, პიმპილისა და მარილისაგან გაკეთებულ სუნელს“. მსაზღვრელში ძირად გამოიყოფა **ფუჩხ-** ძირი (იხ. ზემოთ).

ჩინჩოლია ცვალი „დაფშვნილი ყველი, კეთდება პიტნის შეზავებით“. მსაზღვრელად წარმოდგენილია ზმნა **ჩინჩოლუნს**-ისგან მიღებული გასუბსტანტივებული **ჩინჩოლ-ია**, რაც „დაფშვნილს“ ნიშნავს.

ჩხვატილი ცვალი „დაჩხვლეტილი, ნასვრეტებიანი ყველი“; „კაზლა ყველის ნაირსახეობა, დიდნაჩხვლეტიან ყველს ეძახიან“ (ზუგდ.); მსაზღვრელი წარმოდგენილია წარსული დროის მიმდევებით. ძირად გამოიყოფა **ჩხვატ-** „ჩხვლელა“. **ჩხვატ-ილ-ი** „დაჩხვლეტილი“. შდრ. რაჭ. **დამცვრელული ყველი** (კობახიძე 1987: 41).

მეგრელებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო **ცქებზე** „რიტუალური ყველი“ (ყიფშიძე 1914: 371); „დიდი ყველი“ (ხოზი). ჩვენ მიერ სოფელ მუჟავაში მოპოვებული მასალის მიხედვით, „გაზაფხულზე, მთის ღვთაების დღესასწაულზე მთელი ჯოგის ჩამონაწველი რძისგან ვაკეთებდით დიდ ყველს, ვულოცავდით მთის ღმერთს, საქონელი მშვიდობით რომ ეტარებინა საზაფხულო საძოვრებზე. ეს ყველი ისეთი დიდი გამოდიოდა, რომ შემდეგ ნაჯახით ვჭრიდით“ (მუჟავა). ტერმინი, რომელიც ი. ყიფშიძესთან „ჟინიშის შესაწირავი ყველია“, შემდეგ „ყველიერისთვის შენახული ყველის“ სემანტიკით დაიტვირთა (ხოზი). დიდი ყველის სემანტიკით დაცულია ქვემო სამეგრელოს მოხუცთა მეტყველებაში. ამ ფორმას ვერ დავაშორებთ აფხაზურ **ა-ცქაშ** ტერმინს, რაც რიტუალურ, სამსხვერპლო ყველს ნიშნავს. აფხაზურ ენაში ამ ტერმინს ძალზე გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს: კომპოზიტია, შედგება ორი კომპონენტისაგან: **ა-ცქა** „წმინდას“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 357), **ა-შ** „ყველს“. საფიქრალს გვიჩენს მეგრულ ფორმაში წარმოდგენილი **ბზ** კომპლექსი. შესაძლოა, აფხაზური კომპოზიტი იყოს: **(ა)ცქა** „წმინდა“, **(ა)ბზ(ია)** „კარგი“ (ჯანაშია 1960: 24).

ცხვატილი ყვალი „დასვრეტილი ყველი“ (ქაჯაია 2002-ა: 549). იგივეა, რაც **ჩხვატილი ყვალი** (იხ. ზემოთ).

წყიბ ყვალი „მოუხარშავად დამარილებული ყველი“ (ინსტ. მასალები). ფორმა ფონეტიკურად უკავშირდება **კიბგ / კიფგ / კიფუ ყვალი**-ს, მაგრამ გაუგებარია თვით **წყიბ** სიტყვის ეტიმოლოგია.

ჭალავარი „ახლად შედედებული ყველი“ (ყიფშიძე 1914: 385). **ჭალაყვალი** „ჭყინტი ყველი“ (თოფურია 1960: 45); **ჭალაყვალი** (ჯავახიშვილი 1986-ა: 207). სამივე ტერმინი კომპოზიტი ჩანს. მსაზღვრელი **ჭალა**-ს ეტიმოლოგია ჩვენთვის ბუნდოვანია.

ჭედრა „ცხვრის რძისაგან ვაკეთებული გუდის ყველი“ (ჯავახიშვილი 1986: 217). რძეს გაწურავენ ხარამაგაში და ჩაასხამენ გუდაში, ცოტა წიწაკიან მარილს ჩააყრიან. გუდაში ჩაასხამენ ათ-თხუთმეტ ნაწველს. რძე შედედდება (ქაჯაია 2002-ა: 463). **ჭიხრა / ჭიდრა** „გუდის ყველი“. შდრ. **ჭიხრა / ჭიდრა** „გუდა“ (წალენჯიხა). შესაძლოა, მეგრული **ჭედრა / ჭიდრა / ჭიხრა** კავშირში იყოს ვ. კვარჭია მიერ მოხმობილ ფორმასთან **ა-შწედრა** „არაჟნისმაგვარი აფხაზური ეროვნული კერძი“ (კვარჭია 1981: 52). აფხაზური ტერმინი კომპოზიტია, მისი პირველი ნაწილი **ა-შ** ყველს ნიშნავს.

ჭევეჭვერეში „ჭაჭუტა, ჩვილი, ახლადამოყვანილი ყველი“ (ჭარაია 1997: 78). **ჭევეჭვერა** „ერთი წველა ყველი“. თელ ქიანა აკიბრული ართ **ჭევეჭვერა ყვალიშენი** – „მთელი ქვეყანა შემოვირბინე ერთი პატარა (წველა) ყველის გამო“ (გუდავა 1975: 240). იგივეა, რაც **კვეკვერეში** (იხ. ზემოთ). სიტყვა **ჭაჭუ / ჭაჭუტა** სახით გვხვდება დასავლურ მიკროსისტემებში (ჟღენტი 1936: 77; **ჭაჭუ** (იმერ.), **ჭაჭუტა** (გურ., ბერიძე) „ახლად ამოყვანილი ყველი“ (ლეონიძე 1925: 93). გურ. **ჭაჭუტა** „ჩვილი, ახლადამოყვანილი ყველი“ (ჟღენტი 1936: 259), იმერ. **ჭაჭუტა** „ჩვილი, ახლადამოყვანილი ყველი“ (ბერიძე 1912: 77), აჭარ. **ჭაჭუტა** „ყველის პატარა თავი“ (სურმავა 1990: 19); იმერ. **ჭაჭულია** (ბავშვთა მეტყველებაში). **ჭაჭუტა** ფორმის საინტერესო ეტიმო-

ლოგიას გვთავაზობს ე. ნიკოლეიშვილი: „**ჭაჭუტა** არის ახლად ამოყვანილი ყველი და ნიშნავს აგრეთვე ძალიან პატარასაც. „ჩემი ძროხა პაწას იწველება და ყველიც პაწაი ამომაქ, დერი ჭაჭუტა, აბა რაი“. შეიძლება ჭაჭუტამ ამგვარი მნიშვნელობა ჭაჭვის ასოციაციით მიიღო. ჭაჭვი – ჩაღრმავებული ხელის გულია. რაც ხელის გულზე დაეტევა კაცს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა“ (ნიკოლეიშვილი 1988: 67).

იქნებ ეს ძირი გვაქვს აფხაზურ კომპოზიტიში **ა-შ-ჭჭა** / **ა-შ-ხგჭჭა** „დაფშვნილი ყველი“ (ბუკია 2013: 196).

ჭყინტე ცვალი „ჭყინტი ყველი“ (ციფშიძე 1914: 396). **ჭყინტუ** „ჭყინტი, რბილი, ახალი ამოყვანილი ყველი“ (ელიავა 1997: 381). ოკუპმალო გაღვენოუ ახალ ხორცი, **ჭყინტი ცვალი** „საჭმელად გექნება ახალი ხორცი, ჭყინტი ყველი“ (გუდავა 1975: 186). **ჭყინტი** საერთოა სამივე ქართველური ენისათვის: ლაზური **ჭყინტი**: ვა მუინჭას-ში, **ჭყინტი** ვუწუმერთ. აღნენა იყვას, მჟა-ნა დიბერტას, მჟიი **ჭყინტი** ვუწუმერთ „სანამ არ დამწიფდება, ჭყინტს ვეტყვით, ახალი რომ იქნება, რძე რომ გამოუდის („იღვრება“), რძიან ჭყინტს ვეტყვით...“ (ჩიქობავა 1938: 144; ქუთელია 1982: 99), სვანური **ჭყანტ** (ზს., ლნტ.), **ჭყინტ** (ბქ.), **ჭყანტ** (ლშხ.) „ჭყინტი“ (თოფურია 2000: 864). ზემოიძერ. **ჭყლინტი** „ჭყინტი“ (მოწენიძე 1974: 498); საბას **ჭყინტლ**-ფორმა აქვს და ნიშნავს „მეტად უნდილს“ (საბა 1993: 412). არნ. ჩიქობავა თვლის, რომ ქართულში დეტერმინანტ სუფიქსად **-ლ**- გვაქვს და ამ უკანასკნელის მორფოლოგიური ეკვივალენტია **-უ**- მეგრულში (ჩიქობავა 1938: 144). სხვაგან მითითებულია, რომ ბოლოკიდური **-უ** საკუთრივ მეგრულის კუთვნილებაა და ხშირად დაჩნდება ქართულის **-ი**-ს ფარდად – შდრ. ქართ. **ღომ-ი** : ზან. **ღუმ-უ**, ქართ. **ოთახ-ი** : ზან. **ოთახ-უ**, ქართ. **ჭყიტ-ი** / **ჭყინტ-ი** : ზან. **ჭყინტ-უ** (ჩუხუა 1989: 113). შევნიშნავთ, რომ არნ. ჩიქობავა ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში სვანურ ფორმას არ მიუთითებს. სვანური ეკვივალენტი გამოავლინა გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1964: 256).

ხვიორილი ცვალი „დასვრეტილი ყველი“ (ქაჯაია 2002-ა: 549). მსაზღვრელი სტრუქტურულად მიმდებარა: **ხვიორ-ილ-ი**, თუმცა ეტიმოლოგია ჩვენთვის ბუნდოვანია.

ხომგლა ცვალი „ბოლში გამოყვანილი ყველი“ (ზუგდ.). **ხომლა ცვალი** ქოცოფენო უკიბირემ მუკნასქინჩა? „ხმელი ყველი, თუ ყოფილა, უკიბილოს მოეკიბოს?“ (გუდავა 1975: 178). ტერმინოლოგიური შესიტყვება ზედმიწევნით „ხმელ ყველს“ ნიშნავს.

ხუცორილი ცვალი „დაჩხვლეტილი ყველი“ (ქაჯაია 2002-ა: 588); **ხუცორუა** „ჩხვრეტას, ხვრეტას“ ნიშნავს. შესაბამისად, **ხუცორილი ცვალი** დაჩხვრეტილი, ნასვრეტებიანი ყველის აღსანიშნავად აქვს გამოყენებული მეგრულს.

ჯედრა „გუდის ყველი“ (წალენჯ.), როგორც ჩანს, **ჭიხრა** / **ჭიდრა** / **ჭიხრა**-ს ფონეტიკური ვარიანტია.

რძის სხვა პროდუქტები

როგორც შევნიშნეთ, რძე და რძის პროდუქტები მეგრელების უმთავრესი საკვები იყო. გარდა ყველისა, რძისგან სხვა პროდუქტებიც მზადდებოდა.

ბეშ დუდი „ნაღები“ (ზუგდ.). მართული სინტაგმა ზედმიწევნით ნიშნავს „რძის თავს“.

გინოფუნაფილი „ხაჭო“ (ზუგდ.). ტერმინი წარმოდგენილია წარსული დროის მიმდევრობით. ძირად გამოყენებულია ქართული **დუდილი**-ის ლექსიკური ფარდი **ფუნ-აფ-ა** (ეტიმოლოგიურად **ა-ფუ-ებ-ა**), ზედმიწევნით ნიშნავს „გადადუღებულს“, „გადაფუებულს“.

გირი / გგრი „შრატი, რძიდან ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე“ (ელიავა 1997: 90; სენაკი). **გგრგ** „წრუქი (ხაჭოს წაქა)“, **გგრგში ფუ-ჩხოლია** (როგავა 2003: 117). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ შესაძლებელია **გირი** ფიგურირებს მეგრულ **სელეგინ**-ში (თოფურია 1960: 58).

მ. ჩუხუას ვარაუდით, მეგრული **გგრი / გირი** ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს ***გგრო-ო**, რომლის ქართულ (იმერ., გურ., ლეჩხ.) შესატყვისად მისაჩნევია **გგრო** „ხარჩოზე ან ღომზე მოყენებული ქონი“ (ვ. ბერიძე), „მსუქანი ხორცის მოხარშვის შემდეგ წყლის ზედაპირზე მოყენებული ქონი“ (ს. ჟღენტა), „თავზე მორთმეული ქონი ქვაბში საჭმლის მოხარშვისას“ (მ. ალავეძე). საერთოქართველურ ***გგრო-ს** მეგრულში **გგრო** უნდა მოეცა, შემდეგ კი **ო > გ / ი გ**. როგავას წესის მიხედვით. აუსლაუტში **ო > ი** მეგრულისთვის ბუნებრივი მოვლენაა: **ღვინო > ღვინი** (ჩუხუა 2000-2003: 77).

გაგაზი / გგგგზ / გოგოზი „რძიდან სადღვებად მოხდილი ცხიმის ფენა“ (ჯვარი, ზუგდ.). ეს ტერმინი ზოგადად სითხის თავზე დაგროვილ ცხიმს, ქონს, სიმსუქნეს ნიშნავს: „ღომის მოხარშვის, ხარჩოს მომზადების დროს მოყენებული ქონი, ქაფი“ (ქაჯაია 2001: 278). შდრ. სვან. **გგგგვ** „ხარის მკერდის თავზე დაგროვილი ქონი“ (თოფურია 2000: 178). რედუპლიცირებული სახეობის საერთოქართველურ არქექტიპად აღდგენილია ***გებ-გებ** ფორმა (ჩუხუა 2000-2003: 88).

ერბო / ერბო „ერბო“ (ყიფშიძე 1914: 230; ჭარაია 1997: 63); „რძიდან სადღვებად მოხდილი ცხიმის ფენა, ნაღები“ (ჯვარი, წალენჯ., მარტვ., ხობი). ტერმინი მეგრულს სალიტერატურო ენიდან ან დასავლური დიალექტებიდან აქვს შეთვისებული და წარმოდგენილია, ერთი მხრივ ისევე, როგორც გამსესხებელ ენაში, მეორე მხრივ, გვაქვს მეტათეზირებული ფორმაც. შდრ. **ერბო** „გადამდნარი კარაქი“ (ქეგლ III: 1393); **ერბო** „გადამდნარი კარაქი“ (ლეონიძე 1925: 22).

კარაქი ტერმინი გვხვდება საბასთან: **კარაქი** „ახალი ერბო“ (საბა 1991: 353); „ახალი ცხიმი, რომელიც მიიღება რძისაგან (ან მაწვნისაგან) შედღვებით“ (ქეგლ IV: 1073); ტერმინი მეგრულს სალიტერატურო ქართულიდან ან დასავლური დიალექტებიდან აქვს შეთვისებული. თვით ქართულში სიტყვა შეთვისებული ჩანს საბას მოჰყავს მისი თურქული შესა-

ტყვისი **ქარაიად** (საბა 1993: 518), რომელიც ფონეტიკურად ახლოს დგას ქართულ ფორმასთან. ზოგადად კი, კარაქის გაკეთების და მოხმარების კულტურა სამეგრელოში არ არსებობდა. ს. მაკალათიას გადმოცემით, „ერ-ბო-კარაქით შენელებული საჭმელები სამეგრელოში დღემდის არ იხმარებოდა“ (მაკალათია 2006: 287).

მარწენი / მარწინი / მარწონი „მაწონი“ (ციფშიძე 1914: 278; ჭარაია 1997: 91). ყვავილი დო **მარწვინ** თინეფიშ რე, წაქა წყორილი – ჩქიმი რე „ყველი და მაწონი მაგათია, შრატი გაზავებული – ჩემია“ (გუდავა 1975: 211); ჩხე ბჟათ შქურნაფილქ **მარწვენც** ხოლო შური მეუმბარუა „ცხელი რძით შეშინებულმა მაწონსაც სული შეუბერაო“ (სიბრძნე 1994: 165). ართი ბჟაშე ყვავილი დო **მარწონი** ართო ვაგშურსია „ერთი რძიდან ყველი და მაწონი ერთად არ გამოვაო“ (დანელია 1991: 418).

მეგრული ტერმინი ქართული **მაწონ**-იდან მომდინარეობს. გ. როგავა **ო > ვი** გადასვლისათვის სავარაუდოდ უშვებს **ვე** შუა საფეხურს, ე. ი. **ო > ვე > ვი**: ქართ. **მაწონი** > მეგრ. **მარწენი / მარწინი** (როგავა 1987: 18). **მარწონი** ქართული ფორმის სონორგანვიტარებული ვარიანტია. შდრ. **მაწონი** „მჟავედ შედედებული ადუღებული რძე“ (ქეგლ V: 112); **მაწონი** „წველა, შედედებული რძე“ (ჩუბინაშვილი 1961: 271). მეგრული სონორგანვიტარებული ფორმა აქვს შეთვისებული სვანურს **მარწჷენ / მარწენ / მარწონ** „მაწონი“ (თოფურია 2000: 550); **მაწონი, წველა** „შედედებული რძე“ (ლეონიძე 1925: 40) ქართულიდან სიტყვა ნასესხები აქვს ოსურს: **მაწონი** „მაწონი“ (აბაევი 1973: 62).

კოტომ მარწენი „ქოთანის მაწონი, ქოთანში გაკეთებული მაწონი“. **კოტო** „თიხის პატარა ქოთანია“ (ჭარაია 1997: 82). როგორც ჩანს, ტერმინი გვიანაა გაჩენილი, ადრე ყველანაირი მაწონი, გარდა ქიფურისა, თიხის ქოთანში, **კოტო**-ში, ან ხის **ბუყუნ**ში კეთდებოდა. მოგვიანებით, როცა სხვაგვარი ჭურჭლის გამოყენებაც დაიწყო, გასამიჯნად გაჩნდა მართული სინტაგმა.

მუნოფუნაფილი „ხაჭო“; „დოს ადუღებდნენ ნელ-ნელა, ზევით მოექცეოდა ყველი და ერბო, რასაც კოვზით გადაიღებდნენ და ბავშვებს აჭმევდნენ“ (ინსტ. მასალები). მიმღობის (**მუნო-ფუნ-აფ-ილ-ი**) ძირია ქართული აფუების მეგრული შესატყვისი **ფუნ-[აფ]-ა**.

ნახალა „ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე, შრატი“ (მარტვ.). წინა ვითარების სახელით გადმოცემული ტერმინი ზედმიწევნით „ნარძევს“ ნიშნავს.

ნადული „ნადული“ (ელიავა 1997: 243); ტერმინი (ნამყო დროის მიმღობა) ქართულიდანაა შეთვისებული. მისი მეგრული მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური ფარდია **ნაფუნეფუ** (იხ. ქვემოთ). **ნადული** ფართოდაა გავრცელებული ქართულის მიკროსისტემებში: შდრ. **ნადული** „პ. კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ხაჭო“ (ქეგლ V: 1278); ზემომიერ. **ნადული** „ხაჭო“ (ძოწენიძე 1974: 274), ქვემოიერ. **ნადული** (გიგინეიშვილი 1961: 4811), ზემორაჭ. **ნადული** (იქვე: 517), რაჭ. **ნადული** „შრატის დულილის შემდეგ მიღებული მასა“ (კობახიძე 1987: 80), მოხ. **ნადულალი** „ნადული, ხაჭო“ (ქავთარაძე 1985: 290).

ნაფუნეფუ „ხაჭო“ (ყიფშიძე 1914: 400). ნამყო დროის მიმდებარებით წარმოდგენილი ტერმინი „ნაფუარს“, „ნადუღარს“ ნიშნავს. შდრ. ქართ. **აღ-ფუ-გ-ნ-ებ-ა** : მეგრ. **ფუ-ნ-აფ-ა** : ლაზ. **ფუ-ნ-ს** „დულს“ : სვან **ლი-ფუ-ე** „დულე-ბა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 473). სიტყვა ასე სემანტიკურდება: **ნა-ფუნ-ეფ-უ**. შდრ. მოხ., იმერ., მთიულ., გუდ. **ნადუღალი / ნადუღარი** „ყველის შრატადან მიღებული პროდუქტი, ყველის მსგავსი“ (ლეონიძე 1925: 47).

ნაქე „ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე, შრატი“ (ჩხორ.). ეტიმოლოგია ნათელი არ არის.

ნაღები „არაქანი, ნაღები“. ტერმინი მეგრულს სალიტერატურო ენიდან აქვს შეთვისებული: „სიმსუქნე, რომელსაც რძე მოიგდებს ხოლმე ადუღებისას“ (ქეგლ V). ამ ტერმინის ლექსიკური ფარდია ლაზურში **მეამ-მოყო-ნომე, მოღაფერი** (ქუთელია 1982: 67): გუდა გონწყუ დო ჰეჟ მჟამ **მოყონომე** ქორტუ „გუდა გახსნა და იქ ნაღები იყო“ (იქვე). **მო-ღ-აფ-ერ-ი** და **ნა-ღ-ებ-ი** ფორმებში **-ღ-** საერთო ელემენტი, უფრო სწორად ძირი უნდა იყოს. სვანურში, კერძოდ, ლაშხურსა და ბალსუემოურში **ნაღებ** გამოყენებულია ნადუღლის, ხაჭოს აღსანიშნავად (გაზდელიანი 1988: 26).

ნენტხე „წაქა“ (წალენჯ.). ეტიმოლოგია გაუგებარია.

პერუი „რძის ქაფი“. მეგრული **პერეი / პეროი** „ქაფს“ ნიშნავს (ყიფშიძე 1914: 298; ქაჯაია 2002: 481). ტერმინი ქართველური **პერ-**იდანაა ნაწარმოები. **პერი** „ქაფს“ ნიშნავს.

ყვეპური „რძიდან სადღვებად მოხდილი ცხიმის ფენა, ნაღები“ (ჩხორ.). მეგრულად **ყვეპური** „ქაფს“ ნიშნავს (ჭარაია 1997: 112).

ქიფური „მაწონი, დამზადებული ქასლაში“ (ყიფშიძე 1914: 344); „მჟავე მაწონი, ქასლაში მომზადებული“ (სახოკია 1985: 367). შდრ. **კეფირი** „ძროხის რძისაგან დამზადებული მომჟავო სასმელი“ (ქეგლ IV: 1153); ეს ტერმინი მიიჩნევა ამოსავალ ფორმად სხვადასხვა ენაში გავრცელებული მსგავსი სემანტიკის მქონე სიტყვისათვის: „ოსური **კჰფგ / კჰფუ** „კეფირი“. „კვების პროდუქტი კეფირი, ასევე მისი სახელწოდება (მათ შორის რუსული **кефир**) კავკასიური წარმოშობისად მიიჩნევა. თუმცა ამოსავალი, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, დადგენილი არაა. შდრ. მეგრ. **ქიფური** „გუდაში დამზადებული მაწონი“ (ყიფშიძე 1914: 344). მეგრულში ეს სიტყვა იზოლირებულად დგას“ (აბაევი 1958: 627). მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ სხვა ენებში გავრცელებული ფორმის ამოსავალია მეგრული **ქიფური**, რომელიც უკავშირდება სვან. **ქიჟ** „ყველი“ ფუძეს (ჩუხუა 2007: 534).

შრატი „შრატი, ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე“ (ზუგდ.) ეს ტერმინი, რომელიც **შატი** სახით გვაქვს ლაზურში (ასათიანი 1974: 139) და წარმოდგენილია ქართული ენის თითქმის ყველა მიკროსისტემაში, მეგრულში იშვიათად გვხვდება და, როგორც ჩანს, ახალი შემოსული უნდა იყოს. ლაზურში **შატის** პარალელურად გვაქვს **ყვალი წკაი**, ზედმ. „ყველის წყალი“ (ასათიანი 1974: 196). **ყვალი წკაიში** მინჯი იქიფან „ყველის წყლის“ ხაჭოს აკეთებენ“ (იქვე).

წაქა „ნადული, წაქა“ (ყიფშიძე 1914: 377); „ყველის ნაწური“ (ჯავახიშვილი 1986: 223); „შრატი, წაქი, ყველის გამონაწური“ (ელიავა 1997: 234). მა-

ჯინებს **წაქა** ჩი დო მუმაულარს ღუმუ დო ყვალი „მაყურებლებს შრატი აქამე და მომსვლელს ღომი და ყველი“ (გუდავა 1975: 253). ტერმინი ფართოდაა წარმოდგენილი ქართული ენის დასავლურ მიკროსისტემებში **წაქი** იხ. **შრატი** (ლეონიძე 1925: 90); ზემოიძერ. **წაქი / წაქა** „შრატი“ (მოწინიძე 1974: 478); იძერ. **წაქი** „რძიდან ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი მოყვითალი სითხე“ (ლეონიძე 1925: 90; გაჩეჩილაძე 1976: 166); ზემორაჭ. **წაქა** (გიგინეიშვილი 1961: 517); რაჭ. **წაქა** „1. ნადულის გაწურვის შემდეგ დარჩენილი სითხე; 2. წათხი“ (კობახიძე 1987: 126), აჭარ. **წაქა** „შრატი“ (სურმავა 1990: 19). საბას განმარტებით, **წაქა** „განაწურთ წვენი მაწვნისა და მისთანათა, რაიც გაიწურების“ (საბა 1993: 368). წარმოდგენილია სვანურში: **წაქ / წრანქ / ნაწრექ** „სველი, შრატი, წაქი“ (თოფურია 2000: 851); მ. ჩუხუა ქართული დიალექტებისთვის ბუნებრივი **წაქი / წაქა**-სთვის მეგრულში აღადგენს **წუქ-ი** ფორმას და მიუთითებს, რომ ამ დიალექტებში გავრცელებული იმავე სემანტიკის **წუქი** ზანიზმია. მკვლევარი ქართულ-ზანური ფორმის შესატყვისად მიიჩნევს სვანურ **წიქ-უ / წექტ / წაქ-უ** „წვეთი“ და საერთოქართველურ არქტიპად აღადგენს **წაქ** „წვეთება, წვეთი“ ფორმას (ჩუხუა 2000-2003: 358).

წურუქი / წურქი / წრუქი „შრატი, ხაჭოს ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე“ (ჭარაია 1997: 372; ელიავა 1997: 372). ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილ სითხეს, წაქას ნელ ცეცხლზე წამოადუღებდნენ, ზემოთ მოქცეულ ნამცეცებს შეაგროვებდნენ ან მარილის ტომსიკაში ჩაწურავდნენ. ასე აკეთებდნენ ხაჭოს. დარჩენილ სითხეს, დოს მეგრულში **წურუქი / წურქი / წრუქი** ჰქვია. ამ სიტყვის ძირად **წაქა** მოიაზრება, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, მეგრული წარმოშობისაა. ტერმინ **წაქა**-ს მსგავსად **წურუქი** გვხვდება დასავლურ დიალექტებში: გურ. **წურუქა** „ნადულის მოდუღების შემდეგ დარჩენილი სითხე“ (ჟღენტი 1936: 258). იძერ. **წურუქა** „ნადულის გადანაწური“ (ბერიძე 1912: 76); **წულუქა** „ნადულის წვენი“ (გაჩეჩილაძე 1976: 168); ქვემოიძერ. **წურუქი** (გიგინეიშვილი 1961: 481).

ხაჭო „ნადული, ხაჭო“ (ყიფშიძე 1914, 400). ეს სიტყვა ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული ენის თითქმის ყველა მიკროსისტემაში. აფხაზურში გვაქვს მსგავსი გაბგერების **ა-ხგრწგ** „მაწონი“ (ჯანაშია 1954: 410), რომელსაც აკად. ქ. ლომთათიძე უკავშირებს **ხაჭო**-ს: „კითხვას აჩენს ქართულში სიტყვა **ხაჭო**. იგი უნდა უკავშირდებოდეს აფხაზური წარმომავლობის **ა-ხარწგ** სიტყვის („მაწონი“) შემადგენელ ელემენტებს და უნდა გავიგოთ, როგორც „ამჟავებული რძე“ (კაუზატივის რ- პრეფიქსით გაფორმებული). მის ფუძეში შედის **ხა** ძირი, რაც რძის გამომხატველია (შდრ. **ა-ხ-შ**, „რძე“, სიტყვა-სიტყვით „რძე-თეთრი“, „თეთრის“ გაგებას გადმოგვცემს მეორე **შ**, კომპონენტი. ძალზე საყურადღებოა, რომ **თეთრ** სიტყვასთან დაკავშირებით „რძეულის“ გაგება ფართოდაა გავრცელებული ქართულ დიალექტებში „თეთრეულის“ სახით). „[რძის პროდუქტების აღმნიშვნელი] **თეთრეული** აღმოჩნდა ქართული ენის ფუძე დიალექტში – ქართულურში. და არა თუ ოდენ ქართული დიალექტები, იგი სავსებით შესაფერისი გამოდის აღნიშნული შინაარსით საერთო ქართველური სახელდებისათვის.

კერძოდ, მეგრულში ამ მნიშვნელობით იხმარება იმავე სემანტიკის მქონე **ჩეობუა** (იხ. ზემოთ). აი, სწორედ ეს **ა-ხ-შ**-ის ძირეული ნაწილი **ხ[ა]** „რძის“ გაგებით უნდა შედიოდეს ქართულ „**ხაჭო**“-შიაც, ხოლო მეორე კომპონენტი აფხაზური „მაწვნის“ ფუძეში შემავალი „მჟავის“ გამომხატველი **წგ** ძირი გამოდის, რომელიც ქართულად **ჭო** (**ჭვა**)-თია გადმოცემული და ამდენადვე ერთად ნიშნავს „მჟავე რძეულს“ (ლომთათიძე 1999: 28). აფხაზურშივე გვაქვს **ა-ხაჩა / ა-ხაჭა** „ხაჭო“ (ბჟანია 1962: 126), რაც უკუნასესხობად უნდა ჩავთვალოთ ამ ენაში.

ხგაპილია „ახლად ადუღებულ რძეზე ნადები თხელი აპკი“. ახლად ადუღებული რძე გაცივებისას თავზე იკიდებს თხელ აპკს, რომელსაც ქვევით ეკვრის რძის ცხიმი. კოვზით იღებენ და ჭამენ. იგივე სიტყვა გამოიყენება მაწვნის თავზე მოგდებული მოყვითალო ცხიმისანი აპკის აღსანიშნავად. ტერმინი წარმოდგენილია გასუბსტანტივებული მიმღეობით.

ხვიხვილი „წაქას მოდუღებამდე აცლიან შედედებულ სითხეს“ (წალენჯ.). როგორც ჩანს, საუბარია ხაჭოზე. ეტიმოლოგია ბუნდოვანია, თუმცა სტრუქტურულად რედუპლიცირებულ კომპოზიტისგან წარმოდგარ მიმღეობას ჰგავს. საინტერესოა, რომ **ე-ხვიხვ-ინ-აფ-ა** „ამობურცვას“ ნიშნავს მეგრულში. შესაძლოა, **ხვიხვილი** ამ ზმნიდან წარმოებულ მიმღეობას წარმოადგენდეს. შდრ. **ხვიხვინაფა** „თავამდე გავსება, მოთავთავება“ (ქაჯაია 2002-ა: 55).

ხვიხვინია „ხაჭო“ (ზუგდ.). ეს ტერმინი ამტკიცებს ჩვენს ვარაუდს **ხვიხვილ**-ის ეტიმოლოგიის შესახებ. უეჭველია, ერთი და იგივე ძირია, რედუპლიცირებული კომპოზიტი, პირველ შემთხვევაში **-ილ** სუფიქსით, მეორე შემთხვევაში კი **-ინ-ია** სუფიქსებით გაფორმებული. ეს უკანასკნელი მეგრულ მესაქონლეობის ლექსიკაში ხშირად გვხვდება. შდრ. **კოტ-ინ-ია, კოკ-ინ-ია...** „ხბო“.

ხგქეთი „წაქის ნადული“ (წალენჯ.). სიტყვა მეგრულს შეთვისებული აქვს აფხაზურიდან: **ა-ხჭათ** „ნადები“ (ჯანაშია 1954: 431); აფხაზური ტერმინი ასე იშლება: **ა-ხ-ჭათ**; პირველი სეგმენტი „რძეს“ ნიშნავს, მეორე პარალელურს პოულობს მონათესავე ენებში: აბაზ. **ჩათა**, უბიხ. **ჩატა**, ადიღ. **შატჷ** „ნადები, არაყანი“ (კვარჭია 1981: 119). მ. ჩუხუა აფხაზურ-ადიღურ ფორმებს უპირისპირებს ქართულ **წვეთ**-ს, ზანურ **ჭვათ**-ს „id.“, სვანურ **ჭიდ / ჭიდ** „დეღამო, წვეთი“ სიტყვებს და მიაჩნია, რომ საერთო წარმომავლობისაა (ჩუხუა 2007: 103). მეგრული ფორმა აფხაზურიდანაა შეთვისებული (ბუკია 2013: 193).

რძის პროდუქტებისგან დამზადებული კერძები

მეგრელები რძისაგან მრავალფეროვან კერძებს ამზადებდნენ. რძის პროდუქტებს განსაკუთრებული ადგილი ეკავა მეგრულ საკულტო რიტუალებში.

ხადიდგ კვიდი „სარიტუალო ყველჩართული მჭადი“ (მაკალათია 2006: 378). ტერმინი ზედმიწევნით ნიშნავს „ბებერ, ბერიკაც მჭადს“. შეიძ-

ლება იგულისხმება, რომ ამგვარი მჭადი („მთავარის, უპირატესის“ მნიშვნელობით) ძირითადი ატრიბუტი იყო რიტუალისა.

გებჟალაფა „პიტნითა და მარილით შეკმაზული გადაზელილი ყველი (სულგუნი)“ (ქაჯაია 2001: 298). **გებჟალაფირი ცვალი** „გადაზელილი ყველი“ (ყიფშიძე 1914: 418). **გებჟალა ცვალი** „ახლად გადაზელილ ყველს ანელეებენ პიტნიანი საკმაზით, დებენ სანელეებლებით შეკმაზულ რძეში“ (ზუგდ.). ტერმინოლოგიურ შესიტყვეებებში საზღვრულია ქართულ-ზანური **ცვალი** „ყველი“. მსაზღვრელად ერთ შემთხვევაში გვაქვს მიმდგობა, რომლის ძირადაც გამოყენებულია მეგრული **ხეა[ლ]** „რძე“, ზედმ. „დარძევებული“, მეორე შემთხვევაში **-ია** სუფიქსით ნაწარმოები იგივე ფორმა, მხოლოდ ამოვარდნილია კაუზაციის და მიმდგობის მაწარმოებლები **-აფ-** და **-ირ-**. **გებჟალაფა** მასდარია და ნიშნავს ყველის შეკმაზვას პიტნითა და მარილით. ყველის მნიშვნელობით მხოლოდ ზემოთ მითითებულ ლექსიკონში გვხვდება. **გებჟალა-დან** არის შეთვისებული აფხაზურში **ა-გაზჟალა** „რძიანი კერძი“ (ლომთათიძე 1999: 25). სესხებისას ფონოტაქტიკის წესები დაცულია, კერძოდ, უკანაენისმიერი **გ-**ს მომდევნო პოზიციაში **ე > ა**, თანაც მოხდა **გ-**ს პალატალიზაცია. აფხაზურს მიმდგობური **გებჟალაფირი** უსესხებია **ა-გაზჟაფერ / ა-გებჟაფერ** სახით (ბუკია 2013: 185).

მსხვერპლშეწირვისას ხშირად კეთდებოდა **კვარაზია / ცვარაზია / ცვარაზინა / კვარი** „რიტუალური კვერი“ (მაკალათია 2006: 385). **კვარაზია / ცვარაზია** იგივეა, რაც ქართული **ყურბ-ი** (საბა 1993: 273), ხოლო **კვარი** იგივეა, რაც **კვერი** „პური მრგვალი“ (საბა 1991: 394), „პატარა ბრტყელი მრგვალი პური“ (ქეგლ IV: 1171); ძვ. ქართ. **კუერი** „კვერი, კოკორი“ (აბულაძე 1973: 205); გვაქვს ლაზურშიც: **კუარი** „კერიაზე გამომცხვარი ხმიადი“ (მარი 1910: 158). ქვემო იმერულში **კვერი** მინიატურული სარიტუალო ხაჭაპურია.

რიტუალური დანიშნულების იყო **ხოზო / ხოზოკვარი / ხოზოკონი** „პატარა კონუსის ფორმის კვერი, გამოიყენებოდა მსხვერპლშეწირვის დროს“ (ქარაია 1912: 15), „სარიტუალო კვერი“ (მაკალათია 2006: 376). ეს ტერმინები შეთვისებული აქვს აფხაზურ ენას: **ა-ხაჟა** „საკულტო პური, რიტუალური კვერი“; **ა-ხაჟკაჟარ** „კონუსისებრი სამსხვერპლო კვერი“ ფორმით (ბუკია 2013: 190-191).

შელეზური „სამსხვერპლო ყველიანი ხმიადი“ (ყიფშიძე 1914: 287); „ხმიადი, რომელიც მზადდება სიმინდის ფქვილისა და ჭყინტი ყველისაგან“ (ინსტ. მასალები), „ჭვავის პური“ (ჩუხუა 2000-2003: 207). მ. ჩუხუას მოსაზრებით, **შელეზურ**-ში უნდა გამოიყოს ქართული **სვილ-ა / სვილ**-ის შესატყვისი მეგრული ***შელ-** (<***შვილ-ა**), **-ებურ-** კი მეგრულში კარგად ცნობილი სუფიქსია, შდრ. **ჯვეშ-ებურ-ი** „ძველ-ებურ-ი“. მკვლევარს საერთოქართველური არქეტიპის შესატყვისებად მოჰყავს ბაცბ. **სულა**, ინგუშ. **სულა**, ჩაჩნ. **სულა** „შვრია“; ხუნძ. **სუ-სურ**, ანდ. **სუ-სურ**, ბაგვ. **სუ-სურ**, ახვახ. **შუ-შულ** > **შუ-შუ** „ველური შვრია“, დარგ. **სუ-სულ**, ლაკ. **სუ-ს** (<***სუ-სულ**), ლეზგ. **სილ**, თაბ. **სურ-სულ**, აღულ. **სულ**, **სულ-ენ**, რუთ. **სგკვლ** (<***სგლ-გვ**), წახ. **სიკვლ** (***სილ-გვ**), ხინ. **სგლ-ქ**, კრიფ. **სილ-სილ**, ბუდ. **სგლ-სგლ** „ჭვავი“, ს.დად. ***სულ** (ჩუხუა 2000-2003: 207).

ჩემზვა „რძისა და ფქვილისაგან გაკეთებული ფაფის მსგავსი საჭმელი“ (მაკალათია 2006: 286); **ჩემჩქვა** „რძეში მოხარშული ჭყინტი ყველისაგან გაკეთებული კერძი“ (ჯავახიშვილი 1986-ა: 209); **ჩემქვა / ჩემზვა** (ქაჯაია 2002-ა: 299). ეს ტერმინი გვაქვს აფხაზურში: **ა-ჩამგქა** „ყველითა და რძით გაკეთებული ღომი“ (ჯანაშია 1954: 342). აფხაზური ეთნოგრაფიული მასალა გვავარაუდებინებს, რომ ტერმინს აფხაზურში რიტუალური დატვირთვა ჰქონდა.

აფხაზურში **ა-ჩამგქა** ეტიმოლოგია ნათელი არ არის. შეიძლება გვემსჯელა ტერმინის კომპოზიტურ წარმომავლობაზე და ლექსემაში **ჩე**-ელემენტი გამოგვეყო, მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს ფაფასთან ან მის მსგავს კერძთან, მაგრამ საძიებელია **-ქვა**-ს რაობა, რომლის ეტიმოლოგიისათვის მეგრულში ჯერჯერობით არანაირი ხელჩასაჭიდი მასალა არ მოგვეპოვება. ამავე დროს ანგარიშგასაწევია, რომ აფხ. **ა-ჩა**, აზაზ. **ჩა** „პურია“. საგულისხმოა, რომ აზაზურში გვაქვს იმავე მნიშვნელობის **ჯამგქა / ჩამგქა** „ნაციონალური კერძი“ (აბრლ 1967: 209). იქნებ **-ქვა** აფხაზური მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსია (ბუკია 2013: 193-194)

ბავშვების საჭმელი იყო **გეკახელი / ფუჩხოლია** „რძეში ჩაფშვნილი პური ან ცივი ღომი“ (ზუგდ.; ქაჯაია 2002-ა: 120). **ფუჩხოლია**-ში **-ია** სუფიქსით გაფორმებული ფუძე მიმდებარა. ძირია **ფუჩხ-** ნიშნავს „ნამცეცს, ნაფშვენს, ნაფხვენს, ფინჩხას“ (ქაჯაია 2002-ა: 113). ეს სიტყვა მეგრულიდან ნასესხები აქვს აფხაზურს **ა-ფგჩხა** სახით (იხ. ზემოთ).

გეკახელი სტრუქტურულად მიმდებარა ჰგავს. **ჭახუა** ძირი მეგრულში „ჭყლეტას“ ნიშნავს. **ჭახუნს** „ჭყლეტს“. თუ ამ თვალსაზრისს მივიღებთ, **გეკახელი** „დაჭყლეტილს“ ნიშნავს.

ელარჯი / ეარჯი „ფქვილით და სულგუნით მოხარშული ღომი“ (ყიფშიძე 1914: 231; ელიავა 1997: 150). მორთია ჩხანაია, **ელარჯის** ფჩანანია „მოდო, მზიანო დღეო, ელარჯს გვაჭმევენო“ (სამუშია 2001: 11). მარტვილურში გვაქვს ინტერვოკალურ პოზიციამი **ლ-** დაკარგული **ეარჯი**. სიტყვა გვხვდება აფხაზურშიც **აილარჯ** „ყველშეზელილი ღომი, ელარჯი“ (ჯანაშია 1954: 27); აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში გვაქვს **აილარჯ / აილაჯ** ფორმები (კოპეშვიძე 1980: 127).

ლეცომარე „რძის ელარჯი. უმარილო სულგუნს ადუღებულ რძეში ან წყალში ჩაყრიან, როცა დაიშლება, დაამატებენ ფქვილს, აურევენ და ცოტა ხნით გააჩერებენ“ (ინსტ. მასალები). მორფოლოგიურ-სტრუქტურული ინვენტარის მიხედვით ტერმინი მეგრულში სვანურიდან ჩანს შეთვისებული. შდრ. სვან. **ლეცუმზარ / ლეცომზარ** „მოხარშული ყველი“ (თოფურია 2000: 417), **ლეცუმბი / ლეცუმბი** „კარაქი, ერბო“ (იქვე). აქვე შევნიშნავთ, რომ ცხიმის, ქონის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს ტერმინი **ციმუ / ციმუ**.

ცვალამკვარი „მოხარშული კვერი“ (ზუგდ.). კომპოზიტი პირველი კომპონენტი მქონებლობის სუფიქსიანი **ცვალ-ამ-ია** (ზედმ. „ყველიანი“), მეორე კი – **კვარი** „კვერი“.

ძირბი / ძერძე „სუნელებით შეკმაზული მაწონი“; „სანელებლებით შეკმაზული რძე, რომელშიც დებენ პიტნიანი საკმაზით შენელებულ აზ-

ლად გადაზელილ ყველს“ (წალენჯ.). შევნიშნავთ, რომ ტერმინს მხოლოდ მთიან სამეგრელოში იცნობენ. ეს ტერმინი, რომლის ეტიმოლოგია მეგრულში არ დგინდება, ხშირად გვხვდება აფხაზურ კომპოზიტებში: **ა-ხარწმგრძ** „მარილ-წიწაკით, მწვანელით შეზავებული მაწვნის წვენი“ (ჯანაშია 1954: 410); **ა-ჯგვამგრძ** „მარილწყალი, წათხი“ (იქვე: 450); **ა-ჯგვგრძმწგ** „დამარილებული ჭყინტი ყველი“ (კვარჭია 1981: 119); დასტურდება მარტივი სახითაც: **ა-მგრძგ** „პიტნიანი მაწონი“ (ოჩამჩირე). ფორმა მეგრულში აფხაზურიდან არის შეთვისებული ზოგადობის ა- პრეფიქსის გარეშე (ბუკია 2013: 192).

ჰვიმტარი „ყველიანი ჭადი“ (ყიფშიძე 1914: 389); „ჰვიმტარს ჰვიდით აკეთებენ, მხოლოდ მას ჰვიას (ჰვავის) ან ხორბლის ფქვილგარეული სიმინდის ცომისაგან აკეთებდნენ და მას ყველს ბლომად ურევდნენ“ (ჯავახიშვილი 1986-ა: 209). შდრ. სვან. **ჰიმდუჰრ / ჰიმტუჰრ** „1. სიმინდის, ფეტვის ყველგარეული ნამცხვარი; 2. ყველიან-კვერცხებიანი ნამცხვარი“ (თოფურია 2000: 862). ეტიმოლოგიურად „ჰვავის პურს“ ნიშნავს: **ჰვიმტარი** < **ჰვიმ-დიარ**-ი.

ხაჰაპური „ხაჰაპური“ (ჭარაია 1997: 177). ტერმინი მეგრულში ქართულიდანაა შეთვისებული. ნასესხობის სახით გვაქვს აფხაზურშიც: **ა-ხა-ჰაპერ** „ხაჰაპური“ (ჯანაშია 1954: 413).

ლიტერატურა

აბაევი 1958 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 1. Москва-Ленинград, 1958.

აბაევი 1973 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 2. Ленинград, 1973.

აბაევი 1979 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 3. Ленинград, 1979.

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ასათიანი 1974 – ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები I. ხოფური კილოკავი, თბ., 1974.

ბერიძე 1912 – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912.

ბერიძე 1981 – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.

ბჟანია 1962 – Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми, 1962.

ბუკია 2003 – მ. ბუკია, ერთი მეგრულ-აფხაზური სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, ქართველოლოგიური კრებული, II, თბ., 2003.

ბუკია 2013 – მ. ბუკია, ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვო-კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 2013

გაზდელიანი 1988 – ე. გაზდელიანი, მესაქონლეობის ზოგი საერთო ტერმინის შესახებ ქართულ დიალექტებსა და სვანურში, დიალექტოლო-გიური კრებული, თბ., 1988.

გაჩეჩილაძე 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

გიგინეიშვილი 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი, თბ., 1961.

გუდავა 1975 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ. თბ., 1975.

დანელია 1991 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს ვ. დანელიამ და ა. ცანავამ. თბ., 1991.

ელიავა 1997 – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი – თბ., 1997.

თოფურია 1960 – ნ. თოფურია, რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყველი), ქართული ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1960.

თოფურია 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

თოფჩიშვილი 2014 – რ. თოფჩიშვილი, ქართველთა კვებითი კულტურის ისტორიიდან: სულუგუნი, თბ., 2014

კაიშაური 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.

კარტოზია 1968 – გ. კარტოზია. მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის. ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968

კარტოზია 1979 – გ. კარტოზია, რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბ., 1979.

კასლანძია 2005-ა – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. II, Сухуми, 2005-а.

კვარჭია 1981 – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми, 1981.

კლიმოვი 1964 – Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

კობახიძე 1987 – ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი. თბ., 1987.

კოპეშავიძე 1980 – Г. Г. Копешавидзе, Традиционная пища абхазов, проживающих в Аджарии, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VIII, თბ., 1980.

ლეონიძე 1925 – ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

ლომთათიძე 1984 – ქ. ლომთათიძე, დიალექტური ლექსიკის ადგილი სალიტერატურო ენაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1984.

ლომთათიძე 1989 – ქ. ლომთათიძე, სიტყვის უკუსესხების ერთი შემთხვევა, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1989.

ლომთათიძე 1999 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებისათვის, ჩიქობავას საკითხავები– X. თბ., 1999.

მაკალათია 2006 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006.

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб., 1910.

მენტეშაშვილი 1943 – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, II, თბ., 1943.

მესხიშვილი 2006 – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალე-ბი), თბ., 2006.

მიქიაშვილი 1986 – ო. მიქიაშვილი, დაკვირვებანი მეგრულის დარგობრივ ლექსიკაზე, VIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1986.

მიქიაშვილი 1988 – ო. მიქიაშვილი, პლასტუნკელ ქართველთა მეტყველების ნიმუშები, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1988.

ნარაკიძე 1983 – ც. ნარაკიძე, ლაზური ლექსიკის ზოგიერთი საკითხი, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბ., 1983.

ნიკოლეიშვილი 1988 – ე. ნიკოლეიშვილი, მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1988.

ჟღენტი 1936 – ს. ჟღენტი, გურული კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1936.

როგავა 1987 – გ. როგავა, წათე – ლაზიკის მეფეთა სახელის წარმომავლობა, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987.

როგავა 2003 – გ. როგავას ჩანაწერებიდან. ქართველოლოგიური კრებული, II, თბ., 2003.

საბა 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II, თბილისი

სამუშია 2001 – კ. სამუშია, ძველი კოლხური (მეგრული) ლექს-სიმღერები, ზუგდიდი, 2001.

სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.

სიბრძნე 1994 – რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები, თბ., 1994.

სურმავა 1990 – ნ. სურმავა, მესაქონლეობისა და რძის ნაწარმის შემზადების ლექსიკა აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VII, თბ., 1990.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

ქავთარაძე 1985 – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1985.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

ქაჯაია 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2002-ა.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი

ქუთელია 1982 – ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე, თბ., 1982.

ქუთელია 2005 – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005.

ყიფშიძე 1911 – ი. ა. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке. С.-Пб., 1911.

ყიფშიძე 1914 – ი. ა. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем.. С.-Пб., 1914.

შანიძე 1960 – მზ. შანიძე, ძველი ქართული ენის ლექსიკიდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960.

ჩიქობავა 1936 – ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961.

ჩუხუა 1989 – მ. ჩუხუა, ქართველური ლექსიკიდან, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1989.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

ჩუხუა 2007 – მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2007.

ძოწენიძე 1974 – ქ. ძოწენიძე, ზემომეგრული დიალექტი, თბ., 1974.

ჭარაია 1912 – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб., 1912.

ჭარაია 1997 – ჰ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

ჰინჭარაული 1974 – ა. ჰინჭარაული, სემანტიკური გადასვლები ზოგ ლექსიკურ ჯგუფებში, იკე, XIX, თბ., 1974.

ჯავახიშვილი 1986 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV, ნაწ. I. მესაქონლეობა, თბ., 1986.

ჯავახიშვილი 1986-ა – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. III, ნაწ. II. საჭმელ-სასმელი, თბ., 1986-ა.

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.

ჯანაშია 1960 – Н. С. Джанашия, Религиозные верования абхазов. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми, 1960.

Manana Bukia

From Megrelian Specialized Vocabulary – Vocabulary for Milk and Dairy Products in Megrelian

Summary

Cattle breeding was the oldest and most important agricultural field in Samegrelo, therefore, pastoral (cattle) vocabulary is represented in a variety of ways in Megrelian, including words and expressions denoting milk and dairy products.

The semantic diversity of the terms allowed us to distinguish several groups:

1. The general name of dairy products:

bžaš načarmi "dairy products in general"; čvala / načvala "id."; čcobua "id."; hamo "id.";

2. Terms denoting milk:

bža; žabu / žažu; pirvel čvala "lit. trans. first milking"; txomurišbža "lit. trans. gleet milk"; napirvela, na'ubera / na'ubura / naubera, xižaža / xəžaža / xažaža / xcəžaža / xcəžeži "foremilk".

3. Milk fermenting means:

marčveniš tasi "lit. trans. matsoni seed"; xaça "enzymes for matsoni"; naçi "rennet for cheese"; kveti / kvetari „id.“.

4. Types of cheese:

avcxura "goatskin cheese"; bcčili `vali "matted cheese"; nadergu "cheese preserved in a clay pot"; selegini / seleguni / sijogini / soləgini / sulogini / sijogini /

silogini “sulguni” (Georgian cheese type similar to mozzarella); *cxvaṭili* / *cxvaṭili* 'čvali “cheese with holes”; *čvcčvercši* “fresh cheese”, etc.

5. Other dairy products:

bžas dudi “heavy cream”; *ginopunapili* “cottage cheese”; *giri* / *gōri* “whey”; *nabžalua* „id.“; *šraṭi* „id.“, *marčveni* / *marčvini* / *marčoni* “matsoni; *xvixvinia* “cottage cheese”; *xაჭcti* “pot cheese”.

6. Dishes made from dairy products:

badid აჭქილი "a ritual dish made from cheese and corn flour", lit. trans. old corn bread; *gbžalapa* "kneaded cheese with mint and salt"; *šeleburi* "a ritual flat bread with cheese"; *čcmxva* / *čcmčkva* / *čcmkva* / *čcmhva* "a dish made of fresh cheese cooked in milk", *čvištari* "corn bread with cheese", etc.

Both common Kartvelian and Zan words and syntagms are used to convey the concepts. A small amount of vocabulary borrowed from Abkhazian is also presented.

თეა ზურჭულაძე

და კავშირის სემანტიკურ-ექსპრესიული თავისებურებანი ზეპირმეტყველებაში

და კავშირი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კავშირია ქართულში. მისი ძირითადი ფუნქციაა წინადადების კომპონენტთა სინტაქსურ-სემანტიკური დაკავშირება. იგი უმთავრესად მაერთებელი კავშირია, იშვიათად – მაქვემდებარებელი, ზოგჯერ კი – მიერთებითი. წმინდა სინტაქსური ფუნქციის გარდა, ის განსაკუთრებით ზეპირმეტყველებაში აჩვენებს საინტერესო სურათს, გამოიყენება მეტად მრავალფეროვანი შინაარსობრივი თუ ინტონაციური თვალსაზრისით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „**და**-ზე აქცენტირდება რიტმული მახვილი, რაც განაპირობებს წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურას (ჭიკაძე 2017 : 129). გაანალიზებულია, რომ სასაუბრო ენაში (მათ შორის დიალექტებშიც) ხშირად გამოიყენება ისეთი სტილისტურ-სემანტიკური პარადიგმები, როგორებიცაა: **აიღო და** თხარა; **წადი და** ჰკითხე; **მოდო და** ნუ გაგიკვირდება; **ადგა და** ცოლი მოიყვანა. შენიშნულია, რომ ამ ტიპის პარადიგმების კომპონენტი მოდალური ზმნები დაცლილია როგორც ძირითადი გრამატიკული კატეგორიებისაგან, ისე შესაბამისი სემანტიკური მნიშვნელობისაგანაც (ჭიკაძე 2021: 84). ეს ის შემთხვევაა, როცა „ზმნის პირიანი ფორმა ზოგჯერ კარგავს ზმნურობას და სხვა მეტყველების ნაწილად გვევლინება სხვადასხვა მოდიფიკაციით, დამოუკიდებელი სახით ან რომელიმე ელემენტთან შერწყმით“ (ჭუმბურიძე 2016: 149).

ცნობილია, რომ სემანტიკურად როგორც პარატაქსულ, ისე ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში **და**-თი დაკავშირებულ კომპონენტთაგან წინამავალი გვიჩვენებს მიზეზს, პირობითობას ან დროულობას, ხოლო მომდევნო – შედეგს. ყველა ასეთ შემთხვევაში წინადადების სემანტიკა შედეგზეა ორიენტირებული და წარმოადგენს დასკვნას წინმსწრები მოვლენის შესახებ (ჭიკაძე 2017 : 138).

ცოცხალ მეტყველებაში ძალიან ხშირად დასტურდება ისეთი კონსტრუქციები, რომლებშიც მონაწილეობს **და** ელემენტი: „ამ გზას დაადგები-და ინანებ“; „მარჯვნივ წახვალ-და ხიფათს ასცდები“... მიჩნეულია, რომ ამგვარ წინადადებებში **და** კავშირის უძველესი ფუნქცია მოჩანს – მას **ნაწილაკოვანი დასაბამი** აქვს. „ამ ნაწილაკში ენის უძველეს საფეხურებზე ჩანასახის სახით მოცემულია დაკავშირების ფუნქცია. ამიტომაც, რომ იგი პირველხანად წინამავალ სიტყვას ეკვროდა; ზემოხსენებული ტიპის წინადა-

დების რიტმო-მელოდიკა ამის უტყუარი დამამტკიცებელია“ (მიმიგური 1973 :450). მაშასადამე, გამორჩეულია **და** ელემენტის ადგილი და ფუნქცია წინადადების კონსტრუქციის ინტონაციურ-ექსპრესიულ პარადიგმებში, სადაც **და** უფრო ნაწილაკია, ვიდრე კავშირი.

საგულისხმოა მოსაზრება, რომ ინტონაცია წინადადების კონსტრუქციისა და სტრუქტურული აქტუალიზების ერთ-ერთი ექსპრესიული საშუალებაა. ამ მხრივ კი გამორჩეულია **და** ელემენტის ადგილი და ფუნქცია წინადადების კონსტრუქციის ინტონაციურ-ექსპრესიულ პარადიგმებში, სადაც ის გამოხატავს მტკიცებას, გამორიცხვას, მოწონებას, კმაყოფილებას, საყვედურს, გაკვირვებას... (ჭიკაძე 2017 :125).

სწორედ ასეთი სემანტიკა ჩანს იმგვარ წინადადებებშიც, როცა გაბმულ მეტყველებაში მოსაუბრის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ მოჰყვება სტრუქტურულად **და**-თი აგებული პასუხი: „– რა **და** თქვენი შეკითხვები – ჩემისთანა რესპონდენტისათვის“; „– როგორ **და** მაქვს წიგნების ორი უზარმაზარი კარადა, თაროები, მოხერხებული სავარძელი და ტორშერი – მხარს ზემოთ, ნათურა ...“; „რაზე **და** რასაც წაიკითხავ, იმაზე ... ან, რაც გაგახსენდება ...“; „– რატომ **და** ისეთი დიდი სიამოვნება გელით ...“; „– ვინ **და** ბეტანკური, აბა აურელიანო-სქელს ხომ არ ...“ (აქ და ქვემოთ მოყვანილი მაგალითები მოგვყავს „ქართული ენის კორპუსიდან“ და ასევე ჩვენ მიერ ჩაწერილი ზეპირმეტყველების ნიმუშებიდან). მოხმობილ წინადადებებში უფრო მეტად სათქმელის მტკიცებითობა ვლინდება, **და**-ს ნაწილაკის ფუნქცია აკისრია. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, მისი ასეთი გამოყენება ერთგვარად სტილური შეფერილობითაცაა განპირობებული.

ძალზე თავისებურია **და**-ს გამოყენება დიალოგისას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მცდარია შეხედულება, თითქოს ბუნებრივი საუბრები ლინგვისტიკისათვის მარტივი, უინტერესო და ღარიბია. სწორედ ყოველდღიურ დიალოგებში მჟღავნდება პირველად ენის განვითარების ტენდენციები, მისი დინამიკური და ექსპრესიული ბუნება, ყოფითი მხატვრობა, სოციალურ-გეოგრაფიული ნაირფეროვნება. დიალოგური მეტყველება არის „ენა მოქმედებაში“, „ცოცხალ სიტუაციებში“, თავისი განუმეორებლობითა და ინდივიდუალობით (ზექალაშვილი 2012 :13).

ასეთ ინდივიდუალობასა თუ სტილურ ელფერს ავლენს დიალოგისას თანამედროვე ზეპირმეტყველებაში **და**. მას ზოგჯერ სემანტიკურად **მერეს** მნიშვნელობა აქვს:

- წავიდა და დააპირა ყველაფრის მოყოლა...
- **და?** (შდრ. მერე?)
- ის, რომ აღარ დაიმალება არაფერი....
- ჰოდა, ვიფიქრე, ისევ მივალ-მეთქი...
- **და?** (შდრ. მერე?)
- არაფერი, გადავიფიქრე...
- ამით ვაპირებდი მდგომარეობის გამოსწორებას
- **და?** (შდრ. მერე?)

– კი ხედავ, რა შევძელი და რა – არა...

ჩანს, რომ თითქოს მოსაუბრე ამგვარი დიალოგისას **და-ს** შეკითვის დასმით სათქმელის გაგრძელებას ელის. ფუნქციურად ის სწორედ **მერეს, მოვლენის გაგრძელების** სემანტიკას ატარებს ასეთ წინადადადებებში.

ზოგადად, ცნობილია, რომ მეტყველებისას (განსაკუთრებით, დიალოგის წარმართვისას) ზეგავლენას ახდენს კომუნიკანტთა სოციალური როლი: სქესი, ასაკი, სოციალური მდგომარეობა.... ასევე მნიშვნელოვანია საუბრის ფორმაცა და ადგილიც – საჯარო გამოსვლაა, უშუალო ურთიერთობა თუ საზოგადოებრივი (ზექალაშვილი 2012 : 45). ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელ ეპოქაში ე. წ. უშუალო საუბარი მეტად გავრცელებული ტენდენციაა და ამას ხელი განსაკუთრებით მედიამ შეუწყო. შესაბამისად, ჩვენ მიერ მოხმობილი წინადადებები დავადასტურეთ არა მხოლოდ ცოცხალი მეტყველებისას, არამედ მედიის წარმომადგენლების მეტყველებაშიც, განსაკუთრებით გასართობი ტიპის გადაცემებში.

ზეპირმეტყველებაში არცთუ იშვიათად გვხვდება **და-ს** გამოყენების მანერული ფორმა და ინტონაცია. ცოცხალ მეტყველებაში მას ხშირად იყენებენ მიმართვისას – ხან საკუთარ სახელთან, ხან მეორე პირის ნაცვალსახელით გამოხატულ პირთა მიმართვისას. ამგვარ ფორმებში ინტონაციურად მთავარ სათქმელზე გადასვლამდე მოსაუბრე თითქოს დროს ავსებს, ერთგვარი პაუზაა:

შენა და, როგორ ხარ? თავს კარგად გრძნობ და რამე?; **შენა და**, რომ წამომყვე, არა? **შენა და**, რას იტყვით ამაზე?; **გიორგი და**, ახლა როგორ მოიქცევი? **შენა და**, რაიმე სისულელე არ ჩაიდინო, ყველაფერი კარგად იქნება, კარგი?; **შენა და**, ... შალვა, მწერლობა არ გიცდია?; **შენა და**, საიდან იცი? – გიჩნდება ლოგიკური კითხვა; **თიკა და**, როგორ იწყება შენი დილა?; **შენა და** ... ყველაზე მაგარი პონტი ბრაზილიის ფანკლუბშია, იცი რა მაგარია?! იმ დღეს ვიყავი და ძაან კაი ტიპები იყვნენ ...; **შენა და**, მანჩო რას შვრება?; **შენა და** – ნინუკა პომადით იწითლებდა ტუჩებს და პირმომუწული ლაპარაკობდა, – რაო ნადრიკუჩამ, ძაან გიჟათ იყო?

ამგვარ წინადადებებში წერითი ფორმით გადატანისას ის გამოიყოფა მძიმით, ზუსტად ისე, როგორც მიმართვისას ნებისმირ სიტყვაფორმა გამოიყოფა. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც – ზემოთ დასახელებული ფუნქციისას მეორე პირის ნაცვალსახელი აუცილებლად სავრცობითაა წარმოდგენილი, არ დასტურდება **შენ და**. თუკი სავრცობის გარეშეა, მაშინ ის კავშირის ტრადიციული ფუნქციითაა, შდრ.: შენ და თამარი წამოხვალთ შეხვედრახე; შენ და შენმა შვილებმა შეჰკარით პირი ჩემ წინააღმდეგ...

და-ს სტილიზებული გამოყენება ჩანს შემდეგ შემთხვევებშიც: **და მაინც**, რისი თქმა უნდოდა?; **და მაინც**, რატომ გამოვიგონე ასეთი ამბავი? **და მაინც**, ეს მკვლელობაა. ის ერთგვარ გამოთქმადაა ქცეული. შევადაროთ: მაინც რისი თქმა უნდოდა?; მაინც რატომ გამოვიგონე ასეთი ამბავი? ეს მაინც მკვლელობაა. პირველ შემთხვევებში **და-ს** დასმა შინაარსობრივად უფრო აძლიერებს სათქმელს, ვიდრე მეორე სახის კონსტრუქციებში, რომლებიც მხოლოდ **მაინც** ნაწილაკითაა წარმოდგენილი.

ასევე სტილიზებულია **და** ისეთ კონტექსტში, როცა ის ახლავს სიტყვას **კარგი** (**კეთილის** მნიშვნელობითაა გამოყენებისას). **და**-სთან ერთად ის სათქმელის გაგრძელებას გულისხმობს: **კარგი და**, შენ უკანასკნელი კაცი ხარ დედამიწაზე, ვის ხილვასაც ვისურვებდი; **კარგი და**, ეგ შენი კაჩუნიცა გაკვეთილებზე რატომ არ მოდის?; **კარგი და**, კოშკის ყელზე გადასასვლელს როგორ გააკეთებთ? კონსოლურ საყრდენებს გამოიყენებთ თუ თაღის იალქნებს?; **კარგი და**, ტკიპა ვისია?; **კარგი და**, იმ ოფიცრებზე ენის ჭარტალი რაღა იყო?

ამგვარ ფორმებსაც ერთგვარი მყარი გამოთქმის ფუნქცია აქვთ. წერისას მხატვრულ ნაწარმოებებში ის მძიმითაა გამოყოფილი.

ძალიან ხშირად გაბმულ მეტყველებაში დიალოგისას მოპასუხე **და**-თი იწყებს კითხვის დასმას. ეს განპირობებული უნდა იყოს ერთი ამბის მეორეზე დასაკავშირებლად, შინაარსობრივი ბმისა და გაგრძელებისათვის:

– შვიდი თვე ვიყავი მასეთ მდგომარობაში, გესმის?

– **და** არაფერი მიაშბე!

– ახლა ვაპირებთ მცირე ქორწილის გადახდას.

– **და** სასიძო ვინაა?

– ვცდილობ ყოველთვის გავუგო და მოვუსმინო.

– **და** თუ ხასიათზე არა ბრძანდებით?

ზეპირმეტყველებაში ზოგჯერ **და** წინადადების ბოლოს დაისმის, რაც სემანტიკურად ქმნის ამბის, მოქმედების დაუსრულებლობის განცდას და გულისხმობს სავარაუდო სათქმელს: იქნებ დამირეკო, შესათანხმებელია რაღაც **და**...; კიდევ მინდა გითხრა რაღაც **და**...; მაგას ეტყვი **და**...; რაღაც ვერ ვარ კარგად **და**...

ასევე გამოიყენება **და** პირისა და რაიმე თვისების შეპირისპირების გამოსახატავად: მე და ნასვამი?!; შენ და ექიმობა?; შენ და ეგეთები?; თინიკო და ტყუილი?; დავითი და ამისთანა ბოროტება? ამ სემანტიკის გასაძლერებლად დასტურდება შემდეგი გამოთქმებიც: ვინ შენ და ნასვამი?; ვინ შენ და ეგეთები?; ვინ შენ და ექიმობა?

ზეპირმეტყველებაში დადასტურებულ მაგალითებში ცხადად გამოჩნდა, რომ **და** კავშირი ინტონაციურად გამორჩეულია და დიალოგისას თავისებურია მისი ადგილი თუ ფუნქცია წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურაში.

ლიტერატურა

ზექლაშვილი 2012 – რ. ზექლაშვილი, ქართული დიალოგური მეტყველება, თბ., 2012.

ჭიკაძე 2017 – რ. ჭიკაძე, ლინგვისტური სჯანი, 80 X 80, თბ., 2017.

ჭუმბურიძე 2016 – ნ.ჭუმბურიძე, ზმნის მნიშვნელობის („ზმნურობის“) დაკარგვის შემთხვევები; ზმნის გადაქცევა ნაწილაკად, კავშირად, მოდალურ ელემენტად, ახალი ქართული ენა, წიგნი II, თბ., 2016.

ძიმიგური 1973 – შ. ძიმიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973.

Tea Burchuladze

Semantic-expressive Features of the Conjunction *da* “and” in Oral Speech

Summary

In live speech, the constructions, in which the element *da* “and” is included, are attested very often. They have distinctive intonation, and its place or function in the rhythmic-melodic structure of the sentence is peculiar in dialogue.

It is sometimes used with the semantics of continuation, or it has a stylized or mannered function. In live speech, it is often used when addressing people - sometimes with proper names, and sometimes with the pronoun of the second person. In such forms, the speaker seems to be gaining time before moving on to the main statement, i.e. It is a kind of pause: *šcna da, rogor xar? tavs kargad grznob?* “How are you? Are you feeling well?”, *šcna da, rom čamomqvc, ara? šcnada, ras itqvit amazc?* “You can come with me, right? How about that?”, *giorgi da, axla rogor moikcvi?* “Giorgi, how will you behave now?”, etc.

In oral speech, sometimes it is also found at the end of a sentence, which semantically creates a feeling of the story, the action being incomplete, and implies a probable saying: *ikneb damireko, šcsatanxmebelia rayac da...* “Maybe you should call me, something needs to be agreed upon and...”, *kidev minda gitxra rayac da...* “I want to tell you something else and...”. This conjunction is also used to express a contrast between a person and some quality: *me da nasvami?!* “Me, drunk?!”, *šen da ckimoba?* “You and being a doctor?”, *šen da cgetebi?* “You and those?”, *tiniko da tquli?;* “Tiniko and lies?”, etc.

გიორგი გოგოლაშვილი

დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენა
(ნარკვევები)

1. რამდენიმე სიტყვა დიმიტრი ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკის“ შესახებ*

ჩვენს ისტორიაში XIX საუკუნე გამოჩენილია ქართული ენის მსახურების თვალსაზრისით. მარტო ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის ხსენება იკმარებდა ამის დასტურად.

XIX საუკუნე იმითაც არის საინტერესო, რომ მამულისმოყვარენი არ თვლიან საჭიროდ და ვერც იცლიან ერთმანეთის ქება-დიდებასათვის... თუ ამის თითო-ოროლა მაგალითი გვაქვს, ეს, ასე ვთქვათ, „გარდაუვალი აუცილებლობით“ არის გამოწვეული. მაგალითად: აკაკის სიტყვა თელავში და ხობტა ილია ჭავჭავაძისა; ილიას რეაქცია ამ გამოსვლაზე და შეფასება აკაკი წერეთლის სიტყვისა... იაკობის მიერ აკაკის ქება (დახასიათება) და აკაკის მიერ კლასიკური წარმოჩენა იაკობის ღვაწლისა...

ამ რიგში მინდა დავინახო ქება დიმიტრი ყიფიანისა.

იაკობ გოგებაშვილს ენობრივ საკითხებზე პოლემიკა აქვს აკაკი წერეთელთან და „კვალის რაზმთან“; ამ რაზმის წევრმა გიორგი წერეთელმა თავისი პოზიციების „გასამაგრებლად“ დიმიტრი ყიფიანი მოიშველია: **„ჩვენი დროის ენის მცოდნე დიმიტრი ყიფიანი** ამ აზრისა იყო...“ და იაკობის გასამტყუნებლად მოჰყავს დ. ყიფიანის აზრი...

იაკობი მაღლიერი რჩება ოპონენტისა, რადგან თვლის, რომ გ. წერეთლის მიერ დ. ყიფიანის დამოწმება იაკობის პოზიციას განამტკიცებს; სიამაყით ამბობს: **„დაუვიწყარი დ. ყიფიანი“**, „ეს უსახელოვანესი ქართველი“ დიდად აფასებდა ჩემს სახელმძღვანელოებსო (მოჰყავს ამონარიდი რეცენზიიდან)... და ეს იყო უტყუარი არგუმენტი იაკობის მართალი პოზიციისა...

„ჩვენი დროის ენის მცოდნე“, „დაუვიწყარი“, „უსახელოვანესი ქართველი“ – ძალიან მოზომილი და ზუსტი ეპითეტებია დ. ყიფიანის მიმართ; გავითვალისწინოთ ისიც, ვინ ამბობს ამას...

როგორც მივანიშნეთ, საუბარი ამ შემთხვევაში „დედაენასა“ და ქართული ენის სახელმძღვანელოებს ეხება. ამ თემაზე არაერთხელ გვისაუბ-

* (წაკითხულია მოხსენებად თსუ-ში ვ. თოფურიასადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 2022 წლის 8 იანვარს)

რია (2020-2021 წლებში სამეცნიერო კონფერენციებზე წავიკითხე სამი მოხსენება: 1. „დიმიტრი ყიფიანი და იაკობ გოგებაშვილი“ – ხაშური, 2020; 2. „დიმიტრი ყიფიანისა და იაკობ გოგებაშვილის „პოლემიკა“ „ბუნების კარის“ თაობაზე“ – თსუ, 8 იანვარი, 2021; 3. „დიმიტრი ყიფიანი და იმდროინდელი საანზანე სახელმძღვანელოები“ – თსუ, 28 ოქტომბერი, 2021); ამჯერად ჩვენ დ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამმატიკის“ შესახებ ვიტყვით რამდენიმე სიტყვას...

2019 წელს დ. ყიფიანის თხზულებათა IV ტომში დაიბეჭდა გრამატიკის ეს სახელმძღვანელო; ამით ძალიან დიდი საქმე გაკეთდა და მადლობა თ. ჯოლოგუას ამ დიდი საქმისთვის... მოგეხსენებათ, „ახალი ქართული გრამმატიკა“ 1882 წელს გამოიცა პეტერბურგში და დღეისათვის ძალზე დიდი იშვიათობა იყო. არადა არ იყო ისე მისაღწევად...

დ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამმატიკა“ ნოყიერ ნიადაგზე იშვა: ავტორი თავად ასახელებს წინამორბედ გრამატიკებს: ზ. შანშოვანისა, ანტონ კათალიკოსისა, გაიოზ რექტორისა, დავით ბატონიშვილისა, ვარლამ მიტროპოლიტისა, იოანე ქართველიშვილისა, იესე ჩუბინაშვილისა, სოლომონ დოდაშვილისა, პლატონ იოსელიანისა, დავით ჩუბინაშვილისა...

დ. ყიფიანს საგანგებო წერილით მიუმართავს დ. ჩუბინაშვილისთვის, რომლის მეგობრობასაც უძღვნის ამ წიგნს; თითქოს მოუბოდიშებს, რატომ მიიღო გადაწყვეტილება გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენისა: „თქვენ გრამატიკა რომ აღარ იშოვებოდა, და აღარც სხვებისა, საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა-ენის სწავლებას ვეღარ ვახერხებდით; – მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილებისათვის მევე უნდა შემედგინა გრამმატიკა, როგორც მომეხერხებოდა...“ (259).

ასევე განუმარტავს თავის მკითხველს („შვილებს“), როცა ამდენი გრამატიკაა, რატომ გახდა საჭირო ახლის შექმნა: „აი, შვილებო, რამდენი გვაქვს და გვქონია; მაგრამ რა გახდა; ჯერ ეს უნდა გითხრათ, რომ ახლა თითქმის აღარც ერთი არ იშოვება, თუ არ დიდის გაჭირვებითა და წაილაჯობით; და მერე, – აღარც ეს არის დასამალავი, – ადვილად რომ იშოვებოდეს, საისტორიო მასალად კი გამოდგება, რა საკვირველია, მაგრამ სასწავლოდ აღარა“ (254).

დ. ყიფიანი, როგორც ჩანს, ძალიან კარგად იცნობს წინამორბედ გრამატიკებს, სასწავლო ლიტერატურას; ამავე მეოთხე ტომში იბეჭდება მისი ვრცელი რეცენზიები დ. ჩუბინაშვილის გრამატიკასა და ლექსიკონზე; ასევე ი. გოგებაშვილის „დედაენასა“ და „ბუნების კარზე“; ვართანოვის „ქართული წერის დედანზე“, რუსულიდან თარგმნილ (ი. კერესელიძის მიერ) საანზანე წიგნსა და ი. კერესელიძის ქრესტომათიაზე... მოდით, ვთქვათ ისიც, რომ 1840-1850 წლებში იგი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს წევრი, 1851 წლიდან სახელმძღვანელოების შემდგენელ კომიტეტთან ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარე... და ვთქვათ მთავარიც – იგი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“. ფაქტობრივ ეროვნული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი!

ვიმეორებთ: მთავარი მიზეზი ახალი გრამატიკის შედგენის აუცილებლობისა არის ის, რომ წინამორბედნი **„საისტორიო მასალად კი გამოდგება, რა საკვირველია, მაგრამ სასწავლოდ აღარა“** და დავუმატოთ: საჭირო იყო უკეთესი სახელმძღვანელო!.. წერენ იმასაც, რომ საამისოდ დ. ყიფიანს ლათინური ენაც შეუსწავლია, რომ გასცნობოდა საგრამატიკო ლიტერატურას...

ესეც სათქმელია: მთელ ამ საგრამატიკო მემკვიდრეობაში ანტონის გრამატიკა მეთაურია; მეტ-ნაკლებად ყველა მომდევნო მას ემყარება (არის ცალკეული სიახლეები); მაგრამ სულ სხვა ფასი აქვს დ. ყიფიანის გრამატიკას. ენათმეცნიერების კლასიკოსების აზრს მოვიშველიებ დ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკის“ შესახებ. **აკაკი შანიძე:** „მისი გრამატიკა წინანდელ გრამატიკებზე მაღლა დგას და მათ შორის დ. ჩუბინაშვილისაზედაც. ზმნებში განსაკუთრებით კარგად აქვს დამუშავებული საკითხი ასპექტის შესახებ“ (შანიძე 1998, 305). **არნოლდ ჩიქობავა:** „ეს გრამატიკა ობიექტურად, მართლაც, ახალი გრამატიკაა; იგი ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც კი დაწერილა ამ დარგში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში... (ავტორი) ახერხებს ქართულ მეტყველების ძირითად თავისებურებათა სწორად აღნუსხვას. ეს არის მისი აზროვნების სიმღერის საუკეთესო მოწმე“ (ჩიქობავა 1998: 309, 314).

ეს ორი შეფასება საკმარისია იმსათვის, გავიაზროთ, რა დიდი და ყიფიანის ღვაწლი ქართული ენის შესწავლის საქმეში... არის რამდენიმე საინტერესო ნაშრომი, რომლებშიც დ. ყიფიანის გრამატიკის მიმოხილვაა წარმოდგენილი (საბაშვილი 1944, ლეჟავა 1981, ლეჟავა 1986 და სხვ.).

ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე საკითხს. პირველ რიგში მეთოდოლოგიასა და სტილს ავტორისას. როგორც ვთქვით, წიგნი სასწავლო მიზნებისთვისაა დანიშნული. დ. ყიფიანს მოსწავლეებთან, რომელთაც „შვილებს“ ეძახის, „მამაშვილური“ დამოკიდებულება აქვს და, ასე ვთქვათ, „კალმასობისეულ“ სტილს მიმართავს. მოგეხსენებათ, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ „მეცნიერული მსჯელობანი მკითხველისათვის მოსაწყენი და ძნელად ასათვისებელი რომ არ ყოფილიყო, ავტორმა თხრობის თავშესაქცევი მანერა აირჩია... არქ.-მწიგნობრული ენით გამართულ მეცნიერულ ნაწილს მსუბუქი და ხატოვანი, დიალოგებით უხვად გაჯერებული თხრობითი ნაწილი ენაცვლება“ (ბარაბიძე 1980: 188). დ. ყიფიანიც დიალოგს უმართავს „შვილებს“ და მათთან შეკითხვა-ჩაკითხვის წესით მსჯელობს გრამატიკის რთულ საკითხებზე; სწორედ კითხვების გამეორება-შეზრუნებით ცდილობს უფრო გასაგები გახადოს მსჯელობის საგანი. ორიოდე მაგალითი:

გრამატიკულ ლიტერატურას ჩამოთვლის და განაგრძობს –

„აი, შვილებო, რამდენი გვაქვს და გვქონია, მაგრამ რა გახდა; ჯერ ეს უდგა გითხრათ, რომ ახლა თითქმის აღარც ერთი არ იშოვება თუ არ დიდის გაჭირვებითა და ნაილაჯობით;...“ და ა. შ. (გვ.264).

„ახლა ვიკითხოთ, რამდენ ნაწილად გაიყოფა ეს სწავლა?“

გაიყოფა სამად“...

„მამავ! რუსული და ფრანგული ენების ტრიალი თუ მოვიყვანეთ, ევროპული ენების დედა ხომ ზოგისა ბერძნულია, ზოგისა ლათინური. ამ ენებიდამაც იქნება რამე ზმნებისა მოსაყვანი, თუ, რაც მერყეობაზედ ითქვა, იმაზე მეტი აღარა იქნება რა?

– იქნება, შვილო, როგორ არა...“(312)...

ცოცხალი და საინტერესო შედარებებით ცდილობს გასაგები და სახალისო გახადოს მსჯელობა:

„როგორც ერთ ძირ ხეზედ აურაცხველი ტოტი და ფოთოლი იზრდება, სიტყვის ძირიც ისე ბარტყობს და მრავლდება“...

ერთ ძალიან საინტერესო ფაქტს მივაქცევ ყურადღებას: როცა ეროვნული სკოლა ყალიბდებოდა, იაკობ გოგებაშვილი განმარტავდა: **ეროვნული სკოლა ორ მთავარ პრინციპს უნდა ემყარებოდესო – ეროვნულობასა და ზნეობრიობას.**

დიმიტრი ყიფიანის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ ორი პრინციპის – ეროვნულობისა და ზნეობრიობის – მხახურება იყო; ეს ორი პრინციპი – **ეროვნულობა და ზნეობრიობა** – მკვეთრად არის გატარებული მის „ახალ ქართულ გრამატიკაში“ (თითქოსდა მოულოდნელიც არის: მშრალი გრამატიკული წესებისა და მარტივი საილუსტრაციო მაგალითობით როგორ აღწევს ამას). რამდენიმე ადგილს მოვიყვან სახელმძღვანელოდან:

ავტორი საუბრობს მთავარ პედაგოგიურ მეთოდზე – „რიგი და სამართალი მოითხოვდა სწავლას ისე დავიწყებდეთ ხოლმე, რომ ადვილიდამ ძნელამდინ და ძნელიდამ უმძიმესამდინ გაუჭირვებლად ვივლიდეთ, თორემ“... და გრძელდება მსჯელობა:

„თქვენც ასე იტანჯებოდით სწავლითა, შვილებო! გეოგრაფიაში მაგალითად ვიტყვი, ჯერ მთელი ქვეყანა შემოგარბენინეს ფიქრითა და ბოლოს მოვიყვანეს ამ ჩვენს, ქვეყნის ოდენა რუსეთში; – **საქართველოს გეოგრაფია ხომ ჯერაც არავის უსწავლებია თქვენთვის.** – ენებში ჯერ ფრანგულს მოგაყოლეს, მერე რუსულსა და **თქვენი დედა ენა კი**, გეოგრაფიისა არ იყოს, **სულაც არა ვის უსწავლებია“** (ყიფიანი 2019: 262)...

ცალკეული გრამატიკული ცნებისა თუ ტერმინის განმარტებისას ისევე ამ პრინციპებით სარგებლობს:

„მამა“ „შვილებს“ სახელის ბრუნებას ასწავლის; „ამ პროცესს დარქმევია ძველათგან **სრბოლა** შანშოვანისაგან, **მერყეობა** ანტონ კათალიკოზისაგან და **კანკლედობა** სხვებისაგან; სხვა ენების გრამატიკოსები ამას **დრეკას** არქმევენ, ან **დრეკილებას**“... დ. ყიფიანი ამჯობინებს **მერყეობას**. აი, რატომ:

„1. **დრეკით** იმდენჯერ და იმდენხანსა ვყოფილვართ ხოლმე თავის დრეკაში, რომ დღითის წინაშე გვეყოფა და ახლა მაინც დავიჭიროთ თავი, როგორც სნებამოხდილის რიგია; ან როგორც ისეთ კაცს მოაქვს თავი, რომელსაც გულში ცუდი არა უძევს რა“ (იქვე, 273)... აქ იმასაც აქცევს ყურა-

დღეებს, რომ ტერმინის შინაარსი გამჭვირვალე უნდა იყოს და ხელს უწყობდეს ცნების სწორად გააზრებას; გრძელდება მსჯელობა ამ ტერმინებზე:

„2. კანკლედობით, ჩვენს ვალდებულებას რომ არასდროს არ გადავსდგომივართ, თუ არ სიკვდილისაგან დასახსნელად, და რაც გვრწმენია, იმაზედ შეუპოვრად, უკანკლედობითა ვმდგარვართ, ამაზედ არა თუ ჩვეენი ისტორია, – ყველა იმ ხალხთა ისტორიაც დაგვემოწმება, ვისაც კი ჩვენთან საქმე ჰქონია რამე“ (იქვე)... როგორც ითქვა, დ.ყიფიანი ამჯობინებს ტერმინს მერყეობა. აი, რატომ:

„3. **მერყეობით** ხომ რყევა სწორეთ ზედგამოჭრილი თვისება არის ჩვენი, დღევანდელი ხასიათია ჩვენი, რომ ვერა საქმეს ვერ დავადგებით, თუ არ დიდი ყოყმანით, დიდი გაჭირვებით, რაღაც ნაირი ზოზინით, გაუბედავობით, – ერთი სიტყვით, – რყევითა“ (იქვე, 274)...

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „დიმიტრი ყიფიანი **ბრალდებით** ბრუნვას უარყოფს და სრულიად სამართლიანად. **რანაირი არგუმენტაციაც არ იყოს მოშველებული**, თვით უარყოფა უთუოდ მიზანშეწონილი და მნიშვნელოვანი საქმეა“ (ჩიქობავა, 1998: 310)... ჩვენთვის სწორედ ეს არგუმენტაციაც დიდად მნიშვნელოვანია, სწორედ იმ ორი მთავარი პრინციპის გასააზრებლად (ეროვნულობა და ზნეობრიობა). ვნახოთ, როგორ ასაბუთებს შემასმენლობითი ბრუნვის არქონას:

ჯერ: – „შემასმენლობითი არის პირ და პირი თარგმანი ლათინურისა accusativus, როგორც რუსული „ვინიტელნი“ და ჰნიშნავს „ბრალდებულებას“, – „დაწამებას“, „შესმენას“, „შემასმენელობას“; ქართულ ენაში ამ ბრუნვას სრულებით არა აქვს ადგილი“... ამ ნაწილს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ და მას ეთანხმებიან; დავას მსჯელობის მეორე ნაწილი იწვევს (თავადაც გრძნობს ამას წინასწარულად: „ახლა შეიძლება აქა-იქ იპოვებოდეს ისეთი კაცი, რომ იმის დასახელებით სიტყვა გამიმტყუნონო“)... და ამას მოსდევს არგუმენტაცია „შვილებისათვის“... საქმე ის არის, რომ შვილებს უნდა განუმტკიცოს რწმენა იმისა, რომ ეს ბრუნვა არაა ქართული ენის ბუნებისათვის ჩვეულებრივი... და იწყება ისევ შეგონება ეროვნულ-ზნეობრივი ხასიათისა: „მე თვითონ მახსოვს ის დრო, როდესაც **მოყვასის გაცემა, დაბეზლება, დასმენა, ისეთი სათაკილო საქმე იყო ქართველებში**, როგორც, მაგალითად, ქურდობა, და შემასმენლობითი ბრუნვა რაღათ გვექნებოდა“... (ყიფიანი 1998: 275)... აქ კიდევ ერთი ფაქტია არსებითი და ღირსსაცნობი: დ. ყიფიანის აზრით, ენაში აისახება ერის ბუნება, ფსიქოლოგია, წარმოდგენები... ამის მაჩვენებელია ტერმინ „შემასმენლობითის“ მიუღებლობაო...

ეს რომ შვილებისათვის არის განკუთვნილი და ამ ტიპის მსჯელობაც ამიტომ ახლავს ამ სერიოზულ საკითხს, იმითაც შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ წავიკითხვთ დ. ყიფიანის ზემოდასახელებულ რეცენზიებს, რომლებშიც „სხვა ტიპის“ (მეცნიერული) არგუმენტაცია არ უჭირს ავტორს... წიგნის დანიშნულება („შვილებისათვის“) და მიზანი (ეროვნულობა და ზნეობრიობა) განსაზღვრავს არგუმენტაციის ხასიათსა და სტილს...

* * *

ორიოდე სიტყვა ზმნასთან დაკავშირებითაც.

მართალია, „განსაზღვრება ზმნისა შაბლონურია“ (არნ. ჩიქობავა 1998: 310), მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ეს სახელმძღვანელოა „შვილებისათვის“, ამიტომ მეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ზმნის რაობის ახსნას: „ზმნა ყოველი ენისათვის სულია მაცოცხლებელი და ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ყოველს გრამმატიკოსს დიდად უჭირს იმის ხელში მოგდება. იმათი უმთავრესი და დაუცხრომელი მეცადინეობა ის არის, რომ, რადგან სულს ხელი არ მოეკიდება, საბუდარი მაინც მიაგნონ როგორმე ზმნისა და ისე მიიმწყვდიონ, რომ იმისი ბუნების და ხასიათის გულდასმით გამოკვლევა შეიძლებოდეს“... (ყიფიანი 1998: 310)...

არნ. ჩიქობავა საკმაოდ მრავალ საკითხს ჩამოთვლის, სიახლედ რომ აღიქმება დ. ყიფიანის ნააზრევში, თუმცა ერთსაც დაინანებს: „სამწუხარო ისღაა, რომ არც ნ. მარს, არც მათ, ვისაც შემდეგში ქართული ენის აგებულებისა და, კერძოდ, ქართული ზმნის უღვლილების პრობლემებზე მუშაობა უხდებოდათ, არსად, ერთი სიტყვითაც არ მოუხსენებიათ ის შესანიშნავი ნაშრომი, რომელშიც უკვე ამოცნობილი იყო ძირითადი თვისება ქართული ზმნისა – მიმართვითი ფორმების არსებობა“ (ჩიქობავა 1998: 314). მე კიდევ ერთ ფაქტზე მინდა შევაჩერო ყურადღება – საუღლებელ ერთეულთა (სინონიმური ტერმინები: დრო, დრო-კილო, მწკრივი, ნაკვითი...) რაოდენობის საკითხზე.

ეს საკითხი რომ პრობლემურია, იქიდანაც ჩანს, რომ თუნდაც მეორე სერიის მწკრივთა რაოდენობის შესახებ დღესაც აზრთა პრინციპული სხვაობაა: ნიკო მარი თვლიდა, რომ მეორე სერიაში ორი მწკრივი იყო; არნ. ჩიქობავას აზრით, სამი მწკრივია (ნაკვითი); ჩვენ ვფიქრობთ – ოთხი მწკრივი უნდა გამოიყოს; ა. შანიძე ხუთ მწკრივს გამოყოფს; ლეო კიკნაძე – რვას! (იხ.: გოგოლაშვილი 2010: 169-176). ცხადია, დასაბუთება (არგუმენტაცია) ყველას ახლავს თავისებური... მიდგომაა სხვადასხვაგვარი... დროთა (ამ ტერმინს გამოიყენებენ პრაქტიკულ გრამატიკებში) რაოდენობის საკითხი დ. ყიფიანთანაც დგას. აქ მხოლოდ ერთ მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას:

დ. ყიფიანმა სხვადასხვა კილოს, სხვადასხვა დროისა და ასპექტის ვარიანტები განიხილა, შეადგინა პარადიგმები და შექმნა საკმაოდ სრული სურათი ზმნურ ფორმათა წარმოებისა. ფორმათა სიმრავლით გაკვირვებულმა თანაგრძნობით მიმართა „შვილებს“:

„დიდება შენთვის, უფალო! ოთხმოცდაორი ცვლილება ერთი ზმნისა? – მაშ ერთი ამდენი სხმით გარდასვლითს მოუნდება; ამდენივე მრჩობლსხმით გარდასვლითს (იგულისხმება კაუზატიური ფორმები გ.გ.)! სულ გამოვიდა ორას ორმოცდა ექვსი ცვლილება ერთი მნისა!“ (იქვე, 345). და „მამა“ „შვილებთან“ ერთად იწყებს ფიქრს, როგორ გაამარტივოს ეს სისტემა, რომ ადვილად ასათვისებელი იყოს... და აქ არის ერთი ტიპიური მაგალითი „მამა-შვილთა“ დიალოგისა; და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ყველა დროისა და კილოს პარადიგმაში ზმნისწინი (აქაური ტერმინოლოგიით

„მიმდლოლი თანდებული“) ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს სისრულეს ანიჭებს ფორმას: „განა არ შეიძლება ერთხელ ითქვას და ამით გათავდეს, რომ ზმნას სახე სრული ყოველთვის მაშინ მიეცემა, როდესაც თავს პრეფიქსად ერთერთი მიმდლოლი თანდებული მიუჯდებაო“ (იქვე, 346)... ეს დასკვნა დ. ყიფიანისა ფასეულია დღესაც: ოდენ ზმნისწინით განსხვავებული ფორმები არ უნდა ჩათვალოს სხვადასხვა მწკრივის ფორმად. ამ პრინციპის გათვალისწინება ზმნურ ფორმათა წარმოებას ოპტიმალურად წარმოგვიდგენს – ახალი ქართულის სისტემას რვა მწკრივით გაიაზრებს. ჩვენი აზრით, ეს მიგნება დიდად ფასეულია! დრო-კილოთა სისტემა გაცილებით უფრო მარტივია და მოხერხებული; მორფოლოგიურად – გამართლებული; დღესაც დიდად დასაფასებელი (იხ.: გოგოლაშვილი 2010)... ვიმეორებთ: ამ სიახლით კიდევ ერთხელ კარგად წარმოჩნდა დ. ყიფიანის ენობრივი ალლო და გრამატიკული აზროვნების უნარი...

2. დიმიტრი ყიფიანი და იმდროინდელი საანზანე სახელმძღვანელოები¹

1894 წელს ქართულ პრესაში (გაზეთებში „კვალი“ და „ივერია“) გაიმართა პოლემიკა ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე. პოლემიკა აკაკი წერეთელმა წამოიწყო გაზეთ „კვალში“; წერილის სამიზნე იაკობ გოგებაშვილი იყო, რომელმაც საპასუხო წერილი გამოაქვეყნა „ივერიაში“... ოცდაათამდე წერილი გაიცვალა ამ პოლემიკის დროს; „ივერიიდან“ იაკობ გოგებაშვილი უპირისპირდებოდა „კვალის რაზმს“ (როგორც თავად უწოდებდა) – აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს, კოტე მაცაშვილს, ერეკლე რამიშვილს, სილოვან ხუნდაძეს, პეტრე ჭარაიას, ს. მუხიანელს...

მოგეხსენებათ, პოლემიკა „ვალიარებ // აღვიარებ“ ფორმათა მართებულობის თემით დაიწყო...

ერთ-ერთ საპაექრო წერილში გიორგი წერეთელმა (თავისი პოზიციის განსამტკიცებლად და იაკობის გასამტყუნებლად) დიმიტრი ყიფიანი მოიშველია: „იქ, სადაც „აღვიარებ“ არის ნახმარი, „ვალიარებ“-ს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენი დროის ენის მცოდნე განსვენებული დიმიტრი ყიფიანი (ხაზი ჩემია – გ.გ.) ამ აზრისა იყო. ამას მეტათ ეჩოთირებოდა „ვალიარებ“ და ბევრი სხვა უცხო ენის მიბადვით შემოდებული გარყვნილი ფორმები, რომელნიც თვით ქართული ენის ბუნებას ეწინააღმდეგებოდნენ (იხილეთ დიმიტრი ყიფიანის „ახალი გრამატიკა“). განსაკუთრებით განსვენებული ჯავრობდა, რომ იმ დროს გამოსულმა პირველ-დაწყებითმა სახელმძღვანელოებმა მოჰფინეს შკოლებში გადაგვარებული უცხო ენის კილოზე შედგენილი დამახინჯებული ახალი ფორმა“ (გ. წერეთელი, „მცირე შენიშვნა“, „კვალი“, № 43, 1894)... მოგეხსენებათ, „იმ დროს გამოსული პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელო“ იყო ი. გოგებაშვილის „დედაენა“...

¹ (წაკითხულია მოხსენებად თსუ-ში ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე 2021 წლის 28 ოქტომბერს)

გ. წერეთლის ამ ბრალდებაში იაკობ გოგებაშვილს დიმილი მოჰკვარა; მოვიყვანთ ამონარიდს იაკობის საპასუხო წერილიდან:

“ზ-ნი გიორგი წერეთელი იხსენიებს **დაუვიწყარ დიმიტრი ყიფიანის** სახელსა იმ აზრით, **ვითომც იგი ყოფილიყოს წინააღმდეგი ჩემის სახელმძღვანელოებისა**. დიდს მადლობას ვუძღვნი ბატონს გიორგის ამ ინსინუაციისათვის. მე იგი მაძლევს ამითი მშვენიერს შემთხვევას, დავამტკიცო უტყუარი ფაქტებით, რომ ეს **უსახელოვანესი ქართველი**, მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვეთანხმებოდი მას ზოგიერთ საგრამატიკო მოსაზრებაში (იგი, მაგალითად, აღიარებდა მხოლოდ ოთხ ბრუნვასა, მე კი ვამტკიცებდი, რომ შვიდი ბრუნვაა მეთქი და ეს უკანასკნელი რიცხვი ბრუნვათა ახლა ყველასაგან მიღებულია) დიდათ აფასებდა ჩემს სახელმძღვანელოებსა და ერთ მათგანზედ დასტოვა შემდეგი წერილობითი მსჯელობაც კი, თავისი ხელით დაწერილი: **„ეს წიგნი ძალიან გამოსადგია, ძალიან სასარგებლო და საუცხოოდ არის შედგენილი“** (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 409).

წიგნი, რომელიც დიმიტრი ყიფიანმა ასე შეაფასა, „დედაენაა“. ოფიციალური რეცენზია გამოსაქვეყნებლად არ დაწერილა; დ. ყიფიანმა იგი გადასცა იაკობს წიგნის გასაუმჯობესებლად; იაკობის „დიმილიანი მადლობა“ – ირონიაც იმით იყო გამოწვეული, რომ საშუალება მიეცა, გაესაჯაროებნა დ. ყიფიანის აზრი „დედაენაზე“ და საქვეყნოდ მადლობა ეძღვნა დიმიტრი ყიფიანისადმი ამ რეცენზიის გამო...

რომელ რეცენზიაზეა საუბარი?

* * *

1940 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 10, 1940) გამოქვეყნდა შ. გოზალიშვილის „ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმოწერა იაკობ გოგებაშვილთან“. ამ პუბლიკაციაში დაიბეჭდა ეს რეცენზიაც; რომელიც გადაიბეჭდა დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა ათტომეულის IV ტომში სათაურით **„იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“** (დ. ყიფიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ. 2019, გვ. 246-250; შეადგინა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო **თამაზ ჯოლოგუამ**. აქვე ვთქვათ: დიდებული საქმეა და მადლობამას ამისათვის).

რეცენზია დიმიტრი ყიფიანს დაუწერია 1876 წლის 2 ოქტომბერს – ფაქტობრივ ი. გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლისთანავე... რეცენზია ასე იწყება: **„დედა ენა იაკობ გოგებაშვილისა ძალიან გამოსადეგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოდ არის შედგენილი“**... რეცენზიის დასკვნითი წინადადება ესაა: **„კარგი წიგნი რომ არ ყოფილიყო, არას ვიტყოდი“!**.. ახალგაზრდა პედაგოგს – იაკობ გოგებაშვილს – საამაყო მართლაც აქვს: უდიდესი ავტორიტეტისა და დამსახურების მქონე ქართველი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს სააზნანე სახელმძღვანელოს... და, რაც მთავარია: საყოველთაოდაა ცნობილი დიმიტრი ყიფიანის პროფესიონალიზმი (იგი ავტორია ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკული გრამატიკისა), მიუკერძოებლობა და პირუთვნელობა... ამი-

ტომაც აქვს დიდი ფასი იაკობისთვის ამ რეცენზიას... ირონიულ მადლობა-საც იმიტომ უხდის გ. წერეთელს, რომ საბაბი მისცა 18 წლის წინანდელი საამაყო რეცენზის გასაჯაროებისა...

ვთქვით: საყოველთაოდაა ცნობილი დიმიტრი ყიფიანის პროფესიონალიზმი, მიუკერძოებლობა და პირუთვნელობა-თქო...

ორიოდე კონკრეტული მაგალითი ამისა:

* * *

დიმიტრი ყიფიანი 1840-1850 წლებში იყო კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს წევრი; 1851 წელს სახელმძღვანელოების შემდგენელ კომიტეტთან ჩამოყალიბდა ქართული ენის განყოფილება, რომლის თავმჯდომარედაც დ. ყიფიანი დაინიშნა; იგი ამავე დროს იყო თბილისის გიმნაზიის საპატო მზრუნველი (1851-1864 წწ)... 1852 წელს დ. ყიფიანს სარეცენზიოდ გადასცეს **ვართანოვის „ქართული წერის დედანი“**. მასკომიტეტისათვის წერილობით მიუმართავს: „ა.თ. 20 რიცხვის ამონაწერთან ერთად მივიღე „ქართული წერის დედანი“, განვიხილე იგი და თავს მოვალედ ვთვლი, მოგახსენოთ“ (დ. ყიფიანი, ტ. IV, გვ. 189)... და წარუდგენს რეცენზიას ორ ნაწილად:

„ა) ხელნაწერის სისწორისა და სილამაზის შესახებ;

ბ) გამოთქმათა ურიგობისა თუ შეუფერებლობის შესახებ“.

რეცენზია ყურადღებას იპყრობს მაღალი პროფესიონალიზმით, ქართული ასოების გრაფიკული თავისებურებების სწორი გააზრებით და პედაგოგიკის საკითხების ჯეროვანი ცოდნით; შესაბამისად ამისა, დასკვნა მკაცრია, პირდაპირი და მოურიდებელი:

„ერთი შეხედვით ასოები, განსაკუთრებით ხვეული და სასათაურო, ლამაზია. თუმცა ქართული ასოების სილამაზეს ქართული თვალთახედვა განაპირობებს, ანუ თვალთახედვა, რომელიც უძველესი დროიდანვე დამკვიდრდა ქართველ კალიგრაფთა მიერ და განსხვავდება ასოების სილამაზის აღქმისაგან რუსულ და ევროპულ ენებში. **საკითხს ამ კუთხით თუ შევხედავთ, მოგვიწევს ბ-ნი ვართანოვის მიერ გამოყენებული პრინციპის კატეგორიული უარყოფა.**“ წინსწრებულ დასკვნას მოსდევს არგუმენტირებული დასაბუთება ამგვარი წანამძღვრით – **„მიმაჩნია, რომ აუცილებელია ახსნა ამგვარი უარყოფისა“** და ა. შ.

რეცენზიის მეორე ნაწილში დ. ყიფიანი განიხილავს „გამოთქმათა ურიგობისა თუ შეუფერებლობის“ საკითხს და წარმოადგენს ავტორისათვის არცთუ დამამიძღვებელ დასკვნას; რეცენზენტი წერს: ამ მოსაზრებების გაცნობის შემდეგ **ვართანოვს „შეუძლია შეადგინოს ახალი, სავსებით დამაკმაყოფილებელი წერის დედანიო.“** – ფაქტობრივ დ. ყიფიანმა სარეცენზიო სახელმძღვანელო უარყო...

მეორე მაგალითი:

ივანე კერესელიძემ რუსულიდან თარგმნა საანბანე სახელმძღვანელო **„ყრმათა მეგობარი“**. სახელმძღვანელოების კომიტეტს 1852 წლის 22 აპრილს წიგნი სარეცენზიოდ გადაუცია დიმიტრი ყიფიანისათვის, რო-

მელმაც 15 მაისს წარუდგინა კომიტეტს რეცენზია. დასკვნა ამ შემთხვევაშიც მკაცრია და ობიექტური:

„განხილვის შემდეგ გაირკვა:

1. ასოები – განსაკუთრებით ხვეული ასოები – ულამაზოა; ბევრია შეცდომა. **პირველდაწყებით საკითხავში ამგვარი ხარვეზები დაუშვებელია**, რათა ბავშვებმა არ აითვისონ ისინი.

2. **თარგმანი არ ამართლებს მიზანს**: ყველაფერი, რაც ამ წიგნშია შესული, გადმოცემული უნდა იყოს მარტივად, გასაგებად, იმ ცოცხალი სასაუბრო ენით, რომლითაც რიგიან საზოგადოებაში ლაპარაკობენ. **თარგმანი ვერცერთ ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს**; მაშასადამე ამ წიგნის **კითხვა ბავშვისთვის იქნება არა მარტო უსარგებლო, არამედ – საზიანოც**. და ეს იმიტომ რომ **ენა თარგმანისა მეტისმეტად მიახლოებულია ე.წ. მწიგნობრულთან და დიდადაა დაშორებული სასაუბრო ენას**. ამდენად, აუცილებელია თარგმანის მთლიანად გადამუშავება და წიგნის ხელახლა დაბეჭდვა“...

ფაქტობრივ, ამ წიგნის ბედიც ისეთივეა, როგორც ვართანოვისა!... ორივე შემთხვევაში რეცენზია დღესაც კი ნიმუშად შეიძლება გამოდგეს იმისათვის, თუ როგორი უნდა იყოს მიდგომა სახელმძღვანელოებისადმი...

ორივე სარეცენზიო წიგნი დაწუნებული იქნა კომიტეტის მიერ...

აქ გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ ზოგად პრინციპებს, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს საანბანე წიგნი, ერთი მხრივ, და როგორი ენით უნდა იწერებოდეს სახელმძღვანელო (მითუმეტეს პირველდაწყებითი სახელმძღვანელო!)... ამას გავიხსენებთ იაკობის „დედაენაზე“ მსჯელობისას.

ამ წიგნში (დ. ყიფიანი, ტ. IV) კიდევ ორი რეცენზიაა დაბეჭდილი: პეტერბურგის უნივერსიტეტს ხსენებული სახელმძღვანელოების კომიტეტისათვის სარეცენზიოდ გადმოუცია **დავით ჩუბინაშვილის „ქართული გრამატიკა“** და **„ქართულ-რუსული ლექსიკონი“**. დასკვნების დაწერა დიმიტრი ყიფიანისათვის მიუზღვიათ. რეცენზიები ვრცელია (ამ წიგნში: გვ. 200-238). თუ რა დონის პროფესიონალია დიმიტრი ყიფიანი ქართული ენის სფეროში, კარგად ჩანს ამ რეცენზიებიდანაც...

აქვე არის გამოქვეყნებული დ. ყიფიანის რეცენზიები **ივანე კერესელიძის „ქართულ ქრესტომათიაზე“** და **პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემულ ქართულ წიგნებზე**...

ყოველივე ეს გავიხსენეთ იმისათვის, რომ გვეთქვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილისათვის დიმიტრი ყიფიანის აზრი „დედაენაზე“... და რატომ ეამაყება იაკობს დიმიტრი ყიფიანისეული შეფასება...

* * *

1876 წელს გამოდის მწვერვალი ქართული პედაგოგიური აზროვნებისა **იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“**. დიმიტრი ყიფიანს ამ დროს სამსახურებრივად აღარ ევალება წიგნების რეცენზირება, იგი იმჟამად **თბილისის ქალაქის თავია** (1875-1879 წწ); მაგრამ ახერხებს, გამოძებნოს დრო, გულდასმით გაეცნოს „დედაენას“ და დაწეროს საკმაოდ ვრცელი რეცენზია საქებარი შეფასებითა და 40-ოდე შენიშვნა-სურვილით... ესაა შენიშვნები საქმისათვის და არა შენიშვნა შენიშვნისათვის...

ვართანოვისა და კერესელიძის სახელმძღვანელოებზე გაკეთებული დასკვნები გვახსოვს... „დედაენის“ შესახებ რეცენზია ასე იწყება: **„დედაენა“ ი. გოგებაშვილისა ძალიან გამოსადგი, ძალიან სასარგებლო წიგნი არის და საუცხოოთ არის შედგენილი“**. რეცენზია ასე მთავრდება: **„კარგი წიგნი რომ არ ყოფილიყო, არას ვიტყოდი“**...

რეცენზიის მეორე აბზაცში დ. ყიფიანი განმარტავს, რა პრინციპზე უნდა იყოს დაფუძნებული სახელმძღვანელო ზოგადად. სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით არის რეცენზია შედგენილი. ამ შეგონებას დ. ყიფიანის მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. უფრო სწორად, ეს ის ზოგადი პრინციპია, რომელიც სახელმძღვანელოს შედგენის მსურველმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს (არა მხოლოდ ენობრივი სახელმძღვანელოს ავტორმა!). მოვისმინოთ:

„დედაენა“ სასარგებლო წიგნიაო, ბრძანებს დ. ყიფიანი, – „მაგრამ ახალ მოსწავლეთათვის გამოცემულს პირველ საკითხავს წიგნში შევთომა არ უნდა იყოს რა, რომ ნაკლულოვანება კანონიერებად არ დამკვიდრდეს და შევთომა შემეცნებათ არ მიიღონ. მოსწავლენი იფიქრებენ, რადგან ასეა დაბეჭდილი, უთუოდ ასე უნდა იყოსო და დედა ენა შეილახება“...

მოგვიანებით ი. გოგებაშვილი უკვე სხვას დამოდღვრავს ამგვარი შეგონებით: **„საანზანე წიგნი ენობრივი სახელმძღვანელოა და იგი უნდა იყოს უშეცდომო... ისე საჭირო არსად არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში“**...

დ. ყიფიანი – თბილისის ქალაქის თავი – არ იშურებს დროს და საკმაოდ ვრცელ წიგნს „დედაენას“ (160 გვ.) როგორი ინტერესით, მონდომებითა და პასუხისმგებლობით კითხულობს, ჩანს ამ რეცენზიიდან... არადა, არაა იოლი სარეცენზიო საანზანე სახელმძღვანელო: სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების ტექსტები, სავარჯიშოები, ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხი... მათი შინაარსობრივი თუ იდეური მიზანშეწონილობა... ენობრივი მხარე...

საანზანე ნაწილის მიმართ რეცენზენტს შენიშვნები არა აქვს! ალბათ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ცნობილი მოღვაწე ასეთი აღფრთოვანებით იწყებს რეცენზიას... ისიც გავიხსენოთ: ი. კერესელიძის მიერ რუსულიდან თარგმნილი „ყრმათა მეგობრის“ რეცენზირებისას დ. ყიფიანი სინანულით წერდა: „იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამჟამად ქართულ ენაზე არ არსებობს არც ერთი პირველდაწყებითი საკითხავი, რაც თავის მხრივ, მხარის სასწავლო დაწესებულებებში ფრიად აძნელებს საქმეს“... და აი,

„დედაენის“ სახით გამოჩნდა დიმიტრი ყიფიანისათვის მოსაწონი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო და სწორედ ამ სახელმძღვანელოს გაუმჯობესებისათვის იწერება ეს რეცენზია (და არა გამოსაქვეყნებლად! დაიბეჭდა გვიან, 1940 წელს „მნათობში“ (№ 10) შ. გოზალიშვილის პუბლიკაცი-
აში).

რეცენზენტის შენიშვნებსა თუ სურვილებს იწვევს მეორე ნაწილი „დედაენისა“ – „პირველი საკითხავი წიგნი შემდეგ ანბანისა“.

რა არის რეცენზენტის მსჯელობის საგანი:

ა) გრამატიკული ფორმები, მათი ანალიზი, თეორიული მსჯელობა და საკუთარი თვალსაზრისის შეთავაზება;

ბ) ლექსიკისა და ფრაზების ანალიზი; ამა თუ იმ სიტყვა-ფრაზის ისტორია, გავრცელებულობა, ორთოგრაფია...

გ) სინტაქსური კანონზომიერებების დადგენა...

დ) ანდაზების, ენის გასატეხის შინაარსობრივი მხარე...

როგორც ვთქვით, სულ 40-ამდე შენიშვნაა...

ნიმუშად იმისა, თუ როგორი შენიშვნებია, რამდენად სერიოზული, არგუმენტირებული, ანგარიშგასაწევი, მოვიყვანო რამდენიმე მათგანს:

– გვ. 20. ქვეიდან 10 სტრ (დამოწმება „დედაენის“ პირველი გამოცემისა – გ.გ.): „მიქონდა... დაჰკარგა“. **ჰ** ისე მეორე სიტყვაში არ არის საჭირო, როგორც პირველში, თუმცა კი ორივეშია საჭირო; ბევრნი არა თუ **ჰ**-ს ცხადად გამოსთქვამენ, მიჰქონდა, – **ჰ**-ს მაგიერად თითქმის **ხ**-საც ხმარობენ – მი**ხ**ქონდაო“. ამ შენიშვნაში რამდენიმე მომენტს მივაპყრობთ ყურადღებას: უტყუარია ენობრივი ალღო დ. ყიფიანისა და შესაშური ცოდნა ქართულისა: მოგვიანებით დადგენილი ნორმის მიხედვით სწორია **მიჰქონდა** და **და-კარგა**... ორივეშია საჭიროო, ამას XX ს-შიც ამტიცებდნენ... დიალექტთა ერთ ნაწილში რომ **ხ**-ც იხმარება, ესეც იცის რეცენზენტმა და არგუმენტად მოჰყავს... საერთოდ, ხალხურ მეტყველებაში ფორმის დადასტურება ერთ-ერთი მთავარი საბუთია რეცენზენტისათვის... და ი. გოგებაშვილისათვისაც: როგორც ი. გოგებაშვილის საპოლემიკო სტატიების გაცნობა ადასტურებს, „ხალხი ასე ამბობს (ან არ ამბობს)“ მთავარი არგუმენტია იაკობისთვის.

– 148. ქვეიდან 19. **ჰყავდა** და არა **ჰყვანდა**. ჰყვანდა სულ არ ითქმის, გაჰყვანდა კი, მაგრამ სხვა ზმნაა.

– 120 – 8. **იყოს** და არა **იყვეს**. იყვეს სხვა ზმნაა: იყვეს, იყვეს და ვერ გაიყვეს...

– 87 – 5. „**ამყნევენ**“ არა: **ამყნობენ**, **ანამყნევენ**, – ნამყენი და სამყენი, დამყნული და დასამყენი...

ამ და მსგავს შენიშვნებს უფროსი კოლეგისას ი. გოგებაშვილი გაითვალისწინებს.

სხვა სახის შენიშვნები:

–სასაუბროში (გვ.40) იაკობი ცხოველებს ჩამოთვლის და შემოაქვს ტერმინი „**შინაური ცხოველები**“. რეცენზენტი წერს: „რასაც რუსულად **„დომაშნიე ჟივოტნიე**“ ჰქვია, იმას ქართულათა ჰქვია, საზოგადოდ **საქონე-**

ლი; და კერძობითად – **საქონელი** – „**კრუპნიე ყივოტნიე**“, **წვრილფეხი** – თხა, ცხვარი, ღორი...“ ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, შეგვედარებინა „დედაენის“ პირველი გამოცემისათვის ბოლო (იაკობის სიცოცხლეში. 1912 წ.) გამოცემა. სხვაობა ძალიან დიდია ამ ორ გამოცემას შორის, თუმცა ზოგი მასალა მეორდება. ეს სასაუბრო (ცხოველები) ბოლო ვარიანტში უფრო ვრცელია, მაგრამ ფაქტია, ტერმინი **საქონელი** შემოაქვს, თუმცა **შინაურ ცხოველებსაც** ტოვებს...

ანდა: სარეცენზიო „დედაენაში“ ასეა: „პურსა, სიმინდსა, ღომსა, ქერსა, შვრისა და ფეტვსა რა საერთო სახელი შეიძლება დაერვას? – **საპურე მცენარეები**. (გვ.78). რეცენზენტი შენიშნავს: „**საპურე მცენარეს** ქართულად **ჭინახული** ჰქვია“ (247). იაკობი **საპურეს** ჩაანაცვლებს **ჭინახულით** და რამდენჯერმე იმეორებს სავარჯიშოში (დამახსოვრება რომ შეძლოს მოზარდმა)...

არის შემთხვევები, როცა რეცენზენტი კითხვას სვამს. მაგ.:

– „114. სადაც აქ **ნაწილები** იხსენიება, ჩვენ ვამბობთ **ასოებსა**. ნაწილები „**მოში**“. დამისახელებთ **ტანის ასოები** თუ **ნაწილები**?(248). იაკობს შემოაქვს **ასოები**, მაგრამ ტოვებს **ნაწილებსაც** (ხელის ნაწილები, ფეხის ნაწილები)....

„დედაენაში“ (გვ.47) ასეთი ანდაზაა: „ირემმა ირემს ბალახი აუშვირა: არც მე მაკლია, არც შენო, მაგრამ ერთმანეთის გულის დადებააო“.

რეცენზენტი შენიშნავს: „ირემმა ირემს ბალახი აუშვირა, ქართულად ასე ვამბობთ: „არც შენ გაკლია, ვიცო, – ან – შენც კი იშოვნი, ვიცო, მაგრამ იქნება ჩემგან გემოს, ან გიამოსო“ (247). ამგვარი გასწორება, დაზუსტება, ფაქტობრივ ამბად აქცევს ანდაზას და ბოლო გამოცემაში ეს „ანდაზა“ არაკად იქცევა (როგორც ჩანს ამ შენიშვნის წყალობით), ასეთ სახეს იღებს:

„ორი ირემი.

ორი ირემი სძოვდა მაღალი ბალახით შემოსილს მინდორზედ. ერთმა მოგლიჯა მთელი ბლუჯა საუკეთესო ბალახი, გაუშვირა მეორეს და მისთვაზა. მეორემ უთხრა: რად სწუხდები, ძმობილო, ხომ ჰხედავ, ბალახი მეც თავზე საყრელი მაქვსო, – ვიცი, რომ არც შენ გაკლია, მაგრამ ერთმანეთის გულის დადებააო, – უპასუხა პირველმა“... რეცენზენტმა ზუსტად შენიშნა – სათქმელი უფრო გასაგები გახდა...

რეცენზენტს მარტივი, მექანიკური შეცდომებიც არ გამოჰპარვია:

„49 – 9. „ერთ **დდეს**“. ეს სტამბის შეცდომაა: „ერთ **დდეს**“.

„35 – 3 სტ. „**გამოჩიკა**“. ქართულად: „**გამოჩეკა**“. (ი. გოგებაშვილს ფანქრით მიუწერია; „კორრექტურა“).

ერთი საინტერესო ფაქტიც: როცა დ. ყიფიანი წერს „ქართულადო“, გულისხმობს სწორ ქართულს; ანუ: არასწორი ფორმები მისთვის ქართული არ არის!..

ერთი შენიშვნის თაობაზეც მინდა კომენტარი გავაკეთო:

„153 გვ. – ქვედად 8. „**გენაცვას** ქალი იტყვის და არა ვაჟი. ვაჟი იტყვის **გეთაყვაო**“...“

ქალისა და მამაკაცის მეტყველების განსხვავებაზე დღეს საუბრობენ; ქართულ დიალექტებში ეს კარგად იკვეთება; მაგ. შორისდებულების გამოყენებაში; დ. კლდიაშვილის მოთხრობებშიც საინტერესოდ აისახა ეს ფაქტი. დიმიტრი ყიფიანის ეს დაკვირვება ფასეულია. არ ვიცით, ი. გოგებაშვილი დაეთანხმა თუ არა რეცენზენტს, რადგან ეს მასალა („კეთილი გული“) ბოლო გამოცემაში აღარაა შეტანილი...

ასევე ფასეულია დ. ყიფიანის შენიშვნები ცალკე მდგომი თანდებულების გამოყენების შესახებ; ან: ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმების თაობაზე...

როგორც ვთქვით, 40-ოდე ასეთი შენიშვნა აქვს რეცენზენტს. დასკვნა ღირსეულია: **„რადგან უეჭველია, ეს წიგნი კიდევაც ზევრჯერ დაიბეჭდება, – კარგი იქნება უკეთ გაშალაშინდეს. კარგ წიგნი რომ არა ყოფილიყო, არას ვიტყვოდი“...** და ჩვენ უკვე ვიცით, ცუდ წიგნებზე როგორი რეაქცია ჰქონდა დიმიტრი ყიფიანს...

3. „პოლემიკა“ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ თაობაზე¹

და, აი, 1882 წელს დიმიტრი ყიფიანი გაუნაწყენდა იაკობ გოგებაშვილს... საქმის ვითარება ასეთი იყო:

1882 წლის 4 ივლისს გაზეთი „დროება“ საზოგადოებას აუწყებს: „ჩვენ მივიღეთ **მეოთხე „შეცვლილი“ გამოცემა** ბ. იაკ. გოგებაშვილისაგან შედგენილის **„ბუნების კარისა** ანუ ყრმათათვის საკითხავის წიგნისა უმცროს კლასებში სახმარებლად“.

ამ გამოცემას ახლავს ავტორის „წინასიტყვაობა“, რომელშიც იაკობი აღნიშნავს: „ამ გამოცემაში ჩვენ მოვახდინეთ ზოგიერთა ცვლილებანი. პირველად ყურადღება მივაქციეთ ენის გაუკეთესობასა. **ამ გაუკეთესობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო დიდათ პატივცემულმა დიმიტრი ივანესემ ყიფიანმა, რომელმაც გულდადებით გადაიკითხა ეს სახელმძღვანელო და თავის შენიშვნები ენის შესწორების შესახებ გამოგვიგზავნა ჩვენა.** ამ შენიშვნებით, რასაკვირველია, ჯეროვნად ვისარგებლეთ და **ენა ყველგან გავასწორე, სადაც კი მის უკანონობაზედ დავრწმუნდით.** პროზული სტატიების შინაარსი შიგა და შიგ შევასწორეთ და შევცვალეთ“ (ეს წინასიტყვა დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის VI ტომში, 1958, გვ. 747).

დ. ყიფიანის შენიშვნები, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელა იაკობმა, არ შემონახულა. იაკობი რომ წიგნის გაუკეთესობაში ამ შენიშვნების დამსახურებაზე მიაწინებებს და საჭიროდ თვლის საჯაროდ მადლობა გადაუხადოს რეცენზენტს, ცხადია, ეს რეცენზია ისეთივე სერიოზული იქ-

¹ (წაკითხულია მოხსენებად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე 2021 წლის 30 ივნისს)

ნებოდა, როგორც „დედაენისა“... თუმცა გამოსაქვეყნებლად, როგორც ჩანს, არც ეს „შენიშვნები“ იყო გამიზნული და ავტორს მიერთვა მოსახმარებლად... ძნელი სათქმელია, რა გაითვალისწინა იაკობმა და რა – არა... ფაქტია, **ამ წინასიტყვაობას დიმიტრი ყიფიანი აღუშფოთებია.**

1883 წლის 3 ნოემბერს დიმიტრი ყიფიანს ქვიშხეთიდან გაზეთ „დროემის“ რედაქტორისათვის, ივანე მაჩაბლისათვის, გაუგზავნია ბარათი:

„ბ-ნო რედაქტორო!

დიდათა გთხოვ, ამ ჩემს წიგნს ადგილი უზომოდ თქვენს პატივცემულ გაზეთში და ამით **მიმე ვალი მომახდევინოთ, ბ-მა იაკობ გოგებაშვილმა რომ დამატება.**

ძალიან **მიმიეა ეს ვალი**, რადგან საქვეყნოა და საქვეყნოა, რადგან პირდაპირ **მცნებათა კიდობანს ეხება ჩვენსას, ჩვენს წმიდას-წმიდათას**“ (მოგვყავს დ. ყიფიანის თხზულებათა IV ტომიდან. ვიმოწმებთ გვერდს. გვ. 251).

„მცნებათა კიდობანი“ და „წმიდა-წმიდათა“ ქართული ენაა. დიას, ქართულ ენას ეხება ეს ვალიო...

რა მოხდა? რა ვალი დასდო ი. გოგებაშვილმა დ. ყიფიანს? რამ აღაშფოთა დამსახურებული მოღვაწე? რა ჩაიდინა იაკობმა ისეთი, ასე რომ გაცხარდა დიმიტრი ყიფიანი? რა საქვეყნო ვალზეა საუბარი? იაკობი ხომ მხურვალე მადლობას უხდის...

რედაქტორისადმი მიწერილი ბარათიდან: დ. ყიფიანი განმარტავს – „ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც „ბუნების კარი“ მომხვდა ხელში და შინჯვა დავუწყე. სხვადასხვა ათასნაირი შესამცენებელი ამბვის ერთ წიგნად მოქცევა **ძალიან მომეწონა** და მართლაც, ჩემის ფიქრით, **კარგად იყო შეწყობილი**“... და ამით მოხიბლულ დ. ყიფიანს გადაუწყვეტია: „მოდო, **შინაურულად, მეგობრულად** მოვეხმარები, რომ ეს მთას იქეთური ენა გადმოვაქართულებინოთ როგორმე, თორემ ენა ხომ ენათ წაიპილწა და მოსწავლეთაც თავი საწყევლად გაუხდებათ მეთქი“ (251).

სწორედ ამას გულისხმობდა წინასიტყვაობაში ი. გოგებაშვილი: „ამ გაუკეთესობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო დიდათ პატივცემულმა დიმიტრი ივანეს-ძემ ყიფიანმა, რომელმაც გულდადებით გადაიკითხა ეს სახელმძღვანელო და თავის შენიშვნები ენის შესწორების შესახებ გამოგვიგზავნა ჩვენა“.

დ. ყიფიანი უყვება ი. მაჩაბელს: მთელი წიგნის „პირველი სტრიქონიდან ბოლომდინ ისე გავუარე, როგორც მეგონა, უნდა კარგა გაადვილებულიყო. ეს ვიცოდით – ერთმა იმან, ერთმა მე და ერთმაც ჩვენმა მეგობარმა“...

დ. ყიფიანის მიზანი ნათელია – კარგი და საჭირო სახელმძღვანელო გაიმართოს ენობრივად. ქართული ენის საუკეთესო მცოდნე, XIX საუკუნეში დაწერილი ქართული ენის ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელოს ავტორი, თავდადებული ქართველი სახელმძღვანელოს ახალგაზრდა ავტორს უანგაროდ ეხმარება და ამითაა ბედნიერი; თავისი შენიშვნების გასა-

ჯაროება არც უფიქრია... მაგრამ დიდად მადლიერმა იაკობმა გადაწყვიტა საჯაროდ მადლობა გადაეხადა...

როგორც ვთქვით, დ. ყიფიანის შენიშვნები „ბუნების კარზე“ ჩვენთვის უცნობია; მაგრამ იაკობი რომ ამბობს, იქ გავასწორე, „სადაც კი უკანონობაზედ დავრწმუნდითო“? ე. ი. ყველა შენიშვნა არ იყო დამაჯერებელი იაკობისათვის და ამიტომ არ გაუთვალისწინებია...

მოდით, ესეც ვთქვათ: იაკობი ენობრივი სახელმძღვანელოების ავტორია. მისი აზრით, ამგვარმა სახელმძღვანელომ მოზარდს დედაენა უნდა ასწავლოს და შეაყვაროს... ამიტომ ენობრივი სახე წიგნისა სადავო არ უნდა იყოს... – ასე სწამდა იაკობ გოგებაშვილს და ამ საქმეში როცა დახმარება გაუწიეს, ამიტომაც იყო უზომოდ მადლიერი დიმიტრი ყიფიანისა... მისი შენიშვნებით „ჯეროვნად უსარგებლია და ენა ყველგან გაუსწორებია“, სადაც შენიშვნა სამართლიანი ეჩვენა... აი, პრობლემამაც აქ იჩინა თავი: „სადაც შენიშვნა სამართლიანი ეჩვენა“... ე.ი. დ. ყიფიანის ზოგი შენიშვნა უსამართლო ყოფილა...

და, აი, ეს გახდა დიმიტრი ყიფიანის აღშფოთების მიზეზი: მისი – ქართული ენის ღვაწლმოსილი მსახურის – შენიშვნები უსამართლოდ მიიჩნია ახალგაზრდა ავტორმა...

დიმიტრი ყიფიანი ივანე მაჩაბელს სწერდა: როცა ის შენიშვნები გადავეცი ი. გოგებაშვილს, „მე ჩემი მონაწილეობის გამოცხადება გუნებაშიც არ გამივლია; ახლა კი, რადგან ბ. იაკობ გოგებაშვილი თვითან აცხადებს, დაფარვა აღარ არის საფიქრებელი და უნდა ვსთქვა, რაც აუცილებლად არის საჭირო, რომ ქართულის მასწავლებლებმა მაინც შეიტყონ როგორმე...“

„თუ ამ მეოთხედ დასტამბულ წიგნში კიდევ არის სადმე უკანონობა, სჩანს, მე არ შევინიშნავს, ან შევნიშნე, მაგრამ ბ-ნი იაკობი არ დარწმუნებულა უკანონობაზედ...“ – აი, რამ აღაშფოთა თურმე დიმიტრი ყიფიანი!

და მუქარანარევი დაპირება: **„ვნახოთ!“**

ისეთი შთაბეჭდილება რჩება „რეცენზიიდან“ (ასე ვუწოდოთ ი. მაჩაბლისადმი გაგზავნილ ბარათს...), დ. ყიფიანს გაუსწორებია „ბუნების კარის“ პირველი გამოცემის ტექსტი: „ვალი მოვიხადე მეთქი, გულში ვთქვი და აღარ მიდევენებია კარგა ხანია თვალი, დაიბეჭდა ეს წიგნი მეორეთ თუ არა! თურმე – რას ბრძანებთ – არა თუ მეორეთ, მეოთხეთაც დაეებეჭდათ“... – ამას რედაქტორს სწერს. I გამოცემა რომ გაესწორებინა დ. ყიფიანს, ცხადია, იაკობი II გამოცემაშივე გაითვალისწინებდა (I გამოცემა – 1868 წ.; II გამოცემა – 1873 წ.). 1883 წელს სწერს დ. ყიფიანი რედაქტორს, „ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც „ბუნების კარი“ მომხვდა ხელშიო“... III გამოცემა 1876 წელს გამოვიდა; სწორედ ეს გამოცემა გაუსწორებია დ. ყიფიანს და შენიშვნები IV გამოცემაში გაითვალისწინა იაკობმა (1882 წ.)...

და ახლა სწორედ ამ IV გამოცემის შესახებ საუბრობს დ. ყიფიანი „დროების“ რედაქტორისადმი მიწერილ ბარათში („რეცენზია“ რომ დავარქვით). ამ რეცენზიასაც საინტერესო ისტორია ჰქონია:

1883 წლის 4 ნოემბერს გაუგზავნია დიმიტრი ყიფიანს ივანე მაჩაბლისათვის „რეცენზია“. ივანე მაჩაბელს არ გამოუქვეყნებია, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი გულწრფელად სთხოვდა რედაქტორს, დაებეჭდა: „დიდათა გთხოვთ, ამ ჩემ წიგნს ადგილი უბოძოთ თქვენს პატივცემულ გაზეთშიო“... თითქოსდა უცნაურია: ივანე მაჩაბელი დიმიტრი ყიფიანს არ უბეჭდავს მასალას!... ამ ფაქტს დიმიტრი ყიფიანი გაუნაწყენებია და 12 ნოემბერს ისევ მიუმართავს „დროების“ რედაქტორისათვის (ეს მიმოწერაც ქვეყნდება დ. ყიფიანის IV ტომში თ. ჯოლოგუას შენიშვნებითურთ – გვ. 486 – 488):

„მოწყალეო ხელმწიფე
კნიაზ ივან გიორგის ძე,

4 ამ თვეს გამოგიგზავნეთ „ბუნების კარის“ შესახები ჩემი წერილი დასაბეჭდავად.

შევსცდი.

ამასთან 3-ს ფოჩტის მარკას გიგზავნით და გთხოვთ, თუ დასტამბული არ იყოს, **დამიბრუნოთ** (ხაზი ავტორისაა – გ.გ.).

ამას გარდა..“ (და აქ სხვა თხოვნაცაა...)

რაში მდგომარეობსდ. ყიფიანის **შეცდომა**, რატომ ითხოვს წერილის დაბრუნებას, არა ჩანს...

16 ნოემბერს ივანე მაჩაბელი საპასუხო წერილს მისწერს დიმიტრი ყიფიანს:

„უპატივცემულესო ბატონო დიმიტრი,

გაახლებთ ამასთანავე თქვენს წერილს „ბუნების კარის“ შესახებ და მოგახსენებთ მიზეზს აქამდის დაუბეჭდაობისას. მე ვერიდებოდი, რომ თქვენს წერილს **რაიმე უსიამოვნება არ გამოეწვია** (ხაზი აქ და შემდეგ ჩემია – გ.გ.); რაკი თქვენს წერილს დავბეჭდავდი, გოგებაშვილსაც მიეცემოდა უფლება **ცხარე კრიტიკაზედ ცხარევე პასუხი დაეწერა** და ამგვარი **პოლემიკა არ მოუხდებოდა ეხლანდელ დროს**, როდესაც იანოვსკიმ სასტიკი ომი გამოუცხადა ქართველთა შორის განათლების საქმეს და თავის უკანასკნელს ცირკულარში წერა კითხვის საზ. გამგეობის წევრთა უწოდა „ნერაზუმნიე პედაგოგი“.

მაინც და მაინც თუ ისურვებთ თქვენის წერილის დაბეჭდვას, უკანვე გვიბოძეთ და მაშინვე დავბეჭდავთ.

თქვენი ლექსი პირველსავე ნომერში დაიბეჭდება.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი

ი. მაჩაბელი“.

როგორც ჩანს, ი. მაჩაბელი არსობრივად არ ეთანხმება დ. ყიფიანის შენიშვნებს „ბუნების კარის“ IV გამოცემის თაობაზე; იცის, რომ ი. გოგებაშვილი, მიუხედავად უღრმესი პატივისცემისა დ. ყიფიანის მიმართ, უპასუხოდ არ დატოვებდა გაზეთში გამოქვეყნებულ შენიშვნებს და რედაქტორსაც მორალური უფლება არ ექნებოდა, პასუხი არ დაებეჭდა. ივანე მაჩაბელი, ჩანს, ამ შემთხვევაში თანაუგრძნობს ი. გოგებაშვილს, მაგრამ დ. ყიფი-

ანისადმი უდიდესი პატივისცემა აიძულებს ეს გადაწვეტილება მიიღოს... საინტერესოა ი. მაჩაბლის მიერ იანოვსკის ფაქტორის მოშველიება; მოგეხსენებათ, ივანე ჯავახიშვილს ასეთი აზრი ჰქონდა: „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენასო“... ჰოდა, ქართული ენის ორი უდიდესი ავტორიტეტის წაკიდება ამ მტრის წისქვილზე დაასხამდა წყალს, – ასეთი იყო რედაქტორის არგუმენტი...

როგორც ჩანს, დ. ყიფიანი ხვდება, დაუბეჭდავობის ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ რედაქტორი ი. გოგებაშვილის მხარეს იხრება; სიფიცხე გაუნელდა უკვე, მთლად უკანაც არ იხევს და ამიტომ ი. მაჩაბელს ფაქტობრივ შუამავლის ფუნქციას აკისრებს... ეს კარგად ჩანს საპასუხო წერილიდან, რომელიც დ. ყიფიანს ი. მაჩაბლისათვის 1883 წლის 18 ნოემბერს მიუწერია:

„უძვირფასესო ბატონო
კნიაზო ივანე,

ჩხუბში (როგორც ჩანს, იგულისხმება ბანკის თაობაზე არსებული დაპირისპირება – გ.გ.) მე თქვენი მხარე უნდა დავიჭიროო და, ჯერჯერობით მაინც, ისეთი აღარ დაგაბეჭდინოთ რა, რომ კვერის დაკვრას ეგვანებოდა მტრისას.

მაგრამ გთხოვთ **ეს გადასცეთ ბატონ იაკობს**, რომ **თუ მეხუთედ დაბეჭდილს წიგნშიაც ანაირი საბრალო ჩვენი ენის გაუპატიურება ვნახე; მაშინ კი ნუ რას უკაცრავად**, აღარც ჩხუბს მივჰხედო, აღარცა რა ვის ხათრი შევუნახო და მოურიდებლად და ვთქვა ჩემი სათქმელი...

ვარიანი რომ ვახსენე, მე ეს არ მიხუმრია. იქაურია ბ. იაკობი და მგონია იქ არა ვინ უთხრას უარი, თუ სთხოვს ვისმე და შინაურულად გადააქართულებინებს, რაც ქართული არ არის.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი
დიმ. ყიფიანი.“

საინტერესოა **ვარიანის პასაჟი**: „რეცენზიაში“ დიმიტრი ყიფიანი „ბუნების კარის“ გასაკეთილშობილებლად ასეთ „რეკომენდაციას“ იძლეოდა: „ბუნების კარი“ იაკობ გოგებაშვილმა „უცილობლად უნდა გაასწორებინოს ვისმე ქართულის მცოდნესო“ და შემდეგ დააზუსტებს: „ჩემთავად მე ამას გავბედავ და მოვახსენებ: ერთი ათიოდე თუმანი გადასდვას საზოგადოებამ (იგულისხმება ქშწკვ საზოგადოება – გ.გ.) და ქართლის სოფელს ვარიანში იქირავოს ვინმე ერთ-ერთი იქაური ხნიერი კაცი; – იმას უკითხოთ გოგებაშვილის წიგნი; რასაც ვერ გაიგებდეს, აუხსნან ხოლმე და როცა გააგებინებენ, ჰკითხოთ, ის როგორ იტყოდა და როგორც იტყვის, ისე დასწერონ. უეჭველია, **სწორეთ გამოსადეგი წიგნი გამოვა მაშინ**“... ირონია დაუფარავია; განაჩენი – მკაცრი: ეს წიგნი („ბუნების კარი“) გამოუსადეგარიია!.. არადა, III გამოცემა რომ წაუკითხავს, მოსწონებია და მეგობრულად შენიშვნებიც მიუწოდებია, რის გამოც იაკობი დიდად მადლიერი დარჩენილა...

არ ვიცით, სანამ დ. ყიფიანი რეცენზიას გაითხოვდა რედაქციიდან, იაკობი გაეცნო მას თუ არა; თუ გაეცნო, შემდეგ გამოცემებში რა გაითვალისწინა და რა – არა: არა გვაქვს ახლა შესაძლებლობა რეცენზირებული გამოცემა მომდევნოს (მეხუთე გამოცემა 1885 წელს გამოდის – „შევსებული გამოცემა“) შევუდაროთ; ჩვენ ხელთა გვაქვს „ბუნების კარის“ 21-ე გამოცემა (იაკობის სიცოცხლეში ბოლო, 1912 წლისა). როგორც ცნობლია, ყოველი ახალი გამოცემა არის შევსებული და შესწორებული... ამიტომ მე-4 გამოცემის მიხედვით შედგენილი შენიშვნების გათვალისწინება-არგათვალისწინების გადამოწმება შეუძლებელია...

თუმცა შეიძლება საუბარი „გაბრაზებული კაცის“ მიერ დაწერილ „რეცენზიაში“ წარმოდგენილ შენიშვნებზე:

ვრცელი კონტექსტის გაუაზრებლად ზოგჯერ ჭირს შენიშვნის გაგება; მითუმეტეს საუბარი მის მართებულობა-უმართებულობაზე; მაგ.:

- „აქ ყორანზედ არის ლაპარაკი და არა ყვავზედ“;
- „არამედ მასში... მისდამი“, ორი კილო კიდევ შერიეთ“?
- „წინ ედგა სტაქანი, ბოთლი, საღვინე, ქვაბი, – და წინ უდგა კაცი, ბიჭი, გოგო“...

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, შენიშვნა შენიშვნისთვისაა გაკეთებული:

– „იგი გაკეთებულია ნაფოტებისაგან... ჯერ ერთი, რომ იგი ნაცვალსხელი არის სამწიგნობრო კილოსი და თქვენი წიგნი სასაუბროთია დაწერილი. მერე ნაფოტებმა როგორ გააკეთესო...“ და სხვა.

– „ენის გაუკეთესობასაო...“ წმინდა ქართული – განვითარება – რათ დაიწუნეთ?

– „ყველაზე კარგა“ კი არა, ქართულად უნდა – ან ყველაზედ უკეთ, ან ყველაზედ უფრო კარგა...

არის შენიშვნები, რომლებიც კალმის შეცდომას ჰგავს:

- ირაცხებოდა და ირაცხებოდა სხვადასხვაა...
- უცოდინარო კი არა, უცოდინარი...
- ანდრია მ დაარსაო... სწორია დაარსაო...

ცხადია, ი. გოგლაშვილისათვის სადავო იქნებოდა ამგვარი შენიშვნები:

- ვილცამ კი არა ვილამაც...
- ბუზსავით კი არა ბუზივით...

არის შენიშვნები, სადაც არაა სადავო რეცენზენტის პოზიცია:

– „სიღნახი ათიათას მცხოვრებს იპყრობს“. როგორ? ხელში უჭირავს ყველანი? მიპყრია – მიჭირავს, მიჭერია...

– „უღელი კისერზედ არ სდგომიათ“. სდგომიათ ერთია და სდგმიათ სხვა არის...

– „ჯალაბობა გაუსაღდებოდაო“, – თუ კარგად ეყოლებოდა? გასაღება ქართულად გაცემა არის, დახარჯვა, მოხმარება...

თავისთავად, ყველა შენიშვნას ვერ მოვიყვანთ; ვცადეთ, ჩვენი თვალსაზრისით, კლასიფიკაცია მოგვებდინა შენიშვნებისა; არ გვიკვირს, ივანე მაჩაბელმა რომ არ გამოაქვეყნა – ხშირ შემთხვევაში გაცხარებული (ი. მაჩაბლის მოყვანილი ეპითეტია) რეცენზენტი ტენდენციური ჩანს... არ ჰგავს ეს რეცენზია „დედაენის“ შესახებ დაწერილ რეცენზიას... და, როგორც ჩანს, არც „ბუნების კარის“ შესახებ დაწერილ პირველ რეცენზიას...

ფაქტია – იმ შემთხვევაში, როცა აშკარა სიმართლე სახელმძღვანელოს ავტორის მხარესაა, იაკობი ამგვარ შენიშვნას არ მიიღებდა...

პათოსი დიმიტრი ყიფიანისა ნათელია, „დედაენის“ შესახებ საუბრობს თუ „ბუნების კარის“ შესახებ: „ეს ჩემი ბრალია, თუ ვისი, ახლა საქმის გასწორება უნდა როგორმე; **თორემწახდა ჩვენი მშვენიერი, ჩვენი სათაყვანებელი ენაო!**“

მთელი ცხოვრების მანძილზე ეს იყო ერთი უმთავრესი საფიქრალი და საზრუნავი იკობ გოგებაშვილისათვისაც და დიმიტრი ყიფიანისათვისაც!

ცნობილი ფაქტია, იაკობ გოგებაშვილი ნებისმიერ შენიშვნას, თუ არ დარწმუნდებოდა, არ მიიღებდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აშკარად დაეთანხმებოდა ასეთ მსჯელობას დიმიტრი ყიფიანისას (ზოგადად და არა მხოლოდ მისი მისამართით): **„რაც ქართული ასოებით დაიწერება, ყველა ხომ ქართული არ იქნება:** მე სპარსული წიგნიც მინახავს ქართული ასოებით დაწერილი, ქართული ასოებით რომ სომხურად, მეგრულად, ან ჭანურად შეადგინოთ წიგნი და ქართველ ბავშვებს აკითხოთ, რა უნდა გაიგონ. – ზოგი რამ აქეთური იყოს და ზოგი იქითური, ეს ხომ უარესი...“

იაკობს ის წერილიც რომ ენახა, მაჩაბელს რომ მისწერა დიმიტრი ყიფიანმა, მუქარას რომ უთვლიდა იაკობ გოგებაშვილს, მჯერა, იაკობი ამა-საც შეიწყნარებდა, რადგან თავადაც ასე მოიქცეოდა, თავადაც ასე შეაფასებდა უდიერ მოპყრობას დედაენისადმი. გავიხსენოთ მაჩაბლისადმი მიწერილი წერილიდან: **„თუ მებუთედ დაბეჭდილს წიგნშიაც ამნაირი საბრალო ჩვენი ენის გაუპატიურება ვნახე; მაშინ კი ნუ რას უკაცრავად, აღარც ჩხუბს მივჰხედო, აღარცა რა ვის ხათრი შევუნახო და მოურიდებლად და ვთქვა ჩემი სათქმელი“...**

არ ვიცი, როგორ გაგრძელდა პირადი ურთიერთობები დიმიტრი ყიფიანსა და იაკობ გოგებაშვილს შორის ამ წერილების შემდეგ. მაგრამ ვიცი, რომ იაკობი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა უდიდესი პტივისმცემელი და დამფასებელი დიმიტრი ყიფიანის ღვაწლისა. იგი ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით გამოარჩევდა დიმიტრი ყიფიანს სხვა მოღვაწეთაგან. მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილებიდან (ვიმოწმებთ ი. გოგებაშვილის თხზულებათა II ტომიდან, რომელშიც შესულია 1884-1895 წლებში დაწერილი წერილები; გვახსოვს, მიმოწერა „დროების“ რედაქტორთან დ. ყიფიანისა 1883 წელს გამართა; ისიც გავიხსენოთ: 1886 წელს დ. ყიფიანი გადაასახლეს სტეროპოლში და 1887 წელს მოკლეს...):

– „ბ-ნი ნასიმე... გამტყუნებული იქმნა პროფესორების ჩუბინაშვილის და ცაგარლისაგან, თავის მხრივ ეთანხმება **მადალ-პატივცემულს დიმიტრი ივანეს ძეს ყიფიანს...**“ (ი. გოგებაშვილი, ტ. II, გვ. 91).

– „ყოველი შეგნებული მასწავლებელი აღიარებს, ირწმენს არა ათს ბრუნვას ბროსესავით, არა რვასა ანტონი კათალიკოსის, მისი მიმდევრების და პროფესორის ჩუბინაშვილისავით, არა ექვსსა პლატონ იოსელიანისავით, არა **ოთხსა ბატონის დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანისავით** და არც ხუთსა ბ-ნი ნასიმესავით, არამედ შვიდსა, თანახმად ჩვენის საბუთებისა“ (124).

– „საყოველთაო ნატვრაც არის, რომ ჩვენმა **ღრმად განვითარებულმა გრამატიკოსებმა დიმიტრი ივანეს-ძემ ყიფიანმა და პროფესორმა ჩუბინაშვილმა** მალე გვაღირსონ თავიანთი ახალი ნაწარმოებნი“ (134).

– „ბ-ნი გიორგი წერეთელი იხსენიებს **დაუვიწყარის დიმიტრი ყიფიანის სახელსა...** ეს **უსახელოვანესი ქართველი**“... (409)...

ი. გოგებაშვილი ხშირად გაიხსენებს დ. ყიფიანს ქშუკვ საზოგადოების შესახებ საუბრისას თუ საგრამატიკო ბაასის დროს, მაგრამ თითქმის არც ერთხელ მსგავსი ეპითეტებისა და მამის სახელით მოხსენიების გარეშე (განსხვავებით სხვათაგან)!..

XIX საუკუნის საქართველოში ქართული საქმის წარმატება, განსაკუთრებით ქართული ენის მდგომარეობის გაუმჯობესება ამ ორი დიდი მოღვაწის – დიმიტრი ყიფიანისა და იაკობ გოგებაშვილის – მათი ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის წყალობაა...

ეს ისტორიაც ამ წყალობის ნაწილია...

ლიტერატურა

ბარამიძე 1980 – ა. ბარამიძე, იოანე ბატონიშვილი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980.

გოგოლაშვილი 2010 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბ., 2010.

საბაშვილი 1944 – ბ. საბაშვილი, სახელი და ზმნა დ. ყიფიანის გრამატიკაში: თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, II, თბ., 1944.

ლეჟავა 1981– ლ. ლეჟავა, მეტყველების კულტურის საკითხები დ. ყიფიანის „ახალ ქართულ გრამმატიკაში“: ქსკს, წიგნი მეოთხე, თბ., 1981.

ლეჟავა 1986 – ლ. ლეჟავა, დ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამმატიკა“ (გამოქვეყნებიდან 100 წლისთავის გამო): იკე, XXV, Tb., 1986.

ყიფიანი 2019 – დიმიტრი ყიფიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 2019.

შანიძე 1998 – ა. შანიძე, დიმიტრი ყიფიანი როგორც გრამატიკოსი: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბ., 1998.

ჩიქობავა 1998 – არნ. ჩიქობავა, დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბ., 1998.

ჯოლოგუა 2019 – თ. ჯოლოგუა, „ახალი ქართული გრამმატიკა“ – შენიშვნები და კომენტარები: დ. ყიფიანი, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 2019.

Giorgi Gogolashvili

Dimitri Kipiani and the Georgian Language (Essays)

Summary

1. A Few Words about Dimitri Kipiani's "New Georgian Grammar".

Several practical textbooks of the Georgian language were created in the 19th century. Among them "Grammar of the New Georgian Language" by a famous figure, Dimitri Kipiani, published in 1882 is distinguished. The book differs from all the previous publications in its style and methodology: dialogue-based discussion and interaction with students ("father's one" to "children") is so much fun and it uses a question-and-answer method to explain complex grammatical issues.

D. Kipiani's main principle is "being national" and he uses these principles to explain grammatical terms or concepts.

In the textbook, especially in the verb part, there are many interesting observations, findings which have not lost their topicality even today.

2. Dimitri Kipiani and the Alphabet Textbooks of That Time

Dimitri Kipiani, a well-known 19th-century public figure, took an active part in the formation of a national school. In the 50s, he was the head of the Georgian Language Department at the Committee for Compiling Textbooks. The archives of the given period have preserved his extremely critical reviews on the ABC textbooks compiled by Vartanov and I. Kereselidze.

By contrast, D. Kipiani's attitude towards Jacob Gogebashvili's Mother Tongue (1876) is quite different; he regards Mother Tongue as the best textbook. Kipiani's valuable suggestions were taken into consideration by the author in the second edition of the book.

3. "Controversy" Regarding Jacob Gogebashvili's "The Door of Nature".

In 1882, the fourth edition of J. Gogebashvili's "The Door of Nature" was published, in the preface of which the author thanked D. Kipiani for his critical review and comments on the book. D. Kipiani was frustrated by the fact that the author did not take all the comments of the reviewer into account.

D. Kipiani wanted to publish a response letter in the newspaper "Droeba", but the editor, I. Machabeli did not consider this polemic necessary, thus, he did not publish the letter. The present essay discusses the nature of D. Kipiani's comments.

მედა საღლიანი

ორი განსხვავებული პრინციპის შესახებ ქართულ
ლექსიკოგრაფიაში
ხორხის/ყორყის/ყანყრატოს... აღმნიშვნელი სომატური
ერთეულების ანალიზისათვის სვანურში
(ქართულ-ზანურთან შეპირისპირების საფუძველზე)

ხორხის/ყორყის/ყანყრატოს და ა. შ. აღმნიშვნელი სომატონიმების შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა მსჯელობა, შესაბამისად სხვადასხვა თვალსაზრისებია გამოთქმული. ცხადია, მეცნიერთა მიერ გამოტანილი დასკვნებიც არაერთგვაროვანია, რაც ნათლად ჩანს როგორც ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებიდანაც. ვინაიდან ამ ლექსიკურ ერთეულთა უმეტესი ნაწილის საერთოქართველურ დონეზე რეკონსტრუირება ვერ ხერხდება, ამიტომ გადავწყვიტეთ მათი კომპლექსური შესწავლა სვანურში სხვა ქართველურ ენებთან შედარება-შეპირისპირების საფუძველზე.

წინამდებარე ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით გაანალიზებულია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **ყერყენტ** (ბქ.)/**ყყერენტ** (ლნტ.)/**ყყერინტ** (ჩოლ.) „ყანყრატო“; **ხერხენტ/ხოხროტ** (ბქ.)/**ხეხრინტ** (ლნტ.)/**ხეხრინტ** (ლშხ., ჩოლ.) „ხორხი, ყრონტი, ყანყრატო, სასუნთქი მილი“; **ყერყინჯ/ყყერინჯ** (ბზ.)/**ყყერინჯ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/**ყყერინჯ** (ლშხ.) „ხორხი, ყრონტი; ყანყრატო“; **ყუყუტ** (ზს., ლნტ.)/**ყუყუტ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს. კნინ. ფ. **ყიყულდ** „ჩიყვი, ღაბაბი“ (შდრ. ბზ., ქს. **ფუყუტ** „ჩიყვი“; ბქ. **ქელთერ** „ღაბაბი“; ჩოლ. **ღუჩ/ღოლ/ზორძალ** „ჩიყვი“); **ყუჩი** (ბქ.) „ჩიყვი, ავადმყოფობა, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის ჩიჩახვის მსგავსი გადიდება, – ყიყვი“ (შდრ. ბზ., ქს. **ფუყუტ** „ჩიყვი“; ჩოლ. **ღუჩ/ღოლ/ზორძალ** „ჩიყვი“); **ჩინჩახუ** (ბზ.)/**ჩინჩახუ** (ბქ.)/**ჩინჩაყუ** (ლშხ., ჩოლ.)/**ჩინჩაყუ** (ლნტ.) 1. „ჩინჩაყვი“, 2. ბქ. „ნანადირევის გულ-ღვიძლი“ (შდრ. **ჭუინჩახუ** (ზს.)/**ჭუინჩახუ** (ზს.)/**ჭუინჩახუ** (ბქ.) „ჩინჩახვი“)...

თვალსაჩინოებისათვის, უპირველეს ყოვლისა, დაწვრილებით მიმოვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისებს ქართულ-ზანური შესაბამისი ფუძეების შესახებ და მხოლოდ ამის შემდგომ გამოვიტანთ სათანადო დასკვნებს სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში **ხორხის/ყორყის/ყანყრატოს** და ა. შ. მნიშვნელობით დადასტურებული არაერთი სომატური ერთეულის წარმომავლობის შესახებ.

3. ფენრიხისა და ზ. სარჯველადის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ქართ. **ყორყ-ყორყ**-ი და ზან. (მეგრ.) **ცორც-ცორც**-ელი/**ცურც**-ელი-ი „ყორყ“ ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია ***ყორყ**- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:543), იმავე არქეტიპს აღადგენს მ. ჩუხუა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში, ოღონდ საერთოქართველური ფუძეების დონეზე სვან. (ზს.) **ყჭირყ-ყ/ყჭრყ-ყ** „მარყუჭი“ ფორმის გათვალისწინებით (ჩუხუა 2000-2003: 286-287).

ქართველ და უცხოელ კომპარატივისტთა მიერ ერთმანეთთან არის აგრეთვე დაკავშირებული (**სავარაუდოდ რედუპლიკაციის შედეგად მიღებული ხმაბამებითი ფუძეები**, – ზაზი ჩვენია!) ქართ. **ყარყანტ-ყარყანტ**-ო „ხორხი ფრინველთა“ (საბა) : ზან. (მეგრ.) **ცორცონტ-ცორცონტ**-ი : ლაზ. **ყირყინტ-ყირყინტ**-ონ-ი „ყარყანტო“, რის საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ივარაუდება ***ყარყანტ**- არქეტიპი (იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 532).

შენიშვნა: ჩვენი აზრით, ***ყარყანტ**- ფუძის რედუპლიკაციის შედეგად მიღება ნაკლებ სარწმუნოა, ვინაიდან პარალელურად სვანურში **ყყრყინჯ /ყყყრინჯ/ყყყრგნჯ** ფორმებიც დასტურდება, სადაც სავარაუდოდ **-რინჯ/-გნჯ** სუფიქსი გამოიყოფა, რომელიც, ვფიქრობთ, მეგრულში მიმდებარა საწარმოებელი **-ინჯ/-ანჯ** ფორმანტის ტოლფარდია, ძირად კი გამოიყოფა **ყყრყ**-, რაც ქართულ-ზანური **ყორყ-ცორც**- ფუძის რედუცირებული სახეობაა, შესაბამისად სვანური ჰიბრიდული ფუძე ნასესხები ჩანს (იხ. ქვემოთ!).

სპეციალურ ლიტერატურაში ზემოთ წარმოდგენილი ქართულ-ზანური ფუძეების შესახებ მსჯელობა, ცხადია, ამით არ ამოწურულა. სხვადასხვა დროს ამ საკითხებს შეეხო არა-ერთი მეცნიერი და საკმაოდ საინტერესო მსჯელობებიც წარმოგვიდგინეს. ერთ-ერთ სადოქტორო ნაშრომში – „შინაურ ცხოველებთან დაკავშირებული ქართველური ლექსიკის გავრცელების გეოგრაფია“ გამოთქმულია ვარაუდი **ყ** თანხმოვნის ვარიანტების (იხ. ზემოთ!) ამოსავალი **ჭ** ფონემის შემცველი ძველქართული **ჭორჭი** „მკერდის კერძი ნაწილი ყელისა“ (საბა) ფორმისაგან მომდინარეობის შესახებ, რომელსაც თავის მხრივ მოუცია ქართული **ხორხი** და მეგრული **ხორხოტა** „ხახა, ხორხი“ ფორმები. ამასთანავე დასახელებული ნაშრომის ავტორი არ ეთანხმება ვ. აბაევის დაუსაბუთებელ ვარაუდს, რომ **ჭორჭი** > **ხორხი** ნოსტრატულ ენათა საკუთრებაა (აბაევი 1989:249), „ვინაიდან თვით ნოსტრატულ ენათა რეალური არსებობა არ არის დამტკიცებული“ (ფუტკარაძე 2020: 61-62). მ. ბუკია დამატებით წარმოგვიდგენს მეგრული **ხორხოტა** ფორმის ფონეტიკურ სახენაცვალ **ყორყოტა** ფუძეს და ამ ფუძეებში გამოყოფს **-ოტ-ა** სუფიქსს (ბუკია 2006: 70).

როგორც ვნახეთ, ჩვენ მიერ სამსჯელოდ გამოტანილი სვანური საანალიზო ფუძეების (იხ. ზემოთ!) შესახებ მსჯელობა და მათი შესაძლო დაკავშირება შესატყვისობის დონეზე სხვა ქართველურ ენებთან არ ჩანს, რაც,

ჩვენი აზრით, მათ ასევე შესაძლო ნასესხობაზე მეტყველებს, თუმცა სესხების გზების გარკვევაც საკმაოდ დიდ სირთულესთან უნდა იყოს დაკავშირებული ფონეტიკურ ვარიანტთა სიმრავლიდან და მათი არქაულობიდან გამომდინარე. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ფონეტიკურ ვარიანტთა ერთი ნაწილი სვანურ პუბლიკაციებში არ იძებნება, ისინი ძირითადად ველზე მუშაობის შედეგად მოვიპოვეთ.

მივყვეთ თანმიმდევრულად მსჯელობას და თვითოეული განსახილველი ლექსიკური ერთეული სვანური ენის ფონეტიკისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესებისა და სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილი მონაცემების გათვალისწინებით ცალ-ცალკე განვიხილოთ სვანურ მრავალფეროვან დიალექტოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით:

შენიშვნა: სანამ უშუალოდ ნაშრომის ძირითადი ნაწილის ანალიზზე გადავალთ, მანამდე წარმოვადგენთ მსჯელობას *ყელი*-ს აღმნიშვნელი სომატური ერთეულების შესახებ. როგორც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალებიდან ირკვევა, სვანური **ყია** < ძვ. ქართ. ყია (შდრ. თუშ. ყია-ა) „ყელი“ ფორმისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით და მას შესატყვისები არ ეძებნება სხვა ქართველურ ენებში. ქართ. **ყელ**- და მეგრ.-ლახ. **ყალ**-/ყალ- „ყელი“ სიტყვების შესატყვისად კი სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული ლექსიკური ერთეული (უშგ.) მგ-ყლ-ა/მგ-ყლ-ი (ფენრიხი, სარჯველამე 2000:533). მართალია, ქართულ **ყელ**- ძირს კანონზომიერად შესატყვისება მეგრ. **ყალ**- და ლახ. **ყალ**-, თუმცა კ. ჰ. შმიდტის მიერ გამოვლენილი უშგულური ფორმის (შმიდტი 1962:140) ფონემათშესატყვისობის დონეზე აღდგენა ვერ ხერხდება, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ აღნიშნული ძირი ნასესხობად მივიჩნიოთ, მითუმეტეს, რომ იგი უშგულური კილოკავის გარდა სვანური ენის არცერთ დიალექტ-კილოკავში არ გვხვდება. ნასესხებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე **ყელ**- ძირის შემცველი ბალსზემოური **ყელ**-შ- გრ/ყელ-შ-ირ „ღაბაბი“, სადაც **-გრ/-ირ** სავარაუდოდ საწარმოებელ სუფიქსად შეიძლება მოვიაზროთ, **-შ** კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეულ თანხმობით ელემენტად (**ყელ**-შ-გრ/ყელ-შ-ირ < ***ყელ**-იშ-გრ/***ყელ**-იშ-ირ < ქართ. ყელ-ის-ა/ყელ-ის-ან-ი).

1. **ყგრყენტ** (ბქ.)/**ყგრყენტ** (ლნტ.)/**ყგრინტ** (ჩოლ.) „ყანყრატო“ < ქართ. (გურ.) ყორყ-ინტ-ე/ყორყ-ინტ-ი (<*ყორყ-ინტ-ა-ი)¹ „ყელი, ხორხი“ ფორმისაგან სვანურის ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების (*რედუქციის*, *ხმოვანთა სიგრძის*, *აუსლაუტის გამარტივების*, *მეტათეზისის*...) განხორციელებით.

ჩვენი დაკვირვებით, ქართ. (გურ.) **ყორყ-ინტ-ე** > ***ყორყ-ინტ-ე** > ***ყორყ-ინტ** > ჩოლ. **ყგრ-ინტ** შემდეგი ფონეტიკური პროცესების გავლით,

¹ შდრ. ასევე ფშ. *ყორანჭა*, მესხ. *ყორჭაპი*, იმ. *ყორნჭი*, გურ. *ყორყი*.

კერძოდ: *მეტათეზისის, რედუქციისა და ხმოვანთა შერწყმის* (ანუ კომბინატორული სიგრძის). შესაძლოა, ხმოვნის სიგრძე გამოიწვიო აუსლაუტისეული **ე** ხმოვნის მოკვეცამაც, თუმცა არ გამოვრიცხავთ ჩოლ. **ყყერ-ნტ** ფორმის ***ყორყი-ინტ-ე** საგან მომდინარეობას (**ო+ი = ი**). ბალსქვემოურ ფორმაში ასევე ადგილი აქვს *ხმოვანთა რედუქციასა და აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეცას*, ლენტეხურში კი *რედუქციისა და ხმოვნის მოკვეცის* პარალელურად, ჩოლურულის მსგავსად, *მეტათეზისიც* განვითარებულა.

შენიშვნა: ქართულ საანალიზო ლექსიკურ ერთეულში გამოყოფილი **-ინტ** შესაძლოა სუფიქსად კვალიფიცირდეს, თუმცა მივყვეთ მსჯელობას სხვა საანალიზო ლექსიკურ ერთეულთა შესახებ და საბოლოო პასუხიც მეგრულ ფორმებთან შედარების საფუძველზე გავცეთ.

2. **ხგრხენტ/ხოხროტ** (ბქ.)/**ხგხრინტ** (ლნტ.)/**ხგხრინტ** (ლშხ., ჩოლ.) „ხორხი, ყრონტი, ყანყრატო, სასუნთქი მილი“ < ზან. (მეგრ.) ხირხიტა/ხორხიტა/ხორხონტა/ხორხოტა „ყელი, ხახა, ხორხი; ყანყრატო“ ფორმებისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესების (*რედუქციის, მეტათეზისის, აუსლაუტის გამარტივების, ხმოვანთა სიგრძის...*) გავლით.

ბალსქვემოურში, როგორც სამეგრელოს მოსაზღვრე დიალექტში, რამდენადაც მოსალოდნელი იყო, შედარებით ნაკლები ფონეტიკური ცვლილებები წარმართულა, შდრ., ერთი მხრივ, *მეტათეზისირებული* და *აუსლაუტმოკვეცილი* ბქ. **ხოხრ-ოტ** < ზან. (მეგრ.) **ხორხ-ოტ-ა** ფუძისაგან და, მეორე მხრივ, ბქ. *რედუქცირებული* და *აუსლაუტმოკვეცილი* **ხგრხ-ენტ** < ზან. (მეგრ.) **ხორხ-ონტ-ა** საგან. ქვემოსვანურ საანალიზო ფორმებში (ლნტ. **ხგხრ-ინტ**, ლშხ.-ჩოლ. **ხგხრ-ინტ**) სესხების პროცესში *რედუქციისა და ხმოვანთა სიგრძის* კვალდაკვალ *მეტათეზისიც* განხორციელებულა.

როგორც უკვე ითქვა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ზანური **ხირხიტა/ხორხიტა/ხორხონტა/ხორხოტა**, საიდანაც ვივარაუდეთ სვანური ფუძეების სესხება, თავად ქართული **ხორხ**-ისაგან უნდა მომდინარეობდნენ (შდრ. სვან. **კარჯ** „ხახა/ხორხი“).

3. **ყყერინჯ/ყყერინჯ** (ბზ.)/**ყყერინჯ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/**ყყერგნჯ** (ლშხ.) „ხორხი, ყრონტი; ყანყრატო“ ფუძეებში ძირად უნდა გამოიყოს **ყყერყ-ყყერ-ყყერ-** < ზან. (მეგრ.) ყყერყ-ი „ყელი“ < ქართ. (გურ.) ყყერყ-ისაგან *ხმოვანთა რედუქციითა და მეტათეზისით*), ხოლო **-ინჯ/-გნჯ** სუფიქსად < მეგრ. **-ინჯ** სუფიქსისაგან (შდრ. იმერ. **ცხვ-ინჯ-ა** (< ***ჩხვ-ინჯ-ა**), რომელიც ზანურიდან შეთვისებულად ითვლება – (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:605; ბუკია 2006:59), თუმცა ზანურში სავარაუდო **-ინჯ** სუფიქსიანი *ხორხის/ყრონტის/ყანყრატოს* ადმინიშნული ფორმები სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალების მიხედვით არ ფიქსირდება. ვფიქრობთ, ეს ფუძეები თავად ზანურში დაკარგულია, რაც ამ ფორმათა უძველეს ნასესხობაზე მიანიშნებს.

ვინაიდან ზემოთ წარმოდგენილ სვანურ სომატურ ერთეულებში სუფიქსად გამოყვავით, ერთი მხრივ, **-ენტ/-ნტ** და, მეორე მხრივ, **-ნჯ/-გნჯ**, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ ორიოდ სიტყვით შევხებით აღნიშნულ სუფიქსებს ქართველურ ენებში და გავარკვიოთ მათი ფუნქცია და წარმომავლობა. საკითხის სიღრმისეული შესწავლისათვის კი საინტერესოდ გვესახება აკად. ვ. თოფურიას ნაშრომი „**-ენჯ** სუფიქსი მეგრულში“ (იხ. შრომები, II, 2002, გვ. 146-149), რაც ეხება ქართულში სხვადასხვა ფუნქციით აღჭურვილი ორი **-არ** ბოლოსართიდან ერთ-ერთის მეგრულ შესატყვისს **-ონჯ/-ენჯ/-ანჯ/-ინჯ** ბოლოსართს, რომელიც მიმღეობური ფორმების მაწარმოებელი აფიქსების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია (მაგ., შდრ.: მა-რ-**ენჯ**-ი „მყოფი“, მა-რტ-**ენჯ**-ი/მა-რტ-**ინჯ**-ი „გამქცევი, მლტოლვი“, მა-ხ-**ენჯ**-ი/მა-ხ-**ინჯ**-ი „მპარავი, ქურდი“, მა-გარ-**ენჯ**-ი „მტირალა“, ნა-რ-**ენჯ**-ი/ნა-რ-**ინჯ**-ი „ნამყოფი“, ნა-რტ-**ენჯ**-ი „განაქცევი, ნალტოლვი“, ო-რ-**ენჯ**-ი „სამყოფელი, სამყოფი“, ო-ხვ-**ენჯ**-ი „საჯდომი“, უ-შქურ-**ანჯ**-ი/უ-შქურ-**ანდ**-ი „უშიშარი“, ლურ-**ენჯ**-ი „მძინარი“, შქურ-**ინჯ**-ა/შქურ-**ინდ**-ა „მშიშარა“ და ა. შ.) და ისინი გარდა იმისა, რომ მორფოლოგიურად ფარავენ ერთმანეთს, ერთურთის ფონეტიკური ეკვივალენტებიც ჩანან, რაც, მეცნიერის თვალსაზრისით, მტკიცდება ქართულ-მეგრული შედარებითი ფონეტიკის მონაცემებითაც. ამასთანავე, **-ონჯ** სუფიქსი, რომელიც იმავე **-ენჯ**’ის ფუნქციისაა და **-არ**’ის შესატყვისი, გვაქვს შემდეგ სიტყვებში: ზოთ-**ონჯ**-ი „ზამთარი“, ქომ-**ონჯ**-ი/ქომ-**ოჯ**-ი „ქმარი“, ორცხ-**ონჯ**-ი „სავარცხელი“... (146-148).

ვ. თოფურია ნაშრომის დასკვნით ნაწილში აღნიშნავს, რომ მიმღეობათა საწარმოებელი ფორმანტი **-ენჯ** (**-ინჯ/-ანჯ**) დღეს უკვე უქმი სუფიქსია, რომელიც ხმარებიდან განდევნა მისმა მორფოლოგიურმა მონაცვლე **-ალ**’მა (იქვე:148). სწორედ ეს გაქვავებული სუფიქსი შემოინახა სვანურმა მეგრულიდან შეთვისებულ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულში, თანაც ზოგ ისეთ სიტყვაში, რომელიც დღეს თავად ზანურში დაკარგულია. რამდენიმე ამგვარი სიტყვის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა სხვადასხვა ნაშრომებში (იხ. „**ზანურიდან** (resp. **მეგრულ-ლაზურიდან) შეთვისებული ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურში**“, ქართველური მეცნიერება, ელექტრონული ჟურნალი, XXV, ქუთაისი, გვ. 248-256; „**ზანურის გზით შეთვისებული რამდენიმე უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულის ადაპტაციისათვის სვანურში**“, XLI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, მიძღვნილი აკად. ვარლამ თოფურიას დაბადების 120-ე წლისთავისადმი, თბილისი, გვ. 56-69...).

ვინაიდან სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში **-ნჯ/-გნჯ** ფორმანტების პარალელურად განსახილველ ლექსიკურ ერთეულებში **-ინტ/-ნტ/-ენტ** სუფიქსებიც გვხვდება, უპრიანი იქნება შეძლებისდაგვარად მათი წარმომავლობის გარკვევა. **-ინტ/-ანტ/-ონტ/-იტ-ა/-ონტ-ა** სუფიქსი, როგორც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალების განხილვამ აჩვენა, ქართულ-ზანურ განსახილველ ფორმებშიც გამოიყოფა. გარდა ამისა, მეგრულში დამატებით **-ოტ-ა** სუფიქსსაც გამოყოფენ (იხ. ზევით!), რაც სვა-

ნურშიც დაჩნდება (შდრ., ბქ. აუსლაუტმოკვეცილი **ხოხრ-ოტ**), სუფიქსისეული ხმოვნის მოკვეცა კი ქართულ-ზანურიდან შეთვისებულ ფორმებში ხშირი მოვლენაა. ვფიქრობთ, სვან. -**ინჯ/-ენჯ**||-**ინტ/-ინტ/-ენტ/-ოტ** და ზან. (მეგრ.-ლაზ.) -**ინტ/-ანტ/-ონტ/-იტ-ა/-ონტ-ა/-ოტ-ა** და, ასევე, ვ. თოფურისა მიერ გამოყოფილი -**ონჯ/-ენჯ/-ანჯ/-ინჯ** ბოლოსართები, დღეს უკვე ფუნქცია დაკარგული სუფიქსებია, თუმცა მკვეთრი **ტ** თანხმოვნის შემცველი სუფიქსები, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მჟღერი **ჯ** ბგერისაგან უნდა მომდინარეობდნენ არაადეკვატური აღქმის შედეგად, გამსესხებელი ენა კი ზანური უნდა იყოს, თუმცა თავად, როგორც ზემოთ წარმოდგენილმა მასალებმა ცხადყვეს, მისთვის სავარაუდო სუფიქსი (-**ინჯ**) ვერ შეინარჩუნა.

6. **ყუყუ** (ზს., ლნტ.)/**ყუყუ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს. **ყიყულდ** „ჩიყვი, ღაბაბი“ (შდრ. ბზ., ქს. **ფუყუ** „ჩიყვი“; ბქ. **ქელთერ** „ღაბაბი“; ჩოლ. **ღურ/ღოლ/ზორძალ** „ჩიყვი“).

ყუყუ (ზს., ლნტ.) < ქართ. (აჭ., იმერხ.) ყვიყვი-ი „ჩიყვი“ ფორმისაგან *ფონეტიკურად უცვლელი სახით*, ხოლო **ყუყუ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ყვიყვი-ისაგან *უმლაუტის* მეშვეობით. რაც შეეხება ზემოსვანურ **ყიყ**-ულდ ფორმას, იგი სვანური კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსითაა გაფორმებული, ძირი კი მომდინარეობს ქართული ენის დიალექტებში (რაჭულში, ქიზიყურში...) დადასტურებული ყვიყვი-ისაგან *აუსლაუტისეული ბგერის დაკარგვით*.

7. **ყუი** (ბქ.) < ქართ. ჩიყვი-ი „ავადმყოფობა, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის ჩიჩახვის მსგავსი გადიდება, _ ყიყვი“ სიტყვისაგან *მეტათეზისის* საშუალებით (შდრ. ბზ., ქს. **ფუყუ** „ჩიყვი“; ჩოლ. **ღურ/ღოლ/ზორძალ** „ჩიყვი“).

8. **ჩინჩხუ** (ბზ.)/**ჩინჩხუ** (ბქ.)/**ჩინჩაყუ** (ლშხ., ჩოლ.)/**ჩინჩაყუ** (ლნტ.) 1. „ჩინჩაყვი“, 2. ბქ. „ნანადირევის გულ-ღვიძლი“ (შდრ. **ჭუინჩხ** (ზს.)/**ჭუინჩხ** (ზს.)/**ჭურჩხ** (ბქ.) „ჩინჩახვი“).

ბზ. **ჩინჩხუ** < ქართ. ჩინჩახვი-ი „ფრინველის საყლაპავი მილის გაფართოებული ნაწილი, სადაც საკვები ღებება (კუჭში ჩასვლამდე), _ ჩინჩახვი“ ფორმისაგან *პალატალური უმლაუტის* განხორციელებით, ბქ. **ჩინჩხუ** კი < ქართ. ჩინჩახვი-ისაგან ასევე *უმლაუტის* საშუალებით. რაც შეეხება ლშხ. **ჩინჩაყუ**-ს, იგი < ქართ. (მთიულ.) ჩინჩაყვი-ი „ღაბაბი“ სიტყვისაგან სონორი **ნ ბგერის ჩართვით**, ხოლო ლნტ. **ჩინჩაყუ** < ქართ. (მთიულ.) ჩინჩაყვი-ი „ღაბაბი“ სიტყვისაგან როგორც *ბგერის ჩართვით*, ასევე *უმლაუტის* მეშვეობით.¹

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ სამსჯელოდ წარმოდგენილი სომატური ლექსიკური ერთეულების შესახებ სამეცნიერო მიმოქცე-

¹ რაც შეეხება **ჭუინჩხ** (ზს.)/**ჭუინჩხ** (ზს.)/**ჭურჩხ** (ბქ.) „ჩინჩახვი“ ფონეტიკურ ვარიანტებს, ვფიქრობთ, საერთოქართველური ფუძემენის დონეზე უნდა განვიხილოთ, თუმცა ამჯერად მათზე მსჯელობისაგან თავს შევიკავებთ.

ვაში არსებული არაერთგვაროვანი თვალსაზრისები და ამ ერთეულთა კვლევის სირთულე, ჩვენი დაკვირვებით, გამოწვეულია სწორედ მათი ვარიაციულობით როგორც სვანური ენის დიალექტ-კილოვაკებში, ასევე ზოგადად ქართველურ ენებში. ცხადია, რთულია საუბარი სესხების მიმართულეზაზეც, ვინაიდან ამგვარ ლექსიკას ხმაბაძვით ლექსიკად მოიაზრებენ და, როგორც ვ. აბაევი მიუთითებს, „ეს ფორმები შეიძლებოდა ნებისმიერ ენაში დამოუკიდებლად წარმოშობილიყო“ (აბაევი 1989:249), თუმცა სვანური მასალის ქართულ-ზანურ იგივეობრივ მასალასთან შედარება და ბგერათგადაღების სრული შესაბამისობა გვავარაუდებინებს ზემოთ წარმოდგენილი სომატური ერთეულების უმეტესი ნაწილის ნასესხებად მიჩნევას.¹

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

ბუკია 2006 – მ. ბუკია, მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში, თბ., 2006.

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, -ენჯ სუფიქსი მეგრულში, შრომები, II, თბილისი, 2002

ფუტკარაძე 1990 – შ. ფუტკარაძე, მეცხვარეობის ლექსიკისათვის აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. VII, თბ., 1990.

შმიდტი 1962 – K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.

ბ) ლექსიკონები

აბაევი 1989 – В. И. Абаев, ИЭСОЯ, т. 4. Ленинград, 1989.

დონდუა 2001 – ვ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2001.

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ლიპარტელიანი 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბ., 1994.

ნიჟარაძე 2007 – ბ. ნიჟარაძე, ქართულულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2007.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა. ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

¹ ივარაუდება საკითხზე მუშაობის გაგრძელება!

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

გ) წყაროები

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალ-სზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბ., 1939.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალ-სქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბ., 1957.

სვ. პროზ. ტექსტ. 1967 – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბ., 1967

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბ., 1979.

სვან. ენის ქრესტ. 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბ., 1978.

Medea Saghliani

On the Analysis of Somatic Lexical Units Denoting Larynx in Svan (Based on the comparison of Georgian and Zan)

Summary

The paper presents a structural-semantic analysis of several Svan somatic lexical units denoting *xorxi/gorqi/qanqraṭo* “larynx”, as well as a detailed review of the points of view expressed in the scientific literature about the origin of Georgian-Zan corresponding stems and formants separated as suffixes in the material under consideration. In addition, the difficulty of researching some of the lexical units presented in the paper is also discussed, which could have been caused by their variability both in the Svan language dialects and in the Kartvelian languages in general. By comparing the Svan material with the same Georgian-Zan material and taking the sound correspondence into consideration, it is assumed that most of the Svan somatic lexical units were borrowed from Georgian and Zan.

ნათელა ფარტენაძე

საალერსო მიმართვის ფორმები ქართულში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიმართვის ფორმების კვლევა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. აღნიშნულ საკითხს აკაკი შანიძე აკავშირებს წოდებით ბრუნვასთან (შანიძე 1980:44-45). განსხვავებულია არნოლდ ჩიქობავას პოზიცია, რომელიც თვლის, რომ: „მიმართვის ფორმა არ უკავშირდება არც ზმნას, არც სახელს; მას შეიძლება ჰქონდეს მსაზღვრულად სახელი (ძვირფასო ძმაო!). მაგრამ არცერთ შემთხვევაში მიმართვა წინადადების ორგანულ ნაწილში არ შედის. ის წინადადებაში სასვენი ნიშნითაა გამოყოფილი (ჩიქობავა 1950:36).

შ. აფრიდონიძე ზმნის იმპერატივს მიიჩნევს მიმართვის სისტემის სრულუფლებიან წევრად და განიხილავს ზოგიერთი მიმართვის ზმნური ფორმის ეტიმოლოგიას, როგორცაა: გეთაყვა, გენაცვა და ა. შ. (აფრიდონიძე 1995:26).

მაია ჩხეიძე დადებითი ემოციური დამოკიდებულების აღმნიშვნელ ერთეულთა ჯგუფს და იმ სიტყვიდენტიფიკატორებს განიხილავს, რომლებიც თავისი სემანტიკური გრადაციის პრინციპებით ძალზე ახლოა საალერსო მიმართვებთან (ჩხეიძე 1993:122).

ქართულისთვის სპეციფიკურ საალერსო ფორმებს, როგორცაა: შემოგველე, გენაცვალე და მისთანები, ოთარ გაჩეჩილაძე მიმართვისა და შორისდებულის ურთიერთდამოკიდებულების ფონზე განიხილავს: „ხშირად შორისდებული მიმართვის ფორმის გამაძლიერებლად გვევლინება, ხოლო ზოგჯერ რაიმე ემოციების გამოხატვის მიზნითაა წარმოთქმული“ (გაჩეჩილაძე 1979:125).

ქართულში მიმართვის საალერსო ფორმები გამოიხატება როგორც არსებითი სახელით, ასევე ზედსართავი სახელით, ნაცვლსახელითა და ზმნური ფორმებით.

არსებით სახელთაგან მიმართვის ფუნქციით გამოიყენება საკუთარი, საზოგადო და მეტსახელებიც, რომლებსაც მოფერება-ალერსის მიზნითაც მიმართავენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში ყველა ტიპის საკუთარ სახელს ეწარმოება კნინობით-ალერსობითი ფორმა. საყოველთაოდ ცნობილი სუფიქსების (-ია, -იკ/-იკო, -იკა, -ა, -აკ/-აკო, -უკ/-უკა, -ილო, -უნა, -უნია, -იკელა, -უცა... ქეთა, თიკუნია, ზურიკელა, დათუნა, ნანიკო...) გვერდით თანამედროვე ქართულში გვხვდება -ჩო/-ჩი სუფიქსიც (ნინჩო, თამჩო, ნანჩო/მანჩი...). თუკი დავაკვირდებით, კნინობითი ფორმის მაწარმოებელი ნებისმიერი აფიქსი მთავრდება -ა' და -ო' ხმოვნებზე, თუმცა თა-

ნამედროვე ქართულში გაბატონდა -ი' დაბოლოებიანი აფიქსები: თაკო//**თაკე**, მაკო, მაიკო//**მაკე**, დათა, დათუნა//**დათე**... გვხვდება აგრეთვე ისეთი ფორმები, რომლებშიც ფუძისეული ხმოვნებია გაორმაგებული, ასეთებია: ლეელ, ლაან, სოფ, ქეთ, მაკ, რუს, ნინ, ნან, საან... ესენია უაფიქსოდ ხმარებულ ანთროპონიმთა ძირი, რომელთა წარმოთქმისას გრძელდება კონსონანტებს შორის მოქცეული ხმოვანი. ისინი ალერსს გამოხატავენ. ასევე, V+C სუფიქსით დამთავრებული ფორმებიც: ნიკუმ, ქეთუმ, მაკუმ, თეკუმ., რაც, შიძლება ითქვას, რუსული ენის გავლენითაა შემოსული ქართულში. ასევეა პირველადი სახელების ხმოვანმოკვეცილი ფორმები: სოფ! ლან! მანან! გელ! ლელ!... მაგრამ მათ, როგორც ქ. გოდერძიშვილი აღნიშნავს, „გადავყავართ დიალექტურ სივრცეში“ (გოდერძიშვილი 2012:134). ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ „ადრე ხშირად ცნობილი პიროვნებების მიერ კნინობითი სუფიქსით სახელის ტარება განაპირობებდა ამ სახელის გოფიციალურებას, ახლა კი თავად სახელი უწყობს ხელს ადამიანთა პოპულარობას, რადგან ამით აქცენტირება ხდება მათს „თანამედროვეობაზე“, იმის სურვილზე, რომ დაიმკვიდრონ თავი დადებითი ემოციური ელფერით. სახელების გარკვეულმა ფორმებმა ერთგვარი იდენტიფიკაციის ფუნქციაც შეიძინა“ (გოდერძიშვილი 2012:144). თუმცა ასევე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ დღესდღეობით ტენდენციურია ისტორიულად ცნობილი პირველადი სახელების დარქმევა (მათ შორის ჭარბობს ქართული წარმოშობისა და ქრისტიანული რელიგიის პერსონაჟების სახელები): ერეკლე, დემეტრე, სულხანი, მაკრინე, თეკლა, ალექსანდრე, ანდრია, ნოე, არჩილი, მარიამი, თომა, საბა, ნიკოლოზი, რუსუდანი და ა. შ. და მაქსიმალურადაც ცდილობენ არ დააკნინონ და არ შეუცვალონ ფორმა აღნიშნულ სახელებს თუნდაც ალერსის დროს, მაგრამ გვხვდება შემოკლებული ვარიანტებიც, რომლებიც, როგორც წესი, ნაკლებად ფორმალურია, ვიდრე მათი სრული ფორმები. ისინი გამოხატავენ ფამილარულ დამოკიდებულას ადრესატის მიმართ. „ხშირად მიმართვის ფორმად შემოკლებული ფორმის არასტანდარტული ვარიანტი გამოიყენება და ფორმის არჩევანი ინფორმაციას გვაწვდის მოსაუბრე ადამიანებს შორის ურთიერთობებისა და სასაუბრო თემის შესახებ“ (აფრიდონიძე 2003:32). მაგალითად: გალაკტიონი – გალა; ზურაბი – ზურა; ეკატერინე – ეკა, დემეტრე – დემე, ალექსანდრე – ალე, ნიკოლოზი – ნიკო, მარიამი – მარი... უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში სახელები იმდენად შემოკლდა, რომ მხოლოდ ერთ მარცვლამდეა დაყვანილი. მაგალითად: თი, ნი, თე, ლი, ან, თამ... რომლებიც არაფორმალურ გარემოში გამოიყენება, მეგობრის ან ძალიან ახლობელი ადამიანის მიმართ და ამგვარი ფორმით მიმართვა არაახლობელ ადამიანთან ან ფორმალურ გარემოში მიუღებელია. თუკი საკუთარ სახელთა მსგავსი შემოკლებული ვარიანტები ფორმალურ გარემოში მიუღებელია, კნინობითი ფორმები საკმაოდ მომრავლდა ოფიციალურ სივრცეში. კერძოდ, ოფიციალური შეხვედრების, სამთავრობო თუ საპარლამენტო სხდომების მსვლელობისას ხშირად გვესმის თანამდებობის პირთა მისამართით კნინობითი მიმართვის ფორმები. მაგალითად: თაკო, ივიკო, ოთიკო, ოთო, რობიკო, მიშიკო და მისთა-

ნები, რაც, ჩვენი აზრით, მიუღებელია, თუმცა მსგავსი მოვლენები სახელებისადმი თანამედროვე დამოკიდებულებისა და, აქედან გამომდინარე, საკუთარ სახელთა ნომინაციის თანამედროვე ვითარების ამსახველია.

გარდა საკუთარი სახელებისა, მიმართვის საალერსო ფორმები საზოგადო სახელებთანაც გვხვდება. ადამიანის გარდა მიმართვის ადრესატი შეიძლება იყოს სხვა სულიერი ან უსულო არსება. მაგალითად: ვაზო, კორტოხო, კრამიტო, ჭადარო, მზეო, ცავ, კაცსავით გადღეგრძელებ, შენს სადღეგრძელოს ვსვამ! (ლებ., 436); ჩემო ხარებო, ღვინოებო და წიქარებო, საყვარლებო, თქვენი გზა ნახეთ (ლებ., 478)...

საალერსო მიმართვის ფორმებიდან გარკვეული ადგილი უჭირავს ზედსართავ სახელებსაც. ასეთი მიმართვები შეფასებით-მახასითებელ ფუნქციას უსვამენ ხაზს, ვინაიდან ადრესანტი, ნომინაციის გარდა, მიზნად ისახავს ადრესატის შეფასებასაც. ამასთანავე ზედსართავი სახელი ხშირად გვევლინება მიმართვითი სინტაგმის წევრად: ზედაზნის ნისლო, ნაზო და სუსტო, მდინარის თვალო, ტყე და ვენახო (ჭილ., 423); ტკბილო შვილო, მშობლიურ კერაზე ტკბილო, აქ დარჩი და არ წახვიდე არსად (ასათ., 102); ძვირფასო მასწავლებლო, ნიჭიერო პედაგოგო და იშვიათო ადამიანო! თქვენს ღვაწლს სიკვდილამდე არ დავივიწყებთ (კაი ყმა, 76)...

საალერსო მიმართვის მორფოლოგიური გამოხატვის ენობრივ რესურსს ნაცვალსახელებით გამოხატული მიმართვებიც წარმოადგენს, რომლებიც მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ნაცვალსახელები არ ასახელებენ ადრესატს, ისინი მხოლოდ მიუთითებენ მასზე, რითიც განსხვავდებიან სხვა დანარჩენი ნაირსახეობებისგან. კომუნიკაციურ სიტუაციებში, სადაც ურთიერთობის პერსონალური დისტანცია არსებობს, მიმართვაში ხშირად გამოიყენება ნაცვალსახელი *ჩემო*, რომელიც პოზიტიური დამოკიდებულების მარკერია, მეორე მხრივ კი – ხშირად შეიცავს დარიგებისა და რჩევის სემანტიკასაც. კერძოდ: ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო (ლებ., 294); ჩემო ბაღებო, აყვავდით, იმხიარულეთ (იაშვ., 75)... უნდა ითქვას, რომ მიმართვის დამოუკიდებელ ფორმად კუთვნილებითი ნაცვალსახელი *ჩემო* პრაქტიკულად არ გვხვდება ქართულში. თუ არ ჩავთვლით კერძო შემთხვევებს, ისიც ნარიანი მრავლობითის ფორმით წარმოებულს: მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა... (ილია, 64), თუმცა აღნიშნული ნაცვალსახელი სხვადასხვა სახის კომბინაციებს ქმნის ზედსართავსა და არსებით სახელთან. საალერსო მიმართვის ერთ-ერთ გავრცელებულ ნაირსახეობას წარმოადგენს საზოგადო სახელის ან გასუბსტანტებული ზედსართავის კომბინაცია კუთვნილებით ნაცვალსახელთან *ჩემო*, რომელიც სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება. კერძოდ: ა. ჩემო + არსებითი სახელი (ჩემო მეგობარო, ჩემო შვილო...); ბ. ჩემო + სუბსტანტივირებული ზედსართავი (ჩემო მშვენიერო, ჩემო დიდებულო, ჩემო ტურფავ... (-შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! (ილია, 45)) და გ. გავრცობილი ვარიანტი - ჩემო + გასუბსტანტებული ზედსართავი + არსებითი სახელი (ჩემო ძვირფასო მშობლებო, ჩემო საოცარო ქალაქო...). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპონენტ *ჩემო*

-ს საალერსო მნიშვნელობით გამოყენების სხვადასხვა ვარიანტი გვხვდება: ჩემო კარგო, ჩემო ყველავე, ჩემო გულო, ჩემო ძვირფასო...

გარდა ზემოაღნიშნულისა, საალერსო მიმართვის ფორმებად ქართულში გამოიყენება ისეთი ფორმებიც, როგორცაა: სიხარულო, ოცნებავე, ზღაპარო, ანგელოზო, ღვთაებავე, გმირო, ნამცეცა, გვრიტო, ფისო, ბაჭია, მერცხალო, ყვავილო, ვარსკვლავო და სხვა, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ძირითადად, ქართულ ენაში დასტურდება.

რაც შეეხება საალერსო მიმართვის ზმნურ ფორმებს, ისინი გამოიყენება თანამოსაუბრის აზრის გამოთქმისას. ხშირად ასეთი ზმნური ფორმები არაერთსიტყვიანია. მათ შეიძლება თან ახლდეს ნაცვალსახელიც. ქართული ენის უნიკალური ხასიათი სწორედ ზმნებისა და ზმნური წარმოშობის საალერსო ფორმების გამოყენების სპეციფიკაში მჟღავნდება. ქართულ ენაში ყურადღებას იქცევს მიმართვის რამდენიმე საალერსო ზმნური ფორმა. სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, შევეხოთ ამგვარი ფორმებისა და შორისდებულების პრობლემას. ქართველ ენათმეცნიერთა შორის ექვს არ იწვევს შორისდებულის, როგორც ემოციურობის მარკერის ფუნქცია. კერძოდ, ა. შანიძის კლასიფიკაციის მიხედვით, შორისდებულები იყოფიან სამ შინაარსობრივ ჯგუფად: 1. გრძნობების გამომხატველ, 2. ფიცილისა და ალერსის გამომხატველ და 3. მოსაუბრის ნება-სურვილის გამომხატველ შორისდებულებად (შანიძე 1980:48). ლ. კვაჭაძე კი გამოყოფს ორ ჯგუფს: განცდა-გრძნობებისა და ნება-სურვილის გამომხატველ შორისდებულებს. ავტორი მეორე ჯგუფში აერთიანებს ალერსობით ფორმებს: ჭირიმე, გენაცვალე... „თუმცა ამ ჯგუფში მოთავსება მიუთითებს მსგავსი ფორმების მნიშვნელობის მხოლოდ წარმოშობაზე – სურვილს, ჩაენაცვლოს მიმართვის ადრესატს (ჭირიმე/გენაცვალე – გასაჭირსა თუ სიკვდილში), რომელიც, როგორც სემანტიკა, დღესდღეობით სრულად დაკარგულია და ახალ ქართულში ამ მნიშვნელობით აღარ გამოიყენება. სავარაუდოდ, ალერსის გამომხატველი ფორმულები პირველ ჯგუფში უნდა მოთავსდეს, წინადადებაში მათი მნიშვნელობის გამომხატველი ელფერის მიხედვით, მაგალითად, მოწონება: გენაცვალე (დეიდა! უნივერსიტეტი „ფრიადებზე“ დავამთავრე – გენაცვალე შენ!/ჭირიმე შენი!). აქ, ალერსის ეს ფორმა უტოლდება ისეთ ფორმებს, როგორცაა: ბარაქალა! ყოჩაღ! და გამოხატავს მთქმელის ინფორმაციის მოწონებას, თუმცა, რაც შეეხება ალერსის მნიშვნელობის მქონე შორისდებულების გრამატიკულ ფორმას, მათ შეუძლიათ დაირთონ მრავლობითი რიცხვის გრამატიკული ნიშანი, თუ ეს ფორმა ადრესატის მრავლობითობის აღსანიშნავად არის გამოყენებული: თქვენი ჭირიმეთ!“ (კვაჭაძე 1961:320). ოთარ გაჩეჩილაძე ისეთ სიტყვებს, როგორცაა: გეთაყვანე, გენაცვალე, კენესამე, შემოგველე, ჭირიმე და მათ სიტყვა-ფორმებს შორისდებულების რიგში აყენებს (გაჩეჩილაძე 1979:110). იქვე ავტორი განმარტავს, რომ „მიმართვის საალერსო ფორმები ხშირად გვხვდება შორისდებულებთან მოსაზღვრე კომუნიკაციურ ბლოკში და „ხშირად შორისდებული მიმართვის ფორმის გამაძლიერებლად გვევლინება, ხოლო ზოგჯერ რაიმე ემოციების გამოხატვის მიზნითაა

წარმოთქმული“ (გაჩეჩილაძე 1979:125). აღნიშნული ორმაგი სტატუსი – ერთ შემთხვევაში შორისდებულისა, ხოლო მეორეში – შორისდებულებთან მოსაზღვრე კომუნიკაციურ ბლოკში შესული ერთეულისა, ერთი და იმავე მოვლენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მიგვანიშნებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სემანტიკური ცვეთის შედეგად აღნიშნულმა ფორმებმა დაკარგა პირველადი მნიშვნელობა და ალერსობითობის ემოციურ მიმანიშნებლად იქცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში მიმართვის საალერსო ზმნურ ფორმებს, როგორცაა: *გენაცვალე! გენაცვა! დაგენაცვლე! შენი კვნესამე! კესანე! გეთაყვა! თავს შემოგველე, შემოგველე, შენი ჭირიმე! შენი სულის ჭირიმე! შენი სატკივარი მე! დედაშვილობამ* და ა.შ. ერთი სემანტიკა აქვს, ისინი მიმართვის ობიექტის ჭირის გაზიარების, მის ადგილზე ყოფნის, მისი ავადმყოფობის მორჩენის სურვილს გამოხატავენ. *გენაცვალე* – ქართულ ენაში ალერსის დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება, რომლის საშუალებითაც მთქმელი გამოხატავს სურვილს „მის სანაცვლოდ იყოს“, ე.ი. მიმართვის ფორმით გამოხატულია სურვილი, გაიზიაროს ადრესატის ჭირი. თავს შემოგველე, შენ შემოგველე – „ეს გამოთქმა წარმოიშვა შემდეგი ადათიდან: ძველად თუ ვინმე ავად გახდებოდა და ოჯახის წევრებს ეგონათ, რომ მოკვდებოდა, ავადმყოფის სიკვდილისაგან დასახსნელად ოჯახის წევრები თავს ევლებოდნენ, რომ ავადმყოფის მაგიერ თვითონ შეგებებოდნენ სიკვდილს და თვითონ კი წირვას აღავლენდნენ ავადმყოფის გასაგონად (გრიშაშვილი 1997: 304). ჭირიმე – გამოთქმა, რომელიც იხმარება ალერსით, სიყვარულით მიმართვისას, შედგენილია სიტყვებისაგან ჭირი და მე, მნიშვნელობით იგივეა, რაც შენი (თქვენი) ჭირიმე. ჭირიმე! – გამოთქმა იხმარება, როდესაც აღტაცებული არიან ვისიმე ვაჟკაცური მოქცევით (ქეგლ 1990:235). საალერსო მიმართვებია – შენი კვნესამე; კესანე. ამ სიტყვა-ფორმების სემანტიკაც იგივეა, რაც შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, რომლითაც მთქმელი გამოხატავს საყვარელი ადამიანის ჭირის გაზიარების სურვილს. კესანე – პატარა, ცისფერყვავილებიანი, ლამაზი მცენარეა. ყვავილთან დაკავშირებით არსებობს თქმულება, რომლის მიხედვითაც ყველა მცენარეს შემოქმედმა თავისი სახელი უწოდა. მათ შორის ერთი პაწაწინა მთის ყვავილი, რომელიც უსახელოდ იყო – ატირდა. ყვავილმა თქვა: „არ დამივიწყო უფალო“... ზუსტად მაშინ უფალმა მიუგო: „სწორედ ეგ იქნება შენი სახელი“, ანუ კესანე. ამის შემდეგ მას მსოფლიოს ყველა ენაზე „არ დამივიწყო“ ჰქვია... ჩვენთან კი უბრალოდ კესანე...

აღნიშნული ფორმები მიუთითებს ქართული ენის უნიკალურობაზე და გამოხატავს მის სპეციფიკურ ხედვას.

ჩამოთვლილთგან ყველაზე ხშირად გვხვდება ზმნური საალერსო მიმართვის ფორმა *გენაცვალე* (დედა გენაცვალოს, შენ გენაცვალე...).

რაც შეეხება ფორმას – *ჭირიმე* უფრო მოქნილია, რადგან ის გვხვდება სხვადასხვა სიტყვათშეხამებაში: შენი გულის ჭირიმე, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი ხელების ჭირიმე...

მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი მე-19 საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში, ხშირია მსგავსი ზმნური სააღერსო მიმართვის ფორმები. მაგალითად:

სად იყავ, **შენი ჭირიმი**, – ჰკითხა მერე კნეინასა, – რომ ეგრე დაიღალე?

– როგორ თუ სადა, **შენი ჭირიმი**? ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალყურის ჭერა უნდა, **შენ გენაცვალოს ჩები თავი**, – მიუგო კნეინამ.

– ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე **გეთაყვანე!** დედაკაცობაც ეგ არის და.

– არა, **გეთაყვა**, ეს, რაცა ვთქვი, ტყუილია?

– რაღა რასა ვიქ, **შენი კვენესამე!** ჩვენებიანთ ვენახში ჩვენი კამეჩი შეპარულა, და მეველეებს დაუჭერიათ, ეხლა ორი დღეა ბაკში ჰყავთ დაჭერილი. ეხლა, **შენი სახელის ჭირიმი**, ამას გემუდარები, გვაპატივებინოთ, აგრემე ჩვენი ნათელ-მრონობა დღევრძელობას მოგიმატებს, **შენი კვენესამე!**

– ო, **შენ გეთაყვანე**, შენა! – დაიჯერა და გაიღიმა ლუარსაბმა, – როგორ გითხრა? (ილია, 237).

– საფარ, შე ხარ?... **ენაცვალოს** ძიძიშვილი მაგ შენს თავსო... (აკაკი, 89)...

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს ფორმებს ხშირად ფორმალურ ი სააღერსო მიმართვის შინაარსი ჰქონდა. მაგალითად:

– როდისა გხლებიათ ნაკლული, **შენი ჭირიმი**, რომ ეხლა იყოს?..

– ეგრე, **შენი ჭირიმი**, – გაუკეთებდა გულს და თავს უფრო მოაწონებდა დარეჯანი, – ეგრე უნდა. მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ.

დიად, **შენი ჭირიმი!** სულ ტყუილია. მე ბევრისათვის მითქომს, რომ ტყუილია, და როდი მიჯერებენ.

– რა ვქნა, **შენი ჭირიმი**, – უთხრა დავითს მოსემა, – ჩემო ახალო მოყვარევ! ავადა ვარ, თასლიბს ვერ გავუწევდი. სიძუნწეში არ ჩამომართო, **შენი ჭირიმი!** აბა, ჯერ ისე ავადმყოფი რა არის, მერე მასპინძელი რა უნდა იყოს.

– მადლობელი ვარ, **თქვენი ჭირიმი!** – დაუკრა ყველას თავი მოსემა. – მაშ რაც მალე იქნება, ისა სჯობია.

– არა, **გეთაყვა**, მე მაგ საქმეში ხელი დამიბანია, მე მაგას არა ვიქ, ეხლავე გეუბნები; – არა, **გეთაყვანე**, მე მაგ ცოდვაში არ ჩავდგები. აი, შენი ბეედ მოცემული ხუთი თუმანი, მე კი ხელი დამიბანია (ილია, 226)...

– რა მოგახსენოთ, **შენი ჭირიმი!** მაგის ვინაობა აქ არავინ იცის. ეგ ვილაც გლახა არის, დავრდომილი და უპატრონო; სნეულია, მოსულა და მანდ შეჰკედლებია, აი, ეს თუნდ თვე-ნახევარი იქნება. – სულ მარტოდ-მარტო არის? – რა ვიცი, **შენი ჭირიმი!** მანდ კი გულშემატკივარი არავინა ჰყავს და (ილია, 211)...

– ოსი არაა, **შენაი ჭირიმი**, ჩერქეზში საით გავიდოდა? – უპასუხა ერთმა (ყაზბ., 196)...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საალერსო მიმართვის ფორმები, გარდა ღირებულებრივი სტანდარტისა, წარმოადგენს სპეციფიკურ ნიშანს, რომელშიც ისახება ეროვნული მენტალობა და სულიერი კულტურა.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1995 – შ. აფრიდონიძე, ბრძანებითი როგორც მიმართვის ზმნური ფორმა. საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. IV, თბ., 1995.

აფრიდონიძე 2003 – შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში. თბ., 2003.

გაჩეჩილაძე 1979 – ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში. თბ., თსუ, 1979.

გოდერძიშვილი 2012 – ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები. თბ., უნივერსალი, 2012.

გრიშაშვილი 1997 – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, სამშობლო, თბ., 1997.

კვაჭაძე 1961 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა. თბ.: ცოდნა, 1961.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი. 12 ტომად. ტ. III: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ., თსუ, 1980.

ჩიქობავა 1950 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოცემა, ტ. I, 1950.

ჩხეიძე 1993 – ჩხეიძე მ., ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა. თბ., 1993.

შემოკლებათა განმარტებები

ასათ., – ლ. ასათიანი, რჩეული, თბ., 1986.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, თბ., 1990.

იაშვ., – პ. იაშვილი, პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები. თბ., 1975.

კაი ყმა, მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე, თბ., 1986.

ლებან., – მ. ლებანიძე, რეული ლირიკა, თბ., 1977.

ყაზბ., – ალ. ყაზბეგი, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1950.

ილია, – ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, თბ., 1984.

ჭილ., – ო. ჭილაძე, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, II, თბ., 1986.

Natela Phartenadze

Forms for Endearment in Georgian

Summary

In Georgian, the forms of endearment when addressing people are expressed by nouns, adjectives, pronouns and verbs.

Proper, common nouns and nicknames are used with the function of an address. In the Georgian language, all kinds of proper names can be formed with the help of a diminutive form. Along with the well-known suffixes (-ia, -iḡ/-iḡo-, iḡa, -a, -aḡ/-aḡo, -uḡ/-uḡa, -ilo, -una, -unia, -iḡcḡa, -uca... keta, tiḡunia, zuriḡcḡa, datuna, naniḡo...), there are modern Georgian suffixes -č'o/-č'i (ninč'o, tamč'o, nanč'r/manč'i...) and forms in which root vowels are doubled, e.g. lecl, laan, soop, kect, maakḡ, ruus, niin, naan, saan, etc. They are unaffixed bases of anthroponyms used interchangeably, where the vowel between consonants is pronounced as a long vowel. These kind of words express affection. There are also forms ending in a vowel + consonant suffix: niḡuḡ, kutuḡ, maḡuḡ, teḡuḡ..., which were introduced into the Georgian language under the influence of the Russian language. We also have forms of proper names with dropped vowels: nin! sop! lan! manan! gel! lel!... But they "transfer us into a dialectical space".

At present, it is customary to give names in honor of historically famous people (names of characters of Georgian origin and Christian denomination predominate among them): creḡlc, demetrc, sulxani, maḡrinc, teḡla, aleksandre, andria, arčili, mariami, toma, saba, niḡolozi, rusudani, etc. and people try not to underestimate or change the form of these names as much as possible, even with affectionate treatment. But there are also shortened forms, for instance: galaxḡioni – gala; zurabi – zura; cḡaḡcḡrinc – cḡa, demetrc – demc, aleksandre – ale, niḡlozi – niḡo, mariami – mari... Moreover, recently the names have become so shortened that they are reduced to only one syllable, e.g. ti, ni, te, li, an, tam... Shortened names in the Georgian language are used in an informal setting, often when referring to a very close person or a friend, and the use of such forms in Georgian is unacceptable for a non-close person or in an official environment.

Diminutive forms are often used in the official space. During official meetings, governmental or parliamentary meetings, we often hear the use of diminutive forms for officials: taḡo, iviḡo, otiḡo, oto, robiḡo, miḡiḡo, etc., that is unacceptable in our opinion. Although such behavior reflects the modern attitude to names and, respectively, the current state of the nomenclature of proper names.

Substantive adjectives also occupy a certain place among the forms of an affectionate address. Such an address emphasizes the evaluative-characteristic

function, since the addressee, in addition to the nomination, also aims to evaluate the recipient. In addition, the adjective often appears as part of an address syntagm: *zedazenis niso; t̄kbilo švilo, -ničiero pedagogo...*

A linguistic resource for the morphological expression of an affectionate address is also an address expressed by pronouns. The pronoun **čemo** “my/mine” is often used when addressing a person, expressing a positive attitude, but on the other hand, it often contains the semantics of advice: *čemo bačebo, čemo mxarev...* It should be noted that the pronoun **ჩემო** does not occur in the Georgian language as an independent form of an address, although this pronoun forms various combinations with adjectives and nouns. a) *čemo + noun* (*čemo megobaro, čemo švilo...*); b) *čemo + substantive adjective* (*čemo mšveniero, čemo didebulo, čemo t̄urpav...* and c) common variant – *čemo + substantive adjective + noun* (*čemo ჯვირპასო მშობლებო, čemo საოცარო კალაკო...*).

The uniqueness of the Georgian language is manifested in the specifics of the use of affectionate forms expressed by a verb or a verb form, such as: *genacvale! genacva! dagenacvle! šeni kvncsame! kesane! getaqva! tavs šemogevle, šen šemogevle, šeni čirime! šeni sulis čirime! šeni sačkivari me! dedašvilobam, etc.* They have the same semantics, express the desire to share the misfortune of the object of treatment, to be in his place, to cure his illness.

We can say that the forms of an affectionate address, in addition to the value standard, are a specific feature that reflects the national mentality and culture.

მამია ფალავა

გვარ-სახელები შავშეთში

შავშური „გვარები“ შეუნახავს ახლანდელი შავშეთის მკვიდრთა ისტორიულ მეხსიერებას, ასევე ქვეყნის ტოპონიმთა. შავშთა მეხსიერებისა და შავშეთის გეოგრაფიული სახელების მონაცემთა გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება შავშური ოჯახის სახელისა და მოგვიანებით გვარების სურათის აღდგენა. აღვნიშნავთ, რომ შავშური ოჯახის სახელებს/სახლის სახელებს//შტო გვარებს//ქოხის სახელებს (დასტურდება ტაოში)//მეტსახელ გვარებს აწარმოებს -ენტ სუფიქსი, ხოლო სოფელში მათ საცხოვრისს -ეთ, ზოგჯერ -ენტ მეტსახელი გვარის საცხოვრისის აღსანიშნავად გვხვდება, -ეთ კი „გვარების“ მაწარმოებლად, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს:

1. დავიწყებულია -ენტ და -ეთ სუფიქსების თავდაპირველი ფუნქცია.

2. -ენტ და -ეთ ერთ სუფიქსადაა გააზრებული.

3. ტოპონიმი ჩაწერილია არასწორად, საქმე გვაქვს ჩამწერის ან ინფორმატორის, ანდაც ორივეს ერთად, უზუსტობასთან.

4. ისტორიული წყაროს არასწორ წაკითხვასთან...

ყველაფრის გათვალისწინებით აღვნიშნავთ:

-ენტ აწარმოებს შავშური ოჯახის სახელებს/სახლის სახელებს//შტო გვარებს//ქოხის სახელებს//მეტსახელ გვარებს.

-ეთ გეოგრაფიულ სახელს, - ოჯახის საცხოვრისის დასახლებულ პუნქტში, რომელიც უმეტესად სოფლის უბანს ქმნის (ზოგჯერ სოფელსაც) და განსაზღვრავს სოფლის დასახლების სტრუქტურას. შეიძლება იმაზეც ვიფიქროთ, რომ უძველეს პერიოდში ოჯახის საცხოვრისები წარმოადგენდნენ მცირე სოფლებს, შემდეგ ხდება მათი გაერთიანება და იქმნება სოფელი თანამედროვე გაგებით, რომლის უბნებსაც ქმნის კონკრეტული ოჯახების საცხოვრისები, რომელნიც აღინიშნებიან -ეთ სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებით...

-ძე, -შვილი (იშვიათად), მათი შესატყვისი თურქული -ოღლი დაბოლოებიანი „გვარები“ ახალი წარმონაქმნი ჩანს.

შავშეთში დასტურდება სხვა წარმოების „გვარებიც“, რომელნიც ვერ ცვლიან საერთო სურათს.

-ენტ სუფიქსი

შავშეთში დავადასტურეთ -ენტ სუფიქსიანი „გვარები“. სუფიქსი დაერთვის სახელის//მეტსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას. ზოგი-

ერთი მკვლევარი სახელობის ფორმანტს სუფიქსის ნაწილად მიიჩნევს და გამოყოფს ენთის ფონეტიკურ სახესხვაობებს -ენტ//-ენტ, რაც არასწორია:

ჩაქერი-ენტი – „გვარი“ ზაქიეთში.

ჩაქერიენტ <*ჩაქური-ენტისაგან. იმერხევში იმავე ფუძისაგან ნაწარმოები ჩაქურიძე⁶ გვხვდება.

ქომი-ენტი – სახლის სახელი უკანეთის მაჰალეში, იგივე „გვარი“ დავადასტურეთ წეთილეთში.

ქომიენტ <*ქომონტისაგან. შდრ. ქომოები. **ქომო** ზემო⁷ს ოპოზიციაა. **ქომო** ზმნიზედა დადებია „გვარს“ ფუძედ.

შარი-ენტი – ქობის სახელი უბეში, ახლა ყარალოღლებსაც ეძახიან. **შარიენტ**ი <*შარანტისაგან. შდრ. გვარი – შარაძე<შარა⁸სძე.

ქოსი-ენტი – სახლის სახელი უბეში. „ქოსა“ მეტსახელი დადებია „გვარს“ ფუძედ.

ფექრი-ენტ-ნი – „გვარი“ უბესა და სვირევანში. იმფორმატორები „გვარს“ ზოგჯერ მრავლობით რიცხვში გვკარნახობდა, ჩვენც ასე ვიწერდით. ფექრი//ფიქრი⁹ მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში ფე[ი]ქრი-შვილი.

ფუტი-ენტი – ოჯახის სახელი უბესა და სვირევანში. **ფუტი** (კვამლი) დადებია „გვარს“ ფუძედ. ფუტი¹⁰ მეტსახელი უნდა იყოს.

მელიქი-ენტი – „გვარი“ უბესა და სვირევანში, გვხვდება მელიქოღლიც. **მელიქი**¹¹ დაცულია გვარებში მელიქიშვილი, მელქაძე<*მელიქაძე, მელიქიძე (შდრ. მაისურაძე, 1990).

ლეზგი-ენტი - მეტსახელი გვარი უბეში. „ლეზგი“ სატომო სახელი უდევს საფუძვლად „გვარს“.

ივ-ენტი<*ივ[ი]-ენტისაგან – ქობის სახელი ივეთში. „ჩვენ მისირლი არ ვართ, ივ-ენ[ნ]თნი ვართ“ (ინფორმატორის განმარტება – ავტ.).

იოღვი-ენტი – „გვარი“ უბესა და სვირევანში.

თეთრი-ენტი – სახლის სახელი ბაზგირეთში. თეთრი//თეთრა მეტსახელი უნდა იყოს კაცისა. ფუძე დაცულია გვარში **თეთრაძე**.

გათენ-ენტი – შტო-გვარი უბესა და სვირევანში. შდრ. **გათენა**, მამაკაცის სახელი, დაცული გვარში გათენა[ს]ძე.

გოჩი-ენტი – „გვარი“ წეთილეთში: „ჩემი გვარი დედაკარქა, ამისი – გოჩიენტია“ (შავშათი). გოჩი, გოჩა, გოჩიტა მამაკაცის სახელი ჩანს.

ბისონი-ენტი – სახლის სახელი ბაზგირეთში. ბისონ¹² სახელური ფუძე გამოიყოფა გვარში ბისონიძე.

აიში-ენტი – შტო-გვარი უბესა და სვირევანში. აიშე¹³ ქალის სახელია თურქულ კულტურაში (იქნებ სხვაგანაც). აღვნიშნავთ, რომ იშვიათად გვხვდება ქალის სახელი „გვარის“ ფუძეში, სხვაგვარად, იშვიათია ქალი ოჯახის უფროსი.

დავით-ენტი – „გვარი“ უბესა და სვირევანში.

დაჩი-ენტი – ქობის სახელი უბეში. დაჩი¹⁴ მამაკაცის სახელი გამოიყოფა გვარში დაჩიძე//და[რ]ჩიძე.

ხოჯი-ენტ’ი – სახლის სახელი შოლტისხევში, უბესა და წეთილეთში. მოგვიანებით ყალიბდება „გვარი“ ხოჯიოღლი.

ჭივი-ენტ’ი – „გვარი უბესა და სვირევანში. ჭივიენთი-ჩივიენთი“საგან. ჩივი//ჩივა მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარში ჩივამე.

პაპი-ენტ’ი¹ (//პაპიები) – სახლის სახელი ჩივისხევსა და წეთილეთში. საყურადღებოა, რომ -ენტ მაწარმოებელს ასეთ სახელებში ხშირად ცვლის -ებ მრავლობითობის სუფიქსი. ჩანს -ენტ სუფიქსს მრავლობითობის გაგებაც აქვს.

მურემ-ენტ’ი – „გვარი“ სვირევანში.

ხარზვი-ენტ’ი<*ხარძვი-ენტ’ი – „გვარი“ სვირევანში. შდრ. გვარი ხარძიანი.

პაჯი-ენტ-ებ’ი – სახლის სახელი დაბაში.

კილდი-ენტ-ებ’ი² – ქოხის სახელი დაბაში. კლდე//კილდე მეტსახელია? იქნებ!

ხატიჯ-ენტ-ებ’ი<ხატიჯე-ენტ-ებ’ი – მეტსახელი გვარი დაბაში. ხატიჯე ქალის სახელია.

სურათი-ენტ-ებ’ი – „გვარი“ დაბაში. სურათი’ ქოხის წინაპრის სახელი იყო?

მაზმან-ტ-ებ’ი<მაზმანი-ენტ-ებ’ი – სახლის სახელი დაბაში. მაზმანოღლებსაც უწოდებენ თავს. შდრ. გვარი მაზმიშვილი.

ცვარი-ენტ-ებ’ი – ქოხის სახელი ბაზგირეთში. ცვარიძეობას ჩემულობენ მათი შთამომავლები.

ჯივანი-ენტ-ებ’ი – სახლის სახელი ბაზგირეთში. ჯივანიშვილობაზე დებენ თავს ამ ოჯახის შვილები. ჯივანი’ კლარჯული სოფელია. ჯივანელის შთამომავლები ბაზგირეთში ჯივანიენტებად „მონათლეს“.

მეჭმედი-ენტ’ი – „გვარი“ ბაზგირეთში.

ზუბი-ენტ-ებ’ი – „გვარი“ ბაზგირეთში. ზუმბამეობას ჩემულობენ მათი შთამომავლები.

თ. ფუტკარამე ბაზგირეთში სხვა გვარებთან ერთად ჩაიწერს **ბეზგი-ენტ**’ს (შავშეთი, 2011: 102). **ბეზგი-ენტ**’ი <*ბაზგირ-ენტ’ი <*ბამგირ-ენტ’ი; ბაზგი[რ]ენტის //ბამგირენტის სამოსახლოა ბაზგირეთი. მოყვანილ მაგალითში კარგად იკვეთება -ენტ და -ეთ სუფიქსთა ფუნქციები.

შ. ფუტკარამე მანატბაში ადასტურებს „გვარებს“:

¹ უნდა ითქვას, რომ შავშეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მოსულს უწოდებს თავის თავს. „ქართველები აქ არელობის დროს მოკრებილან. არელობა იყო მა, ქართველი მოჰაჯირათ წევდა... ერმენები იყვენ აქ, ართვინ ქალაქიდან... ვინცხა ქი იქა წევდა, ოსმანლიმ მიწა მიცა... აქ ძველი, ძერი არავინ არიან“ (ფაღავა, 2013: 158). ანალოგიურ თხრობებს სხვაგანაც ვხვდებით. ვილაგამ დააჯერა ადგილობრივი მოსახლეობა, რომ თავდაპირველად აქ ერმენები ცხოვრობდნენ. რატომ? რატომ დასჭირდა თურქულ ისტორიოგრაფიას ანალოგიური „ფაქტების“ მოგონება?

² დაბაში ზოგიერთი „გვარ“ ებ’იანი მრავლობითის ფორმით დაგვისახელეს, ჩვენც ასე ჩავიწერეთ.

შავქეთლი-ენთ¹ (ფუტკარაძე, 1993:266). შავქეთლიენთი<*შავქედ-ლიენთი¹საგან.

შავქედლი – შავქედელი, ეს უკანასკნელი სოფელია შავშეთში. წარმომავლობის სახელი (შავქეთლი>შავქედლი, შავქედელი) დადებია საფუძვლად სახლის სახელს.

მაჩხატეთში შ. ფუტკარაძე (იხ. ფუტკარაძე, 1993:257) ჩაიწერს:

მიღმი-ენთ¹, მიღმაზე¹საც უწოდებენ თავისთავს, შდრ. აჭარული – მიღმაები. მიღმა – ადგილის ზმნიზედა უდევს „გვარს“ საფუძვლად. ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ფაქტი: მექართულე შავშეთში ახალ დროში – ენთ სუფიქსიან ნებისმიერ სახლის სახელს დაურთავენ ძე¹ს, იშვიათად შვილს¹ და აწარმოებენ „გვარს“. ასე შეიქმნა ზუბიენთისაგან – ზუმბაძე, მიღმიენთისაგან – მიღმაძე, თეთრიენთისაგან – თეთრაძე...

ფოთუ-ენთ¹ – ფოთუ¹/ფოთე¹(?) სახელური ფუძე გამოიყოფა „გვარში“.

დარბაზი-ენთ¹ – დარბაზიშვილსაც უწოდებენ გვარს. ეს უკანასკნელი ახალი წარმონაქმნია.

გოგი-ენთ¹ – გორგაზე(<*გორგაძე)¹საც უწოდებენ თავს, – ჩახმახ-ჩი¹საც (<*ჩახმახჯი), ვისაც ჩამახის დასხლეტა შეუძლია. ჩახმახჯი „გვარის“ მეტსახელი ჩანს.

ბადიში-ენთ¹ – „გვარი“ აგარაში. ბადიშიენთი ბადიშის (შვილიშვილის) ჩამომავალია.

მოსი-ენთ¹<*მოსი-ენთ¹ – „გვარი“ აგარაში, მოსიძეს¹ ამბობენ ახლა.

საფი-ენთ¹ – სახლის სახელი აგარაში. საფი/საფა მეტსახელი ჩანს.

მელმი-ენთ¹<*მიღმიენთი¹საგან, – მეტსახელი გვარი აგარაში. მელმი-ენთ¹<*მიღმიენთი მიღმა მცხოვრების ჩამომავლები არიან, უმეტესად განაყრების შთამომავლობა.

ქეზი-ენთ¹ – ქოხის სახელი აგარაში. ქეზი¹ იქნებ კაცის მეტსახელია.

ქომუ-ენთ¹<*ქომო-ენთ¹ – „გვარი“ აგარაში. ქომო<*ქვემო – ქვემოთ მცხოვრების ნამრავლი.

ვარდი-ენთ¹<*ვარდი-ენთ¹საგან, შდრ. გვარი ვარდიძე.

უფანი-ენთ¹ – „გვარი“ წეთილეთში. შდრ. მამაკაცის სახელი ულფანი.

თემური-ენთ¹ – ქოხის სახელი წეთილეთში.

ზანდრი-ენთ¹ – სახლის სახელი წეთილეთში. ზანდარა<ზანდრი მამაკაცის სახელი/მეტსახელი ჩანს, შდრ. გვარი – ზანდარაძე.

დუდუ-ენთ¹ – მეტსახელი გვარი წეთილეთში. დუდუ¹ მეტსახელი ჩანს კაცისა.

შ. ფუტკარაძეს (ფუტკარაძე, 1993:183) ივეთში ჩაუწერია:

დაბელი-ენთ¹ შდრ. დაბელი, წარმომავლობის სახელი.

¹ „ასე იტყვიან: ზრუგი თუ გეფხანება, დარბაზიენთ კარს მიაღებო“ (ფუტკარაძე, 1993:25), მოჩხუბრები არიანო.

ზობი-ენტ’ი < *ზუბი-ენტ’ი (?) – ზუბიენთი ბაზგირეთშიც დავადასტურეთ.

ცხიკატი-ენტ’ი შდრ. მეტსახელი კაცისა **ცხიკატა**. ცხი’ კატის მოსაშორები შორისდებულია. ცალკე შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს მეტსახელის სახელდების პრინციპი. მნიშვნელოვანია, სახელმეტას/მეგლის/სიგელის შერქმევისას რა ნიშანს მიაქცევს სახელმდებელი ყურადღებას. რატომ „ცხიკატა“?

მეთაფლი-ენტ’ი შდრ. ხელობის სახელი მეთაფლე.

კუტუსი-ენტ’ი შდრ. კაცის მეტსახელი კუტუსი.

ყურადღება მივაქცევთ ზიოსურ „გვარებსაც“:

ბექი-ენტ’ი – ახლა ბექამეობას/ბექაზეობას ჩემულობს.

ბალი-ენტ’ი შდრ. ბალამე/ბალაზე.

ხველი-ენტ’ი ახლა ხველამე/ხვერამე^{საც} ამბობენ. „გვარის“ ფუძე უნდა იყოს ხველი/ხველა, წარმომავლობის სახელი, ხვერა’ მისი ფონეტიკური სახესხვაობაა.

შოლტისხვეური „გვარებია“:

ხვალი-ენტ’ი, – ხვალი/ხვალა მეტსახელი კაცისა? მედლე-მეხვალიე კაცს შესაძლოა შეარქვეს ხვალი/ხვალა, მის ჩამომავლებს კი – ხვალიენთი უწოდეს.

ბათი-ანთ’ი, – ბათა, ბათი კაცის მეტსახელია. შდრ. გვარი ბათამე.

თათუ-ენტ’ი < *თანთუ-ენტ’ი. შდრ. თანთიმე/თანთუმე.

დასარულ კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავ: მექართულე შავშეთში რამდენიმე „გვარის“ მაწარმოებლად ჩანს **-ეთ** სუფიქსი. **-ეთ** < -ენტ’ისაგან ნ’ს ჩავარდნით, ამიტომაც ასეთ პოზიციასში ყველგან უნდა აღდგეს **-ენტ**: უნდა გაიმიჯნოს სახლის სახელი (**-ენტ** სუფიქსით ნაწარმოები) და მისი საცხოვრისი (**-ეთ** სუფიქსით ნაწარმოები): სომეხეთი (ადგილი), სომეხ-ენტთი – „გვარი“, მიქელეთი (ადგილი), მიქელენთი – „გვარი“...

მოვიყვანეთ **-ენტ** სუფიქსიანი მეტსახელი გვარების ჩვენს ხელთ არსებული მაგალითები. ყურადღებას იქცევს, რომ „გვარის“ ფუძედ უპირველესად აუღიათ სახლის უფროსის, უფრო მამაკაცის სახელი ან მეტსახელი, იშვიათად ქალისაც (ხატიჯიენთი, აიშიენთი...), ზოგჯერ წარმომავლობის, ხელობის სახელები. ოჯახის სახელდებისას სახლის სახელის ფუძედ გამოუყენებიათ ზმნიზედებიც, – ხვალიენთი, მიღმიენთი, ქომიენთი... მნიშვნელოვანია, რომ **-ენტ** სუფიქსიანი ქობის სახელები ძველი წარმოებისაა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სოფელში „გვარები“ ერთად ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ უბანს, რაც განსაზღვრავდა კიდეც სოფლის დასახლების სტრუქტურას. ანალოგიურ ვითარებაზე ვსაუბრობდით ტაოში (იხ. ფაღავა, 2018), დასახლების იმავე ტიპს ვხვდებით მაჭახელში (იხ. მსხალამე, 1954), სხვაგანაც. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ქობულეთური სოფელი გორებად იყოფა, რომლებიც თავდაპირველად ერთი გვარის კუთვნილება იყო, ასეა ბათუმის სოფლებშიც... ამ თვალსაზრისით ჭოროხის ხეობის სოფლების შესწავლა, ვფიქრობთ, საინტერესოა როგორც ლინგვისტურად, ისე ეთნოლოგიურად.

დავუბრუნდეთ შავშეთს და შავშურ სოფელში გვართა განსახლებას:

უბე: **გორგეთი** (გორგეინთების უბანი), **იბიშიეთი** (იბიშიენთების უბანი), **მიღმიეთი** (მიღმიენთების უბანი), **კულულიეთი** (კულულიენთების უბანი), **კორტიეთი** (კორტიენთების უბანი), **კოვიეთი** (კოვიენთების უბანი), **ჭივიეთი** (ჭივიენთების უბანი).

ჩიხორი: **ბერიეთი** (ბერიენთების სამოსახლო), **გიგიეთი** (გიგიენთების სამოსახლო). სოფელში სხვა უბნებიც გამოიყოფა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის არა საინტერესო.

ჯინალი: **უზნარეთი**, **ბახჩიეთი**, **ზაქარეთი**, **მიქელეთი**, **ჭიაჭიმურეთი**, **ბარდულეთი**.

ზოგჯერ სოფელში „გვარი“ არ ახსოვთ, მიწამ შეინახა მათი ხსოვნა: ჯინალში არ ჩაგვიწერია „გვარი“ **ჭიაჭიმურიენთი**, არც **ბარდულენთი**, არც **ზაქარიენთი**, არც **მიქელენთი**, არც **უზნარენთი**, მაგრამ ადგილის სახელები უზნარეთი, ბახჩიეთი, ზაქარეთი, მიქელეთი, ჭიაჭიმურეთი, ბარდულეთი გვაგვარაუდებინებს დასახელებულ ქობის სახელებს ჯინალში. სხვაგვარად, მიწამ შეინახა გვარების ხსოვნა.

დიობანი: **ობნიეთი**, **წიქრიეთი**, **ყუმაშეთი**, **ციალეთი**, **ქოქლეთი**.

მანატბა: **ჯიჯანიეთი**, **კოსოლიეთი**, **დარბაზიეთი**, **შავქეთლიეთი**.

შეენშნავთ: მანატბაში შეგვხვდა გვარები ჯიჯანიძე და კოსოლიძე, არ ჩაგვიწერია ჯიჯანიენთი და კოსოლიენთი. მიწამ შეინახა ხსენებული ოჯახების ძველი სახელები.

აღვნიშნავთ, რომ სოფელში, სადაც -ეთ სუფიქსიანი ადგილის სახელები დასტურდება, იგულისხმება იმავე ფუძისაგან ნაწარმოები -ენტ სუფიქსიანი „გვარები“.

ხოხლევ: **მესხიეთი**, **გორგეთი**, **ქომიენთი**, **ჯენიგლიეთი**, **ლომიეთი**, **კევრიენთი**, **პალჯიენთი** (<*ბალჯიეთი). ახლა ხოხლეველებს **ჯენიგლიენთი** სახლის სახელი არ „ახსოვთ“, იციან **ჯენიგელი**, არც – **კევრიენთი** (იციან კევრაზე//კევრამდე), არც – **ბალჯიენთი** (იციან მეთაფლიენთი)... მიწამ შეინახა სოფლის ძველი „გვარები“.

აქ წინასწარ ერთი ვარაუდის გამოთქმაც შეიძლება: აწინდელი ძე/ზე'ზე დასრულებული გვარები ძველი -ენტ სუფიქსიანი სახლის სახელებია. დასტურად შემდეგი ფაქტებიც გამოდგება: მესხაზე//სისხაზე გვარი, მესხიეთი – უბანი, ქომაზე – გვარი, ქომიეთი – უბანი... უფრო მეტიც, პალჯი გვარი, პალჯიენთი – უბანი...

დაბოლოს, შავშეთის გეოგრაფიულმა სახელებმა და „გვარებმა“ შეგვინახა შავშეთში ოსმალობამდე გავრცელებული სახელები, უმეტესად – მამაკაცის:

აბრამიენთი – **აბრამი**, აბაშიენთი – **აბაში**, ბერიეთი – **ბერი**, **ბერა**, ლომიეთი – **ლომი**, **ლომა**, გაბილეთი – **გაბილა**, სოსანეთი – **სოსანა**, ბასილეთი – **ბასილა**, მიქლეთი – **მიქელა**, გიგიეთი – **გიგი**, ზაქარეთი – **ზაქარა**, გორგეთი – **გორგი** (<*გიორგი).

აქვე დავასახელებთ:

ივანური – **ივანე**, მარამული – *მარიამული – **მარიამი**, წეწლაური – **წეწლა...**

ამ თვალსაზრისით შავშეთის ტოპონიმისა და გვარების შესწავლა, ვფიქრობთ, საინტერესოა.

ძე//ზე შავშურ გვარებში

შავშეთში დასტურდება ძე//ზე ზე დაბოლოებული გვარები, რომლებიც შედარებით ახალია. ბარემ ვიტყვით, რომ მექართულე შავშები უფრო გამოთქვამენ ზე'ს (ძ:ზ მონაცვლეობა სამხრულ მეტყველებაში ხშირია. იხ. ფადავა, 2003:178-181). ნიკო მარი წერს: „ადგილზე ვკითხულობ ქართული გვარების შესახებ. ჩვეულებრივ ისინი ძე'ზეა. მაგრამ ქართულად არმოლაპარაკე მუსლიმანები (sic) წარმოთქვამენ როგორც ზე...“ (მარი, 2012:141) და ასახელებს ტბეთურ გვარებს: ციალიძე, ნიქებეძე (შდრ. ნიქაბაძე), კისერეძე, აგათიძე (*აღათიძე), ზიადიძე, მასკულიძე. მნიშვნელოვანია, რომ გასული საუკუნის დამდეგს ნიკო მარს დახვდა ინფორმაცია ტბეთელთა ქართული გვარების შესახებ, ახლა ტბეთში ანალოგიური მასალის მოპოვება შეუძლებელია.

ნიკო მარმა ექსპედიციის დროს სხვა სოფლების გვარებიც ჩაიწერა:

ჭუარები: **ფანჩიძე** (შდრ. ფენჩიძე).

მერია: **ფირპიძე, ირემიძე** (შდრ. ირემაძე).

გარყელოფი: **ქადაგიძე**.

დაბაწვრილი: **კობაძე, ხალაძე**.

სულობანი (სხლობანი): **ფუტკარიძე, ბერიძე, თულაძე, გათამიძე** (სქ. ქათამიძე).

დაბაკეთილი: **ლერძამიძე** (შდრ. ლერწამიძე), **მორთულაძე**.

ციხისძირი: **კორდისძე, ყარმუსძე, აბრამისძე** (მარი, 2012:105).

იფხრეული: **მოსიძე, საღრამე, სუბუქიძე, შარამე, ჯორკაძე, ოსიძე** (მარი, 2012:171-172).

დასამობი: **აღანიძე, ჯარბიძე** (ჭარბიძე)¹

ყურადღებას მივაქცევ ციხისძირის გვარების არქაულ ფორმებს: კორდისძე, ყარმუსძე, აბრამისძე და იმასაც, რომ ახლა ეს სოფელი მეტურქულა და ქართული გვარები აღარავის ახსოვს. დაბოლოს, ციხისძირში ნ. მარი ადასტურებს გვარს **კორდისძე**. შავშეთში არის სოფელი **კორიდეთი**. იგულისხმება, რომ კორიდეთი კორდიენტის კუთვნილია, ამ უკანასკნელისაგან ახალ დროში უწარმოებიათ კორდისძე².

სხვა სოფლებში ჩვენმა ექსპედიციამ ჩაიწერა:

¹ მამუდ ახმედ ოლლი ჯარბიძე ამტკიცებდა, რომ მისი პაპა მღვდელი იყო (მარი, 2012:156). საყურადღებო ინფორმაციაა: მეოცე საუკუნის დამდეგს ჯერაც არის ცნობა ქრისტიანობის შესახებ შავშეთში. იყო მღვდელი, ნიშნავს იყო მრევლიც, შესაბამისად, ივარაუდება შავშეთში მე-19 საუკუნის ბოლოს ქრისტიანული თემის არსებობაც.

² ნიკო მარი შენიშნავს: „ადგილობრივები თავისთავს ქართული გვარებით არ წარმოგიდგენენ. მხოლოდ როცა ჰკითხავთ, მაშინ გაცნობებენ ქართულ გვარებს“ (მარი, 2012:105). შავშელთა ასიმილაციის ტემპი ჩანს ამ მცირე ცნობაშიც.

ხეგრამე – გვარი უკანეთის მაჰალესა და ხოხლევში.

ცვარიძე – გვარი ბაზგირეთში.

ჩაქვიძე – გვარი ზაქიეთში.

ქომამე, გორგაზე – გვარები ხოხლევში.

ჩაქურიძე – გვარი ზაქიეთსა და დაბაწვრილში. ზაქიეთში ჩაქვირინ-თსაც ამბობენ. ჩაქვიძე და ჩაქურიძე საერთო ფუძის გვარებია: ჩაქვიძე<*ჩაქვირინე<*ჩაქურიძე. ჩაქური – საკუთარი სახელი ჩანს.

მიქამე/მიქაზე – გვარი ზაქიეთში.

შულლაზე – გვარი აგარაში.

ქურდუკიძე – გვარი ხევწვრილსა და ბაზგირეთში.

მესხაძე – გვარი დაბაწვრილში. იმავე გვარს ვხედავთ ხოხლევსა და უკანეთის მაჰალეში.

მჭედლიძე – გვარი ბაზგირეთში.

კორტოხაძე – გვარი უბეში. ინფორმატორმა ეს გვარი (სხვაც რამდენიმე) მრავლობითში წარმოთქვა, ჩვენც ასე ჩავიწერეთ და უცვლელად შეგვაქვს შრომაში.

კოვიძე – გვარი ხევწვრილში.

კიკნაძე – გვარი ხევწვრილსა და ბაზგირეთში.

გამეშიძე – გვარი გამეშეთში, ბაზგირეთის ზემო უბანში. ნუგზარ ცეცხლაძე და თამაზ ფუტკარაძე გამეშიძესა და ქამაშიძეს პარალელურ ფორმებად მიიჩნევენ (იხ. ცეცხლაძე, ფუტკარაძე, 2001:123). გარეგნული „მსგავსების“ მიუხედავად, გამეშიძე და ქამაშიძე სხვადასხვა გვარია. გამეშიძეები სახლობენ ბაზგირეთსა და იქედან მაჭახელშიც, ქამაშიძეები – ხულოში. შავშეთში ქამაშიძე არ დასტურდება.

გამრეკლიძე – გვარი ხევწვრილსა და ბაზგირეთში. გვარის ფუძე ხელობის სახელია, გამრეკელი.

დავლაძე – გვარი უბეში. დავლაძეები ხევწვრილშიც არიან. შდრ. სოფელი დავლათი. ჩანს, დავლათი (<*დავლეთი) არის დავლაძეების სახლის პირველსაცხოვრისი.

კობიძე – გვარი დაბაწვრილში. გვარის ფუძედ ანთროპონიმი კობა¹ აუღიათ.

კობაძე – გვარი გურნათელში. აღვნიშნავ, რომ გურნათელი მეთურ-ქულე სოფელია, თუმცა გურნათელებს ახსოვთ ზოგიერთი ქართული გვარი. ჩანს, არაა დიდი დრო გასული, რაც სოფელმა წინაპართა ენა დაივიწყა.

შულლაზე – გვარი ხოხლევში. მაჩატეთურ აგარაში შულლაძე აბაშიძეობას იჩემებს.

მოსიძე, მარგაძე, ვარდიძე – გვარები აგარაში.

ზუმბაძე – გვარი ბაზგირეთში¹.

¹ „თქვენი კოპრატის თავმჯდომარე იყო მოსული (გულისხმობს კიტა შავიშვილს, საბჭოთა საქართველოს ცეკავშირის თავმჯდომარე 70-80-იან წლებში – ავტ.), იმან მითხრა:

ჰაჯალიძე/ხაჯალიძე – გვარი უბეში. შდრ. მამაკაცის სახელი ხაჯიალი//ჰაჯიალი.

ქებაძე – გვარი უბეში.

ტივიძე – გვარი უბეში.

ბეჟაძე – გვარი ზიოსში. მოლოლოლისაც უწოდებენ ბეჟაძეებს.

კეფოძე – გვარი ბაზგიურეთში. „კეფოძე კაფვის ასოციაციით წარმოქმნილი გვარ-სახელია“ – წერს ი. სიხარულიძე (სიხარულიძე, 1988:57). ვითომ ასეა? „კაფვის ასოციაციით შექმნილი გვარ-სახელი“(!), საინტერესო „მიგნებაა“.

ბისონიძე – გვარი გამეშეთში. იური სიხარულიძე ასახელებს ბისონიძეს (სიხარულიძე, 1988:57). ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა ბისონიძე.

დარგიძე – გვარი იმერხევში. დარგი' მამაკაცის სახელი ჩანს. შდრ. დარგვეთი.

ზურაბიძე – გვარი ივეთში.

შ. ფუტკარაძეს დასამობში ჩაუწერია გვარი **ყურძენაძე** (ფუტკარაძე, 1993:226). ყურძენა, ჩანს, კაცის მეტსახელია, ძნელი გასარკვევია რა ნიშნით შერქმეული.

ჩიხორში დადასტურდა **წითელაზე**.

აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი გვარი შ. ფუტკარაძემ რომ ჩაიწერა, რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენმა ექსპედიციამ ვეღარ დაადასტურა, ასეთია:

მიქელყმაძე – გვარი ხევწრულში (ფუტკარაძე, 1993:229).

სხვა ხევწრულური გვარებია: **ფანჩიძე** (დასტურდება - ფენჩიძეც), **დონაზე**, **მიქელაზე**, **დავლაზე**, **ფუტკარიზე**, **მოსიზე** (ფუტკარაძე, 1993:229). ჩვენთვის მოულოდნელი იყო იმერხევში მიქელაძისა და დონაძის პოვნა.

წყალსიმერის გვარებია: **ღაღანიძე**, **სუბუქიზე**, **შარაზე**, **სადრიზე** (შდრ. სალარიზე/სალარაძე), **ბუტიზე** (შდრ. ბუთიძე), **ჯაფარიზე**, **ჭურკვესიზე** (შდრ. ჭურკვეიძე).

წეთილეთში ცხოვრობს: **ჯაფარიზე**, **ჭურდიკიზე**, **შუბლაზე**, **მესხაზე**.

იფხრეულში – **სადრიზე** და **ზურაბიზე**.

ნუგზარ ცეცხლაძე და თამაზ ფუტკარაძე იმერხევში ასახელებენ **კახაბიძესა** და **ხერხაძეს** (ცეცხლაძე, ფუტკარაძე, 2001:123).

სულ ესაა ჩვენს ხელთ არსებული შავშური გვარები. იქნებ სხვა გვარებიც არის **ძე**ზე დასრულებული მექართულე თუ მეთურქულე შავშეთში ჩვენი ყურადღების მიღმა რომ დარჩა. ბუნებრივია ყველაფრის აღწერა ვერ ხერხდება. აღვნიშნავთ:

რა სოფადი (გვარი – ავტ.) ხარო?

ზუმბოლი-მეთქი!

არა, ზუმბაძე იქნებო!

კარგი-მეთქი! – ასე გავხდი ზუმბაძე“ (ფაღავა, 2013:104). მოყვანილი ამონარიდი მიგვანიშნებს ზოგიერთი ძე'დაბოლოებიანი გვარის გენეზისზე.

– მე¹თი ნაწარმოებ გვართა უმრავლესობას ფუძედ სახლის უფროსის სახელი//მეტსახელი აქვს აღებული.

– მნიშვნელოვანია, რომ მე¹ზე დაბოლოებული გვარის კუთვნილება სოფელში ან იმავე სახელითაა (გვართ – ავტ.) სახელდებული, ან -ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელით.¹

მოვიყვანოთ მაგალითებს:

გვარი	უბანი, მიწა
ხოხლევ: მესხაზე//მესხაძე	მესხეთი
გორგაზე//გორგაძე	გორგიეთი
მანატბა: ჯიჯანიძე//ჯიჯანიძე	ჯიჯანიეთი
კოსოლიძე//კოსოლიძე	კოსოლიეთი
სურევანი: კოტალაძე	კოტალეთი
დიობანი: ვასაძე//ვასაძე	ვასათი<*ვასეთი
აგარა: აბაშიძე	აბაშიეთი

მაგალითების დამებნა კიდევ შეიძლება, მაგრამ აღარ გავაგრძელებთ, რამდენადაც ზემოთ მრავალი ანალოგიური მაგალითია მოყვანილი.

მოვიყვანოთ მაგალითებს, სადაც მე¹ზე სრულდება გვარები, ამავე სახელებით აღინიშნება მისი კუთვნილი მამულიც სოფელში:

გვარი	უბანი//მაჰალე, მიწა
სინკოთი: გოგნიძე (<*გაგნიძე)	გოგნიძე
დაბა: დებაძე	დებაძე
ზენაგარა: შულლაძე	შულლაძე
მარგაძე	მარგაძე
ზაქიეთი: მიქაძე	მიქაძე
უბე: კორტოხაძე	კორტოხაძენი
კოვიძე	კოვიძეები
ზაქიეთი: მიქაზე//მიქაძე	მიქაძე
იფხრეული: იმნაძე	იმნაზე
მერე: კომბაზე//კომბაძე	კომბაზე

ზოგიერთი გვარის არსებობა სულაც მიწამ „შეინახა“, ასეთია წყალ-სიმერში ბასილიზე, ბაბელიზე, ზაქარიზე...

¹ ყურადღებას იქცევს ასეთი ფაქტიც: სოფელში მიწის, ყანის, ჭალის თუ წყაროს მეპატრონედ ჩანს არა მარტო გვარი თუ სახლი, არამედ პიროვნებაც: არჩილ წყარო (<*არჩილას წყარო), გორგი ვაკე (<*გორგის ვაკე), დოდო ყანა (<*დოდოს ყანა), მაჩო ყანა (<*მაჩოს ყანა) (მაჩო<მაჩვი – კაცის მეტსახელია), პაპუნა ჭალა (<*პაპუნას ჭალა), პეტრო ყანა (<პეტროს ყანა) (მასალები ავიღეთ: ცეცხლაძე, ფუტკარაძე, 2001:123, კომენტარები ჩვენია).

მკითხველი ყურადღებას მივაქცევ სინტაგმა ტოპონიმში შემავალ ანთროპონიმებს: არჩილი, გორგი<გორგის, დავითი, დოდო, პაპუნა, პეტრო<პეტრე... ყველა ოსმალთაგანდელი სახელებია შავშეთში, ჩანს, ქრისტიანული. დასახელებული და მსგავსი ანთროპონიმები დღეს აღარ გვხვდება, ტოპონიმმა შეინახა მხოლოდ.

-ძე'თი გვარები ახალ დროში უწარმოებიათ, ადრე -ენტ' სუფიქსით იწარმოებოდა სახლის სახელები, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი. დასტურად საკმარისია ის ფაქტი, რომ ძე'თი ნაწარმოებ გვართა უმეტესობა -ენტ სუფიქსით გაფორმებულიც გვხვდება.

ძე'ზე დასრულებული ბევრი შავშური გვარი დღეს დასტურდება მაჭახელშიც. ვფიქრობთ, ესეც ერთი დასტურია იმისა, რომ ისტორიულად მაჭახელი შავშეთის ნაწილი იყო.

„შვილი“ შავშურ გვარებში

„შვილზე“ დაბოლოებული გვარები მცირეა შავშეთში. ჩანს, ან ნამალადევია ასეთი გვარები, ანდაც – გვიან გაჩენილი:

ბაზგირეთში ჩავიწერეთ **პალიშაშვილი**, თან გაგვიმართეს – ბეზირგანოლი ვართო.

ჩიჩისხევეში **მამალიშვილები** სახლობენ, მაჭახლიდან მოსულანო. მაჭახელში ანალოგიური გვარი არ დასტურდება, არც „ტბეთის სულთა მათიანეში“ ჩანს.

ჩიჩისხევეში ჩავგაწერინეს **ბერიშვილი**, – იხტიაროლისაც ეტყვიანო. ბერი//ბერა სახელური ფუძე უდევს საფუძვლად გვარს.

ხევწვრილში დადასტურდა **მელიქოლიშვილი** – ორმაგსუფიქსიანი (ოლი, შვილი) გვარი, უბეში ცხოვრობენ მელიქიენთები. მელიქოლიშვილი და მელიქიენთი ერთი გვარის ორი სახესხვაობაა, მეორე ძველია, პირველი – ახალი, იქნებ სახელდახელოდ შექმნილი...

უსტამიში **დათუნაშვილები** ვნახეთ, ახლა ბულდუხებს იწერებიან.

ბაზგირეთში **თანთოშვილებს** შევხვდით, თანთოლისაც გვეტყვიანო.

შ. ფუტყარამემ ჩიხორში ჩაიწერა: **ჩოლოყაშვილი, ველიაშვილი და კვიტაშვილი**.

სულ ესაა „შვილზე“ დაბოლოებული გვარები შავშეთიდან, მომავალმა ძიებამ იქნებ ახალი მასალები გამოავლინოს, რომელიც შეავსებს ჩვენს ცოდნას შავშური გვარების შესახებ. მასალები დაემატება, მაგრამ, ვფიქრობთ, დასკვნა არ შეიცვლება, რომ ძე'სა და შვილ'ზე დაბოლოებული გვარები შავშეთში ახალია, მეორეული წარმოშობისაა.

„უცნაური“ გვარები შავშეთიდან

„უცნაური“ ვუწოდეთ შავშეთში სხვადასხვა დროს ჩაწერილ გვარებს, რომელნიც საერთო კანონზომიერების გარეთ არიან. ამ ჯგუფში გავაერთიანეთ გვარები, რომლებიც არც -ენტ'ზე მთავრდებიან (სახლის სახელები), არც ძე'ზე და არცა **შვილ'ზე**, არც მის თუქულ ეკვივალენტ – **ოლი'ზე**.

უბეში ჩავიწერეთ: **ჩაფრასტები** – სახლის სახელია. ფუძედ ჩაფრასტი აულიათ.

ჩაფრასტი სპარსულია, ქართულად არასწორს, მრუდეს ნიშნავს, გადატანით – მატყუარას, უკუღმართს (ნიჟარამე, 1971). ჩანს, ამ თვისებათა გამო შეარქვეს უბელებმა „ჩაფრასტები“ მეზობელ ოჯახს.

ფალაზები – „გვარი“ ზიოსში.

ფალავი – ძველი ტანსაცმლის ნაფლეთი, ნაგლეჯია, ძონძი (ფუტკარაძე, 1973). ძონძებით რომ დადიან, ისინი არიან ფალავები. ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტსაც: აჭარულში გვხვდება ზმნა ეფალავება, იტყვიან ადამიანზე, რომელიც საჭიროზე დიდი ზომის ტანსაცმელს იცვამს და სასაცილოდ დადის: „შეხედე ერთი, რაფერ ეფალავება უსუფაის გოგო, რაფერი ურუბა ჩუუცვამს...“

სარაჯი – „გვარი“ უბეში. შდრ. **სარაჩი**. თურქულია, ქართულად მეუნაგირეს ნიშნავს (იხ. ლექსიკონი, 2001).

მურეშენი – „გვარი“ უბეში.

მურეშას აჭარაში შავგრემან კაცზე იტყვიან (ნიჭარაძე, 1971). მურეშენი//მურეშები ამ ნიშნით შერქმეული მეტსახელია, შემდეგ გვარად ქცეული.

მურევი (//მურები) – „გვარი“ უბეში. სახელის ფუძეა მური, „სომხურია, კუამლისგან გამავებულს ჰქვია; ქართულად ფარილს უწოდენ“ (საბა, 1949). მურევი//მურები იგივე შავებია.

კიკვიები – „გვარი“ ჩიჭისხევში. „ლაღაბია, დაბალი კაცები არიან და ისე ეტყვიან“ – განმარტა ინფორმატორმა.

ჭიკვიები – „გვარი“ ჩიჭისხევში. ჭიკვა წვრილს, პატარას უნდა ნიშნავდეს.

ზორბები – „გვარი“ უბეში. ზორბა „წარმოსადეგი, დიდი, მოსული“ (ქეგლ). დიდები ყოფილან და ამიტომაც შეურქმევიათ ეს სახელი უბელებს მეზობელი სახლისათვის.

თუშები (>თუქშები) – „გვარი“ უკანეთის მაჭალეში. გამოიყოფა თუშ>*თუქშ ფუძე. შ. ნიჭარაძე აჭარულში ადასტურებს თუშს და განმარტავს: „ნაძვის ან სოჭის ხშირი და სიბრტყივ გართხმული ტოტები, რაზედაც ჯარჯებად დააწყობენ მოჭრილ ხეებს... და თავქვე დააცურებენ ხოლმე მოყინულ თოვლზე ან ტყიანი მთის თხრილზე“ (ნიჭარაძე, 1971). იქნებ თუშის საქმით იყო ცნობილი ეს ოჯახი და სახელიც აქედან მიიღო?

ბოკვერი – „გვარი“ სვირევანში. ბოკვერი დათვის ნაშიერია, აჭარაში მსუქან ბავშვზეც იტყვიან, ბოკვერივითააო. აღვნიშნავ, რომ ბათუმში, ორთაბათუმის თემში სახლობს „გვარი“ ბოკვეროლლი (შდრ. ბოკვერიშვილი).

ბოკვერი კაცის მეტსახელი ჩანს.

ბედინები – „გვარი“ სვირევანში. არაბულია ბედენი (Beden), ნიშნავს სხეული, ტანი, ადგილი. იქნებ ბედინი<ბედენი>საგან და ნიშნავს ადგილობრივს.

უხვანჯური – უქონლობის სახელია, წარმოქმნილი **ხვანჯ** ფუძიდან. „ხვანჯი – ხრიკი და ხლათი“ (საბა, 1949). უხვანჯური – ვინაც ხრიკი არ იცის, გულწრფელია.

იმერხევში სხვადასხვა დროს ჩავიწერეთ:

ჩაფხუნები//ჩაფხუნოლები – ჩაფხუნი სახლის მეტსახელი ჩანს. საბა განმარტავს ჩაფხუტს, ზუჩთან გვაგზავნის. ზუჩი – ჩაბალახთან ნახეო. ეს უკანასკნელი ასეა განმარტებული: „ესე არს თავსახურავი საომარი, გინა

წვმაში თავს ჩამოსაცმელი რამე“ (საბა, 1949). ჩაფხუნები – ჩაფხუტით//ჩა-ბალახით რომ დადიან, ის სახლია.

კოჩნები – *კოჩანები, გამოიყოფა ფუძე კოჩან’ი, შეიძლება კუტს, და-კუტებულს ნიშნავდეს.

დელიჯა – „გვარი“ იმერხევში(?).

ბაირახტარი – „გვარი“ ჩაქველთაში. შდრ. მედროშე, მეწინავე. მედროშის ოჯახს ბაირახტარი უწოდეს.

უჩიტლები – „გვარი“ წეთილეთში. Учитель – მასწავლებელი. მოულოდნელია წეთილეთში რუსიზმი, თუმცა ფაქტია.

ნიკო მარი კუტალეთში ჩაიწერს „საგვარეულო სახელებს“: **ელიზამ, ლაზარამ, ოსეფამ** (მარი, 1911:32).

მეტსახელი გვარები სხვაც შეიძლება იყოს შავშეთში. ჩვენი მასალა ამით ამოიწურა. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს სახელდებისას შერჩეული ნიშანი, ზუსტი მახასიათებელი კონკრეტული პიროვნებისა თუ ოჯახისა.

„ოლი“ შავშურ გვარებში

ოსმალობის დროიდან შავშეთში (არა მარტო) წარმოიქმნა -ოლი//ოლულ (შდრ. ქართული შვილი) დაბოლოებიანი გვარები, ე.წ. ოსმალურ გვარები. ისინი ახლა გამოცვლილია, მაგრამ შავშებს დღესაც ახსოვთ ძველი ლაღაბები//ლაღბები (მეტსახელები) და ბევრმა საკუთარ „გვარად“ სწორედ ის დაგვისახელა.

ბაზგირეთში ჩავიწერეთ **ბეზირგანოლი** (შავშეთი, 2011:376), პალიშაშვილიაო ჩვენი ძველი გვარი. ბეზირგანი სპარსულია, ვაჭარს, სოვდაგარს ნიშნავს.

ბეზირგანოლი – ვაჭრის შვილი. ძველი პალიშაშვილი ოსმალობის დროში ბეზირგანოლად იქცა, სრულიად ახალი ნიშანი დაედო გვარს საფუძვლად.

ყავეჯოლი – „გვარი“ ჩიჭისხევში. ყაჰვე არაბულია, იგივეა, რაც ქართული ყავა. ყა[ჰ]ვეჯი – ვინც ყავას ამზადებს. ხელობის სახელი დაედო „გვარს“ საფუძვლად. ყავეჯოლი რიზედან მოსული ლაზიაო, ინფორმატორმა.

ჯივანოლი – „გვარი“ ბაზგირეთში. ჯივანიდან (სოფელია ისტორიულ კლარჯეთში) მოსულის შთამომავალია ჯივანოლი.

ხოჯიოლი – „გვარი“ ჩიჭისხევში. „ადანადან მოსულა“ ხოჯიოლი (ინფორმატორის განმარტება – ავტ.). ხოჯა სპარსულია, ქართულად ნიშნავს: 1. მასწავლებელი; 2. მუსლიმანური სასულიერო პირი. ხოჯიოლი – ხოჯის ჩამომავალია.

ყარსელოლი – „გვარი“ ჩიჭისხევში. ყარსიდან მოსულის ჩამომავლობაა ყარსელოლი. მნიშვნელოვანია, რომ ქართულ წარმომავლობის სახელს დაერთო „ოლი“ მაწარმოებელი.

ფათოდლები – „გვარი“ ჩიჭისხევში. ფათა (თ. Pata) ყაიმს ნიშნავს. ფათა’ მეტსახელი ჩანს.

უსუფოლი – „გვარი“ უბეში. შდრ. უსუფაშვილი.

სუსანოღლი – „გვარი“ უბეში. სუსანა ანთროპონიმია.

პაპოღლი – „გვარი“ ჩიხვთაში. შდრ. პაპიენთი, პაპიები

პეტროღლი – „გვარი“ უბესა და უსტამისში. შდრ. პეტრიენთი//პეტრენთი.

ლაზოღლი – „გვარი“ უბეში. იქიენთი - ასეც მოიხსენებენ ლაზოღლებს. ფუძედ ეთნონიმი ლაზი აუღიათ. შდრ. ლაზიშვილი.

მოლოღლი – „გვარი“ უბესა და ზიოსში. მოლა არაბულია (Molla) „მთავარი მოსამართლე, მედრესეს მოსწავლე, განათლებული პიროვნება“ (ფუტკარაძე, 1993). ისლამის მსახური, მასწავლებელი. შდრ. გვარი მოლაშვილი, მოლიშვილი.

ისმეთოღლი – „გვარი“ უბესა და სვირევანში. ისმეთი მამაკაცის სახელია.

იზეთოღლი – „გვარი“ უბესა და სვირევანში. იზეთი მამაკაცის სახელია.

თანოღლი – „გვარი“ უბეში. თანთო მამაკაცის სახელი ან მეტსახელია. თანთოღლებს კოლოტენთებსაც უწოდებენ. ბაზგირეთში ჩავიწერეთ გვარი თანთოშვილი. თანთოღლი ახალია, მასზე ახალია - თანთოშვილი.

ზუზოღლი – „გვარი“ ჩიჯისხევში.

გენჯოღლი – „გვარი“ ჩიჯისხევში. გენჯი მამაკაცის სახელია. გენჯი (თ. Genç) ახალგაზრდას ნიშნავს თურქულად.

ბაირახტაროღლი – „გვარი“ უბესა და სვირევანში. შდრ. ბაირახტარი - გვარი ჩაქველთაში.

დელიოღლი – „გვარი“ ჩიჯისხევში, ლეჩიშვილებსაც ეძახიან. თ. Deli [დელი] სულელი, არანორმალური (ლექსიკონი, 2001).

დევერიშოღლი – „გვარი“ უბეში¹. დევერიში (სპ. dervis) მუსულმანური სასულიერო პირი (ფუტკარაძე, 1993).

იხტიაროღლები – „გვარი“ ჩიჯისხევში. იხტიარი (არ. ixtiar) მოხუცი, ასაკოვანი.

ხოროზოღლები – „გვარი“ ჩიჯისხევში. ხოროზი (სპ. horoz) მამალი. მამალაშვილებსაც ეძახიან ხოროზოღლებს.

ფანთოღლი – „გვარი“ უსტამისში.

ყარალოღლი – „გვარი“ უსტამისში. შდრ. ყარალი (თ. Karali) განსაზღვრული, თანაბარი, ზომიერი, დადგენილი (ფუტკარაძე, 1993).

გურჯიოღლი – „გვარი“ ზიოსში. შდრ. გურჯი (gürgü) ქართველი. შდრ. ქართველიშვილი. აღვნიშნავთ, რომ გამუსლიმანებულ შავშეთში ქართველი, ქართველიშვილი უარყოფითი შინაარსი მატარებელი სიტყვებია, ურჯულოს ნიშნავს.

კედელოღლი – „გვარი“ შავშეთში. კედელა მეტსახელი ჩანს.

ნ. მარს ჩაუწერია „გვარები“: **ირიდ-ოღლი, წმაზოღლი, ჯიროღლი, მემედ ხასან-ეფენდი ოღლი, ყარა ახმედ ოღლი, ისა ბეგ ათაბეგ-ოღლი** –

¹ „დევერიშოღლებს გვეტყვიან. გურჯი სოფადი დევერიშიშვილი(?) იშტე...“ (ფაღავა, 2013:48). ექსპედიციის თვალწინ დევერიშოღლი დევერიშიშვილად იქცა...

ოქრობაგეტში (მარი, 2012:157;145; 104;112). უცნაურია, რომ ძველი ათაბაგების შთამომავლები ათაბეგობას ჩემულობენ და ყვიჩალები ვართო, ამტკიცებენ.

სამწყალში უბანია **კარიბოღლი** – კარიბოღლის სახლის სამოსახლო.

კუნჭულოღლი – „გვარი“ წეთილეთში, კუნჭულებსაც უწოდებენ თავს. კუნჭული მეტსახელი ჩანს.

ინჯილოღლი – „გვარი“ აგარაში. ინჯილ (არ. incil) ახალი აღქმა, სახარება. საყურადღებო ისტორია შეფარულია ამ „გვარში“.

დემურჯოღლი – „გვარი“ მაჩხატეთში. დემირჯი (თ. demirci) მჭედელი. შდრ. მჭედლიძე, მჭედლიშვილი.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ ერთი და იგივე „გვარი“ შეიძლება რამდენიმე სოფელში შეგვხვდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქმე ერთ ოჯახთან, სისხლით ნათესავებთან გვაქვს. რომელიმე მოლოღლი გვხვდება უბესა და სვირევანში, ისინი სხვადასხვა ოჯახის ჩამომავლები არიან, ერთი უბელი მოლის, მეორე – სვირევნელი. ასევე დემირჯოღლი ჭოროხის ყველა ქვეყანაში დასტურდება, მჭედლის ჩამომავლებს დემურჯოღლი (მჭედლიენთი, მჭედლიძე, მჭედლიშვილი) უწოდეს. ამდენად, დემირჯოღლები სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა დემირჯის ჩამომავლები არიან...

სოფლებში უბნებს ან ოჯახის კუთვნილ მიწებს „გვართ“ იხსენებენ, რაზეც ზემოთაც ვსაუბრობდით. მაგალითად:

წყალსიმერში დასტურდება ადგილის სახელები: **ყავრანოღლები** (გვარი ყავრანოღლი არ შეგვხვედრია – ავტ.), **ჩახმახოღლები**, **ყოჩალოღლი** (<*ყოჩალოღლი, – „გვარი“ არ დაგვიდასტურებია), **თითიოღლები** („გვარი“ არ შეგვხვედრია), **მურადოღლები**, **ყარსიოღლები**, **დაიროღლები** (შდრ. დაირი - მამაკაცის სახელი. ბათუმში, ორთაბათუმის თემში დასტურდება შტო-გვარი დაირალისშვილები), **ეზიზოღლები**.

აგარაში ადგილის სახელია **ბადიშოღლები**.

იფხრეული: **მისიროღლები**, **ქოფითუროღლები**, **იფშიროღლები**, **მალჯიოღლები**. აღვნიშნავთ, რომ **ქოფითუროღლი**, **იფშიროღლი**, **მალჯიოღლი** „გვარი“ არ შეგვხვედრია.

წეთილეთი: თემუროღლი.

გვარის წარმოების პრინციპი ოსმალობის პერიოდში შეიცვალა (მე, შვილი თურქულმა ოღლიმ ჩაანაცვლა), თუმცა სოფელში „გვარის“ კუთვნილების აღნიშვნა იგივე დარჩა.

ლიტერატურა

ლექსიკონი 2001 – თურქულ-ქართული ლექსიკონი, I-II, სტამბული, 2001.

მარი 1911 – Н. Я. Марр, Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзийского... с дневником поездкий в Шавшетию и Кларджию. Кн. Тексты и Разыскание по Армяно-Грузинской Филологии. т. VII, СПб., 1911.

მარი, 2012 – ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი, 2012.

მატიანე 1977 – ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

მსხალაძე 1954 – ალექსანდრე მსხალაძე, მაჭახლის ხეობის ტოპონომიკისათვის. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, 1, ბათუმი, 1954.

ნიჟარაძე 1971 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

საზა 1949 – სულხან-საზა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.

სიხარულიძე 1988 – იური სიხარულიძე, შავშეთ-იმერხევი, ბათუმი, 1988.

ფაღავა 2003 – მამია ფაღავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით. ბათუმი, 2003.

ფაღავა 2013 – მამია ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ., 2013.

ფაღავა 2018 – მამია ფაღავა, შტო-გვარის სახელთა წარმოება და ტაოური სოფლის დასახლების ერთი თავისებურება. სმამ, ტ. 12, №1, 2018.

ფუტკარაძე 1993 – შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.

შავშეთი 2011 – მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მათა ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბ., 2011.

ცეცხლაძე, ფუტკარაძე 2001 – ნუგზარ ცეცხლაძე, ნუგზარ ფუტკარაძე, შავშეთ-იმერხევის ანთროპონიმია. ქუთაისური საუბრები, VIII, ქუთაისი, 2001.

Mamia Paghava

Surnames in Shavsheti

Summary

The work deals with the issues of "surname" production in historical Shavsheti. The materials collected during the field expeditions of the BSU Center for Georgian Studies, as well as the records of other researchers (N. Mari, Sh. Putkaradze) were used for analysis.

According to the author's observation, the old formant of the Shavshuri "surname" was the suffix *-ent* (it produced the name of a specific house). Geographical names with the suffix *-et* expressed the belonging of the surname to the village. The endings *ze*, *švili*, and Turkish *oγli/oγul* producing surnames appeared later in Shavsheti.

ჭაბუკი ქირია

სალექსიკონო ზმნური ფორმის საკითხი მეგრულ-ქართულ ლექსიკონებში

ძირითადი სალექსიკონო ერთეულის შერჩევა იმის გათვალისწინებით ხდება, თუ რა ტიპის მასალის სისტემატიზებას ვისახავთ მიზნად, რა ტიპის ლექსიკონს ვადგენთ (ვთქვათ, ორთოგრაფიულ ლექსიკონში აქცენტი მართლწერის მიხედვით აქტუალურ ფორმებზე კეთდება და სწორედ და მხოლოდ ასეთი ფორმები უნდა იყოს გამოტანილი, დიალექტური ლექსიკონები დიალექტიზმებზეა ფოკუსირებული და ა. შ.).

ლექსიკონის ხასიათის მიხედვით შეირჩევა კონკრეტული სტრატეგია მეთაური სიტყვების წარმოსადგენად. შედარებით უმტკივნეულოდ გვარდება ეს საკითხი სახელებისა და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების შერჩევას, ხოლო ზმნის შემთხვევაში არსებობს საკითხის გადაწყვეტის განსხვავებული გზები: სალექსიკონო ერთეულად წარმოადგენენ: 1. ზმნას; 2. მასდარს; 3. ზმნასაც და მასდარსაც.

არცთუ იშვიათად საერთოდ არ ჩანს სალექსიკონო ერთეულის გამოტანის პრინციპი: ხან პირიანი ფორმაა წარმოდგენილი და ხან – მასდარ-მიმლეობა.

თარგმნითი, კერძოდ, „**ქართული – X**“ ტიპის ლექსიკონებისთვის ოპტიმალურად არის მიჩნეული ძირითად სალექსიკონო ერთეულად ზმნების წარმოდგენა: „პირიანი ფორმით შეტანა არათუ გამართლებულია იმ ენებისათვის, რომელთაც აქვთ კარგად განვითარებული პრეფიქსული სისტემა, არამედ აუცილებელიცაა, რაც დაადასტურა ქართულმა განმარტებითმა ლექსიკონმაც (მთ. რედ. ა. ჩიქობავა) და ამ პრინციპებით განმართულმა ქართულ-ინგლისურმა ლექსიკონმა (მთ. რედ. დ. რეიფილდი)“ (იხ. აფრიდონიძე, 2012).

ვეთანხმებით ამ პოზიციას.

დავაზუსტებთ თუ დავამატებთ: სალექსიკონო ერთეულად **მასდარრიც** უნდა გამოვიდეს, **მიმლეობაც** და **ზმნის პირიანი ფორმაც**, - ასეა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა და თარგმნითი „ქართული – X“ ტიპის ლექსიკონებისთვის **მასდარის** გამოტანა სალექსიკონო ერთეულად (ზმნის პირიანი ფორმის ნაცვლად) ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ, **აკეთებს, იკეთებს, უკეთებს... კეთდება, იზრდება, ეზრდება**

სტრუქტურის ფორმებზე და **მხოლოდ მათთვის საერთო მასდარულ „კეთება“ ფორმაზე** გავაკეთოთ აქცენტი.

მეტიც: ამას შეიძლება დაემატოს ის შემთხვევაც, როდესაც მასდარს უნდა დაეკისროს **კაუზატიურ** ფორმათა წარმოდგენის როლი, რაც კიდევ უფრო პრობლემატურია იმის გამო, რომ მასდარს (და მიმღეობას) დიახაც აქვს კაუზატიური სემანტიკის გამოხატვის გრამატიკული რესურსი, მაგრამ ენობრივ-საკომუნიკაციო პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათად ხდება ამ რესურსის რეალიზება, ამას ნამდვილად არა აქვს სისტემური ხასიათი. ქეგლში წარმოდგენილი მასალის მიხედვით ეს ტენდენცია ძალიან მკაფიოდ ჩანს; აქ არის, მაგალითად: **დაწერინება** [**აწერინებს**], **გაკეთებინება** [**აკეთებინებს**], **გაგებინება** [**აგებინებს**]... არ არის: **დახატვინება** [**ახატვინებს**], **დაჭერინება** [**აჭერინებს**], **გამზადებინება** [**ამზადებინებს**], **გაღებინება** [**აღებინებს**], **დაკეტვინება** [**აკეტვინებს**], **გაჭრევინება** [**აჭრევინებს**], **ამოხსნევინება** (**ამოხსნევინებს**), **ადუღებინება** [**ადუღებინებს**] და სხვა უამრავი ფორმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად კაუზატივებზეც უნდა ვთქვათ უარი.

ამ შემთხვევაში და ამის გამო მხოლოდ კაუზატივების პირიანი ფორმები გამოვიტანოთ?

მაგრამ ამით ხომ სალექსიკონო ერთეულების შერჩევის **პრინციპი დაირღვევა**. არადა, ლექსიკონის მთავარი ღირსება სათანადო მასალის შერჩევასთან ერთად მისი წარმოდგენის **პრინციპების თანმიმდევრულად გატარებაა**.

მასდარ-მიმღეობასთან ერთად ზმნის პირიანი ფორმის წარმოდგენა ოპტიმალური ჩანს **„მეგრულ-ქართული“**, ანუ **„X – ქართული“** ტიპის ლექსიკონებისთვისაც: არგუმენტაცია აქაც იგივეა, რაც არის ქეგლ-ისა და **„ქართული – X“** ტიპის ლექსიკონებისთვის.

„მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ არის თარგმნითი: მეგრული სიტყვა თარგმნილია ქართულად, – წერს ოთარ ქაჯაია (იხ. ქაჯაია, 2001, 17) და ძნელია მისი მსჯელობის მარტივ ლოგიკას არ დავეთანხმოთ: მას მეგრული ენად მიაჩნია და, აქედან გამომდინარე, მეგრული ლექსიკური ერთეულების ქართულად თარგმნა, თუ მას სისტემური სახე აქვს, კვალიფიცირდება როგორც თარგმნითი (და არა განმარტებითი, ანუ, ერთენოვანი) ლექსიკონის ფაქტი.

პარალელურ, ანუ **თარგმნით მეგრულ-ქართულ ლექსიკონზე** მსჯელობს არნ. ჩიქობავაც, რომლისთვისაც მეგრული ენა კი არა, ზანური ენის ერთ-ერთი დიალექტია (ლაზურთან ერთად) (ჩიქობავა 2008: 132-133).

ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში არ არის გამოკვეთილი პოზიცია, **ენაა** მეგრული თუ **დიალექტი** [იხ. ქობალია, 2010, 6].

ფორმულირება „მეგრული ლექსიკონი“ (ისევე როგორც „ლაზური ლექსიკონი“, „სვანური ლექსიკონი“) იმ რიგისაა, როგორცაა „აჭარული

ლექსიკონი, „გურული ლექსიკონი“ და სხვ. ამ ლოგიკით მეგრული ზანურ-რი ან ქართული ენის დიალექტად უნდა მივიჩნიოთ.

ახლახან გამოსული **„ქართულ-მეგრული ლექსიკონი“** იმის დადასტურებაა, რომ **მეგრული** სინამდვილეში ენად მიიჩნევა (ამასთან დაკავშირებით იხ. [ქირია, 2022]).

ქველ-ში ძირითადი სალექსიკონო ერთეულად **მასდარის, მიმღეობისა და ზმნის პირიანი ფორმის წარმოდგენა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად სრულად წარმოვაჩინოთ მასალა.**

მასალის წარმოდგენის პრინციპი ბოლომდე თანმიმდევრული ვერ არის ოთარ ქაჯაიას **ფუნდამენტურ „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“** იმის გამო, რომ **ძირითადად მასდარი, ზოგჯერ კი მიმღეობაა** გამოტანილი: „ზმნებისთვის ამოსავალ ერთეულად მიჩნეულია საწყისი. შემდეგ ნაჩვენებია პირიანი ფორმები (ჩვეულებრივ, მესამე პირი) აწმყოს, მყოფადის (ზოგჯერ), წყვეტილის, თურმეობითი პირველისა და თურმეობითი მესამისა (ე.ი. ოთხივე სერიის მეთაური მწკრივები). ზმნებთან აღნიშნულია, გარდამავალია ის თუ გარდაუვალი; გარდაუვალთან მითითებულია, ვნებითა თუ საშუალი. ვნებითთან ყურადღება მახვილდება, სტატიკურია თუ შესაძლებლობის ვნებითი, ხოლო საშუალთან - საშუალ-მოქმედებითა თუ საშუალ-ვნებითი. გარდამავალთან გვარი აღნიშნული არ არის. სათავისო, სასხვისო ქცევების, ვნებითი გვარის ზმნების, კაუზატივის ფორმებთან, როგორც წესი, მითითებულია, რა ზმნის ფორმა აქვს ყოველ მათგანს ამოსავლად. ამავე ბუდეშია მოცემული მიმღეობის ყველა სახეობა“ [ქაჯაია, 19].

მიმღეობა, კერძოდ, წარსული დროის ვნებითი გვარისა, ცალკეც არის გამოტანილი:

ჰარუა (ჰარუას) სახელი **ჰარუნს, იჰარუნს** ზმნათა – წერა. **გინბე ლერსიშ ჰარუაშე კინუხიენქ ჩეიმი დუცუ:** აია, 2, გვ. 80 – გრძელი ლექსის წერისაგან შევიკავებ თავს (დავახვეინებ ჩემს თავს). **ხე დო ჰარუნს** – ზის და წერს. **მუ გიწუა, მუ გიჰარა:** ეხს, 1, გვ. 51 – რა გითხრა, რა დაგიწერო. **თიში სახელი ირო იჰარუდგ:** მ. ხუბ., გვ. 21 – იმისი სახელი ყოველთვის იწერებოდა. **ჰარუნს** (დოჰარუ დაწერა, დოუჰარუ დაუწერია, დონოჰარუ(ნ) დაწერდა თურმე) გრდმ. წერს. **იჰარუნს** (დიიჰარუ დაიწერა, დულუჰარუ დაუწერია) გრდმ. სათავ. ქვ. **ჰარუნს** ზმნისა – იწერს თავისთვის. **უჰარუნს** (დულუჰარუ დაუწერა, დულუჰარუ დაუწერია) გრდმ. სასხვ. ქვ. **ჰარუნს** ზმნისა – უწერს. **იჰარულ(ნ)** (დიიჰარუ დაიწერა, დოჰარულ(ნ) დაწერილა) გრდლუვ. ვნებ. **ჰარუნს** ზმნისა – იწერება. **აჰარულ(ნ)** (დააჰარუ დაეწერა, დოჰარულ დასწერია) გრდლუვ. ვნებ. **უჰარუნს** ზმნისა – ეწერება. **იჰარე(ნ)** (იჰარუ შესაძლებელი გახდა {და}იწერა, – , –) გრდლუვ. შესაძლ. ვნებ. **ჰარუნს** ზმნისა – შეიძლება {და}იწეროს. **აჰარე(ნ)** (აჰარუ შეძლო დაეწერა, – დონოჰარულ(ნ) შესაძლებია დაეწერა) გრდლუვ. შესაძლ. ვნებ. **უჰარუნს** ზმნისა – შეუძლია წეროს. **ოჰარაფუნს** (ოჰარაფულ აწერინა, უჰარაფუაფულ უწერინება, ნოჰარაფულაფულ(ნ) აწერინებდა თურმე) კაუზ. **ჰარუნს** ზმნისა –

აწერიანებს. **მაჭარალი**, **მაჭარუ** მიმღ. მოქმ. მწერალი, დამწერი. **ოჭარალი**, **ოჭარუ** მიმღ. ვნებ. მყ. საწერი. **ჭარილი** მიმღ. ვნებ. წარს. დაწერილი, წერილი. **ნაჭარა** მიმღ. ვნებ. წარს. ნაწერი. **ნაჭარუერი** მიმღ. ვნებ. წარს. წერის საფასური. **ჭუდუჭუჭარუ** მიმღ. უარყ. უწერი, დაუწერიელი. შდრ. ლაზ. **ჭარ**: **ონჭარუ** წერა (ნ. მარი).

შდრ.:

ჭარილი-ი (ჭარილს) მიმღ. ვნებ. წარს. **ჭარუნს** ზმნისა – {და}წერილი

ხანტუა (ხანტუას) სახელი **ხანტუნს** ზმნისა – ხატვა. **ხანტუნს** (დოხანტუ დახატა, დოუხანტუ დაუხატავს, დონოხანტუე(ნ) დახატავდა თურმე) გრდმ. ხატავს. **იხანტუნს** (დიიხანტუ დაიხატა, დლუხანტუ დაუხატავს) გრდმ. სათავ. ქვ. **ხანტუნს** ზმნისა – იხატავს. **უხანტუნს** (დლუხანტუ დაუხატა, დლუხანტუ დაუხატავს) გრდმ. სასხ. ქვ. **ხანტუნს** ზმნისა – უხატავს. **იხანტუ(უ)(ნ)** (დიიხანტუ დაიხატა, დოხანტე(ლ/რე)(ნ) დახატულა) გრდლუვ. ვნებ. **ხანტუნს** ზმნისა – იხატება. **ახანტუ(უ)(ნ)** (დაახანტუ დაეხატა, დოხანტულუ დახატვია) გრდლუვ. ვნებ. **უხანტუნს** ზმნისა – ეხატება. **იხანტე(ნ)** (იხანტუ შესაძლებელი გახდა {და}ხატვა, -, -) გრდლუვ. შესაძლ. ვნებ. **ხანტუნს** ზმნისა – შეიძლება {და}იხატოს. **ახანტე(ნ)** (ახანტუ შეძლო ეხატა, -, , დონოხანტუე(ნ) შესძლებია დაეხატა) გრდლუვ. შესაძლ. ვნებ. **უხანტუნს** ზმნისა – შეუძლია {და}ხატოს. **ოხანტაფუანს** (ოხანტაფულუ ახატვინა, უხანტაფუაფულუ უხატვინებია, ნოხანტაფ(უ)აფ(უ)ე(ნ) ახატვინებდა თურმე) კაუზ. **ხანტუნს** ზმნისა – ახატვინებს. **მახანტალი** მიმღ. მოქმ. მხატველი, მხატვარი. **ოხანტალი** მიმღ. ვნებ. მყ. სახატავი. **ხანტილი** მიმღ. ვნებ. წარს. {და}ხატული. **ნახანტა**, **ნახანტუ/გ** მიმღ. ვნებ. წარს. ნახატი. **ნახანტუერი** მიმღ. ვნებ. წარს. ხატვის საფასური. **ჭუდუჭუხანტუ** მიმღ. უარყ. {და}უხატავი.

შდრ.:

ხანტილი-ი (ხანტილ/რს) მიმღ. ვნებ. წარს. **ხანტუნს** ზმნისა – {და}ხატული. **ხანტილი ბადანა რე** – დახატული ბავშვია. შდრ. **ხანტურელი**.

ჭაბუა (ჭაბუას) სახელი **ჭაბუნს** ზმნისა – წებვა. **შპალერიით ჭაბუნს კიდას** – შპალერიით წებავს კედელს. **ჭაბუნს** (გოჭაბუ გაწება, გოლჭაბუ გაუწებავს, გონოჭაბუე(ნ) გაწებავდა თურმე) გრდმ. წებავს. **იჭაბუნს** (გიიჭაბუ გაიწება, გოლჭაბუ გაუწებავს) გრდმ. სათავ. ქვ. **ჭაბუნს** ზმნისა – იწებავს. **უჭაბუნს** (გულჭაბუ გაუწება, გულჭაბუ გაუწებავს) გრდმ. სასხვ. ქვ. **ჭაბუნს** ზმნისა – უწებავს. **იჭაბულ(ნ)** (გიიჭაბუ გაიწება, გოჭაბელ/რე(ნ) გაწებილა) გრდლუვ. ვნებ. **ჭაბუნს** ზმნისა – იწებება. **აჭაბულ(ნ)** (გააჭაბუ გაეწება, გოჭაბულუ გასწებვია) გრდლუვ. ვნებ. **უჭაბუნს** ზმნისა – ეწებება. **იჭაბე(ნ)** (იჭაბუ შესაძლებელი გახდა წებვა, -, -) გრდლუვ. შესაძლ. ვნებ. **ჭაბუნს** ზმნისა – შეიძლება წებვა. **აჭაბე(ნ)** (აჭაბუ შეძლო {გა}ეწება, -, , გონოჭაბუე(ნ) შესაძლებია გაეწება) გრდლუვ. შესაძლ. ვნებ. **უჭაბუნს** ზმნისა – შეუძლია {გა}ეწებოს. **ოჭაბაფუანს** (ოჭაბაფულუ აწებვინა, უჭაბაფუაფულუ უწებვინებია,

ნოჭაბაფ(უაფ)უენ) აწებვინებდა თურმე) კაუზ. **ჭაბუნს** ზმნისა – აწებვინებს. **მაჭაბალი** მიმღ. მოქმ. მწებავი. **ოჭაბალი** მიმღ. ვნებ. მყ. საწებავი. **ჭაბილი** მიმღ. ვნებ. წარს. {გა}წებილი. **ნაჭაბა** მიმღ. ვნებ. წარს. ნაწები. **ნაჭაბუერი** მიმღ. ვნებ. წარს. წებვის საფასური. {უგუ}უჭაბუ მიმღ. უარყ. {გა}უწებავი. შდრ. ლაზ. **მეჭაბულე** წებო, რომელიც ჩნდება განსაკუთრებით ატმის ხეზე (ნ. მარი).

შდრ.:

ჭაბილ-ი (ჭაბილ/რს) მიმღ. ვნებ. წარს. **ჭაბუნს** ზმნისა – {და}წებებულ-ლი.

ყველა ფორმა არ არის ასე სოლიდურად წარმოდგენილი; შეიძლება ითქვას, რომ მასალის წარმოდგენის ალტერნატიული სახეობაა საწყისისა და მიმღეობის ცალ-ცალკე გამოტანა სათანადო **ზმნური ფორმების ილუსტრირების გარეშე**, ანუ, ეს რესურსი **ყოველთვის არ არის** ბოლომდე ამოწურული (აქვე შევნიშნავთ, რომ ამ პრინციპის ბოლომდე გატარება, ანუ ყველა ფორმის წარმოდგენა მართლა ტიტანურ შრომას მოითხოვს და ბატონი ოთარის ნაშრომი იმ სახითაც, როგორც იცნობს, უდავოდ უნდა შეფასდეს, როგორც გამორჩეული):

დობინუა (დობინუას) სახელი **დობინუნს** ზმნისა – დაბნევა საბნევიტ. **კანცხუთ დობინუ** – ქინძისთავით დააბნია

შდრ.:

დობინილ-ი (დობინილ/რს) მიმღ. ვნებ. წარს. **დობინუნს** ზმნისა – დაბნეული (საბნევიტ).

დობორკილ-ი (დობორკილ/რს) მიმღ. ვნებ. წარს. **დობორკუნს** ზმნისა – დაბორკილი. **დობორკილ ცხენემს გუუტენა მინდორიშა** – დაბორკილ ცხენებს გაუშვებენ მინდორზე.

შდრ.:

დობორკუა (დობორკუას) სახელი **დობორკუნს** ზმნისა – დაბორკვა. **ქუმურცუ დო დობორკუნსუ** – მოვა და დაგბორკავს. **იხ. ბორკი.**

დოგაფა (დოგაფას) სახელი **დააგანს** ზმნისა – დაგება; ღომის ამოღება და ტაბაკზე დაგება (*მასალები*, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 206). **ხვარჩინი ვაშიბუდეგნი, ბირცხათ ქოდუგაფუდეგს: ი. ყიფშ, გვ. 150 – ჩოგანი რომ ვერ ეშოვათ, ფრჩხილით (კი) დაუგიათ. იხ. გაფა.**

შდრ.:

დოგაფილ/რ-ი (დოგაფილ/რს) მიმღ. ვნებ. წარს. **დააგანს** ზმნისა – დაგებული. **გადატ. ჩამოყალიბებული, სრულყოფილი. დოგაფილი ცაზახი რე** – დაგებული (სრულყოფილი) გლეხია

აღიო ქობალიას ასევე ერთობ სოლიდურ „მეგრულ ლექსიკონში“ , რომელიც დაახლოებით 90 ათას ლექსიკურ ერთეულს მოიცავს, **მიმღეობე-**

ბი და **მასდარებია** გამოტანილი, – მხოლოდ ამგვარ შემთხვევებში ის მეტად მწირ მასალას გვთავაზობს:

ჰარილი „წერილი, ნაწერი, დაწერილი“

ჰარუა „წერა“;

ხანტილი „დახატული; მხატვრული, კაზმული (სიტყვა)

ხანტუა „ხატვა“ ...

ლექსიკონის გამომცემლები ლექსიკონის მოცულობის შემცირების მიზნით შელევინა „სიტყვათა დოკუმენტაციას და რამდენიმე ასეულ ლექსიკურ ერთეულს“ [იხ. ქობალია, 2010, 6].

რამდენიმე ასეული ლექსიკური ერთეული, ცხადია, მნიშვნელოვნად ვერ გაზრდიდა ლექსიკონის მოცულობას, რასაც ვერ ვიტყვით დოკუმენტაციაზე. თუმცა, ვფიქრობთ, ძირითად სალექსიკონო ერთეულად მასდარისა და მიმღეობის გამოტანა სათანადო დოკუმენტაციით მაინც ვერ გახდებოდა ოპტიმალური ლექსიკოგრაფიული გადაწყვეტა **სისრულის** თვალსაზრისით, რასაც წარმოდგენილი მასალის (**ჰარუა, ჰარილი, ხანტუა, ხანტილი**) ქაჯაიას „**მეგრულ-ქართული ლექსიკონის**“ შესაბამის მასალასთან შედარება ცხადყოფს.

ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „სალექსიკონო ერთეულის საკითხი ავტორმა გადაწყვიტა ლექსიკოგრაფიაში მიღებული სტანდარტების, პირველ რიგში, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ნორმების შესაბამისად, თუმცა, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ზმნა მოცემულია მასდარის ანუ სახელზმნის სახით. სწორედ ამან მოგვცა ლექსიკონის მოცულობის მნიშვნელოვნად შემცირების საშუალება, ხოლო რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულებს, რომელთაც ქმნიან ზმნის ისეთი კატეგორიები, როგორცაა ქცევა, გვარი, კაუზატივი, პრევერბიანი ვარიანტები, ზმნის ნაწარმოები ფუძეები, მცირედი გამონაკლისის გარდა, სამომავლოდ გადავინახეთ. ლექსიკონში შევიდა მეგრულ სიტყვათა ძირითადი მარაგი, სადაც ცალკე ერთეულებს ქმნის საზოგადო სახელები (გვალა, ბჟა, ჭითა, ოში, ბირა, ოზიმალი), ნაცვალსახელები (მა, ჩქი, მი), ზმნისართები (გოლა, ამჭუანი, გალე, თაქი), კავშირები (-შა, -შე, -შო), ნაწილაკები (-თი, -ხოლო, -ვა), რთული ფუძეების შემადგენელი ნაწილები (გურ-, შურ, კუჩხ, დუდ-), სახელზმნები (ულა, ჭკირუა, სხაპუა, გურაფა) [ქობალია, 2010, 6].

გრამატიკულ ფორმათა სრულად წარმოდგენის შემთხვევაში ნამდვილად ძალიან გაიზრდებოდა ლექსიკონის მოცულობა (თუკი ეს ასეთი გადაწყვეტი ფაქტორია ამ მასშტაბის პროექტის განხორციელებისას).

მეორე მხრივ, **სწორედ ზმნა** და მისი წარმოდგენის საკითხია საკვანძო, თორემ სახელებისა და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების წარმოდგენა არანაირ სირთულეს არ უკავშირდება. ზმნის იგნორირება იმას ნიშნავს, რომ ეს ლექსიკონი არ მიჰყვება „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ნორმებს“.

ისიც არის აღსანიშნავი, რომ აქ არ ჩანს ასევე მეთაურ სიტყვებად წარმოდგენილ **ზმნურ ფორმებთან მასდარ-მიმღებების კავშირიც**, ზმნათაგან მათი წარმომავლობა (როგორც წესი).

ოთარ ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ ძალიან ინფორმაციულია და შესაძლოა მასალის კომპაქტურად წარმოდგენის, ანუ, მოცულობის ფაქტორმა მის ფორმაზეც იმოქმედა: მეთაურ სიტყვად, როგორც აღინიშნა აქ მასდარ-მიმღება ჩანს, ხოლო დანარჩენი ფორმები ბუდობრივად არის „ჩალაგებული“.

ვფიქრობთ, **გაცილებით მოიგებდა ლექსიკონი, თუ ყველა ამ ფორმას ცალკე სალექსიკონო ერთეულად გამოვიტანდით**. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა სტატისტიკური სურათიც (რაც, რა თქმა უნდა, სულაც არ არის უმნიშვნელო), თანაც ანბანთ რიგზე გაწყობილი ფორმების მოძებნაც უფრო გაადვილდებოდა.

ქეგლ-ში მასდარ-მიმღებასთან ერთად ზმნის პირიანი ფორმების მეთაურ ლექსიკურ ერთეულებად გამოტანა ნამდვილად რაციონალურია, მაგრამ რატომღაც **აკეთებს, წერს, აწითლებს...** ფორმებთან ერთად ცალკე ერთეულებად არის წარმოდგენილი **გააკეთებს, დაწერს, გააწითლებს...**

ჩნდება კითხვა: რამდენად ლოგიკურია **გააკეთებს, დაწერს, გააწითლებს...** ფორმების გამოტანა და, ვთქვათ, **გააკეთა, დაწერა, გააწითლა...** ფორმების იგნორირება?

რატომ გამოგვაქვს **მყოფადის** ფორმა და არ გამოგვაქვს, ვთქვათ, **აორისტი?** ის მომავალი დროა და ეს წარსული? ეს არგუმენტი არ არის.

ის ლექსიკური მნიშვნელობა, რაც აქვს **წერს** ფორმას, **დაწერს** ფორმაშიც გადადის, იცვლება მხოლოდ მისი მორფოლოგიური მნიშვნელობა, მორფოლოგიური შინაარსი (ქირია 2014: 196).

და საერთოდ: არის თუ არა და როდის არის აუცილებელი მყოფადის გამოტანა სალექსიკონო ერთეულად?

არის აუცილებელი - **მხოლოდ იმ შემთხვევაში**, თუ სათანადო აწმყოს ფორმები არა გვაქვს; ასეთია **უანდერძებს, უბოძებს, უწყალობებს...** რიგის ფორმები.

ასევე აუცილებელია მყოფადის ფორმების წარმოდგენა ამგვარ ფორმებში: **ჩაწერს, გაწერს, აღწერს, ამოწერს, გადაწერს, გადმოწერს, ჩამოწერს, გამოწერს...**

ამ ფორმებისთვის ქართულში **შესაბამისი სემანტიკის** აწმყო არა გვაქვს, სწორედ ამიტომ გვიწევს მყოფადის გამოყენება.

წერს ზმნის სემანტიკურად ზუსტი მყოფადი არის **დაწერს** და არა **ჩაწერს, გაწერს, აღწერს** და სხვ.

აკეთებს ზმნის სემანტიკურად ზუსტი მყოფადი არის **გააკეთებს** და არა **შეაკეთებს** ან **გადააკეთებს** და სხვა.

აწითლებს ზმნის სემანტიკურად ზუსტი მყოფადი არის **გააწითლებს** და არა **შეაწითლებს** ან **გადააწითლებს** და სხვა.

გააწითლებს და **შეაწითლებს** განსხვავებული სემანტიკური მიმართებების გამომხატველი ფორმებია. ამდენად, ლოგიკურია მათი ცალ-ცალკე დაფიქსირება ლექსიკონში (ქირია 2014: 197).

აწმყოში არ ჩანს ის სემანტიკური ნიუანსი, რაც მყოფადში გამოჩნდება. **სწორედ ამიტომ ეს ფუძეები ცალ-ცალკე უნდა შევიდეს და არის კიდევაც შესული განმარტებით ლექსიკონში.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, **შეაწითლებს... შეათბობს... ჩაწერს, გაწერს, აღწერს, ამოწერს, გადაწერს, გადმოწერს, ჩამოწერს, გამოწერს...** რიგის ზმნებს **აწმყოს ფორმები არა აქვთ**, ამიტომ ბუნებრივია, რომ **მყოფადს** მივმართოთ, მაგრამ როცა გვაქვს აწმყოც და სათანადო ფორმოზრთ-სემანტიკური მყოფადიც, მაშინ ორივე არ არის საჭირო, კერძოდ, მყოფადი ისევე ზედმეტია, როგორც, ვთქვათ, აორისტი ან თურმეობითი.

ეს დაახლოებით იგივეა, რომ სახელები სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოვადგინოთ (როგორც უნდა იყოს და როგორც არის) და ცალკე მოთხრობითი ან მიცემითი ბრუნვის ფორმებიც გამოვიტანოთ.

ქართულს არა აქვს **ამოწერს, გადაწერს** ტიპის ზმნათა აწმყოს ფორმები, მაგრამ საინტერესოა, რომ ეს გრამატიკული რესურსი აქვს მეგრულს, სადაც დასტურდება ნაწილაკი **(თ)მV**, რომელსაც შეუძლია ზმნისწინიან ფორმებს აწმყოს შინაარსი მისცეს, - მეგრული ამ შემთხვევაში უფრო მოქნილი და სისტემურად გამართულია, ვიდრე ქართული.

(თ)მV ელემენტი იხმარება მხოლოდ პრევერბთა მომდევნოდ აწმყოში და საშუალებას აძლევს პრევერბიან ფორმას აწმყოდვე დარჩეს და მომავლის გაგება არ მიიღოს (რაც ქართულში ვერ ხერხდება).

ამ ელემენტის გარეშე ფორმას მყოფადის მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც, რომ ქართულად ადვილად ითარგმნება რუს. переписал როგორც **გადაწერა**; ასევე переписет – **გადაწერს**, მაგრამ ძნელდება პრევერბიანი აწმყო переписывает ფორმის თარგმნა (შდრ. მეგრ. გინმო-ჭარუნს < გი-ნო-მო-ჭარუნს переписывает, გი-ნო-ჭარუნს переписет, გი-ნო-ჭარუ переписал). **-(თ)მV** – მორფემის **თ** მხოლოდ მაშინ ჩანს, როცა წინამავალი პრევერბი ხმოვნია. მაგ., ე-თმე-ჭარუნს „აღწერს“ (აწმყო), ე-თმე-ჭოფუნს „იღებს“ [იხ. გუდავა, გამყრელიძე, 2000, 195].

ე. ი. ერთი მხრივ, გვაქვს:

	აწმყო		მყოფ.
მეგრ.:	ჭარუნს	–	დოჭარუნს
ქართ.	წერს	–	დაწერს
რუს.	пишет	–	напишет

მეორე მხრივ:

	აწმყო		მყოფ.
მეგრ.	გინმოჭარუნს	–	გეგნოჭარუნს
ქართ.	–	–	გადაწერს
რუს.	переписывает	–	переписет

იმას, რასაც აღნიშნავს მყოფადის ფორმები – „გადაწერს“, „ამოწერს“, „ჩაწერს“... აღნიშნავს **(თ)მV** მაწარმოებლიანი ფორმები **აწმყოში: გინმოკარუნს** „გადაწერს ახლა ან გადაწერას ახდენს“, **ემმეკარუნს** „ამოწერს ახლა ან ამოწერას ახდენს“; **ენმაჰარანს** „ჩაწერს ახლა ან ჩაწერას ახდენს“...

თი/მა ნაწილაკები პირველად ი. ყიფშიძემ გამოყო: წინდებულები **თი** და **მა**, ზოგჯერ ერთად – **თიმა**, მკვლევრის დაკვირვებით, დაუსრულებელ მოქმედებაზე მიუთითებს: მი-**თი**-ვოგორანქ „ვპოულობ“, მაგრამ აორისტი – ქმნი-ვოგორე, მუ-**თი**-დვანქ „ვიცმევ“, მი-იბდვანქ „ჩავიცმევ“, აორისტი – ქმნი-იბდვი, გინ**გ-მუ**-ვურქ „გადავდივარ“, გინ-ივლი „გადავდი“, გე-**თნმე**-ვგონენქ „ვისმენ“, გე-ვგონენქ „მოვისმენ“, აორისტი – გე-ვგონი [ყიფშიძე, 1994, 0107].

თე და **მე/ო** ნაწილაკებს გამოყოფს მ. ხუბუა, ამასთან, იგი **მე/ო-ს თე** ნაწილაკთან ერთად განიხილავს, თან მხოლოდ მარტივი ზმნისწინების შემდეგ [ხუბუა, 1942, 750].

თი(თ)მ(ა) ნაწილაკზე ყურადღებას ამახვილებს ზურაბ ჭუმბურიძე:

„მეგრულს მოეპოვება მოქმედების უსრულობის გამომხატველი ნაწილაკები (თი, მა, თიმა), რომლებიც ჩაერთვიან ზმნისწინსა და ფუძეს შორის (სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებით), მათი მეშვეობით მეგრული ინარჩუნებს ახლანდელი დროის გაგებას ზმნისწინიან ფორმებში. ასე რომ, ზმნისწინიანი ფორმები **თი** და **მა** ნაწილაკებთან ერთად იხმარება აწმყოში, ამ ნაწილაკების ჩამოშორებით კი მიიღება მყოფადი:

ი-თი-ოფშანს	(„ავსებს“)	ი-ოფშანს
(„აავსებს“)		
იკ გ-მ გ-ორთინუანს	(„აქცევს“)	იკ გ-მ გ-ორთინუანს
(„წააქცევს“, „დააქცევს“)		
გი-თმიბუნს	(„ისხამს“)	გი-ბუნს
(„დაისხამს“)		
ში-თმი-(ი)ტყვენს	(„იტყობს“)	ში-(ი)ტყვენს
(„შეიტყობს“)		
გი-თმე-გენს	(„იგებს“)	გი-(ი)გენს
(„გაიგებს“)		
გი-თმი-კურცხინუანს	(„იღვიძებს“)	გიკურცხინუანს
(„გაიღვიძებს“)		
ში-თმი-(ი)ნახუ	(„ინახავს“)	ში-ინახუ
(„შეინახავს“)		
მი-თმი-იგანს	(„ირტყამს“)	ქი-მი-იგანს
(„დაირტყამს“)		

და ა. შ.“ (ჭუმბურიძე 1986: 143).

მკვლევრის შეფასებით, „მტკიცებითი ნაწილაკებისა და მოქმედების უსრულობის აღმნიშვნელი ნაწილაკების გამოყენება აწმყოსა და მყოფადის

ფორმათა გასარჩევად მეგრულის სპეციფიკური თავისებურებაა, რითაც ის განსხვავდება სხვა ქართველური ენებისაგან“ [ჭუმბურიძე, 1986, 143].

-(თ)მV ნაწილავს მიაწერენ უსრული ასპექტის გამოხატვას (ყიფშიძე 1914: 0107; ხუბუა 1942: 747; მარგველაშვილი 1980: 166; ქაჯაია 2001: 60; ჭუმბურიძე, 1986).

(თ)მV ელემენტს ზოგჯერ აწმყოს **ფუძის მაწარმოებელს** უწოდებენ (იხ. მაგ. [კარტოზია..., 2010, 252]), თუმცა ეს ნამდვილად არ არის **თემის ნიშანი** – აწმყოს ფუძის მაწარმოებლად თემის ნიშანი მიიჩნევა ტრადიციულად. თემის ნიშნებსა და ამ ელემენტებს შორის არსებითი – **ფუნქციური** ხასიათის განსხვავებაა, სწორედ ამიტომაც საჭირო მათი დიფერენცირება ტერმინოლოგიის დონეზეც.

ერთი სიტყვით, ქართულში ნეიტრალური სემანტიკის ზმნისწინები მონაწილეობს მყოფადის ფორმირებაში. მაგრამ **თუ მყოფადის ფორმაში არანეიტრალური ზმნისწინია, ასეთ მყოფადს შესაბამისი ამოსავალი ფორმა – აწმყო არ გააჩნია.**

(თ)მV-ნაწილაკიანი ზმნური ფორმები რატომღაც იგნორირებულია ქაჯაიასა და ქობალიას ლექსიკონებში, მაგრამ ის საკმაოდ სისტემურად გვხვდება **გივი ელიაშვილის** ჩინებულ **„მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“** (რომლის სათაურშიც რატომღაც ფიგურირებს მოკრძალებული **„მასალები“**).

წარმოვადგენთ მცირე მონაკვეთს ამ ლექსიკონიდან:

გითობარუა* გამობარვა. **გითმობარუნს** „ძირებს უბარავს“, გეგთობარუნს „გამობარავს“, გეგთუბარუ „გამოუბარავს“, გეგთნობარუე „გამობარავდა თურმე“, გითმაბარალი „გამომბარავი“, გითობარილი „გამობარული“, გითაბარალი „გამოსაბარი“. გეგთობარი თე ბინეხი „გამობარე ეს ვენახი“. ნ. ბარუა, გინობარუა, იაბარუა.

გითოგორუა* გამოძებნა. **გითმოგორუნს** „ეძებს“, გაგთოგორუნს „გამოძებნის“, გაგთოგორუ „გამოძებნა“, გაგთნოგორუე „გამოძებნიდა თურმე“, გითმაგორალი „გამომძებნი“, გითოგორილი „გამოძებნილი“, გითაგორალი „გამოსაძებნი“. სოდგარენი გითოგორი „სადღაც გამოვძებნე“. ნ. გორუა.

გითოზინდუა* გამოქაჩვა. **გითმოზინდუნს** „ჭიშკავს, ექაჩება“, გეგთოზინდუნს „გამოქაჩავს“, გეგთოზინდუ „გამოქაჩა“, გეგთუზინდუ „გამოუქაჩავს“, გეგთნოზინდუე „გამოქაჩავდა თურმე“, გითმაზინდალი „გამომთრევი“, გითოზინდილი „გამომთრეული“, გითაზინდალი „გამოსაქაჩი“. ბაწარს გითოზინდუნს „თოკს გამოქაჩავს“. ნ. ზინდუა, იკოზინდუა, გინოზინდუა, იაზინდუა.

გითოზოთება* გამოზამთრება. **გითმიზოთუანს** „იზამთრებს“, გეგნიზოთუანს „გამოიზამთრებს“, გეგნიზოთუუ „გამოიზამთრა“, გეგთუზოთებუ „გამოუზამთრია“, გეგთნოზოთებუე „გამონაზამთრება“, გითმაზოთებელი „გამომზამთრებელი“, გითოზოთებული „გამოზამთრებელი“, გითაზოთებელი „გამოსაზამთრებელი“. ჭყიშემქ გეგთიზოთეს „მწყემსებმა

გამოიზამთრეს“. თე ზოშიქ გეგთიზოთუუ ტიბას „ამ ბიჭმა თბილად გამოიზამთრა“. ნ. დაზოთება.

გიოთოლაფა* სწრაფად გამოქცევა, გამოვარდნა. **გიოთმოლუ** „შიგნიდან გარეთ ვარდება“, გაგთოლუ „გამოვარდება“, გაგთოლგ „გამოვარდა“, გეგთონოლაფუე „გამონავარდნა“, გიოთმალაფარი „გამომვარდნი“, გიოთოლაფირი „გამოვარდნილი“, გიოთალაფარი „გამოსავარდნი“. გაგთოლგ ჯოლორქ „გამოვარდა ძაღლი“.

გინორჩაფა* გადაფენა. **გინმარჩანს** „ფენს“, ქიგნარჩანს „გადააფენს“, ქიგნარჩუ „გადააფინა“, ქიგნურჩაფუ „გადააფენია“, ქიგნორჩაფუე „გადანაფენა“, გინმარჩაფალი „გადამფენი“, გინორჩაფილი „გადააფენილი“, გინარჩაფალი „გადასაფენი“. ლოგინიშა ქიგნურჩაფუ შქართუნი „ლოგინზე გადააფენია საბანი“. ნ. მორჩაფა, გერჩაფა, დორჩაფა, ათორჩაფა, წიმორჩაფა.

გინორჩხუალა (გინორჩხუალა)* გადარეცხვა. **გინმორჩხუნს** „რეცხავს“, გეგნორჩხუნს „გადარეცხავს“, გეგნორჩხუ „გადარეცხა“, გეგნურჩხუ „გადაურეცხავს“, გეგნორჩხუე „გადანარეცხა“, გინმარჩხუალი „გადამრეცხი“, გინორჩხილი „გადარეცხილი“, გინარჩხალი „გადასარეცხი“. გეგნორჩხი აკა ათე ტაბაკი „გადარეცხე ერთი ეს ტაბლა“. ნ. რჩხუალა.

გინორჩქილა* გადახედვა. **გინმარჩქილე** „იხედება“, გეგნარჩქილე „გადახედავს“, გეგნარჩქილუ „გადახედა“, გეგნურჩქილუე „გადაუხედავს“, გეგნორჩქილუე „გადანახედა“, გინმარჩქილარი „გადამხედავი“, გინორჩქილერი „გადანახედი“, გინმარჩქილარი „გადამხედი“. ნინუცა მეზობელს გინმარჩქილე „ნინუცა მეზობელს გადახედავს“. ნ. რჩქილა.

გინორჩქინა* გადამეტება. **გინმორჩქინდუ** „ამეტებს“, გეგნორჩქინდუ „გადამეტებს“, გეგნორჩქინელე „გადამეტებულა“, გეგნორჩქინუე „გადანამეტება“, გინმარჩქინალი „გადამეტებელი“, გინორჩქინელი „გადამეტებული“, გინარჩქინალი „გადასამეტებელი“. ათე ლები ლოგინს გეგნორჩქინდუ „ეს ლები ლოგინს გადაამეტებს“. ნ. რჩქინა.

გინოსარგალაფა (გინოსარგალაფა)* გადათრევა. **გინმასარგალუანს** „ათრევს“, გეგნასარგალუანს „გადაათრევს“, გეგნასარგალუე „გადაათრია“, გაგნუსარგალუაფუე „გადაუთრევია“, გინმასარგალაფარი „გადასათრევი“, გინოსარგალაფირი „გადათრეული“,

გინოსვანჯაფა* გადასვენება. **გინმასვანჯუანს** „გადაასვენებს“ (აწმყ.), გეგნასვანჯუანს „გადაასვენებს“, გეგნასვანჯუე „გადაასვენა“, გეგნუსვანჯუაფუე „გადაუსვენებია“, გეგნოსვანჯაფუე „გადანასვენება“, გინმასვანჯაფალი „გადამსვენებელი“, გინოსვანჯაფილი „გადასვენებული“, გინასვანჯაფალი „გასასვენებელი“. გეგნასვანჯუეს ლურელი „გადაასვენეს მიცვალებული“. ნ. სვანჯაფა.

გინოსირქუა* გადალოკვა. **გინმოსირქუნს** „ლოკავს“, გეგნოსირქუნს „გადალოკავს“, გეგნოსირქუ „გადალოკა“, გეგნუსირქუ „გადაულოკავს“, გეგნოსირქუე „გადანალოკა“, გინმასირქალი „გადამლოკავი“, გინოსირქილი „გადალოკილი“, გილნასირქა, გინნასირქა „გადანალოკი“, გინასირქა-

ლი „გადასალოკი“. **ნინათ გაგნოსირქუ** „ენით გადალოკა“. ნ. სირქუა, გინოსირქუა, ითოსირქუა, ესირქუა, მოსირქუა.

გინოსოფუა* გადახევა, გადაწყვეტა. **გინმოსოფუნს** „ხევს“, გეგნოსოფუნს „გადახევს“, გეგნოსოფუ „გადახია“, გეგნუსოფუ „გადაუხია“, გეგნოსოფუე „გადანახევა“, გინმასოფალი „გადამხევი“, გინოსოფილი „გადახეული“, გინასოფალი „გადასახევი“. **გეგნოსოფი ათე ფურცელი** „გადახიე ეს ფურცელი“. ნ. სოფუა.

გინოსუმალა (გინოსუმადა)* გადასმა, წასმა. **გინმუსვანს** „უსვამს“, გეგნუსვანს „გადაუსვამს“, გეგნუსუ „გადაუსვა“, ქეგნოსუმალუე „გადანასმევა“, გინმასუმალარი „გადამსმელი“, გინოსუმალირი „გადასმული“, გინასუმალარი „გადასასმელი“. **ხაზი გინუსვი** „ხაზი გადაუსვი“. ნ. სუმალა.

გინოსქუალა (გინოსქუადა)* გადაბმა. **გინმოსქუნს** „აბამს“, ქიგნასქუანს „გადააბამს“, ქიგნასკუუ „გადააბა“, ქიგნუსქუაფუ „გადაუბამს“, ქიგნოსქუაფუე „გადანაბამს“, გინმასქუაფალი „გადამხმელი“, გინოსქუაფილი „გადაბმული“, გინასქუაფალი „გადასაბმელი“. ართმაჟირას ქიგნასქუნს „ერთმანეთს გადააბეს“. ნ. სქუალა, დოსქუალა, გესქუალა, მესქუალა.

გინოსხაპუა* გადახტომა. **გინმოსხაპუნს** „ახტება რაღაცას“, გეგნოსხაპუნს „გადაახტება“, გეგნოსხაპუ „გადაახტა“, გეგნუსხაპუ „გადამხტარა“, გეგნოსხაპუე „გადანახტომა“, გინმასხაპალი „გადამხტომი“, გინოსხაპილი „გადამხტარი“, გინასხაპალი „გადასახტომი“. გინასხაპალი რე ათე ოლაგეშა „გადასახტომია ამ ალაგეზე“. ნ. სხაპუა.

გინოტაცება* გატაცება, მოტაცება. **გინმიტაცენს** „იტაცებს“, გეგნიტაცენს „გაიტაცებს“, გეგნიტაცუ „გაიტაცა“, გეგნუტაცებუ „გაუტაცნია“, გეგნოტაცებუე „განატაცება“, გინმატაცებელი „გამტაცებელი“, გინოტაცებული „გატაცებელი“, გინატაცებელი „გასატაცებელი“. ეიშახ ძღაბიმ გინოტაცება ვაუჩქუდეს „წინათ გოგოს გატაცება არ იცოდნენ“. ნ. ტაცება.

გინოტახუა* გადატეხვა. **გინმოტახუნს** „ტეხს“, გეგნოტახუნს „გადატეხს“, გეგნოტახუ „გადატეხა“, გეგნუტახუ „გადაუტეხია“, გეგნოტახუე „გადანატეხა“, გინმატახალი „გადამტეხი“, გინოტახილი „გადატეხილი“, გინატახალი „გადასატეხი“. ნ. ტახუა.

გინოტება* გადარჩენა, ხსნა. **გინმატენს** „იხსნის“, გეგნატენს „გადაარჩენს“, „იხსნის“, გეგნიტუუ „იხსნა“, გეგნუტეებუ „უხსნია“, გეგნოტებუე „გადანარჩენა“, გინმატებელი „მხსნელი“, გინოტებული „გადარჩენილი“, გინატებელი „გადასარჩენი“. ღურაშე გინვოტეთ „სიკვდილს გადავარჩინეთ“. ნ. დოტება, მეტება, გეტება, დინოტება, ეტება, ატეება, ტეება.

გინოფაჩუა* გადაშლა, გადაფურცლვა. **გინმოფაჩუნს** „შლის“, გეგნოფაჩუნს „გადაშლის“, გეგნოფაჩუ „გადაშალა“, გეგნუფაჩუ „გადაუშლია“, გეგნოფაჩუე „გადანაშალა“, გინმაფაჩალი „გადამშლელი“, გინოფაჩილი „გადაშლილი“, გინაფაჩალი „გადასაშლელი“. წიგნი გაგნოფაჩი „წიგნი გადაშალე“. ნ. ფაჩუა.

გინოფულუა (გინოფუღუა)* გადამალვა. **გინმოფულუნს** „მალავს“, გეგნოფულუნს „გადამალავს“, გეგნოფულუ „გადამალა“, გეგნუფულუ

„გადაუმაღავს“, გაგნოფულუე „გადანამალა“, გინმაფულარი „გადამმაღავი“, გინოფულირი „გადამალული“, გინაფულარი „გადასამაღავი“. მა ვეგნომიფულუ სქანდა მუთუნი „მე არ გადამიმაღავს შენთვის არაფერი“. ნ. ფულუა.

გინოფურაფა* გადახურება. **გინმოფურუ** „მლიერ ხურდება“, გაგნოფურუ „გადახურდება“, გაგნოფურუ „გადახურდა“, გაგნოფურაფე „გადახურებულა“, გაგნოფურაფუე „გადანახურება“, გინოფურაფილი „გადახურებული“, გინაფურაფალი „გადასახურებელი“. რკინაქ გაგნოფურუ „რკინა გადახურდა“. ნ. ფურაფა.

ქართულში თვალშისაცემია ოდნაობითი ხარისხის ფორმათა მაწარმოებლების მასალობრივ-ფუნქციური კავშირი ზმნისწინებთან. ეს კავშირი შეინიშნება მეგრულშიც: **მოიგიყებს, მოიზარმაცეებს, წაითავხედებს, მოიავადმყოფებს, მოისულელებს, მოიბრიყვებს, წაიავებს, წაიბეჯითებს** და სხვა მსგავს ფორმებში **მო-** და **წა-** ზმნისწინებს ზომით, მოცულობით ან ხარისხით ნაკლები მოქმედების გამოხატვის ფუნქცია აქვთ (შდრ.: **გა-წითლდა - შე-წითლდა, გა-ხურდა - შე-ხურდა...**); ეს კარგად ჩანს განმარტებებში (სათანადო მასალა წარმოდგენილია ქველ-ში):

მო-იგიყებს „ცოტათი გიჟია“: მეგრ. **ელეხანგუანს**;

მო-იზარმაცებს „ოდნავ ზარმაცია“: მეგრ. **ელეზარმაცუანს**;

წა-ითავხედებს „ცოტა არ იყოს, თავხედი“: მეგრ. **ელეთავხედუანს**;

მო-იკოჭლებს „ოდნავ კოჭლია“: მეგრ. **ელექულუანს**;

მო-იავადმყოფებს „ოდნავ ავად არის“: მეგრ. **ელელეხუანს**, მილექუანს;

მო-ისულელებს „ცოტა სულელია“: მეგრ. **ელებორუანს**, **ელეფორუანს**;

მეგრულისთვის ბუნებრივია ამგვარი ფორმებიც (რომელთა შესატყვისიც ქველ-ში არ ჩანს):

ელექითორუანს/გინმი-ჭით-ორ-უანს: **წა**-იწითლებს/**მო**-იწითლებს „ცოტა წითელია“;

გინმი-უჩ-ორ-უანს: „**წა**-იშავებს/**მო**-იშავებს“;

გინმი-ყვით-ორ-უანს: „**წა**-იყვითლებს/**მო**-იყვითლებს“;

გინმი-რჩი-ოლ-უანს: „**წა**-ითეთრებს/**მო**-ითეთრებს“...

ზმნის ფორმათა ნაცვლად მასდარ-მიმღეობათა წარმოდგენის შემთხვევაში იგნორირებულია ამ ტიპის მასალაც.

მეგრულში **(თ)მV** ნაწილაკის მეშვეობით **გასწორებულია პარადიგმული დეფექტი**: გვაქვს ორივე ფორმა: აწმყოცა და სათანადო მყოფადიც. მეგრულს არ სჭირდება მყოფადის გამოყენება **გადაწერს, გადმოწერს, ჩაწერს** ტიპის ზმნებისთვის, – ამ შემთხვევაშიც მას შეუძლია აწმყოს გამოყენება, – მასალის წარმოდგენის ზოგადი პრინციპი არ ირღვევა.

კიდევ ერთი გარემოება იქცევეს ყურადღებას:

ჭარუნს „წერს“ ტიპის აწმყოს ფორმებთან შეუთავსებელია (resp. ზედმეტია) **(თ)მV** ნაწილაკი. ამ შემთხვევაში გვაქვს ჩვეულებრივი **ჭარუნს**

„წერს“ - დოჭარუნს „დაწერს“ მიმართება (**ხანტუნს „ხატავს“ - დოხანტუნს „დახატავს“, ჭუნს „წვავს“ - დოჭუნს „დაწვავს“...**).

ლიტერატურა

აფრიდონიძე 2012 – აფრიდონიძე შ., ქართული ზმნა და ქართულენოვანი ლექსიკონების აგების პრინციპები (პრეცედენტები და პერსპექტივები), მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი, 2012, 18-20 მაისი.

გუდავა, გამყრელიძე 2000 – გუდავა ტ., გამყრელიძე თ., თანხმოდან-თვომპლექსები მეგრულში, კრებ.: თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველ. შრ., თბ., 2000.

ელიავა 1997 – ელიავა გ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), 1997.

კარტოზია..., 2010 – კარტოზია გ., გერსამია რ., ლომია მ., ცხადაია თ., მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010.

მარგველაშვილი 1980 – მარგველაშვილი მ., მყოფადის წარმოება მეგრულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბ., 1980.

ქაჯაია 2001 – ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, 2001.

ქირია 2014 – ქირია ჭ., მეგრულ-ლაზურის მორფოლოგიის საკითხები. I. (ნაკვეთულთა სისტემა), თბ., 2014.

ქირია, 2022 – ქირია ჭ., ქართველურ ენათა ლექსიკონების სტატუსისათვის, XLII, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გორი, 2022 წლის 26-27 ნოემბერი.

ქირია..., 2015 – ქირია ჭ., ეზუგბაია ლ., მემიშიში ო. ჩუხუა მ., ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია, თბ., 2015.

ქობალია 2010 – ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

ყიფშიძე 1994 – ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

ჩიქობავა 2008 – ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 2008.

ჭუმბურიძე 1986 – ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

ხუბუა 1942 – ხუბუა მ., თე ნაწილაკის ბუნებისა და მნიშვნელობისათვის მეგრულში, სმამ, ტ. №7, 1942.

Chabuki Kiria

The Issue of an Entry Verb in Megrelian-Georgian Dictionaries

Summary

In the GED, the main lexical entries are the masdar, the participle, and the finite form of the verb, which allows the appropriate material to be presented in the most complete form.

Prepositions of neutral semantics take part in the formation of the future. For example, the lexical meaning that the form *çers* “He/She is writing” has transfers to the form *daçers* “He/She will write” as well while only its morphological meaning changes. Therefore, it is not necessary to present both forms – the present form is quite sufficient.

If the future form includes a non-neutral preverb, it does not have a corresponding original form – the present form in Georgian. These forms are as follows: *čaçers*, *gaçers*, *açers*, *amoçers*, *gadaçers*, *gadmoçers*, *čamoçers*, *gamoçers*, etc. In general, it is necessary to bring out the future as a lexical entry if we do not have the proper present tense forms.

Megrelian has a grammatical resource for the production of the present tense of the group of forms like *čaçers*, *gaçers*, *açers*, *amoçers*, *gadaçers*, *gadmoçers*, *čamoçers*, *gamoçers* etc. With the help of the particle *(t)m mV*, the paradigm gap can be filled: there are both forms – the present and the relevant future forms. Thus, in this case, the present tense forms will be presented as the main lexical entry.

In Megrelian-Georgian dictionaries, the emphasis is on the masdar and the participle, and the verb forms are either in the proper group or are not visible at all.

The optimal formula for Megrelian-Georgian or Georgian-Megrelian dictionaries seems to be similar to the principles of the explanatory dictionary of the Georgian language: a lexical entry to be displayed is the masdar, the participle, and the present tense forms selected according to the types of the voice, version and contact of the verb.

ხათუნა ყანდაშვილი

მრავალგზისობის გამოხატვა XII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში

მრავალგზისობა ზმნის ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც განმეორებად, მრავალჯერ შესრულებულ მოქმედებას გამოხატავს. ეს კატეგორია ძველ ქართულში საგანგებო მწკრივებით: I ხოლმეობითით, II ხოლმეობითითა და III ხოლმეობითით გადმოიცემოდა. ქართულ ენაში მრავალგზისობის მორფოლოგიური გამოხატვა თანდათან შეიცვალა აღწერითი წარმოებით. კატეგორია გამოიხატებოდა **ხოლმე** ნაწილაკით, ლექსიკური ერთეულებით, უწყვეტლის მწკრივითა და ზმნის გამეორებით. ენამ არჩევანი ძირითადად გააკეთა **ხოლმე** ნაწილაკზე, რომელიც სხვადასხვა მწკრივთან ერთად გადმოსცემს მრავალგზისობას, თუმცა ასევე ვხვდებით სხვა ლექსიკურ ერთეულებსაც.

ჩვენთვის საინტერესოა XII-XVIII საუკუნეების სამწერლობო ქართულში რა საშუალებები დასტურდება მრავალგზისობის გადმოსაცემად, როგორ განვითარდა ენობრივი პროცესი მრავალგზისობის გამოხატვისა ამ პერიოდში. საანალიზო მასალად შევარჩიეთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (2009 წ.), სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1986 წ.), დავით გურამიშვილის „დავითიანი“ („ქართული პოეზია“ (2010 წ.). ჩვენი დაკვირვებით, ამ პერიოდის ქართულშიც ხოლმეობითის მწკრივებს აქტიურად იყენებენ მწიგნობრები. I (უწყვეტლის) ხოლმეობითს ვხვდებით, მაგრამ არა ისეთი სიხშირით, როგორც II ხოლმეობითს. მოვიყვანთ ილუსტრაციას საკვლევი მასალიდან.

I ხოლმეობითით გადმოცემული მრავალგზისი მოქმედება:

„ვერვინ ჰკადრების წყენასა, ვერც ცხადი, ვერცა მპარავი;

ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუმწარავი.“

(რუსთაველი 2009: 96)

„ფერმიხდილ-გვარად ვშვენოდი ვარდი, ცრემლითა ნაბანი

ვინცა **მიჭკრეტდის, ზნდებოდის**, – მართლად არს, არ კატაბანი“.

(რუსთაველი 2009: 140)

„მოვუკლივარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,

ცრემლი ცხელი **ასოვლებდის** ნარგიზთაგან ვარდსა ზრულსა.“

(რუსთაველი 2009: 48)

„ესეთი სიტყვის სიტყბო ჰქონდა, მხეთა კაცთა მსგავსად **მოაქცევდის**, ტინთა ცვილებრ **დაადნობდის** და მფრინველთა კაცებრ **აუბნებდის**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 25);

„სადაცა ვის უცხოსა **ნახევდის**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 26);
„მამალე **დაეცემოდის**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 46);
„სალამს, ალამს, ცეცხლსა, წალამს, ფეშქაშ-დურს და ქვეყნის იგავს
სთარგმნიდთან ვეზირები, იტყოდენ, თუ: ეს რას მიჰგავს?“ (დავით
გურამიშვილი 2010:46);

„დღისით წინამძღვრად მზე **მყვანდის**, ღამით უჭვრეტდი მთვარესა,
მივენდევე შვიდთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა“ (დავით
გურამიშვილი 2010:74);

ზმნით გამოხატული მრავალგზისი მოქმედების აღსანიშნავად დო-
მინანტი არის **II ხოლმეობითის** მწკრივი:

„რა ისარი **დაელევის**, მონანი-ყე მიართმიდეს,

მხეცნი, მათგან დაკოდინნი, წალმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს“.

(რუსთაველი 2009: 31)

„მის მეფითა წესი იყო: თავი მისი ძვირად **ფიცის**,
და თუ **ფიცის**, არ **გატეხის**, მასვე წამსა **დაამტკიცის**.“

(რუსთაველი 2009: 171)

„იგი ვნახე დაღრეჯილი, ესე მეტად დამიმძიმდა,
ვითა წინა **შემომცინის**, არღა ეგრე გამილიმდა“.

(რუსთაველი 2009: 154)

„ერთობილნი მომეხვინეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი,
ვჰკრი, რასაცა, ვერ **დამიდგნის**, სისხლა მჩეფრსა ამოვღვრიდი,
ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად **გარდავჰკიდი**,
სითცა **ვიყვი**, **გამექციან**, მათ **შექმნიან** ჩემი რიდი“.

(რუსთაველი 2009: 130)

„მჯობი და უძვირფასესი ჭურჭრლი **მოიდის**, უმხიარულე ნადიმი
დაუდვის და ყოველივე **უძღვნის**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 27);

„**ჩაჰყვის** ცხრილი წყალთა და არა **აივისის**, თქვის: ვისაც ღმერთი მი-
სცემს, ერთს მისცემსო“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 33);

„რა ბოროტისაგან **მოიცალის**, **დაიწყის** ლოცვა და ტირილი“ (სულ-
ხან-საბა ორბელიანი 1986: 39);

„ბაღდადის ქალაქსა წესი იყო, რა მეხილესთან კაცი **მივიდის** და ორი
ფული **მისცის**, რაც ენების, ეგოდენი ხურმა **შეჰამის**“ (სულხან-საბა ორბე-
ლიანი 1986: 69);

„**მოუგის** დიდი სიყმილი, **შემუსრის** ძალი პურისა;

აღარვინ **იყვის** ღვინითა აღმავსებელი ჭურისა.

შემცირდის ხართა ნახნავი, **მოსწყდის** ნაწყველი ფურისა,

ყვნის სასწაული, არ **იყვის** კაცი მიმგდები ყურისა!“ (დავით გურა-
მიშვილი 2010:32);

„უეცრად მეხთა დაცემა, **იყვის** ელვა და ქუხილი,

ნამი არ **გასტყვრის**; გოლვამან **მოწყის** ბალახი, თუ ხილი“ (დავით
გურამიშვილი 2010:33);

„**გამოუვლინის** ნადირნი, მჭამელნი კაცთა ხორცისა;

მოთხარის მკვდარნი საფლავით, ცოცხალიც ბევრი ხოცისა;
ხმალ-კაპარჭით რიდი არ **აქენდის**, არცა ხელმეხას ტყორცისა,
დედ-მამათ შვილი სალხინო წამზე საჭიროდ **მოსცისა!**“ (დავით გურამიშვილი 2010:33);

საინტერესოა ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეების სალიტერატურო ქართულში გვხვდება მრავალგზისობის გამოხატვის აღწერითი წარმოების შემთხვევები. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ ფაქტებზე, როდესაც ლექსიკურ ერთეულთან ერთად ხოლმეობითის მწკრივებია გამოყენებული. ხოლმეობითის მწკრივებს აღარ შესწევთ ძალა, გადმოსცენ მრავალგზისობა, ლექსიკური ერთეულები აძლიერებენ მწკრივის ფუნქციას – გადმოსცეს მრავალგზისი მოქმედება. ამგვარი ფაქტები იშვიათად დასტურდება ადრეულ ლიტერატურულ ძეგლებსა და ჩვენს საკვლევ მასალაშიც:

„**ზოგჯერ** ზღვათკე **მივიხედნი**, წავსდგომოდი ამა გორსა
ზღვასა შიგან ცოტა რამე დავინახე, თუცა შორს-ა“.

(რუსთაველი 2009: 186)

„**ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის**, ხელსა რადმე დაეძინა!
რაცა აჯა დათმობის გულმან ვისმცა მოუსმინა?“

(რუსთაველი 2009: 209)

„**დღე და ღამე** მუჯაამრითა **ეკმეოდის** ალვა თლილი,
ზოგჯერ კომკს **ჯდის, ზოგჯერ** ბაღჩას **ჩამოვიდის**, რა **დგის** ჩრდილი“

(რუსთაველი 2009: 209)

„იგი ჭირი არ უნახავს არც რამინსა, არცა ვისსა,
დღე და ღამე იგონებდის საყვარელსა მასვე მისსა“.

(რუსთაველი 2009: 209)

„**წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის** მისთვის მზისავე მზობასა,
უჭერეტდის, თვალნი ვერ **მოჰხსნის**, თუ **მოჰხსნის, მიჰხდის** ცნობასა.“

(რუსთაველი 2009: 209)

„**დღე ყოველ** მივიდის და ადგილი იგი **ნახის**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 72);

„**დღე ყოველ** უმჯობესსა სახლსა **დასმიდის**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 27);

„მეფის წინაშე აღარ **მიიყვანის ხშირად**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 43);

„**მუდამ** შინ **იჯდის** განცხრომით, ვერ **გასძლის** გარეობანი,
მის გამო ვედარ შეიძლო მან ქვეყნის პატრონობანი“ (დავით გურამიშვილი 2010:37);

„**ბევრჯელ** ასრე **იმწვითინის**, კოტვით ძირს **დასცემდის** ქუდსა“ (დავით გურამიშვილი 2010:86);

ძველ ქართულში ეს მოვლენა – მრავალგზისობის ორმაგი გადმოცემა: ლექსიკური ერთეულებითა და ხოლმეობითის მწკრივებით, გარდამავალი ეტაპია, ამ კატეგორიის მორფოლოგიური გამოხატვა ნელ-ნელა ქრე-

ბა. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ამგვარი ფაქტები უფრო ხშირად გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში მსგავსი წარმოების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა დადასტურდა. ეს არის ზუსტად წინაპირობა იმისა, რომ მომდევნო პერიოდში, ახალ ქართულ საალიტერატურო ენაში, მრავალგზისობა უკვე სემანტიკურად გადმოიცემა.

ძველი ქართული ლიტერატურის ორიგინალურ ძეგლებში გამოვლენილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ლექსიკურ ერთეულებთან სხვა მწკრივის ფორმებია გამოყენებული. ასეთი მოვლენები უიშვიათესია, მაგრამ მაინც დასტურდება, რაც მიგვანიშნებს იმას, რომ ძველსავე ქართულში დაიწყო პროცესი, ენობრივი ტენდენცია იმისა, რომ სხვადასხვა მწკრივის ფორმები ლექსიკურ ერთეულებთან ერთად, სემანტიკურად, ანაცვლებენ მრავალგზისობის კატეგორიის მორფოლოგიურ გამოხატვას. ამგვარი ფაქტები დადასტურდა ჩვენს საკვლევ მასალაშიც. მოვიყვანოთ ილუსტრაციას:

„აწ ეგრეცა თავი ჩემი დამიც შენთვის დასადობლად
ამად რომე შეცოდება **შვიდ-გზის თქმულა** შესანდობლად“.

(რუსთაველი 2009: 209)

„**დღისით და ღამით ვვაეზდი**, ვერვისგან სულ-დადებული“

(რუსთაველი 2009: 99)

„ესე ქალი შემიკერავს, **ზოგჯერ სულთქვამს, ზოგჯერ ახავს**
რადგან თავი არ მომიკლავს, ხრმალი ცუდად მომიმახავს“.

(რუსთაველი 2009: 190)

„**ასწავლიდა დღევ და ღამ**“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1986: 43);

„მივიდე, ადგილი იგი მოვთხარო, რომელსა კაცი იგი **ხშირად ნახავს**, და ვნახო“. (სულხან-საბა ორბელიანი 1986:72

ეგრე **დაპყვეს ყოველნი დღენი**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 75);

„**ორგზითვე** წაყოფს **მისცემდა**, ვისგანაც მოირხეოდა,

ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეოა და.“ (დავით გურამიშვილი 2010:4);

„დღეის იქით ენა ჩემმან ქება თქვენი **წართქვას ხშირად**.“(დავით გურამიშვილი 2010:78);

„**ორ-გზით კრულ შემქმნა** მტერთაგან, ხელთა საბელი მებადა,“ (დავით გურამიშვილი 2010:98);

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მრავალგზისობა გადმოიცემა უწყვეტლის მწკრივითაც:

„ძვირს უხსენებდეს მშობელთა, ლანძღავდეს თავის ღალასა,

რომ არ **ვსწავლობდი**, რად არა მცემდიან ტაჯგანალასა“ (დავით გურამიშვილი 2010:10);

„ორსავ გზას წრფელს წინ **უდებდა**, ხორციელს და სულიერსო“ (დავით გურამიშვილი 2010:22);

„დღისით ჯაგნარში **ვსძვრებოდი**, მინდვრად ვიდოდი ღამითა,

დღე თერთმეტადის ვიარე ყოფა-ქცევითა ამითა“ (დავით გურამიშვილი 2010:80);

„ყენის კარს მეფე ვახტანგს ბევრნი მტერნი უდგნენ მზირსა: რასაც ავსა **უნახევდენ, ამახებდენ** მისთვის გზირსა;“ (დავით გურამიშვილი 2010:42);

ჩვენს საკვლევ მასალაში დადასტურდა ისეთი შემთხვევები, როდესაც უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივების ნაცვლად I და II ხოლმეობითებია გამოყენებული. ეს ფაქტიც ერთ-ერთი მიმანიშნებელი იმისა, რომ ენაში ხოლმეობითების მწკრივების დანიშნულება – მრავალგზისობის გადმოცემა – მნიშვნელოვნად შესუსტებულია. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

I ხოლმეობითი გადმოცემული მოქმედება, რომელიც მოცემულ შემთხვევაში **უწყვეტლის** მწკრივის ფუნქციას ასრულებს (გამოხატავს წარსულ დროში განგრძობითობას):

„ამას **მოსთქმიდის** ტირილით, ცრემლისა დასაღვართა, კვლა გულსა ეტყვის: „დათმოზა ჰგვანდეს სიბრძნისა წყაროთა! არ დავთმოდ რა ვქმნათ, სევდასა, მითხარ, რა მოვუგვაროთა? თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა!“

(რუსთაველი 2009: 206)

II ხოლმეობითი გადმოცემულია **წყვეტილის** ფუნქცია (გამოხატავს ერთგზის, დასრულებულ მოქმედებას):

„რა ვაზირი არ შევიდა, კვლა მეფემან კაცი **გზაგნის**; კაცმან **ცნის** და გარეთ **დადგის**, წასვლა ვერვინ **გამაჟაღნის**; როსტანს ექვი შეუვიდა, ჭმუნვა **ამით გაათავნის**; თქვა: „უცილოდ გაიპარა, ვინც მარტომან ასთა **აგნის**!“

(რუსთაველი 2009: 243)

შემდეგი ნიმუში:

„მისგან მომეცა მოსმენა არ საუერისა მქისისა, ვისთა შუქთაგან უკუნსა **ჰგვანდის** სინათლე დღისისა“.

(რუსთაველი 2009: 116)

„ისპაანის ტარულადა მორჭმით იჯდა კარგა ხანი, ავის კაცის თავ-სავარცხლად **აქენდის** კარგი მოსაფხანი“ (დავით გურამიშვილი 2010:43).

II ხოლმეობითი გამოხატავს ზოგად მოქედებას, **აწმყოს** მწკრივის ფუნქციას გადმოსცემს:

„ძმა ძმისა საზიანოსა თუ არ მიიჩნევს ზიანად, ორივ მტერთაგან **დაიწვის**, სახლ-საბძელ, კალო-ბზიანად“ (დავით გურამიშვილი 2010:43).

მრავალგზისობის გამოსახატავად იშვიათად გამოიყენება **ხოლმე** ნაწილაკიც:

„ღმერთმან ქათმის ყივილი გათენებისას ბრძანაო და შენ ვახშამთ უკან რათ წაიციდენ **ხოლმეო**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 44);

„ჩემსა ალაგას კიდევ ვნახედე **ხოლმეო**“ (სულხან-საბა ორბელიანი 1986: 86)

XII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში მრავალგზისობის კატეგორიის გამომხატველი თითქმის ყველა საშუალება

დასტურდება. მწერლები იყენებენ როგორც ძველი ქართული ენის, ასევე მათი პერიოდის ქართული ენისთვის დამახასიათებელ ენობრივ შესაძლებლობებს. ხოლმეობითის მწკრივებიდან ძირითადად გამოიყენება II ხოლმეობითი, I ხოლმეობითი იშვიათად დასტურდება. აქტიურდება ლექსიკური ერთეულები. მრავალგზისობის კატეგორია იშვიათად გადმოიცემა **ხოლმე** ნაწილაკით, რომელიც დაერთვის სხვადასხვა მწკრივის ფორმას. უწყვეტლის მწკრივისა და მრავალგზისობის გამოხატვის ფუნქცია აქვს გარკვეულ შემთხვევებში.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2004 – გოგოლაშვილი გ., ხოლმეობითობის ორგანული და აღწერითი წარმოების ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 31, 2004.

გოგოლაშვილი 2010 – გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა (ფორმალწარმოების საკითხები), არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2010.

გურამიშვილი 2010 – გურამიშვილი დ., „დავითიანი“, „ქართული პოეზია“, თბ., 2010.

რუსთაველი 2009 – რუსთაველი შოთა., „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 2004.

სარჯველაძე 1979 – სარჯველაძე ზ., წყვეტილისა და მეორე ხოლმეობითის ფორმათა ურთიერთშენაცვლებისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: საენათმეცნიერო კრებული, თბ., 1979.

სარჯველაძე 2004 – სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 2004.

ორბელიანი 1986 – ორბელიანი სულხან-საბა., „სიბრძნე სიცრუისა“, თბ., 1986.

შანიძე 1942 – შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი I, თბ., 1942.

ჩიქობავა 1948 – ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

Khatuna Kandashvili

**Expressing Recurrence in Georgian Literary Monuments
of XII-XVIII Centuries**

Summary

In the Georgian literary monuments of XII-XVIII centuries, almost all means of expressing recurrence are attested. We selected Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" (2009), Sulikhan-Saba Orbeliani's "Wisdom of Lies" (1986), and Davit Guramishvili's "Davitiani" ("Georgian Poetry (2010) as research material. The poets and writers use linguistic means of both the old Georgian language and the Georgian language of their period. Mainly, the screeves of the Iterative II are used while the ones of the Iterative I is rarely attested. The lexical units are becoming more relevant. The category of recurrence is rarely expressed by the particle *xolmc* that is attached to the different screeve forms. The continuous screeve also has the function of expressing recurrence in certain cases.

მერაბ ჩუხუა

აინუ ენა და ქართველური ენობრივი სამყარო

აინუ (აინუ-იტაკი) ან უფრო ზუსტად ჰოკაიდო აინუ, არის ენა, რომელზეც საუბრობს აინუ ხალხის რამდენიმე ხანდაზმული წევრი ჩრდილოეთ იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოზე. აინუს ენა კლასიფიცირებულია, როგორც კრიტიკულად საფრთხის ქვეშ მყოფი ენა. მე-20 საუკუნემდე აინუზე აქამდე შემორჩენილ ჰოკაიდოს აინუ დიალექტზე, ისევე, როგორც ახლად გადაშენებულ კურილის აინუსა და სახალინის აინუს დიალექტებზე მეტყველებდნენ სახალინის კუნძულის სამხრეთ ნახევარში და კურილის კუნძულებზე. აინუ ხალხი არის ძირძველი (აბორიგენი) მოსახლეობა, რომელიც დღემდე ცხოვრობს ჰოკაიდოსა და ისტორიულად ასევე ჰონსიუში (იაპონია), კურილისა და სახალინის კუნძულებზე. ეს უკანასკნელი ორი მიტაცებული (ოკუპირებული) აქვს რუსეთის ფედერაციას.

შორეული აღმოსავლეთის ლინგვისტიკის ისტორიაში იყო მრავალგვარი მცდელობა, დაეკავშირებინათ აინუ სხვა ენებთან ან ენობრივ ოჯახებთან. ადრეულ კვლევებში აინუ შეადარეს ებრაულ, ინდოევროპულ, ბასკურ, პოლინეზიურ და სხვა ევრაზიულ ენებს.

ბოლო დროის კვლევებში აინუს კლასიფიკაციის მცდელობები ძირითადად მიმართული იყო შედარებაზე ალტაურთან, ან ევრაზიულ მაკროოჯახთან, მათ შორის ურალურ ენებთანაც და ა.შ. თუმცა, არცერთი ეს ვარაუდი არ არის საყოველთაოდ აღიარებული, ამიტომაც აინუ გენეალოგიურ კლასიფიკაციაში განიხილება, როგორც ერთ-ერთი იზოლირებული ენა. ჯერ კიდევ ე. სეპირი ვარაუდობდა ნა-დენე ენების გენეტიკურ კავშირს სინო-ტიბეტურ ენებთან [სეპირი]. მოგვიანებით სერგეი სტაროსტინმა შემოგვთავაზა მაკროოჯახი, რომელიც მოიცავს სინო-ტიბეტურ, ჩრდილოკავკასიურ და იენისურ ენებს [სტაროსტინი 1991]. მოგვიანებით, ს. ნიკოლაევა ამავე მაკროოჯახში გააერთიანა ნა-დენე ენები (ჰაიდას ჩათვლით) [ნიკოლაევი 1991; ნიკოლაევი 2014], ხოლო ჯ. ბენგტსონმა, დენე-კავკასიური მაკროოჯახის ჰიპოთეზის შესაქმნელად, ისედაც უადრესად მდიდარ ჩამონათვალს დაამატა ბურუშასკი, ვასკონური და შუმერული ენები [ბენგტსონი 1997; ბენგტსონი 1997a].

ამას წინათ სპეციალურად შექმნილ ნაშრომში აინუ და ნა-დენე ენათა ნათესაურად დამაკავშირებელი მტკიცებულებები პროფ. ქინ ლიუს (სტენფორდის უნივერსიტეტი, კალიფორნია, აშშ) მიერ იქნა წარმოდგენილი იმის სადემონსტრაციოდ, რომ აინუ ენა გენეალოგიურად არის დაკავშირებული ამერიკის ნა-დენე ენებთან, განსაკუთრებით კი ათაბასკანურ

ენასთან. ავტორის შენიშვნით, თუ აინუ-დენე ჰიპოთეზა მართალია, ის ნათელს მოჰფენს აინუსა და ნა-დენე პოპულაციების წარმოშობას და ხალხთა ადრეულ მიგრაციას ევრაზიასა და ბერინგიაში. მკვლევარი დარწმუნებულია, რომ მოძიებული ლინგვისტური მტკიცებულებები მიუთითებს პრეისტორიულად ნა-დენე ხალხების ჩრდილოეთ ამერიკაში უფრო რთული მიგრაციის პროცესებზე, ვიდრე ამას ტრადიციული თეორიები ვარაუდობდნენ. აინუ-დენეს ურთიერთმიმართებათა გარკვევა ასევე გაამყარებს მნიშვნელოვან კავშირს ახალი სამყაროსა და ძველი სამყაროს ენებს შორის, რომელსაც შეუძლია წარმოაჩინოს სხვა თეორიები ნა-დენე ენების შესახებ, როგორცაა დენე-ენისეის ჰიპოთეზა და დენე-კავკასიური ჰიპოთეზა [ქინლიუ 2022].

წინამდებარე კვლევაში ჩვენ ვეყრდნობით პროფესორ ქინლიუს მიერ გამოყენებულ სიტყვათა სიას და წარმოვადგენთ აინუ ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ქართველურ და კავკასიურ შესატყვისებს, ვინაიდან გვჯერა, რომ ისტორიულ-გენეზისური მიმართულებით კვლევა-ძიებას გარკვეული პერსპექტივა გააჩნია:

1. აინუ to, აჰთნა t'u: „ძუძუ, ქალის მკერდი“ : ს.-ქართვ. *ტუ- „ცური; ჯიქანი“ (ქართ. ტუა, ზან. ტუ/ტე) - ს.-ნახ. *ტარ-ა „ძუძუს თავი; ქალის მკერდი“ (წ.-თუმ. ტარ, ჩეჩნ. ტარა, ინგუშ. ტარ) - ს.-დად. *ტურ- „ჯიქანი; კვირტი“ (დარგ. ტე „ჯიქანი“, თაბ. ტურ „კვირტი“, ლეზგ. ტურ..., წახ. ტურ „მუწუკი; კვირტი“, ხინ. ტა „ცური“)

2. აინუ nan „სახე“ / nu: „თვალი“ : ს.-ქართვ. *ნინ-ირ- „ელენთა“ (სვან. ნენირ „ელენთა“) - ს.-დად. *ნანი- „ელენთა“ (ანდ. (რიქვ.) ნანა-ტი, ჭამ. ნანადირ „ელენთა“, ჰინ. ნანი „თვალი“) - ს.-სინდ. *ნენ- „თვალი“ (ადილ. ნე)

3. აინუ tek „ხელი“ : ს.-ქართვ. *ტლაკუ- „ტლაკვი“ (ქართ. ტლაკვი-ი) - ს.-ნახ. *ტარკ- „თითი“ (წ.-თუმ. ტარკ, ჩეჩნ. ტალგ, ინგუშ. ტაელგ) - ს.-დად. *ტალგუ- „თითი“ (წახ. ტულუნგ „სათითე“, ხინ. ტარგენგ „თითისტარი“)

4. აინუ kema „ფეხი“ : ს.-ქართვ. *კამ- „მტკაველი“ (სვან. კამ-, კამ-ინ (ზს.), კამ-გლ (ლშბ.), კამ-ილ (ლნტ.), „მტკაველი“, შდრ. კნინ. კამ-ნ-ილ, კამ-ლ-იდ (ლნტ.)) - ს.-დად. *კამ- „პეშვი; მუჭი“ (ლაკ. კამ-, კამ-ა „პეშვი; მუჭი“, ბუდ. მეკ „მუშტი“, კრიწ. კიპ „ციდა“, ლეზგ. კემ „მოში, armbul“)

5. აინუ *tikir „ფეხი“ : ს.-ქართვ. ს.-ქართვ. *მტკაუ- „მტკაველი“ (ქართ. მტკავ-ელ-ი, ზან. (ლაზ.) მტკო, მეგრ. ტკუ /ტკუ /ტკოუ „მტკაველი“) - ს.-დად. *მარლამ- / *მარლამ- „ციდა“ (ხუნდ. (ჭად.) როლოზ / ლოროზ (უსლარი) „ციდა“, ანდ. ჰელემ, ახვ. რელე, ბაგვ. რელემ, კარ. რელემ-ო, ტინდ. რელამ, ჭამ. ელემ „ციდა“)

6. აინუ *san=pe „გული; დვიძლი“ : ს.-ქართვ. *სუ-ენ- „სული; სვენება; სუნთქვა“ (ქართ. სულ-ი, სუნ-ი, სვენ-ებ-ა, ზან. (მეგრ.) შურ-ი „სული“, სვანჯ-ი / მო-შვ-ან-დ-ა / მო-სვ-ან-ჯ-ა „მოსვენება“, ლაზ. შურ-ა „სუნი“, დო-ბ-ი-შვ-ან-ა-შა „ამოსუნთქვამდე“, ბ-ი-შვ-აჯ-ი „მოვისვენე“) : ს.-ნახ. *სენ- „სული“ (ჩეჩნ. სა-/სინ-, ინგუშ. სა-/სინ-, წ.-თუმ. სა-/სინ-) : ს.-სინდ. *ფს-ა „სული“ (ად. ფს, ყბ. ფს „სული“, აფხ. ა-ფსგ, აბაზ. ფსგ „სული“) : ს.-დად. *სუ- „სვენება“ (ხუნდ. სუ-აქ-/ს-აქ-/სო-ბორაბ, ანდ. შან-ნუ, ბოთლ. შამ-დუ,

ლოდ. შან-ი., აღ. შატ-ლა „სვენება; სულის მოთქმა“, შდრ. კარ. სუნ-ჰაუ „და-დლილი“ : ზან. (მეგრ.) შულ-ად-ა „დალა“)

7. აინუ ca (=tsa) „პირი“ : ს.-ქართველ. *წალ- „პირის ღრუ“ (ზან. (ლაზ.) ჭელ-, ჭელ-ი „პირის ღრუ“) - ს.-სინდ. *ჭა „პირი; სახე“ (უბ. ჭა „პირი“, აბაზ. ჭა, აფხ. ა-ჭგ / ა-ჭა „პირი; სახე“) - ს.-დად. *ჭუჰლ „პირისახე“ (ლაკ. ჭაუ „ლოყა“, თაბ. ჭუჰალ, ლეზგ. ჭუჰელ „საფეთქელი“, უდ. ჩო ← *ჭო „სახე“)

8. აინუ ciye (=tsiye) „პენისი“ : ს.-ქართველ. *ცურ- „ცური“ (ქართ. ცურ-, ცურ-ი „ძუძუსპირი“ (საბა), ზან. ჩურ-, ჩურ-ი „vulva“) - ს.-სინდ. *ჩურ- „ცური“ (აფხ. ჩრგ- [ა-ჩრგ-გუ], აბაზ. ჩგ „ცური“) - ს.-დად. *ცორ- „პენისი“ (ჭამ. ცორ-ა / ცარა „პენისი“) - ბასკ. txori / txo(r)i [=ჩორი] „პენისი“

9. აინუ ci (=tsi) „ჩვენ“ : ს.-ქართველ. *ჩუენ- „ჩვენ“ (ქართ. ჩვენ, ჩვენ-ი, ზან. (მეგრ.) ჩე / ჩეი „ჩვენ“, ჩეენ-ი / ჩეინ-ი „ჩვენი“, ლაზ. ჩეუნ / ჩეუ / ჩეინ „ჩვენ“, ჩაქუნ-ი / ჩეინ-ი „ჩვენი“, სვან. შგუე: გუ-შგუე-მ „ჩვენ (ექსკლ.)“, ნი-შგუე-მ „ჩვენი“ (ინკლუზი.) - ს.-სინდ. *ჩუჰ- „ჩვენ“ (უბიხ. შ-გ-ლუა „ჩვენ“) - ს.-დად. *ჩუჰნ „ჩვენ“ (აღ. ჩინ / ჩუნ, თაბ. უ-ჩუ / ი-ჩუ, ლეზგ. ჩუნ, წახ. ში- / ში-ბი, ხინ. შირ „ჩვენ (ექსკლ.)“)...

ცხადია, აქ საგანგებოდ მოტანილი მცირედი ისტორიულ-შედარებითი შტუდიები მხოლოდ დასაწყისია აინუ და ქართველური ენების შესაძლო გენეტიკური კავშირის პროფესიული კვლევის გზაზე. ამ ჯერზე პრობლემური საკითხი მხოლოდ დაისვა, ისიც ლექსიკური ერთეულების დონეზე, რასაც მომავალში დაემატება გენეტიკურად საერთო გრამატიკული ინვენტარიც, ასეთის არსებობის (გამოვლენის) შემთხვევაში.

ლიტერატურა

ბენგტსონი 1997 – Bengtson. D. 1997. Ein Vergleich von Buruschaski Und Nordkaukasisch. – Georganica 20 : 88-94.

ბენგტსონი 1997a – Bengtson J. D. Basque and the Other Dene-Caucasic Languages. Thirded. 1997a.

ნიკოლაევი 1991 – Nikolayev S. 1991. Sino-Caucasian Languages in America. – In Shevoroshkin 1991 (ed.): 42-66.

ნიკოლაევი 2014 – Nikolaev S. 2014. Toward the Reconstruction of Proto-Na-Dene. – Journal of Language Relationship 11(1), 103-124.

ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994 – Nikolayev S. & Starostin S. 1994. A North Caucasian Etymological Dictionary. Moscow: Asterisk Press.

სეპირი 1920 – Sapir E. 1920. Comparative Sino-Tibetan and Na-Dene Dictionary. Ms. Ledger. American Philosophical Society Na 20a.3. [Microfilm.]

სტაროსტინი 1991 – Starostin S. 1991. On the Hypothesis of a Genetic Connection between the Sino-Tibetan Languages and the Yeniseian and North Caucasian Languages. – Dene-Sino-Caucasian Languages 12-41.

ქინ ლიუ 2022 – Qin Liu. 2022. Evidence Connecting Ainu and Na-Dene Languages. – <https://zenodo.org>.

Merab Chukhua

The Ainu Language and the Kartvelian
Linguistic World

Summary

In the paper, we rely on the word list used by Professor Qin Liu and present the Georgian and Caucasian equivalents of the main vocabulary of the Ainu language. Obviously, the brief historical-comparative research suggested in the presented paper is only the beginning on the way of professional linguistic research on the possible genetic connection of the Ainu and Kartvelian languages. This time, the problematic issue has only been raised at the level of lexical units, which the genetically common grammatical inventory will be added to in the future, in case of its existence (discovery).

ნინო ციხიშვილი

გერჰარდ დეეტერსის ქართველოლოგიური ღვაწლი (დაბადებიდან 130 წლისთავის გამო)

ზუსტად 130 წლის წინ, 1892 წელს ლემბურგში, ვენდენთან ახლოს, დაიბადა გერმანელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და კავკასიოლოგი გერჰარდ ულრიხ ვოლდემარ დეეტერსი. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა დაობლდა. სასკოლო განათლება ვენდენის მახლობლად, ლივლენდის სარაინდო გიმნაზიაში მიიღო. 1914 წლამდე ლაიპციგში ფილოსოფიას ეუფლებოდა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ სწავლის დასრულებაში ხელი შეუშალა. ამ ომში მან ტყვეობაც გამოიარა. ტყვეობაში ყოფნისას გ. დეეტერსმა რამდენიმე ენის შესწავლა მოახერხა. ქართულ ენაზე შესრულებული ზოგიერთი ჩანაწერი, რომელიც შემდეგში თავისივე კვლევებში გამოიყენა, სწორედ, ქართველი თანაპატიმრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ემყარება. მოგვიანებით მან იენასა და მიუნხენში განაგრძო სწავლა ენათმეცნიერების მიმართულებით. სიცოცხლის ბოლომდე თავდაუზოგავად იშრომა კავკასიოლოგიური კვლევების განვითარებისათვის. ამას მოწმობენ ღრმა ცოდნითა და მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული ქართველოლოგიური ნაშრომები. ეს ნაშრომები გამოიცემოდა წიგნებად და იბეჭდებოდა ცალკეულ სტატიებად ევროპაში გამოშვებულ სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალსა და ენციკლოპედიაში, როგორებიცაა (*Indogermanische Forschungen, Caucasia, Sprachgeschichte und Wortbedeutung, Oriens Christianus, Corolla Linguistica, Die Welt des Orients, Bedi Karthlisa, Sybaris, Handbuch der Orientalistik, Encyclopaedia Britannica, Lexikon für Theologie und Kirche, Der Fels*). გერმანელი ქართველოლოგი სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში (*Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft, Orientalische Literaturzeitung, Deutsche Literaturzeitung*) გამოქვეყნებული რეცენზიებით აცნობდა ევროპულ საენათმეცნიერო საზოგადოებას სიახლეებს ქართველოლოგიური კვლევების შესახებ.

1925 წელს უმაღლესი შეფასება დაიმსახურა გ. დეეტერსის სადისერტაციო ნაშრომმა „*Armenisch und Südkaukasisch (Ein Beitrag zur Sprache der Sprachmischung)*“. ამ ნაშრომში მან განიხილა სომხურ ენაზე სამხრეთკავკასიური სუბსტრატის გავლენა. ეს სადისერტაციო ნაშრომი გამოქვეყნდა ჟურნალ „*Caucasia*“-ში, რომლის რედაქტორიც, როგორც ადოლფ დირის მემკვიდრე, თავადვე იყო. მოგვიანებით ეს ნაშრომი წიგნადაც გამოიცა. მის საპაბილიტაციო ნაშრომს „*Das kharthwelische Verbum (Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen)*“, რომელიც 1930

წელს მონოგრაფიად გამოიცა, მოგვიანებით უწოდეს დასავლეთ ევროპის მასშტაბით პირველი რანგის სამეცნიერო მიღწევა კავკასიური ენათმეცნიერების დარგში. დეეტერსმა გულდასმით შეისწავლა ქართველურ ენათა ზმნის სისტემა და 258-გვერდიან ნაშრომში წარმოადგინა შედარებითი ანალიზი ზმნის მორფოლოგიასთან დაკავშირებული საკითხებისა. მან აქვე ახლებურად დასვა საერთო-ქართველური ფუძეების დიფერენციაციის პრობლემა. გ. დეეტერსი ვერ მოესწრო თავისი 78-გვერდიანი ნაშრომის „*Die kaukasische Sprachen*“ გამოცემას, რომელიც დაიბეჭდა 1963 წელს საერთაშორისო წიგნის სერიაში „*Handbuch der Orientalistik*“. ნაშრომის დასაწყისში მოკლედ არის მიმოხილული ოთხივე კავკასიური ჯგუფი; შემდეგ თავებში წარმოდგენილია ამ ენათა ფონოლოგია და ლექსიკა; მომდევნო თავში შედარებით ვრცლადაა გაანალიზებული გრამატიკული საკითხები; ნაშრომი მთავრდება მსჯელობით, რომელიც შეეხება იმას, თუ რა ადგილი უკავია კავკასიურ ენებს მსოფლიო ენათა შორის. აქ ავტორი განიხილავს ხმელთაშუა ზღვის ენებთან და წინა აზიის მკვდარ ენებთან, ასევე ბასკურთან, კავკასიური ენების დამოკიდებულების საკითხს. ის ამბობს, რომ ნათესაობის დასადგენად გამოყენებული შედარების მეთოდები უშედეგოა. თუმცა, ბასკურთან კავკასიურის ნათესობაა გამორიცხული არ არის.

როგორც უკვე ითქვა, გ. დეეტერსმა, გარდა მონოგრაფიული ხასიათის შრომებისა, ქართველოლოგიის თემაზე არაერთი სამეცნიერო სტატიაც დაწერა. გერმანელი მკვლევარი დაინტერესდა კავკასიურ ენებში სახელური კლასების არსებობის საკითხითაც. მან კრიტიკულად განიხილა ქართველი მეცნიერების, ივ. ჯავახიშვილისა და არნ. ჩიქობავას, მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც, ოდესღაც ქართველურ ენებში განირჩეოდა სახელური კლასები. 1955 წელს „*Corolla Linguistica*“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „*Gab es Nominalklassen in allen kaukasischen Sprachen?*“ დეეტერსი არ დაეთანხმა ივ. ჯავახიშვილის მიერ მამრობითი სქესის ცხოველთა კლასის აღმნიშვნელად **ვ**- თავსართის მიჩნევას, რადგან **ვაგი** და **ვერძი** სუბსტანტივების გვერდით დგას იმავე **ვ**-პრეფიქსიანი **ვირი**, რომელიც არ გამოხატავს მხოლოდ მამრობითი სქესის ცხოველს. ასევე, **ზ**- თანხმოვნით დაწყებულ სიტყვებში (**ბიჭი**; **ბატკანი**), რომლებიც გამოხატავენ ბავშვებს ან ახალგაზრდა შინაურ ცხოველებს, **ზ**-არის არა კლასის მორფემა, არამედ აქ მსგავსი ან იმავე ჟღერადობის სიტყვებიერთ სემანტიკურ ველში გაერთიანდნენ. მკვლევარი არც არნ. ჩიქობავასეულ დაყოფას ემხრობა, სადაც **მ**- ადამიანის კლასის ნიშანია, ხოლო **ნ**-, **ს**-, **ბ**- თანხმოვნები ნივთის კლასს გამოხატავენ. მისი აზრით, მართალია, **მ**- და **სა**- თავსართიან სიტყვათა ბევრ წყვილში ერთმანეთს ადამიანები და ნივთები უპირისპირდება (*მე-ზვერე* – *სა-ზვერე*, *მე-რწყული* – *სა-რწყული*, *მა-ცხოვარი* – *სა-ცხოვარი*), მაგრამ, ავტორის თქმით, აქ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: არის კი კლასის აღნიშვნა ამ პრეფიქსების რეალური ფუნქცია, თუ ეს მხოლოდ მათი გრამატიკული, სიტყვაწარმოებითი დანიშნულების გამოვლენაა? მისი დაკვირვებით, ისინი გრამატიკული აფიქსები უნდა იყოს, რომელთაგან **მა**- Nomina agentis-ს, **სა**-კი Participia necessitatis-ს, Nomina loci-ს და Nomina instrumenti-ს უნდა

აწარმოებდეს. ასევე, ისიც უდავოა, რომ არსებობს **მ**- თავსართიანი პირთა სახელების მთელი რიგი, რომლებიც სუბსტანტივებისაგან იწარმოება (*მ-სოფლ-იომ, მ-დაბ-იომ, მ-დიდ-არი, მ-ეზო-ბელი*). მაგრამ ავტორს აქვე მოჰყავს ნივთის გამომხატველი არსებითი სახელები, რომელთაც თავსართად ასევე **მ**- მოუდის (*მთხრებლი, მატყლი, მსხვერპლი*). საბოლოოდ კი დაასკვნის, რომ კავკასიურ ენათაგან სახელური კლასები განირჩევა მხოლოდ აღმოსავლეთკავკასიურში (OKS), რითაც იგი უახლოვდება ბურუმასკის. დასავლეთკავკასიურსა (WKS) და სამხრეთკავკასიურში (SKS) კი სახელური კლასები არ უნდა ყოფილიყო.

გერმანელი მკვლევრის ინტერესის ობიექტად იქცა ქართველურ ენებში დამკვიდრებული ზოგიერთი სიტყვის ეტიმოლოგიაც. ჟურნალში „*Indogermanische Forschungen*“ დაბეჭდილ მცირე ზომის სტატიაში „*Kreislauf*“ ავტორი ბერძნულიდან რუსულის შემვეობით შემოსული სიტყვის (*ritma*) გზას წარმოგვიდგენს.

1931 წელს ჟურნალ „*Caucasica*“-ში დაიბეჭდა სტატია „*Die Namen der Wochentage im Südkaukasischen*“, ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ, მართალია, ეს საკითხი მანამდე დაწვრილებით გააანალიზა ქართველმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა, მაგრამ დასავლეთევროპულ მეცნიერთათვის ეს კვლევა ენის გამო მიუწვდომელი დარჩა. ამიტომაც გერმანელი ქართველოლოგი წინამდებარე ნაშრომში მიმოიხილავს ქართველურ ენებში კვირის დღეების სახელწოდებებს და გამოთქვამს მოსაზრებებს მათი წარმომავლობის შესახებ. როგორც ცნობილია, კვირის დღეების სახელები მიჰყვება ორ სისტემას: ერთი სისტემის მიხედვით, დღეების ათვლა ეფუძნება ერთ კონკრეტულ დღეს; მეორე სისტემის მიხედვით კი ისინი შვიდი პლანეტის სახელებით აღინიშნება. პირველი სისტემა იუდაიზმიდან იღებს სათავეს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ქართულიც, სადაც კვირისა და პარასკევის სახელწოდებები ნასესხებია ბერძნულიდან. ნაკლებად დამაჯერებელია მეცნიერის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, შაბათისა და „შაბათით“ ნაწარმოები სხვა სახელწოდებები წარმოდგება არა ბერძნული სიტყვიდან *σάββατον*, არამედ იგი უფრო შეესატყვისება სომხურ *šabat*-ს, რომელიც, თავის მხრივ, სირიულიდან მომდინარეობს. რაც შეეხება სხვა ქართველურ ენებს, მეგრულ-ლაზურსა და სვანურში მოქმედებს მეორე სისტემა, ე.წ. პლანეტების კვირა. ავტორის აზრით, ეს სახელები, ალბათ, ნაწარმოებია ბერძნულის მიხედვით მეგრულ-ლაზურში ჯერ კიდევ მათი ერთობის ხანაში და შემდეგ აქედან ნასესხებია ან თარგმნილია სვანურში.

მოგვიანებით გერმანელმა მკვლევარმა კავკასიელი იბერების სახელის წარმომავლობაზეც გამოთქვა აზრი. სტატიაში „*Der Name der kaukasischen Iberer*“ ავტორითავიდანვე სვამს ორ კითხვას: 1. არის იბერების სახელი კავკასიაში ადგილობრივი წარმოშობის? 2. როდიდან არის ცნობილი ეს სახელი ბერძნებისათვის? პირველ კითხვაზე მსჯელობისას გ. დეეტერსი არ იზიარებს ქართველი და უცხოელი მეცნიერების (ივანე ჯავახიშვილისა და იური ზიცარის) თვალსაზრისებს, რომელთა მიხედვითაც

იბერ-ფუძე უნდა უკავშირდებოდეს ბასკურს. თუმცა იგი არ გამორიცხავს ბერძნულ *Ιβηρες*-თან იმ სახელწოდების კავშირს, რომლითაც სომხები ქართველებს მოიხსენიებენ. ეს არის სიტყვა **vir-k'**. ავტორისთვის უცნობია, თავდაპირველად რომელი ენიდან წარმოიშვა ეს სახელი, თუმცა დამაჯერებლად მიიჩნევს იმ აზრს, რომ ირანელებმა ის სომხებისგან გაიცნეს. რაც შეეხება მეორე კითხვაზე პასუხს, დეეტერსი ვარაუდობს, რომ ბერძნებს კავკასიელი იბერები პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 66-64 წლებში, პომპეიუსის ლაშქრობისას, უნდა გაეცნოთ, ანუ მაშინ, როცა პომპეიუსის-შტაბიახლო აღმოსავლეთის მკვიდრ მოსახლეობასთან კომუნიკაციისთვის ბერძნულს იყენებდა და ამ შტაბს მეგზურობას უწევდნენ სომეხი ავტორიტეტები, რადგან რომაელთა არმია იბერიაში სწორედ სომხეთიდან შემოიჭრა. შესაძლოა, სომხები ამ დროს იყენებდნენ სომხური ლოკატივის მრავლობითის ფორმას **i Virs**, ქართველებთან, საქართველოში, რომელიც მაშინ სამმარცვლიან სიტყვად (**iviras**) გამოითქმოდა. ავტორის თქმით, ეს უკანასკნელი (**iviras**) ბერძნული ტრანსკრიფციით უნდა ყოფილიყო IB(E)PEΣ, რაც ცნობილი ესპანელი ხალხის სახელის იდენტურია. შემდეგში კი, წერილობითი გზით გავრცელებისას, ეს იდენტურობა უფრო სრულყოფილი გახდა.

ქართული ენის მორფოლოგიის კარგი ცოდნა გერმანელ ქართველოლოგს საშუალებას აძლევდა, მეცნიერულად აეხსნა რომელიმე ენობრივი ფორმის წარმომავლობა და ამ ფორმაში მიმდინარე ცვლილება, რომელიც მორფოლოგიურადაა შეპირობებული ქართველური ენების განვითარების უძველეს ეტაპზე. სტატიაში „Über einen n/r Wechsel im Georgischen“, ქართული და სხვა ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინებით, სწორედ ამგვარადაა გაანალიზებული **n/r** მონაცვლეობა სიტყვებში **ქნაი** < ***ქან-აგ-აი** და **ქარი**. ავტორს მოჰყავს სხვა მაგალითებიც, სადაც ანალოგიური **n/r** მონაცვლეობა დასტურდება (**მეზმნაების** – **სიზმარი**; **წარუძღვანებს** – **მოდღარი**). როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, **-ან**-ფუძიანი ზმნები უპირისპირდებიან **-არ** სუფიქსიან ნაზმნარ სახელებს. მკვლევარი ვარაუდობს, რომ **-არ** სუფიქსი წარმოდგარია ქართულის უძველესი ზმნური კლასისაგან, პირველადი გარდაუვალი ზმნებისაგან, რომელთაც არ ჰქონდათ მახასიათებელი ხმოვანი დარომლებიც **-არ** სუფიქსით უგამონაკლისოდ აწარმოებდნენ ე.წ. ნომინა აგენტისს. ეს **-არ** სუფიქსი დაერთოდა გაუჩინარების საფეხურზე მყოფ ფუძეებს. იგი ნაზმნარ სახელებში **-ნ** თანხმოვნის გაქრობის გზას ასე წარმოგვიდგენს: თავდაპირველად **-ნ** ჯერ ირიბ ბრუნვებში უნდა შევიწროვებულიყო: ***სი-ზმან-არ-ისა**; მერე სინკოპესგავლენით უნდამიგველო: ***სიზმნისა**; აქედან კი მივიღეთ ფორმები: **სიზმრისა** და **სიზმარი**. ალბათ ასევე უნდა გამქრალიყო **-ნ** თანხმოვანი სიტყვაში **ქარ-ი**, რომელიც, ავტორისეული ლიგიკით, ამ გზით ნაწარმოები **-არ**-სუფიქსიანი ნაზმნარი სახელია.

დიდი ხანია, რაც სამხრეთკავკასიურ ენათა ადგილის პრობლემამ ენათმეცნიერთა ყურადღება მიიქცია. ამ საკითხს შეეხო გერმანელი მკვლევარიც 1957 წელს ჟურნალ „*Bedi Karthlisa*“-ში გამოქვეყნებულ წერილში

„Die Stellung der Kharthwelsprachen unter den kaukasischen Sprachen“. გ. დეეტერსი ამბობს, რომ ქართველურ ანუ სამხრეთკავკასიურ ენებს (SKS), და კერძოდ, ქართულს – როგორც ძველ სამწერლობო ენას – კავკასიურ ენათა ოჯახში განსაკუთრებული ადგილი უკავია. თუმცა, მაინც ჩნდება კითხვა დანარჩენი ორი ჯგუფის – დასავლეთკავკასიურისა (WKS) და აღმოსავლეთკავკასიურის (OKS) – ენებთან მისი ნათესაობის თაობაზე. მკვლევარი შეეცადა, დაედგინა თითოეული ჯგუფისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული თავისებურებანი, როგორც მორფოლოგიის, ისე სინტაქსის დონეზე; გამოერკვია ტიპოლოგიური მსგავსებები და განსხვავებები, ერთი მხრივ, ქართველურსა და სხვა კავკასიურ ენებს შორის და, მეორე მხრივ, ქართველურსა და ინდოევროპულ ენებს შორის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გერჰარდ დეეტერსმა ივარაუდა, რომ სამხრეთკავკასიური ენები შეიძლება შეფასდეს, როგორც შერეული ტიპი, რომელიც დგას დასავლეთკავკასიურ ენებსა და ძველ ინდოევროპულ ენებს შორის. ეს უკანასკნელი კი შეიძლება იყოს ბერძნული, ლათინური ან რუსული. და ვინაიდან შესაძლებელია ენაში მიმდინარე ღრმა ცვლილებები განპირობებული იყოს გარეგანი მიზეზითაც, დეეტერსის აზრით, მაშინ აქ შეიძლება ვისაუბროთ სუპერსტრატის ეფექტზე, როცა უცხო გაბატონებული ფენა ან კულტურულად აღმატებული მეზობელი ხალხი იყენებს რომელიმე ხალხის ენას... ამ შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ ქართველებისათვის უცხო, ენობრივად ასიმილირებულ ხალხზე. ავტორი ფიქრობს, რომ ესენი შეიძლება იყვნენ კიმირიელები ან სკვითები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VI საუკუნეებში ტრანსკავკასიაში შემოიჭრნენ.

გერჰარდ დეეტერსი თავის ერთ-ერთ სტატიაში (*Das Alter der georgischen Schrift*) შეეხო ქართული დამწერლობის წარმოშობის თემასაც. მეცნიერმა არგუმენტირებულად უარყო ჰაინრიხ იუნკერის ირანული თეორია. მან არ გაიზიარა არც ქართველი მეცნიერების, კ. კეკელიძისა და ი. ჯავახიშვილის, მოსაზრებები. სახელდობრ, კ. კეკელიძის აზრი იმის შესახებ, რომ ქართული დამწერლობა ჩამოყალიბდა V საუკუნეში იმ დროინდელი ბერძნული უნციალების თვითნებური მოდიფიკაციით, მისთვის დამაჯერებელი არ არის. რადგან, როცა „გამოგონების“ პრინციპი უკიდურესობამდე მიყვანილი, მაშინ ამ ასონიშანთა შედარებაც უშედეგოა. ასევე მიუღებელი აღმოჩნდა გერმანელი მეცნიერისთვის ჯავახიშვილის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზაც, რომლის მიხედვითაც, ქართული, როგორც ბერძნულის დობილი დამწერლობა, ძვ. წ. VII საუკუნის ფინიკიური ანბანიდანაა წასესხები. როგორც თავად ამბობს, შემდეგში ამ თეორიაზე დაყრდნობით ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილი ზოგიერთი ნაშრომი არის თამამი მცდელობა იმისა, ეპიგრაფიკული მედიუმის კვალის გარეშე უგულვებლყო ათასწლეულები. გ. დეეტერსი ასევე ეჭვით უყურებს 1940 წელს მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებში ქართული ასოების ამოცნობას, რამაც ქართული დამწერლობის წარმოშობის თარიღი ანტიკურ ხანაში, ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, გადაიტანა. ამავე სტატიაში გ. დეეტერსმა მოიყვანა და კომენტარე-

ბიც დაურთო ქართველ მეცნიერთა არგუმენტებს, რომელთა მიხედვითაც, ქართული დამწერლობა ქრისტიანობამდე უნდა არსებულებოდა. საგანგებოდ შევხერდები ორ არგუმენტზე, რომლებიც უკავშირდება ქართულ ეპიგრაფიკულ და სამწერლობო ძეგლებს. ესენია: 1. V საუკუნით დათარიღებული ბოლნისის წარწერა, რომლის გემოვნებიანი ფორმა და ასოების განლაგება მხოლოდ ხანგრძლივ ეპიგრაფიკულ ტრადიციაზე მიუთითებს. გ. დეეტერსი ცდილობს ამ არგუმენტის გაქარწყლებას, ამბობს, რომ განსაკუთრებული მზრუნველობით შესრულება წარწერისა მიუთითებს ამ ახალი კულტურული საკუთრების მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემაზე. 2. ეს არის „შუმანიკის წამება“ – ტექსტის მხატვრული დახვეწილობა მიგვითითებს ხანგრძლივ ლიტერატურულ ტრადიციაზე; გ. დეეტერსი აქაც გვინდელ ფსევდოეპიგრაფს უწოდებს ტექსტის იმ ნაწილს, რომელიც თხზულების დათარიღებისათვის უტყუარ წყაროს წარმოადგენს. უცნაურია სტატიის ავტორის ამგვარი დამოკიდებულება, რადგან ხსენებული არგუმენტების გაბათილებისას ავტორისეული ლოგიკა ხელოვნური და ზღაპრული მეჭვენება. სტატიის დასასრულს გ. დეეტერსი ახსენებს თვალსაზრისსაც, რომლის მიხედვით, თითქოს ქართული ანბანი სომხებსაც და ქართველებსაც სომეხმა მამოცმა შეუქმნა. ავტორი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ქართულისთვისაც და სომხურისთვისაც ბერძნული ანბანიდან წარმომდგარი რომელიღაც ორი უცხო დამწერლობის სტილიზაცია მოხდა. ამ პროცესების სათავეში იდგა ქრისტიანული მისია და ამ პროცესებში უფრო მეტად მონაწილეობდნენ ძირძველი ქართველები, ვიდრე სომხები, რისი აღიარებაც სომხურ გადმოცემას არ სურს.

აღსანიშნავია გ. დეეტერსის სალექსიკონო სტატიებიც, რომლებშიც გერმანელი მეცნიერი ძალზე ლაკონურად წარმოადგენს ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ ენიკლოპედიურ-საცნობარო მასალას. „*Encyclopaedia Britannica*“-ში ვხვდებითმის სტატიას „*Georgian Language*“.

გერმანელი ენათმეცნიერი ქართულ ლიტერატურასაც პროფესიონალურ დონეზე შეისწავლიდა. ცოდნითა და პროფესიონალიზმითაა გაჯერებული მისი ნაშრომები ქართული ლიტერატურის შესახებ. 1959 წელს ლექსიკონში „*Lexikon für Theologie und Kirche*“ დაბეჭდილი „*Dichtung*“-იც სალექსიკონო სტატიაა, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის, კერძოდ სასულიერო პოეზიის, მოკლე მიმოხილვაა. სტატიის ავტორი კ. ინგორყვას შრომებზე დაყრდნობით მიმოიხილავს ამ პერიოდის იამბიკოებს, ნეუმებსა და აკროსტიხებს, და აქვე ასახელებს რამდენიმე ცნობილ ჰიმნოგრაფს.

ბერლინში გამომავალი გაზეთის („*Klde*“)¹1935 წლის საიუბილეო ნომერში, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავს ეძღვნებოდა, დაიბეჭდა გ. დეეტერსის სტატია, სათაურით „*Schotha Rusthaveli*“. სტატიის ავტორი XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ მოკლედ გადმოგვცემს პოემის შინაარსს. საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ ენასა და ლექსთწყობაზე, პოემის შემქმნელის ვინაობაზე. გერმანელი მეცნიერი ამბობს, რომ პოემა არის

არა მხოლოდ ეროვნული საგანძური, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ქმნილებაც.

უფრო ვრცლად საუბრობს გ. დეეტერსი ქართული ლიტერატურის შესახებ წერილში „*Georgische Literatur*“ (*Handbuch der Orientalistik*, 1963). ავტორი ქართული ლიტერატურის განვითარების ოთხ ეტაპს გამოყოფს. ამის შესაბამისად, სტატიაც ოთხი თავისაგან შედგება. I თავში მიმოხილულია ბიბლიის თარგმანები; II თავში მკვლევარი ასევე მოკლედ საუბრობს სარაინდო პროზის შესახებ; III თავში წარმოდგენილია ქვეთავები-პოეტი მეფეებიდავახტანგ VI; ბოლოს კი საუბარია მე-19-20 საუკუნეების ლიტერატურული მიმდინარეობების (რეალიზმის, ესთეტიზმის, სიმბოლიზმის) წარმომადგენელ და საბჭოთა ეპოქის კლასიკოსებზე.

ცალკე უნდა აღინიშნოს მისი რეცენზიები, რომლებსაც გ. დეეტერსი სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში აქტიურად აქვეყნებდა. ასეცნობდა იგი ევროპულ საენათმეცნიეროსაზოგადოებას სიახლეებს ქართველოლოგიური კვლევების შესახებ.

მართლაც, განუზომელია გ. დეეტერსის ღვაწლი. მან არამარტო ქართველოლოგიური კვლევების განვითარებაში შეიტანა წვლილი. ქართველურ ენებსა და ქართულ ლიტერატურას, როგორც ქართულ საგანძურსა და, ამავე დროს, მსოფლიო კულტურის ნაწილს, თუკი ქვეყნის ფარგლებს გარეთ სათანადოდ იცნობენ, ეს გ. დეეტერსის დამსახურებაა. დასასრულისთვის გავიხსენებ მისი საუკეთესო მოწაფის, ცნობილი ქართველოლოგის, კარლჰორსტ შმიდტის, სიტყვებს: ვიდრე იარსებებს კავკასიოლოგია, გერჰარდ დეეტერსის ნაღვაწზე ისაუბრებებენ მომავალი თაობები.

ლიტერატურა

დეეტერსი 1927 – Deeters, G., Armenisch und Südkaukasisch. Ein Beitrag zur Frage der Sprachmischung (Dissertation: München 1925); in: *Caucasica* III, IV.

დეეტერსი 1930 – Deeters, G., Das kharthwelische Verbum. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der Südkaukasischen Sprachen (Leipzig 258 S.).

დეეტერსი 1931 – Deeters, G., Die Namen der Wochentage im Südkaukasischen; in: *Caucasica* 7.

დეეტერსი 1935 – Deeters, G., SchotaRusthaweli. Zu seinem 750-jährigen Jubiläum; in *Klde*, „der Fels“ (2. Jahrg. Berlin, Mai / Juni).

დეეტერსი 1940 – Deeters, G., Kreislauf; in: *IF* 57.

დეეტერსი 1955 – Deeters, G., Das Alter der georgischen Schrift; in: *OriensChristianus* 39.

დეეტერსი 1955 – Deeters, G., Gab es Nominalklassen in allen kaukasischen Sprachen?; In: Corolla Linguistica (Festschrift für Ferd. Sommer; Wiesbaden).

დეეტერსი 1956 – Deeters, G., Der Name der kaukasischen Iberer; in: MNHMHS XAPIN (Gedenkschrift Paul Kretschmer; Wiesbaden/Wien).

დეეტერსი 1957 – Deeters, G., Die Stellung der Kharthwelsprachen unter den kaukasischen Sprachen; in: Bedi Karthlisa 23 (Paris).

დეეტერსი 1958 – Deeters, G., Über einen r / n Wechsel im Georgischen; in: Sybaris (Festschrift Hans Krahe; Wiesbaden).

დეეტერსი 1959 – Deeters, G., Dichtung, 4. Georgisch; in: Lexikon für Theologie und Kirche²: 3. Band (Freiburg i. Br.).

დეეტერსი 1963/ა – Deeters, G., Die kaukasischen Sprachen; in: Handbuch der Orientalistik, VII. Band (Leiden/Köln) herausgegeben von B. Spuler, 79 S.

დეეტერსი 1963/ბ – Deeters, G., Georgische Literatur; in: Handbuch der Orientalistik, VII. Band (Leiden/Köln) herausgegeben von B. Spuler, 27 S.

Nino Tsikhishvili

Gerhard Deeters's Contribution to Kartvelology (Dedicated to his 130th birth anniversary)

Summary

130 years ago, the famous German linguist, Kartvelologist and Caucasologist Gerhard Woldemar Deeters was born. Until the end of his life, he worked tirelessly for the development of Caucasian studies. This is proved by Kartvelological works written with deep knowledge and high professionalism. These works were published as books and separate articles in various scientific journals and encyclopedias in Europe. In addition to monographic works, Deeters also wrote a number of scientific papers about the Kartvelian languages. The reviews of Gerhard Deeters should be mentioned separately, which he actively published in various scientific journals, thus informing the European linguistic community of news about Kartvelological studies. The achievements of Gerhard Deeters are immeasurable. He contributed greatly to the fact that the Kartvelian languages are known outside the borders of our country as a Georgian treasure and, at the same time, a part of the world's culture.

გიორგი ცოცანიძე

ორი განსხვავებული პრინციპის შესახებ ქართულ ლექსიკოგრაფიაში

დღეს ქართული ლექსიკოგრაფია სამუშაო მეთოდად ორ, ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებულ, მწყობრად ჩამოყალიბებულ, ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს იყენებს. ერთი მათგანი შემუშავებულია არნოლდ ჩიქობავას მიერ გასული საუკუნის 40-იან წლებში, რომელიც წარმოდგენილია ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის წინასიტყვაობაში და რომელთა რეალიზაციასაც წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, თვით ეს რვატომეული და მთელი რიგი დიალექტოლოგიური და ზოგი სხვა ხასიათის ლექსიკონებისა, რომელთა ავტორებიც იზიარებენ და იყენებენ ხსენებულ პრინციპებს. აქ შეიძლება მოვიხსენიოთ ზოგი მათგანი: ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი; პოლიევქტ გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა; თ. ბეროზაშვილის, მ. მესხიშვილისა და ლ. ნოზაძის „ქართული დიალექტის ლექსიკონი“; ალექსანდრე კობახიძე, რაჭული ლექსიკონი; ალექსი ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი; მისივე, ხევსურული ლექსიკონი და სხვანი. ასე რომ აღნიშნული პრინციპები საკმაოდ მტკიცედ არის დამკვიდრებული თანამედროვე ქართულ ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში.

მეორე სახის პრინციპები ჩამოაყალიბა აკაკი შანიძემ და ისინი წარმოდგენილია კრიტიკულ სტატიაში, რომელიც დაუწერია მას 1949 წელს განმარტებითი ლექსიკონის საცდელი მონაკვეთის გამოსვლასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ გაუვრცია 1953 წელს უკვე ამ ლექსიკონის პირველი სამი ტომის მონაცემების გათვალისწინებით. ეს შენიშვნები, მოხსენებად გაფორმებული, წარუდგენია ჯერ კიდევ 1949 წლის თებერვალში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიისათვის“. კომისიას მისთვის ანგარიში არ გაუწევია და წერილი დარჩა მეცნიერის არქივში. იგი მხოლოდ 1999 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხების“ მე-2 ნომერში. წერილი უადრესად საგულისხმოა და, ჩვენი ღრმა რწმენით, იგი უნდა გაითვალისწინოს ქართულ ლექსიკოგრაფიაში მომუშავე ყველა სპეციალისტმა მიუხედავად იმისა, გაჰყვება იგი აქ მოცემულ პრინციპებს თუ არ გაჰყვება. ამ პრინციპების მიხედვით არის შედგენილი ქართულ ენაზე დაწერილი ყველა ლექსიკონი სულხან-საბა ორბელიანიდან მოყოლებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის გამოსვლის დაწყებამდე და ბევრი მას შემდეგ გამოცემულიც. აქაც შეიძლე-

ბა დავასახელოთ ზოგი მათგანი: აკაკი შანიძის მიერ შედგენილი და ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს დართული ლექსიკონები; ივანე იმნაიშვილის „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათიის ლექსიკონი“; ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“; ზურაბ სარჯველადის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“; მისივე, „ძველი ქართული ენის სიტყვის კონა“; ივ. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას და ვ. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომში შესული დიალექტოლოგიური ტექსტების ლექსიკონები; აკაკი შანიძის, „თხზულებანის“ I ტომში მოთავსებული „მთის კილოთა ლექსიკონი“; როგნედა ღამბაშიძის „ინგილოური ლექსიკონი“; ივ. ქავთარაძის „ქართული ენის მოხეური კილოს“ ლექსიკონი; გიორგი ცოცანიძის „თუშური ლექსიკონი“; გივი ელიავას „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ და ბევრი სხვაც.

ერთი შეხედვით კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ სხვაობა ამ ორი რიგის ლექსიკონებს შორის ნაკლებ არსებითია და იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ზმნის სალექსიკონო ერთეულად, ანუ ზმნური სიტყვა-სტატიის სასათაურო ფორმად აწმყო დროის მესამე პირის მხოლოდობით რიცხვის ფორმას გამოიტანენ, ხოლო მეორე რიგის ლექსიკონებს ამ დანიშნულებით უპირო ფორმა, ანუ მასდარი, აურჩევიათ, მაგრამ, თუ საკითხის არსს ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ სხვაობა პრინციპულია და თითოეული მათგანი განსხვავებული ზოგადლინგვისტური პოსტულატებიდან ამოდის. ისინი სიტყვის, როგორც ენის ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულის, სხვადასხვა მხარეს ანიჭებენ უპირატესობას: პირველთათვის სიტყვის სტრუქტურული ანუ გრამატიკული მხარეა უმთავრესი, ხოლო მეორენი სალექსიკონო ერთეულის განმსაზღვრელად სიტყვის სემანტიკურ მხარეს მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, სხვადასხვაა ზმნურ სალექსიკონო ერთეულთა ამორჩევის ანუ სალექსიკონო სიტყვანის დადგენის გზებიც.

არნოლდ ჩიქობავას თვალსაზრისი ზემოთქმულის თაობაზე ასეთია: „გამომხატველობითი საშუალებების სიმდიდრით ზმნა ქართულში ბევრად წინა დგას სახელზე. ზმნის ექსპრესიული ძალა დიდია, ზმნას შეუძლია წარმოგვიდგინოს მოქმედება როგორც პასიური პროცესი და როგორც აქტიურობის გამოვლენა: **ითესება** და **თესავს**; როგორც სუბიექტისთვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან – აქტიური, პასიური): **ითესავს** და **უთესავს**, **ეთესება**; როგორც მდგომარეობა სტატიკურს ყოფაში: **თესია** (ე. ი. დათესილია; კუთვნილების აღნიშვნით: **უთესია**) და როგორც პროცესი, დინამიკა: **თესავს**, **ითესება**, **ითესავს** და სხვა.

ქართული ენის სიმდიდრე ქართულ ლექსიკონში არ გამოჩნდება, თუ ზმნის წარმომადგენლად ნაზმნარი არსებითი სახელი (მოქმედებისა) გვექნება: „**თესვა**“ არ განასხვავებს არც მოქმედებითსა და არც ვნებითს, არც სასუბიექტოსა და არც საობიექტო კუთვნილებას, არც მდგომარეობის აღმნიშვნელ (სტატიკურ) წარმოებას“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 011).

ეს არის ის თეორიული ამოსავალი, რომლის ძალითაც პირველი რიგის ლექსიკონები გვარის, ქცევისა და კაუზატივის ფორმებს სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევენ და, შესაბამისად, ამ ლექსიკონთა სიტყვანში ერთი და იმავე ლექსიკური სემანტიკის ათეულობით სიტყვა-ფორმა მოიყრის თავს. მაგალითად სიტყვა „აშენება“-ს გვერდით, რომელიც ერთ ლექსიკურ სემანტიკას წარმოადგენს, გვენება: **აშენებს, ააშენებს, აიშენებს, აუშენებს, ააშენებინებს, აუშენებინებს, აშენდება, აუშენდება, აშენებულო, ააშენებულო, ასაშენებელი**, თითოეული თავისი გრამატიკული მიმართების ჩვენებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველი რიგის, ანუ ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის პრინციპებზე შედგენილი, ლექსიკონები გრამატიკაზე ორიენტირებული ლექსიკონებია და ისინი ასახავს გარკვეული რიგის გრამატიკულ სიტყვა-ფორმებს (თუ რა რიგისაა ეს სიტყვაფორმები, ამაზე ქვემოთ ვიმსჯელებთ), რითიც ისინი პრინციპულად განსხვავდება მეორე რიგის ლექსიკონებისაგან.

ახლა ვნახოთ აკაკი შანიძის ის გამონათქვამები, რომლებიც წარმოდგენილია აქ ნახსენებ სტატიაში და რაც გვიხსნის იმას, თუ რატომ თქვა ლექსიკოგრაფთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა უარი რვატომეულის მიერ შემოთავაზებულ პრინციპებზე და რატომ რჩება ერთეული ქართული ლექსიკოგრაფიის ტრადიციისა, რომელიც ძველთაგანვე (ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანიდან) მომდინარეობს და უწყვეტად განაგრძობს არსებობას.

„ლექსიკონის დანიშნულებაა საზოგადოდ სიტყვების ლექსიკური შინაარსის გამორკვევა და ახსნა, ე. ი. მათი მნიშვნელობათა დადგენა. რაც შეეხება სიტყვების ფორმათა დალაგებას, ცხადია, უნდა მიგნებულ იქნეს ყველაზე მარტივი საშუალება მათ მოსანახავად როგორც სახელებში, ისე ზმნებში“ (აკაკი შანიძე, ხსენებული სტატია, 98).

„მთავარმა რედაქციამ, მცდარ თეორიაზე დაყრდნობით, ის უარყო ზმნის გამოსავალ ფორმად ქართულში, რაც ყველაზე უფრო მისაღები და გამოსაყენებელია, უარყო საწყისი, რომელსაც არც პირის ნიშანი აქვს, არც ქცევისა, არც გვარისა და ამით საუცხოვოა, როგორც მეთაური სიტყვა სალექსიკონო სტატიისათვის“ (აკაკი შანიძე, ხსენებული სტატია, 109).

აკაკი შანიძის თვალსაზრისით, მისი ამ მოსაზრებების გაუთვალისწინებლობა იწვევს ენის ორი მხარის – გრამატიკისა და ლექსიკის – ურთიერთდარღვევას: „გრამატიკული ერთეულები ლექსიკურ ერთეულებთან არის არეული და ამის გამოა, რომ ასეთი ქაოსი წარმოდგა“ (აკაკი შანიძე, ხსენებული სტატია, 107).

აკაკი შანიძის სტატიიდან აქ მოხმობილი ციტატები ცხადყოფს, რომ მისი აზრით (და იმათი აზრითაც, ვინც მის თვალსაზრისს იზიარებს და იყენებს ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში), სალექსიკონო სიტყვანის შედგენისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნას სიტყვის მხოლოდ ლექსიკურ-სემანტიკური მხარე და არავითარ შემთხვევაში – ფორმალურ-სტრუქ-

ტურული. აქედან გამომდინარე, განსხვავებული პრინციპებით შედგენილი ლექსიკონები მოცულობითან განსხვავებული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მათში წარმოდგენილი ლექსიკური ინფორმაცია სხვაობას არ აჩვენებს, სხვაობას მხოლოდ გრამატიკული ინფორმაცია წარმოქმნის.

რაც შეეხება გვარის, ქცევისა და კაუზატივის ფორმებს, ისინი აკაკი შანიძის თვალსაზრისითაც უნდა ასახოს ლექსიკონმა, ოღონდ არა როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები ცალკე სიტყვასტატივად, არამედ – როგორც ამ სიტყვის გრამატიკული ვარიანტები, სტატიის შიგნით, ოღონდ საჭიროდ თვლის, რომ მიგნებულ იქნეს ყველაზე მარტივი საშუალება ლექსიკონში მათ მოსანახავად. ასეთ საშუალებად მას მიუჩნევია ფორმათა მაწარმოებელ აფიქსებზე მითითება და იყენებს კიდევაც მათ თავის მიერ შედგენილ ლექსიკონებში: აქ სალექსიკონო სიტყვასთან ფრჩხილებში მოცემულია ეს მაწარმოებლები.

ერთი რამ საერთოა ორივე რიგის ლექსიკონებისათვის: ორივენი სათანადო ადგილს მიუჩენენ სიტყვათა ლექსიკოლოგიურ მიმართებებს – ომონიმის, სინონიმის, პოლისემიას, სტილებრივ მარკირებას, არქაიზმებს, გეოლოგიზმებს, ბარბარიზმებს, გადატანით მნიშვნელობებს და სხვა. ასე რომ, არნ. ჩიქობავას მიმდევართა მიერ შედგენილი ლექსიკონები ლექსიკოლოგიურ-გრამატიკულ მიმართებებზე აგებული ლექსიკონებია, ხოლო აკ. შანიძის მიმდევართა ლექსიკონები მხოლოდ ლექსიკოლოგიურ მიმართებებზეა დაფუძნებული.

აქვე თითოეული ამ თვალსაზრისების მომხრეთა მიმართ ჩნდება კითხვები:

ერთის მხრივ, რატომ ასახავენ გრამატიკულ მიმართებებზე ორიენტირებული ლექსიკონები გრამატიკულ ფორმათა მხოლოდ ერთ ნაწილს, ხოლო მეორეს – არა? სად გადის ზღვარი ლექსიკონში შესატან და არშესატან გრამატიკულ ფორმებს შორის და, მეორეს მხრივ, რატომ არ შეაქვთ აკ. შანიძეს და მის მიმდევრებს, ქცევის, გვარის, ასპექტის და, ზოგადად, მის მიერ ზმნის მორფოლოგიაში გამოყოფილი ე. წ. წარმოქმნის კატეგორიებით ნაწარმოები ფორმები ლექსიკონებში დამოუკიდებელ სიტყვებად, თუ ისინი, მისი თვალსაზრისით, „ზმნას ძირითად მნიშვნელობას უცვლის და ახალს აძლევს“ (აკ. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, 236).

პასუხი ცხადია: არნ. ჩიქობავას გვარის, ქცევის, ასპექტის, კაუზატივის კატეგორიები აშკარად ლექსიკურ წარმოქმნის კატეგორიებად მიაჩნია და მათგან ნაწარმოებ ფორმებს თამამად მიუჩენს ადგილს ლექსიკონების სიტყვანში, აკაკი შანიძე მთლად ასე დარწმუნებული არაა და იმის სამტკიცებლად, რომ გვარის, ქცევის, კონტაქტის და ა. შ. ფორმები განსხვავებული ზმნებია და არა ერთი და იგივე ზმნის გრამატიკული ფორმები, გრამატიკული ცნებებითვე უხდება მანიპულირება: „წარმოქმნისა კატეგორია, თუ ის მოდიფიკაციას უშვრება ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას და თანაც იმეორებს ძირითადი ზმნის მწკრივებს, ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც“ (აკ. შანიძე, გრამატიკის საფუძვლები, 1965). გადამწყვეტი მნიშ-

ვნელობა აქ მწკრივთა განმეორებადობას ენიჭება, თუმცა ის მაინც ვერ ბედავს, რომ მხოლოდ მოდიფიკაციის გამო აღნიშნულ ფორმებს დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სტატუსი მიანიჭოს და ცალკე ერთეულად ასახოს ლექსიკონში, თანაც ეს კატეგორიები საწყისში არ ჩანს და მისი პრინციპული აზრი კი ის არის, რომ ზმნის სალექსიკონო ფორმა მხოლოდ საწყისია და სხვა არაფერი.

ცხადია, რომ ე. წ. წარმოქმნის კატეგორიები დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებს არ წარმოქმნის. **ჭამს, იჭამს, უჭამს, აჭმევს, აჭმევინებს, იჭმება, ეჭმება** ერთი „ჭამა“ სიტყვის გრამატიკული ფორმებია ერთი და იმავე ლექსიკურ-სემანტიკური მნიშვნელობით „საკვების მიღება“. შესაბამისად ქცევის, გვარისა და კონტაქტის კატეგორიებიც გრამატიკულია და არა ლექსიკური, ოღონდ ქართული ენის სტრუქტურაში ისინი რანგობრივად მართლაც განსხვავდება აკაკი შანიძისეული ე. წ. უღლების კატეგორიებისაგან. ზმნის უღვლილების სისტემაში თითოეული მათგანისაგან ამ უკანასკნელთა საფუძველზე წარმოიქმნება ზმნის მწკრივთა, ანუ ნაკვეთულთა პარადიგმატული რიგები: საარვისო ქცევის მწკრივთა რიგი, სათავისო ქცევის მწკრივთა რიგი, სასხვისო ქცევის მწკრივთა რიგი, შუალობითი კონტაქტის მწკრივთა რიგი და ა. შ. საბოლოო ჯამში როგორც წარმოქმნის, ისე უღლების კატეგორიები ქმნის უღლების ზერთულ, მაკროსისტემას, რომელსაც თედო უთურგაიძემ, ვფიქრობთ, ერთობ მარჯვედ, კატეგორიათშორისი სისტემა უწოდა (თ. უთურგაიძე, 78). ამ სისტემის საფუძველზე წარმოსდგება სიტყვაფორმათა სიმრავლე, რომელიც იმის პირობაა, რომ შედგეს თითოეული ზმნური სიტყვის სრული გრამატიკული მატრიცა მისი რეალიზებული და ვირტუალური ფორმებით. ამ მატრიცის ამოსავალი სიტყვაფორმა საწყისი (მასდარი) იქნება და სწორედ ისაა ზმნური სიტყვის სალექსიკონო ფორმა.

ამგვარივე მატრიცებს, ოღონდ უფრო მარტივს, ქმნიან სხვა ფორმაცვალებადი სიტყვებიც: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები. ამ უკანასკნელთა სალექსიკონო ფორმების საკითხი სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული პრინციპების მიმდევართა შორის აზრთა სხვაობას არ იწვევს.

სიტყვათა გრამატიკული მატრიცების ასახვა გრამატიკის საქმეა, ლექსიკონებს მათი ასახვა არ ევალება. პირველი რიგის (არნ. ჩიქობავას) ლექსიკოგრაფიული პრინციპების მიმდევართა ნაკლი ისაა, რომ ისინი ზმნურ სიტყვათა გრამატიკული მატრიცის ელემენტთა ერთ ნაწილსაც ასახვენ ლექსიკონებში. ეს კი ერთმანეთში ურევს ენის ორ უმთავრეს შემადგენელს – გრამატიკასა და ლექსიკას, რაც, გარდა მეცნიერული გაუმართლებლობისა, იწვევს მთელ რიგ სხვა სირთულეებსაც, რომლებზედაც მიუთითებდა აკაკი შანიძე აქ ნახსენებ სტატიაში.

ლექსიკოგრაფიული სამუშაოს, ანუ ლექსიკონების შედგენის პირველი და აუცილებელი ეტაპი იმ სიტყვიერი მარაგის დადგენა, ანუ სიტყვანის შედგენაა, რაც უნდა ასახოს განზოგადებულმა ლექსიკონმა. განსხვავება

სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული პრინციპების მიმდევართა შორის ამ ეტაპზე იჩენს თავს და ძნელი არ უნდა იყოს იმის დანახვა, რომ განსხვავებები აქ სიღრმისეულია და, უპირველეს ყოვლისა, სიტყვასთან, როგორც ენის ძირითად სტრუქტურულ-სემანტიკურ ერთეულთან დამოკიდებულებაში მდგომარეობს: ერთნი უპირატესობას სიტყვის სემასიოლოგიურ მხარეს ანიჭებენ, ხოლო მეორეთათვის ამოსავალი მისი ონომასიოლოგიური მხარეა (სიტყვის სემასიოლოგიური და ონომასიოლოგიური მხარეების შესახებ იხ. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, გვ. 14-20). თავის მხრივ კი ეს სხვაობები ენობრივი შემოქმედების პროცესის სხვადასხვა დონეებისადმი მიმართებებში იღებს სათავეს.

ენობრივი შემოქმედების პროცესი ვირტუალურად შეიძლება ასე წარმოიდგინოს კაცმა: საზოგადოების აზროვნება გარემომცველ სამყაროს ანაწევრებს, გამოყოფს რა მასში მატერიალურ და არამატერიალურ, სულიერ და არასულიერ, ხილულ და არახილულ, შეცნობად და არაშეცნობად და ა. შ. ელემენტებს. ენა ამ ელემენტებს სახელებს არქმევს, ე. ი. ხდება სამყაროს ელემენტთა ნომინაცია და სწორედ ნომინაციის დონეზე მიღებული ეს ენობრივი ერთეულები წარმოადგენენ სიტყვებს, რაც მთლიანობაში ქმნის ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს. ენობრივი შემოქმედების შემდეგ ეტაპზე ხდება ამ ლექსიკური ფონდის გრამატიკული დამუშავება და წარმოიქმნება სიტყვაფორმათა მარაგი, სადაც ორი ფენა გამოიყოფა: ერთი დერივაციის სფეროს განეკუთვნება, წარმოქმნის ახალ სიტყვებს ახალი საგნობრივი მიმართებებით, და ავსებს ენის ლექსიკურ ფონდს, მეორე მხოლოდ გრამატიკული სფეროს კუთვნილებაა გრამატიკული მიმართებებით. ენობრივი შემოქმედების ბოლო ეტაპზე ხდება სიტყვაფორმებისაგან, როგორც ენის საშენი მარაგისაგან, სხვადასხვა სამიმართებო საშუალებებით ფრაზების ფორმირება და ამ სახით ეძლევა იგი საზოგადოებას, მის უპირველეს შექმნელსა და შემოქმედს, სადაც ხდება ენის რეალიზაცია სამეტყველო ნაკადის სახით. სამეტყველო ნაკადი ტექსტია, რომელიც წარმოადგენს ლინგვისტის დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტს.

სხვაობა ქართული ლექსიკოგრაფიის სხვადასხვა თვალსაზრისების წარმომადგენელთა შორის დაკვირვების ობიექტების განსხვავებულობაში მდგომარეობს: ერთ შემთხვევაში ანგარიში ეწევა ენის ფუნქციონირების მხოლოდ საობიექტივაციო მხარეს და ობიექტივაციისას საგანთა და მოვლენათა ნომინაციას. სალექსიკონო სიტყვანის დადგენისას მათთვის საკმარისია პასუხი კითხვაზე: რა ჰქვია ამ საგანს, მოვლენას, განცდას, მოქმედებას, მდგომარეობას და ა. შ. და ა. შ. ამას ჰქვია: ქვა, კლდე, მთა, კაცი, ცხენი, წვიმა, ჭექა-ქუხილი, ფიქრი, სიყვარული, სიძულვილი, ძილი, წოლა და ა. შ. და ა. შ. მეორე შემთხვევაში ენის ლექსიკური სიმდიდრის ასახვისათვის საობიექტივაციოსთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ენის საკომუნიკაციო მხარეც. აქ კითხვასთან ერთად რა ჰქვია ამას? უნდა დაისვას მეორე კითხვაც: რას შვრება, რას აკეთებს საგანი, ობიექტი? პასუხი ამ ბოლო კითხვაზე მოგვცემს სიტყვაფორმათა მთელ წყებას: ჭრის,

იჭრის, უჭრის, აჭრის, აჭრევენებს, მჭრელი, საჭრელი, გაჭრილი და ა. შ. და ა. შ. მათი თვალსაზრისით მხოლოდ ასეა შესაძლებელი წარმოჩნდეს ქართული ენის ზმნურ შესაძლებლობათა სიმდიდრე, რითაც ქართული ენა განსხვავდება მსოფლიოს უამრავი სხვა ენისაგან (არნ. ჩიქობავა). აქ სადავო მხოლოდ ის რჩება, თუ ენის რა სფეროს განეკუთვნება სიტყვაფორმათა მთელი ეს სიმრავლე – გრამატიკას თუ ლექსიკას. ე. ი. ქართული ენის სპეციფიური კატეგორიები ქცევა, გვარი, კაუზატივი, მიმღეობური წარმოება ლექსიკურ ერთეულებს წარმოქმნის თუ მხოლოდ გრამატიკულ მიმართებათა ამსახველ სიტყვაფორმებს. ჩვენი აზრით ეს საკითხი სადავო მხოლოდ იმიტომაა, რომ აქ უგულებელყოფილია სიტყვის სემასიოლოგიური მხარის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – სიტყვაფორმის ლექსიკალიზაცია. ე. ი. სიტყვაფორმათა მწკრივში შემავალი ერთეულები აშენებს, იშენებს, უშენებს, აშენებინებს, შენდება სხვადასხვა მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები თუ ერთი და იგივე შინაარსის მხოლოდ აქტანტური მიმართებებით განსხვავებული სიტყვაფორმები. ქართული ენის ნებისმიერი პრაქტიკულად მცოდნისათვის პასუხი უეჭველი და ცალსახაა. მაშასადამე ამ ფორმებს ახალი საგნობრივი მიმართება არ შეუძენიათ, არ მომხდარა მათი ლექსიკალიზაცია. სიტყვაფორმათა ლექსიკალიზაციის მომენტი თვალსაჩინოა მიმღეობური წარმოების სიტყვაფორმებზე დაკვირვებისას. მჭამელი – ის, ვინც ჭამს, საჭმელი – ის რასაც ჭამენ, ნაჭამი – ის რაც ჭამეს, მჭმეველი – ის ვინც აჭმევს. თვალსაჩინოა, რომ აქ საქმე გვაქვს მხოლოდ აქტანტური მიმართებებით განსხვავებულ ფორმებთან. საქართველოში ოდითგანვე იყო ცნობილი კანის ეგზემური დაავადება და მას **მჭამელა** ერქვა. ე. ი. მოხდა მიმღეობური ფორმის ლექსიკალიზაცია და მან ახალი ლექსიკური მნიშვნელობა შეიძინა და ამ მნიშვნელობით გადავიდა ენის ლექსიკურ ფონდში. ასევე ქართული ენის თუშურ დიალექტში სიტყვაფორმა **საჭმელმა** მიიღო პირუტყვის საკვების – ჩალა-თივის – მნიშვნელობა და გახდა ამ დიალექტის სიტყვიერი ფონდის ერთეული. **მშენებელი** მიმღეობურად არის ის კაცი, ვინც აშენებს, მაგრამ ქართულ ენაში იგი ამავე დროს გარკვეულ პროფესიის სახელიცაა და, ამდენად, ქართული ენის ლექსიკური ფონდის ერთეული.

სიტყვაფორმების მიმართ ეს განსხვავებული დამოკიდებულებები, ცხადია, აისახება პრაქტიკული მუშაობის შედეგებზეც – ერთი თვალსაზრისის მიმდევართაგან შედგენილი ლექსიკონები მოცულობით ბევრად დიდი იქნება მეორე თვალსაზრისის მომხრეთაგან შედგენილ ლექსიკონებზე მიუხედავად იმისა, რომ მათში ასახული ლექსიკოგრაფიული ინფორმაცია შეიძლება მინიმალურად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. მაგალითად, სიტყვაფორმათა რიგიდან: **მოკვლა, კლავს, კვდება, იკლავს, უკლავს, აკვლევინებს, მკვლელი, მოსაკლავი, მოკლული** ერთნი ცხრავს სიტყვაფორმას შეიტანენ ლექსიკონში როგორც დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებს, ე. ი. შეადგენენ ცხრა სიტყვასტატიას, ხოლო მეორენი – მხოლოდ ორს: **მოკვლას**, როგორც გრამატიკულ მოქმედების აღმნიშვნელ

სახელს და **მკვლელს**, როგორც ლექსიკალიზებულ მიმღეობურ ფორმას, რომელიც გარკვეული თვისების მქონე პიროვნებას მიეწერება, ვინც ბუნებითაა მკვლელი, კაცის მოკვლა შეუძლია, არა აქვს მნიშვნელობა მას ვინმე მოუკლავს თუ არ მოუკლავს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ სხვაობა სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული პრინციპების მიმდევართა და გამტარებელთა შორის ენისადმი, როგორც სამყაროს ვერბალური მოდელისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომაში მდგომარეობს, რომლებიც არამხოლოდ ლექსიკონების შედგენისას, არამედ ქართული ენის ზმნური სისტემების მოდელირებისასაც იჩენს თავს, მაგრამ ეს უკვე სხვა დონეზე განსახილველ და სამსჯელობო საკითხია.

ლიტერატურა

ნოზაძე 2002 – ნ. ნოზაძე, შენიშვნები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე (მის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით), საენათმეცნიერო მიგბანი, XIII, თბ., 2002.

ნოზაძე 2004 – ნ. ნოზაძე, მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და ქეგლ-ი, ენათმეცნიერების საკითხები, I, თბ., 2004.

სტურუა 1975 – ნ. სტურუა, სიტყვა, როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1975.

უთურგაძე 2002 – თ. უთურგაძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

შანიძე 1999 – ავ. შანიძე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (კრიტიკული შენიშვნები), ენათმეცნიერების საკითხები, №2, თბ., 1999.

ჩიქობავა 1950 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, წინასიტყვაობა, თბ., 1950.

Реформатский 1955 – А. А. Реформатский, ведение в языкознание, Москва, 1955.

Giorgi Tsotsanidze**On Two Different Principles in Georgian Lexicography**

Summary

Today, Georgian lexicography uses two lexicographical principles that are significantly different from each other as working methods. One of them was developed by Arnold Chikobava in the 40s of the last century that is presented in the preface of the eight-volume explanatory dictionary of the Georgian language.

The second type of principles was formulated by Akaki Shanidze and presented in a critical article written by him in 1949 in connection with the release of the trial section of the explanatory dictionary, and then elaborated in 1953 by taking the data of the first three volumes of this dictionary into account.

The dictionaries compiled on the principles of the eight-volume explanatory dictionary of the Georgian language are grammar-oriented dictionaries and present grammatical word forms of a certain order.

From Akaki Shanidze's point of view, only the lexical-semantic side of the word should be taken into account when creating a dictionary entry.

The essential difference between the followers of these two lexicographical principles lies in different approaches to the language as a verbal model of the world, which appear not only in the compilation of dictionaries, but also in the modeling of the verb systems of the Georgian language.

სოფიკო ჭაავა

ქართული ტერმინთშემოქმედების ისტორიისათვის (ქართული თუ საერთაშორისო ტერმინები?! 1920-1927 წლები)

1920 წლის სამეცნიერო-საპედაგოგიო ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნებულია სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული სასწავლო კომიტეტის მიერ ჩატარებული 2 სხდომის ოქმი (თავმჯდომარე – ივანე ჯავახიშვილი). 22 თებერვლის შეხვედრაზე თავმჯდომარემ მეცნიერებს წარუდგინა მოხსენება ქართული ტერმინოლოგიის ისტორიული განვითარების შესახებ. კომიტეტის წევრებმა ასევე იმსჯელეს ტერმინთა მიღების პრინციპებზე, კერძოდ, უმთავრესი სადავო საკითხი ეხებოდა იმას, თუ რომელი ტერმინები უნდა დაემკვიდრებინათ სამეცნიერო ლიტერატურაში: ქართული თუ საერთაშორისო?! დისკუსიის დაწყებამდე ივ. ჯავახიშვილმა დადებითად შეაფასა იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ისა და ანტონ კათოლიკოსის მიერ შექმნილი უაღრესად მნიშვნელოვანი მთარგმნელობითი სკოლისა და ტერმინთშემოქმედების ეტაპები.

პირველ რიგში, ივ. ჯავახიშვილმა ისაუბრა იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის ღვაწლზე და მათი ტერმინოლოგიური მუშაობის სპეციფიკაზე, კერძოდ: „იოანე პეტრიწი, რომელიც ცნების გამოსახატავად ხმარობდა ქართულ სიტყვებს – ხშირად სთარგმნიდა. ხანდახან თუ სიტყვა ორ ნაწილიანი იყო იყო, მაშინაც კი პირველსაც და მეორესაც სთარგმნიდა, რომ წმინდად დაცული ყოფილიყო ბერძნული ტერმინოლოგიის ხასიათი. თუმცა ის ცდილობდა ყოველივე ცნების ქართულად გადმოცემას, მაგრამ ყველა ცნების მონახვას ვერ ახერხებდა და ამისთვის ხშირად ითვისებდა ტერმინს ზოგჯერ ბერძნულის და ზოგჯერ გადმოქართულებული სამოსლით. მან ჩვენს ძველ მწერლობაში შეჰქმნა მიმართულება და მას ბამაგდნენ კიდევ.“

ღირს შესანიშნავია აგრეთვე ეფრემ მცირე, რომლის კვლევა-ძიების გარკვეული სიღრმე აქვს. მან უკეთ, ვიდრე იანე პეტრიწიმ, იცოდა ქართული და ბერძნული ენაც და ამ ენათა შედარების გზით დაიწყო ქართული ტერმინოლოგიის შემუშავება“.

მეცნიერმა ისაუბრა მე-13 საუკუნეში არსებულ ვითარებაზეც და ამ პერიოდს დაქვეითების ხანა უწოდა, ვინაიდან სპარსულიდან და არაბულიდან თარგმნილმა წიგნებმა ახალი პირდაპირ თარგმნილი ტერმინები შემოიტანეს.

ამის საპირისპიროდ, ივ. ჯავახიშვილმა აღორძინების ხანად მოიხსენია მე-17 საუკუნე, რადგან ამ დროს იწერებოდა ლექსიკონები და სხვა მრავალი წიგნი. მისი სიტყვით: „ამ დროს ეკუთვნის საბა-სულხან ორბელიანი და ვახტანგ მე-6-ე. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენი მწერლობის წინაშე. ვახტანგ მე-6-ე იძულებულია პირდაპირ სთარგმნოს სპარსულიდან, მას აქვს გადმოთარგმნილი გეომეტრია და სხვა წიგნები, რომელთა ტერმინების შემოღება ეხლაც ჩვენთვის ურიგო არ იქნებოდა“.

სხდომის თავმჯდომარის აზრით, მე-18 საუკუნეში ქართული მწერლობა დასავლეთ ევროპას დაუახლოვდა, ოღონდ რუსული ენის მეშვეობით, ვინაიდან ამ პერიოდში კლასიკური წიგნები რუსული ენიდან ითარგმნებოდა. ამ პერიოდის მოღვაწეთაგან ანტონ კათალიკოსი გამოყო, რომელიც თარგმნიდა საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიური დარგის წიგნებს.

ამის შემდეგ მეცნიერმა ისაუბრა 1919 წელს უნივერსიტეტის სტუდენტების, მასწავლებლებისა და სხვადასხვა კომისიების მიერ მოძიებულ და აღნუსხულ ტერმინებზე, რომელთა დამუშავება უნდა გაგრძელებულიყო.

სიტყვის დასასრულს, ივ. ჯავახიშვილმა კოლეგებს შესთავაზა ტერმინთა მიღების შემდეგი პრინციპი, კერძოდ: „იმ შემთხვევაში, როდესაც ქართული ტერმინი არ მოგვეპოვება და უცხო ტერმინი, რომელიც სავსებით გამოხატავს საჭირო ცნებას, და აღმოცენებულია თითქმის ყველა ენებში ბერძნულ და ლათინურ ენების საფუძველზე, მაშინ იმით ჩვენც უნდა ვისარგებლოთ. ხოლო მას უნდა მივცეთ ქართული ენის აგებულება“ [ქურნ. „განათლება“, მარტი, 1920, N 3, ტფილისი, გვ. 67-70].

ივ. ჯავახიშვილის მიერ ფორმულირებულმა ზემოაღნიშნულმა პრინციპმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კამათში მონაწილეობდნენ: ვ. კაკაბაძე, გ. კონიაშვილი, ლ. ნათაძე, მ. შალამბერიძე, ალ. წერეთელი, ალ. ჯავახიშვილი, ვ. ბერიძე, ს. დანელია და გ. ახვლედიანი.

1920 წლის 22 თებერვლის სხდომაზე ივ. ჯავახიშვილის შემდეგ სულ 4-მა მეცნიერმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება. წარმოვადგენთ ზემოთადასახელებული მეცნიერების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს, კერძოდ:

„მ. კონიაშვილი გამოსთქვამს აზრს, რომ ასეთი პატარა ერისთვის, როგორც ჩვენ ვართ, არ იქნება მიზან-შეწონილი პირამიდა, კატოდი და სხვა ამ გვარი სიტყვების უეჭველად თარგმნა, რადგან განათლებულ ერებს ეს ტერმინები მიღებული აქვთ. ჩვენს ახალგაზრდობას, აღზრდილს სხვა ტერმინოლოგიაზე, გაუძნელდება განათლებულ ერების კულტურის ადვილად შეთვისება, ეს კი შეაფერხებს მათ განვითარებას.“

ვ. კაკაბაძის შეხედულობით ტერმინოლოგიის შემუშავებას ძირითად სარჩულად უნდა დაედოს ქართული ენა. რასაკვირველია, დაცული უნდა იყოს ყველა ის პრინციპები, რომელიც მოხსენებაში იყო აღნიშნული და ქართულ ენის ბუნება მოითხოვს. ტერმინოლოგიას ვქმნით არა ვიწრო წრისთვის, არამედ ხალხისთვის, მაშასადამე ტერმინოლოგია გასაგები უნ-

და იყოს ამ უკანასკნელისათვის და ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც შევიტანთ ხმარებაში არა უცხო სიტყვებს მაგ. ატომი, კატოდი, და სხვა, არამედ შესაფერი ცნების გამოსახატავად სიტყვები მოვძებნით ქართული ენის წიაღში.

ლ. ნათაძე აღნიშნავს, რომ ბ. მ. კონიაშვილის აზრი ფრიად დამახასიათებელია, შეიძლება ითქვას უმრავლესობისათვის. კითხვა ასე უნდა დაისვას: ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს არც ნაციონალური, არც ინტერნაციონალური ტერმინოლოგია. ჩვენ გვაქვს ენა, რომელზედაც ახლად უნდა დაიწეროს ტერმინები. ბერძნულ-ლათინური ტერმინები თუ ქართული. როდესაც ტერმინოლოგიის შემუშავებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ ვისთვის და რისთვის არის იგი დანიშნული. მე მგონია ვერავინ იტყვის უარს ამნაირ დებულებაზე: ტერმინოლოგიის მიზანი უნდა იყოს ხალხის ფართო წრეებისათვის მეცნიერებისათვის შეთვისების გაადვილება. ბ. კონიაშვილი კი იმას ჩივის, რომ ნაციონალური ტერმინები მოხერხებული იქნება იმ 50 ახალგაზრდისთვის, რომლებიც საზღვარ-გარეთ მიდიან სწალის მისაღებათ. ნუ თუ შესაძლებელია ხალხში მეცნიერების გავრცელების დიადი მიზანი დაუმორჩილოთ ვიწრო წრის ინტერსებს.

ზოგს ჰგონია, რომ დიდს ინტერნაციონალისტობას იჩენს ის, ვისაც ინტერნაციონალიზმით ტერმინოლოგია უნდა, და ნაციონალისტობა მოსდის იმას, ვინც ნაციონალურ ტერმინებს უჭერს მხარს. მე გამაოცა, როდესაც ასეთივე აზრი ბ. თავმჯდომარის პირველ სიტყვაში მოვისმინე. საუკეთესო ინტერნაციონალიზმი ის იქნება, როდესაც ჩვენი ხალხის ფართო წრეებს, რაც შეიძლება მეტად შევითვისებთ სამეცნიერო ჭეშმარიტებებს, რომლებიც უცხო მეცნიერებმა აღმოაჩინეს. ამის შეთვისება კი სწორედ სამშობლო ენაზეა ბევრათ უფრო მოსახერხებელი და სწორეთ ხალხისთვის გასაგებ ტერმინების საშუალებით. ტერმინოლოგიის შემუშავების ფილოლოგიური ის წრეები, რომლებიც ჩვენ გვიჩვენა ბ. მომხსენებელმა, რასაკვირველია მისაღები და სახელმძღვანელოა. მაგრამ სუფიქსები და პრეფიქსები ქართულ სიტყვებს უნდა დავურთოთ და არა უცხო სიტყვებს“ (ჟურნ. „განათლება“, მარტი, 1920, N 3, ტფილისი, გვ. 71).

როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებულ მეცნიერთაგან მ. კონიაშვილმა საერთაშორისო ტერმინების მიღებას დაუჭირა მხარი, ვ. კაკაბაძე და ლ. ნათაძე ეროვნული ტერმინების შემოღების აუცილებლობაზე საუბრობდნენ, ხოლო მ. შალამბერიძისთვის მისაღები იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული პრინციპები.

სასწავლო კომიტეტის მეორე სხდომა 29 თებერვალს გაიმართა. ლ. ნათაძის ვრცელი განმარტება მკაცრად გააკრიტიკა მ. კონიაშვილმა. მისი აზრით:

„ეროვნული პრინციპი, ტერმინოლოგიის შემუშავებაში, რომელიც ასეთ უკიდურესობამდის განავითარა ბ. ლ. ნათაძემ არ არის მიზანშეწონილი. თუ ჩვენ დავსდგებით იმ გზაზე, რომელსაც ბ. ლ. ნათაძე გვიჩვენებს, იძულებული ვიქნებით სვანებს, მეგრელებს და აფხაზებს სხვა და

სხვა ტერმინოლოგია შევუმუშაოთ, რადგანაც მათთვის ქართული ენა ვერ იქნება ისე გასაგები როგორც ბ. ნათაძე და სხვა მოითხოვენ. ეს კი ძალიან მოუხერხებელი და არა სასურველიც იქნება. ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ ჩვენ ეს პრინციპი მივიღეთ, ვაი თუ შოვინისტებმა ისარგებლონ და ეს გზა ისე გააღრმავონ, რომე ყოველივე კუთხისთვის მოინდომონ ცალკე ტერმინოლოგია“ (ყურნ. „განათლება“, მარტი, 1920, N 3, ტფილისი, გვ. 71).

აღნიშნულ სხდომაზე მ. კონიაშვილის საპასუხოდ, მ. შალამბერიძემ და ვ. კაკაბაძემ ქართული ეროვნული ტერმინების შემოღებას დაუჭირეს მხარი და მათაც ლ. ნათაძის მსგავსად, საკითხის სახალხოობას გაუსვეს ხაზი:

მ. შალამბერიძის აზრით: „ტერმინოლოგია საჭიროა არა ვიწრო-წრისათვის, არამედ ხალხისათვის, დემოკრატიისათვის. ტერმინოლოგია საჭიროა უკანასკნელისათვის იმ ბრძოლისთვის, რომელსაც იგი ეწევა არსებობისათვის, ამ ბრძოლისათვის ჩვენ ფიზიკური ძალა არ შეგვწევს, რადგაც მცირე რიცხოვანი ერი ვართ. ამისთვის საჭიროა მეორე გზა. გზა კულტურის მოვნახოთ ხალხის ეკონომიურ ბედნიერებისათვის. კულტურას კი შეითვისებს ხალხი მაშინ, როდესაც ტერმინოლოგია მისთვის გასაგები, ე. ი. ეროვნული იქნება. ხალხი ვერ გაიგებს ტერმინს, თუ მასში გარკვეულ შინაარსს არ ჩადებს. ყოველივე ტერმინი უნდა წარმოადგენდეს კონსპექტს ცნების შინაარსისას. ასეთი მიმართულება იყო და არის საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისშიაც კი. ისინი ცდილობენ გააეროვნონ ენა ეროვნული ტერმინების შემოღებით. განსაკუთრებით გერმანელები, რომლებიც ლათინურ ენასთან დაშორებას ცდილობენ. რაც შეეხება აზრს, რომ თუ ეროვნულ პრინციპს მივიღებთ, მაშინ იძულებული ვიქნებით სვანებს, მეგრელებს და აფხაზებს სხვა და სხვა ტერმინოლოგია შევუმუშაოთ, ეს ასე არ არის. არის ქართველი ერი და მისი სახელმწიფო და ვინც აქ ცხოვრობს მოვალეა შეითვისოს საერთო ტერმინოლოგია.

ბ. ვ. კაკაბაძე ამბობს, რომ საკითხი კრებაზე სამწუხაროთ ასე ისმის. ქართული სამეცნიერო ტერმინი უცხო უნდა იყოს თუ ეროვნული. ასეთი საკითხი, ამბობს ბ. ვ. კაკაბაძე, არ უნდა არსებობდეს, თუ არსებობს ქართული ერი, ქართული ენა და სახელმწიფოებრივობა, რასაკვირველია, ტერმინოლოგიაც ქართული უნდა იყოს. ყოველ ერს თავის საკუთარი ენა აქვს და სანამ ცოცხალი იქნება-ექნება კიდეც, ვინაიდან, არავითარი საერთაშორისო ენა არ შექმნილა და არც შეიქმნება. აგრეთვე არ არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგია.

განცალკევებულ სახელების ერთმანეთთან გადაბმა, შეზავება და სხვა ყოველ ქვეყანაში გაცილებით მეტი ეროვნულია. ამასთანავე სავსებით ერთგვარ კატეგორიის ცნებებს ზოგს ყველგან საერთაშორისო სახელი ჰქვია, ზოგს კი ყოველ ხალხში თავისი ეროვნული, ცხოვრებას ემჩნევა, რომ საერთო სიტყვების რაოდენობა თან-და თან ილევს, კლებულობს, ეროვნული კი იზრდება, მატულობს. ერთი წუთით დავუშვათ რომ დაწინაურებულ ქვეყნის ტერმინების შემოღებით მართლაც მოხდებოდა ერთგვარი დაახლოვება ამ მოწინავე ერთან. მაგრამ თუ ამ გზას დავადექით და ლო-

ლიკას არ ვულაღატებთ, მაშინ უმჯობესი იქნება არა მარტო ტერმინოლოგია, არამედ მთელი მისი ენა გადმოვინერგოთ, რომ მეცნიერებას პირველ წყაროებიდან უშუამავლოდ დავეწაფოთ. მაგრამ ეს ხომ მოსპობს ქართული ენის არსებობას. სწავლა განათლების ფართო გავრცელება და ხალხის დაწინაურებაც მოხდება მაშინ, როდესაც ტერმინოლოგია წარმოიშვება ცოცხალ და გასაგებ მშობლიურ ენის ფარგლებში, ამასთანავე ტერმინი ცნების შეგნებას და შეთვისებას, უნდა აადვილებდეს, ის თვით შინაარსის გამომხატველი უნდა იყოს, ყოველ მის მარცვალში, რაც შეიძლება მეტი აზრი უნდა თავსდებოდეს. ამის მიღწევა კი დედა-ენის შემწეობით არის შესაძლებელი. ეროვნული ტერმინოლოგია საჭიროა ქართულ ენაზე შეიქმნას მით უფრო, რომ ქართული ენა განკერძოებული შტოა ქვეყნიერების ენებისა“ (ჟურნ. „განათლება“, მარტი, 1920, N 3, ტფილისი, გვ. 73-74).

მაშასადამე, მ. შალამბერიძისა და ვ. კაკაბაძის არგუმენტებით, სამეცნიერო ტერმინები მხოლოდ ქართული ენის საფუძველზე უნდა შექმნილიყო, რომლებიც ერთნაირად სავალდებულო იქნებოდა საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქისთვის. მათი აზრით, ფართო მასებისთვის გასაგები ტერმინოლოგია საწინდარი იქნებოდა კულტურული და ეკონომიური წარმატებებისა და ბედნიერებისათვის. მ. შალამბერიძის ფორმულა: „ყოველივე ტერმინი უნდა წარმოადგენდეს კონსპექტს ცნების შინაარსისას“ და ვ. კაკაბაძის მოსაზრება, რომ „ტერმინი თვით შინაარსის გამომხატველი უნდა იყოს, ყოველ მის მარცვალში, რაც შეიძლება მეტი აზრი უნდა თავსდებოდეს“ - ძნელად განსახორციელებელი პირობა იქნებოდა ტერმინთშემოქმედების პროცესის დროს. ცხადია, სწორი იყო მათი პოზიცია იმის შესახებ, რომ საქართველოში მიღებული ტერმინები სავალდებულო უნდა ყოფილიყო ქართულ სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის. ასევე საინტერესო და გასათვალისწინებელი იყო მათ მიერ დასახელებული ევროპული ქვეყნების გამოცდილება, რომლის მიხედვითაც ცალკეული სახელმწიფოები მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნას.

ზემოაღნიშნული კატეგორიული შეხედულებების დაბალანსება სცადეს ალ. წერეთელმა, ალ. ჯავახიშვილმა და ვ. კაკაბაძემ. მათი თქმით: „გარეგნულად ორი მიმართულება, რომელიც იჩენს თავს კამათის დროს, არ არიან არსებითად მოწინააღმდეგენი, რადგანაც უარს არავენ ჰყოფს, რომ უნდა შეიქმნას ტერმინოლოგია ქართული, ქართველი ერისთვის, რომ ტერმინი იყოს გასაგები ხალხისთვის. უკიდურესი დამცველნი კი ეროვნული პრინციპისა არა თხოულობენ, რომ ყოველი ტერმინი უეჭველად იყოს გადმოქართულებული. აქ საერთო პოზიციაა ყველასთვის. ამისთვის მიზან-შეწონილი იქნება მოისპოს კამათი. მივიღოთ საერთო დებულება და გადავიდეთ მორიგ მუშაობაზე“ (ჟურნ. „განათლება“, მარტი, 1920, N 3, ტფილისი, გვ. 74).

კამათის დასასრულს, ორი რადიკალური აზრის გაერთიანებისა და საერთო აზრის გამონახვის საჭიროობაზე ისაუბრეს გ. ახვლედიანმა და ივ. ჯავახიშვილმა:

„ბ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ საჭიროა, როდესაც ვლასპარაკობთ ტერმინოლოგიის შემუშავებაზე, არ დავივიწყოთ, რომ ერთი არის ენა მეცნიერებისა, მეორე ენა სიტყვა-კაზმული მწერლობისა, ერთია სალიტერატურო ენა, მეორეა სალაპარაკო. აქ იყო აღნიშნული, რომ ტერმინი აუცილებლად უნდა ფართოდ გამოიხატავდეს ცნების შინაარსს უნდა იყოს მისი კონსპექტი. ეს მართალი არ არის. ასეთი გზა ყოველად მიუღებელია ტერმინოლოგიის შემუშავების დროს. ცნობილია, რომ რაც ტერმინი განყენებულად გამოფიტულად გამოსთქვამს აზრს, მით ტერმინი აზროვნებისათვის უკეთესია. არც ის პრინციპია ყოველთვის მართალი, რომლითაც ყოველივე ცნება და იყოს გადმოქართუებული რათა ხალხმა უკეთესად გაიგოს იგი, მაგ. ახალ ლექსიკონში რევიზორის ექვივალენტად ნახმარებია „მხილავი“, – რევიზორი რომ დარჩენილიყო გაცილებით უკეთესი და გასაგები იქნებოდა ჩვენი ხალხისათვის ვიდრე „მხილავი“, რომელიც საკვებით ვერ გამოსთქვამს საჭირო ცნებას. უცხო ძირის გადმოღება, მაინც არ არის ეროვნული პრინციპის დალატი, რადგანაც უცხო გადმოღებულ სიტყვას უნდა მიეცეს მშობლიური ენის მოქნილება. უკეთესი იქნება განვავრდოთ ის გზა, რომლითაც აქამდის ვიდოდით: ზოგი ჩვენი, ზოგი უცხო, უკნასკნელთ მივცეთ ჩვენი ენის მოქნილება და ასე წავიდეთ წინ.

ივ. ჯავახიშვილი: ეს ორი მიმართულება, რომელიც კამათი დროს გამოირკვა, ერთი უცხოელების მომხრე, მეორე – ეროვნებისა, ორივე უკიდურესია, მართალია ორივე მიმართულებას მოჰყავს თავისი საბუთები, მაგრამ უკიდურესობა უშლის ხელს სიმართლის აღდგენაში. არ უნდა დავივიწყოთ რომ ენა თავის განვითარებაში სტიქიურად ითვისებს მრავალს უცხო სიტყვებს და შემდეგ თავისად იმჩნევს, ასეთი გზა განვლო ქართულმა ენამაც და ამათი განდევნა არც ეგრე ადვილია.

ეროვნების მომხრე ჯგუფების დებულება, რომ შევექმნათ ქართული ენის შემწეობით კარგი ტერმინი, რასაკვირველია, მისაღებია მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს არ არის ადვილი. თვით გერმანიამ, რომელმაც დიდი ხანია ასეთი მუშაობა დაიწყო, ჯერაც კი ვერ შესძლო უცხო გავლენიდან განთავისუფლება და აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ომის დროს თვალსაჩინო პრემიებს უნიშნავდნენ იმათ ვინც ერთს ახალ ეროვნულ ტერმინს მაინც შეითვისებდა. მით უმეტეს ჩვენთვის უნდა იყოს მნელი. რადგან კულტურულად მათთან შედარებით ჩარმორჩენილნი ვართ, და მეორე ტერმინოლოგიის შემუშავება გვიხდება განსაკუთრებულ პირობებში. ცხოვრება საშინელი სისწრაფით მიდის წინ, მრავალს მოთხოვნებს გვირდგენს და თხოულობს მათ დაკმაყოფილებას. სხვათა შორის ცხოვრება მწვავედ თხოულობს ტერმინოლოგიის შექმნას და თუ ჩვენ გატაცებული ეროვნული პრინციპებით შევექმნით მახინჯს ტერმინოლოგიას ეს დიდს ზიანს მოუტანს ჩვენს ცხოვრებას და შეაფერხებს მის წინ სვლას.

ლექსიკონების ავტორებს დაურღვევიათ ქართული ენის კანონები, ქართული ტერმინოლოგიის შექმნა ადვილი არ არის. ეს ნამდვილი შემოქმედებაა, პროცესი დიდია. ჩვენ დრო არა გვაქვს დამშვიდებით შევიმუშაოთ ტერმინოლოგია, მანამ კი ხალხს გამოურკვევლობაში ვერ დავტოვებთ.

უნდა განისაზღვროს ყოველივე ტერმინის მნიშვნელობა, და ამ მუშაობის დროს გვერდი არ უნდა ავუქციოთ ძველს ჩვენს ტერმინოლოგიას და თუ შესაფერი ტერმინი აღმოჩნდება იმათში, მით ვისარგებლოთ და ვეცადოთ შევიმუშაოთ ახალი. და თუ ვერ შევავსეთ ამ გზით ჩვენი ტერმინოლოგია, უნდა შევითვისოთ უცხო, მაგრამ ახლავე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბევრი უცხო ტერმინის შეთვისება დაგვჭირდება, ხოლო ყველა ამათ, რასაკვირველია, უნდა მიეცეთ ქართულ ენის აგებულობა. შემდეგ ცხოვრებაში თუ უკეთეს ტერმინს გამოვინახავთ, მაშინ, რასაკვირველია, იგი მოიპოვებს უფლებებს. აი ამ გზით უნდა ვიაროთ. თუ ამაში არ შევთანხმდით, მაშინ ცხოვრება თავისას გაიტანს და არა იმათ სასარგებლოდ, ვინც უკიდურეს ეროვნებას იცავს. ცხოვრება წავა თავის გზით და ჩვენი კომიტეტის მუშაობა დარჩება მის გარეშე გარიყული. ამისთვის ტერმინოლოგია საჩქაროდ უნდა შემუშავდეს, იგი გაეროვნებული უნდა იყოს, ხოლო რასაკვირველია, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

კამათის დასრულების შემდეგ სხდომამ, ერთის ხმის (ს. დანელიას) წინააღმდეგ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

ქართული ენის სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის საჭიროა უპირატესობა მიეცეს ან ძველ მწერლობაში და ენაში უკვე არსებულ შესაფერის სიტყვას ან ქართული ენის კანონებისამებრ შექმნილს ახალს სიტყვას. როცა საჭირო სიტყვა არც ძველს და არც ახალს ენაში არ მოიპოვება და ვერც კომისიამ ვერ შექმნა შესაფერი ახალი ტერმინი, უნდა იქმნას გადმოღებული და გადმოქართულებული უცხო სიტყვა“ (ჟურნ. „განათლება“, მარტი, 1920, N 3, ტფილისი, გვ. 76-77).

სხდომის თავმჯდომარემ კოლეგებს შეახსენა, რომ სახელმძღვანელოებიდან ტერმინების ამოწერა და ხაზგასმა უნდა გაგრძელებულიყო, ხოლო აკ. შანიძის აზრით, სასურველი იყო ტერმინების გვერდით რუსული, ფრანგული და გერმანული თარგმანიც აღნიშნულიყო. გადაწყვიტეს დარგობრივად ახლოს მყოფ კომისიებს ერთმანეთთან ეთანამშრომლათ, შემდეგი სხდომა კი 7 მარტისთვის დაინიშნა.

როგორც 1920 წლის სასწავლო კომიტეტის 2 სხდომის ოქმის მასალებიდან ირკვევა, ტერმინთშემოქმედებაში მონაწილე მეცნიერთა მოსაზრებები სამ ნაწილად იყოფოდა. პირველი რადიკალური ჯგუფის წევრებს სურდათ საერთაშორისო ტერმინების შემოღება, მეორე რადიკალური ჯგუფის წევრები ქართული ეროვნული ტერმინების შექმნის მომხრეები იყვნენ, ხოლო მესამე ჯგუფი ორივე მოსაზრების გაერთიანებას ემხრობოდა. 22 და 29 თებერვლის სხდომათა ოქმებიდან ჩანს, რომ კამათში მონაწილე მეცნიერთა შორის მხოლოდ მ. კონიაშვილმა განაცხადა საჯაროდ, რომ ის საერთაშორისო ტერმინების დამკვიდრებას უჭერდა მხარს, მაგრამ პირველ სხდომაზე ლ. ნათამემ ასეთი რამ განაცხადა: „მ. კონიაშვილის აზრი ფრიად დამახასიათებელია, შეიძლება ითქვას უმრავლესობისათვის“. შეიძლება, ვიფიქროთ, სხვა მეცნიერებიც ემხრობოდნენ მ. კონიაშვილის მოსაზრებას, მაგრამ კონკრეტულად ამ ორი სხდომის ოქმებში არ ჩანს სხვათა გამოსვლები. ამის საპირისპიროდ, საკმაოდ კატეგორიულად და

თამამად დაიცვეს თავიანთი პოზიცია მეორე გუნდის წევრებმა და ერთმნიშვნელოვნად, მხოლოდ მშობლიური ენის საფუძველზე შექმნილი ტერმინების შემოღება მოითხოვეს. ეს მეცნიერები გახლდნენ: ლ. ნათაძე, მ. შალამბერიძე და ვ. კაკაბაძე. ზემოდასახელებული ორი შეხედულების გაერთიანებას ემხრობოდნენ და ამის დასადასტურებლად შესაბამისი მოსაზრებები გამოთქვეს: ალ. წერეთელმა, ალ. ჯავახიშვილმა, ვ. კაკაბაძემ, გ. ახვლედიანმა და ივ. ჯავახიშვილმა.

საბოლოოდ, საკითხი კენჭისყრით გადაწყდა, სადაც უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც: უპირველესად, უნდა მიეღოთ ქართულ ენაში არსებული კანონიერი წესებით შექმნილი ტერმინები, თუ ასეთი სიტყვის ერთეულები ვერ მოიძებნებოდა, უნდა შემოეღოთ კომისიების მიერ მიღებული ქართულ ძირზე დაფუძნებული სიტყვები და თუ ასეთიც ვერ გამოინახებოდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა გადმოექართულებინათ (და არა პირდაპირ გადმოეღოთ) უცხო სიტყვები. აღნიშნულ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა მხოლოდ ს. დანელიამ და სამწუხაროდ, ამ მასალებიდან არ ჩანს თუ რატომ მიიღო მეცნიერმა ასეთი გადაწყვეტილება.

ორი დიდი მეცნიერის გ. ახვლედიანისა და ივ. ჯავახიშვილის გონივრული დამოკიდებულება უცხოურ ტერმინებთან დაკავშირებით ორ უმთავრეს არგუმენტს ეფუძნებოდა: 1. ცხოვრების სწრაფი ტემპისთვის მიდევნება და შესაფერისი პასუხის გაცემა. 2. მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, უცხოური სიტყვების შემოღება და მათი გაქართულება. ვფიქრობთ, მართებული იყო მეცნიერთა მიერ მიღებული რეზოლუცია, რომლითაც გათვალისწინებული იყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და ქართველთა ეროვნული ენის უპირატესობა და ამასთანავე, იმ პერიოდის სიახლეებისათვის თვალის გასწორების მცდელობა.

1921 წლიდან ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, სამეცნიერო საბჭოს წევრებმა და ცალკეული დარგობრივი კომისიებმა შეძლეს ათასობით ახალი სამეცნიერო ტერმინის შექმნა. თუმცა, მალევე ახალი ხელისუფლების ლიდერებმა ტერმინთა მიღება საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის ნაწილად აქციეს. ამას ადასტურებს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საგანგებოდ შექმნილი მთავარი ტერმინოლოგიური კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფილიპე მახარაძე.

იმისთვის, რომ ერთმანეთს შევადაროთ 1920 წლისა და 1927 წლის ტერმინთშემოქმედების პროცესები, წარმოვადგენთ, 1927 წლის გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ რამდენიმე საინფორმაციო წერილს, რომლებშიც ასახულია ზემოდასახელებული ორგანოს მუშაობა:

1. სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეთ არჩეულ იქნა ამხ. მარიამ ორახელაშვილი, მდივნად – ვ. ბერიძე, რომელთაც დაევალათ კომისიის კანდიდატების სიის წარდგენა. განსახკომთან არსებულ ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტს დაევალა შემოწმებინა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და სხვა დარგში შემოღებული ტერმინოლოგიის სისწორე;

2. საქართველოს სტატისტიკის ტერმინოლოგიის კომისიის წევრებს: მარიამ ორახელაშვილს (თავმჯდომარე), მალაქია ტოროშელიძესა და ვუკოლ ბერიძეს უნდა შეემოწმებინათ საქართველოს სტატისტიკური ცენტრალური სამმართველოს მიერ შემუშავებული ტერმინოლოგია;

3. 21 ივნისს ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით გაიმართა სატერმინოლოგიო კომიტეტის სხდომა. მოისმინეს ჭიჭინაძის მოხსენება ფიზიკისა და ელექტროტექნიკის ტერმინოლოგიის შესახებ, რომელიც შეუმუშავებია განსახკომთან არსებულ ცენტრალურ სამეცნიერო საბჭოს. ტერმინოლოგია შესასწორებლად გადაეცა მამია ორახელაშვილს.

ჭიჭინაძის აზრით: „1). ტერმინოლოგიას საფუძვლად დადებული აქვს ინტერნაციონალური პრინციპები, ე. ი. ფიზიკისა და ელექტრო-ტექნიკის ყველა ის ტერმინი, რაიც დღეს საერთაშორისოდაა მიღებული, შემოსულია აღნიშნულ ტერმინოლოგიაშიაც. ქართული ტერმინი მიღებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს საერთაშორისო, ანდა თუ არსებობს ქართული მაინც ცოცხალ ენიდანაა ამოღებული, ზედმიწევნით გამოხატავს ცნებას, არ ეწინააღმდეგება ენის ბუნებასა და თვისებას და უკვე მოპოვებული აქვს მოქალაქებრიობა. ამ შემთხვევაში ორივე ტერმინია შემოღებული: ქართული და საერთაშორისო.

2) მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მიუხედავად საერთაშორისო ტერმინების არსებობისა, მაინც საჭიროა ქართულის შექმნა, როდესაც უცხო ტერმინი მეტად უდრეკია და ნაწარმოებ ფორმებში მისი ხმარება ქართულად არ ხერხდება. ასეთ შემთხვევაშიაც უცხოთან ერთად პარალელურად ქართულიცაა შემოღებული. ზემოხსენებული მიხედვით ამხ. ჭიჭინაძეს შემოაქვს წინადადება - ამოღებულ იქნას ფიზიკისა და ელექტრო-ტექნიკის ტერმინოლოგიიდან რამდენიმე ათეული ტერმინი“.

ამავე სხდომაზე კომიტეტმა მოისმინა ვ. კანდელაკის მოხსენება საბუღალტრო-საფინანსო ტერმინოლოგიის შესახებ, საბოლოო რედაქცია დაევალა ვუკ. ბერიძეს.

დაიგეგმა ფ. მახარაძის სპეციალური თათბირი რედაქტორებისა და გამომცემლებისთვის, რათა მათ არ გამოეყენებინათ „ზედმეტი და მავნე ტერმინები“ (მაგ. ქმოსანი, განწევრი, სახელსახეობა და მრავალი სხვა).

4. 21 ნოემბრის სხდომაზე მოისმინეს განსახკომის ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარის ვუკ. ბერიძის მოხსენება ანატომიის ტერმინოლოგიისა და საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის შესახებ. ანატომიის ტერმინოლოგია შესასწორებლად გადაეცა მამია ორახელაშვილს, სალიტერატურო - ს. თოდრიას და ნ. მიწიშვილს, ხოლო საენათმეცნიერო - მარიამ ორახელაშვილს და ვუკ. ბერიძეს.

ამავე სხდომაზე განიხილეს რკინიგზებზე გამოყენებული ქართული ტერმინოლოგიის საკითხები. კომიტეტის გადაწყვეტილებით, რკინიგზის სამმართველოს დაევალა განსახკომის სატერმინოლოგიო კომისიასთან თანამშრომლობა და მისი დადგენილებების შესრულება. სპეციალური კომისიის წევრები (ს. თოდრია, ვუკ. ბერიძე, ვ. კაკაბაძე და გ. კოჩინაშვილი) უნდა გაცნობოდნენ რკინიგზებზე საქმისწარმოების გაქართულების მიმდ-

ნარეობას. დაადგინეს, შეესწორებინათ და შეეცნოთ სატრანსპორტო ლექსიკონი, ხოლო რკინიგზის სამმართველოს სატერმინოლოგიო კომისიისთვის უნდა წარედგინა რკინიგზის ყველა დარგისათვის საჭირო ტერმინთა ნუსხა.

5. ვუკ. ბერიძეს დაევალა აღენუსხა გაზეთებში ენის დამახინჯების ფაქტები და წარედგინა მთავარ კომიტეტში (გაზ. „კომუნისტი“, 21 ივნისი, 21 ნოემბერი, 1927 წელი).

1927 წლის გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ ტერმინთმეცნიერების პროცესებს ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა ცაკთან არსებული მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტი ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით. უცნაურია ისიც, რომ მამია და მარიამ ორახელაშვილებს ევალებოდათ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული დარგების ტერმინოლოგიის გადასინჯვა, რასაც შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია სჭირდებოდა, მაგრამ ამის გარეშე, მათ ეს ბრძანება უნდა შეესრულებინათ.

მართალია, პარალელურად არსებობდა განსახკომთან მოქმედი ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისია ვუკ. ბერიძის ხელმძღვანელობით, ასევე განსახკომს დაქვემდებარებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით, მაგრამ ჩანს, რომ ამ ორგანოების მიერ მიღებულ ტერმინოლოგიას, საბოლოოდ, ფ. მახარაძის უწყება და მისი კომისიები განიხილავდნენ. ჭიჭინაძის მოხსენებიდან ირკვევა, რომ კომისიას ფიზიკისა და ელექტროტექნიკის ტერმინოლოგიის შექმნისას მეტწილად საერთაშორისო ტერმინები გამოუყენებია, თუმცა მეცნიერი თითქოს თავს იმართლებდა და ცდილობდა კომიტეტისთვის აეხსნა, თუ რატომ გახდა საჭირო ქართული ტერმინების შემოღება.

1927 წლის ტერმინთმეცნიერების მიმდინარეობას ასახავს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშის მცირე ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია ფილიპე მახარაძის, შალვა ელიავასა და პაოლო იაშვილის სიტყვით გამოსვლა ტერმინოლოგიურ საკითხებზე, კერძოდ:

1927 წლის 28 მარტი, პირველი სხდომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე: „ჩვენ შევქმენით ცაკთან ახალი ორგანო, მთავარი სატერმინოლოგიო კომისია. საქმე იმაშია, ამხანაგებო, რომ ჩვენში ვისაც კი სურს იგონებს ახალ-ახალ ტერმინებს, ისეთსაც, რომელიც სრულიად უვარგისია და თანაც სრულებით გაუგებარი ხალხისათვის. ამიტომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული შეიქნა მოეწყო ისეთი ორგანო, რომლის ნებადაურთველად არავის უფლება არა აქვს შემოიღოს რაიმე ახალი ტერმინი და ამით ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენს კანონმდებლობაში და არც ჩვენს პრაქტიკაში ათასნაირი გაუგებრობა შეიტანოს“ (სეა, სუიცა, ფ. 284, ან. 2. ს. N6. სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1927 წელი, ტფილისი, გვ. 10).

1927 წლის 29 მარტი, სხდომა მესამე, შალვა ელიავა: „თუ "სიტყვიერ მეცნიერებაში" ცოტა რამ მაინც დაგვიტოვა წარსულმა (და არა მართლ მე-

ნშევიკებმა), ტეხნიკაში ყველაფერი თავიდან უნდა დაგვეწყო, და ის, რაც დღეს გვაქვს, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გაკეთებულია. ყველას ახსოვს, თუ რა განგაში ასტყდა ამიერ-კავკასიის რკინისგზების გაერთიანების დროს: გათავდა, ქართული ენა და ქართული ელემენტი ამიერიდან რკინისგზიდან განდევნილი იქნებაო. მათდა სამწუხაროდ არც ერთი და არც მეორე არ გამართლდა: ქართველთა რიცხვი რკინის გზაზე გამრავლდა, ხოლო რაც შეეხება ქართულ ენას, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქმისწარმოების გაქართულებას სწორედ ჩვენ ჩავუყარეთ საფუძველი და ჩვენ ვატარებთ მას ცხოვრებაში. ამ მზნით გამოიცა: რუსულ-ქართული საგზაო ლექსიკონი და ქართულ-რუსული საგზაო ლექსიკონი, რაიც მენშევიკების დროს არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სრულიად უმნიშვნელო, რამდენიმე გვერდიან სალექსიკონო მასალას.

ზევით ვსთქვით, რომ ჩვენ მეტად მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ სასკოლო დარგში, განსაკუთრებით ტეხნიკურ დარგში. ამ ნაკლის გამოსასწორებლად შევადგინეთ სპეციალური კომისია, რომელსაც დავავალეთ შემუშავებინა ტეხნიკის ყველა დარგში საჭირო ტერმინოლოგია. ამის შედეგად გვაქვს: "საგაკვეთილო დებულება" – სახელმძღვანელო წიგნი და "სამშენებლო ლექსიკონი" – ყველა დარგის ინჟინერისა და ტეხნიკოსებისათვის. ამგვარი წიგნის გამოცემა, რ. ს. ფ. ს. რ.-ის შემდეგ, პირველი მაგალითია მთელს კავშირში.

ჩვენ ისეთ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნას და, საზოგადოდ, ქართული ენის სიწმინდეს, რომ ამ მიზნით დავაარსეთ სპეციალური ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომელმაც დამუშავა რამოდენიმე ათიათასიანი ტერმინი ცოდნის ყველა დარგში. ყოველივე ეს, ცხადია, არ ადასტურებს მენშევიკების ბრალდებას ქართული ენის სამოქმედო ასპარეზის შეზღუდვის შესახებ. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს ასპარეზი უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა“ (სეა, სუიცა, ფ. 284, ან. 2. ს. N6. სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1927 წელი, ტფილისი, გვ. 89).

1927 წლის 29 მარტი, სხდომა მესამე, პაოლო იაშვილი: „მე მინდა თქვენნი ყურადღება მივაქციო ქართული ენის სიწმინდეს. ამ მხრივ ჩვენში მრავალი კუროზია. უნდა არსებობდეს ერთგვარი კანონმდებელი ორგანო, რომელიც ყურადღებას უნდა აქცევდეს ქართულ სიტყვას. ჩვენში რამდენი ქართველი პოეტი და მწერალია, იმდენი ქართული ენაა.

აგრეთვე ცუდად არის მოწყობილი ჩვენი ტერმინოლოგიის საქმე. ამ სამ წელში გამოვიდა ერთი ტერმინოლოგიის სახელმძღვანელო, სადაც ახალი ტერმინები დამუშავებულია წინააღმდეგ ჩვენი ენის ბუნებისა და კანონებისა, რაც აღნიშნული იყო სხვათა შორის სილვა თოდრიას ფელეტონშიაც. ახალ ტერმინის შემუშავება სერიოზულ საქმეა და არ შეიძლება აქ ისეთი ზერელე მუშაობა, როგორსაც აწარმოებენ ტექნიკურ ტერმინოლოგიის შემქმნელნი. ტერმინი, რომელიც ყველა ენებზე მიღებულია, არ უნდა ითარგმნებოდეს, ის უნდა დარჩეს ქართულადაც ისე როგორც სხვა

ენებშია. ამას მოითხოვს პროგრესი ენის“ (სეა, სუიცა, ფ. 284, ან. 2. ს. N6. სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, 1927 წელი, ტფილისი, გვ. 130).

მაშასადამე, 1927 წლის გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან და სარქივო მასალებიდან ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში ფ. მახარაძის თაოსნობით მკაცრად კონტროლდებოდა ტერმინოლოგიის შექმნისა და დამკვიდრების საკითხები. საბჭოების ყრილობაზე შ. ელიავამ ბოლშევიკების „დამსახურებად“ წარმოაჩინა საგზაო ლექსიკონების შექმნა, რკინიგზაზე საქმისწარმოების ქართულად წარმართვა, ტექნიკური და სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავება, ქართული ენის სიწმინდის დაცვა და სხვა. შ. ელიავას თქმით, ამ საქმეებით მათ მენშევიკების ცრუ ბრალდებებს გასცეს პასუხი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს ქართული ენის უფლებების შეზღუდვაში ადანაშაულებდნენ.

ჩვენ მიერ მოძიებული საკვლევი მასალებიდან ჩანს, თუ როგორ შეიცვალა 1920 წლიდან 1927 წლამდე ტერმინთშემოქმედების პროცესები.

1920 წელს სასწავლო კომიტეტში გაერთიანებული იყვნენ სამი ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებების მქონე მეცნიერები, რომლებსაც უნდა წარემართათ ტერმინთა მიღებისა და დაკანონების მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები, კერძოდ:

1. პირველ ჯგუფში ერთიანდებოდნენ მეცნიერები, რომლებიც საერთაშორისო ტერმინების შემოღებას ითხოვდნენ იმ მოტივით, რომ ქართველ ახალგაზრდებს ადვილად შეეთვისებინათ მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების სიახლეები;

2. მეცნიერთა მეორე ჯგუფი მხარს უჭერდა ქართული ტერმინების შექმნას, რომლებიც ერთნაირად სავალდებულო უნდა ყოფილიყო საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ადამიანებისთვის. გარდა ამისა, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ტერმინები საზოგადოების ფართო მასებისთვის უნდა ყოფილიყო გასაგები და არა ვიწრო წრისთვის;

3. მესამე ჯგუფის წევრები ამ ორ რადიკალურ შეხედულებას აერთიანებდნენ და თვლიდნენ, რომ უპირველესად, ქართული ენის საფუძველზე უნდა შექმნილიყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა გადმოექართულებინათ უცხოური ტერმინი.

ცხადია, მართებული და გონივრული იყო ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით მიღებული რეზოლუცია, რომელიც მესამე ჯგუფის თვალსაზრისს ყურდნობოდა და რომელსაც მეცნიერთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

ამის საპირისპიროდ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კომუნისტმა ლიდერებმა ტერმინთშემოქმედება ბოლშევიკური პოლიტიკის ნაწილად აქციეს. 1927 წელს ფ. მახარაძემ მხოლოდ ერთი რადიკალური და არასწორი დებულება წარუდგინა ქართველ მეცნიერებს შესასრულებლად. მისი მოთხოვნით, ქართული სიტყვების ნაცვლად (ასეთ ფორმებს „ხედმეტ და მავნე ტერმინებს უწოდებდა – ს. ჭ.), ქართულ ენაში მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალური ტერმინები უნდა დამკვიდრებულ-

ლიყო, რაც უსათუოდ შეაფერხებდა ქართული სიტყვათწარმოებისა და სამეცნიერო ენის სწორ განვითარებას.

ასეთი რადიკალურად განსხვავებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილი ტერმინთშემოქმედების სპეციფიკა. 1920 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი ტერმინთა მიღების პრინციპები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იყო და ქართული ენის უპირატესობის დაკანონებას გულისხმობდა, ხოლო 1927 წელს ფ. მახარაძის მიერ შემუშავებული და განხორციელებული - მხოლოდ ინტერნაციონალური ტერმინების შემოღების კამპანია ქართული ენის დაკნინებას ისახავდა მიზნად.

გამოყენებული წყაროები

ყოველთვიური სამეცნიერო-საპედაგოგიო ჟურნალი „განათლება“, მარტი, 1920, N 3, გამოცემა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირისა;

გაზეთი „კომუნისტი, 1927 წელი, 21 ივნისი;

გაზეთი „კომუნისტი, 1927 წელი, 21 ნოემბერი;

სეა, სუიცა, ფონდი 284, ან. 2. N6. 1927. სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში. 1927 წელი, ტფილისი.

Sofiko Chaava

On the History of Georgian Term-creation (Georgian or International Terms 1920-1927)

Summary

In 1920, the scientific-pedagogical magazine "Ganatileba" ("Education") published the transcripts of the 2nd meeting held by the **Study Committee** under the Ministry of Public Education (chairman - **Ivane Javakhishvili**). At the February 22 meeting, the chairman presented a report to scientists about the historical development of Georgian terminology and proposed to his colleagues the term establishing principle, which caused difference of opinion (the participants in the debate were: **V. Kakabadze, G. Koniashvili, L. Natadze, B. Shalamberidze, Al. Tsereteli, Al. Javakhishvili, V. Beridze, S. Danelia, G. Akhvlediani** and **A. Shanidze**). During their speeches, the professors put forward three different opinions. The first part supported the creation of only national terms, the second one demanded the introduction of international terms, and the third part favored the combination of both principles.

The paper presents the arguments expressed by each scientist to support their position.

The paper will also contain the stenographic report of IV Congress of All-Georgian Councils in 1927 preserved in the National Archives of Georgia. The report presents the speeches of **Pilipe Makharadze**, **Shalva Eliava** and **Paolo Iashvili** on terminological issues.

The materials obtained by the author show how the approaches to term establishing changed from 1920 to 1927. Instead of the principles developed with high professional standards under Iv. Javakhishvili's leadership, P. Makharadze presented only one radical and harmful provision to Georgian scientists to implement. According to his request, instead of national words, only international terms should be established in the Georgian language, which would certainly hinder the proper development of Georgian word formation and scientific language.

ცირა ჯანჯღავა, თამარ ლომთაძე, მაკა თეთრაძე

რატომ არის აუცილებელი ებრაელთა ქართულის დოკუმენტირება?*

ციფრული ჰუმანიტარიის განვითარებამ და ენათა და კულტურათა ელექტრონული დოკუმენტირების საშუალებების გაჩენამ სრულიად ახალი პარადიგმა შექმნა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ცხადად გამოიკვეთა, რომ მეცნიერება XXI საუკუნეში უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით მოპოვებული ინტერდისციპლინური კვლევის რესურსების შექმნას მოითხოვს (გიპერტი 2006; ოსტინი, გრენოზლი 2007).

როგორც ცნობილია, მსოფლიოში არსებული 7000-მდე ენიდან დღესდღეობით ნახევარი საფრთხეშია (კრისტალი 2002). იგივე სტატუსს აქვს ებრაელთა რამდენიმე მეტყველებასაც. უამრავი მიგრაციის, ასიმილირებისა თუ ენობრივი პოლიტიკის შედეგად ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მანამდე საკმაოდ მყარი ებრაული დიასპორების ენები თუ ენობრივი სახესხვაობანი დღეს იკარგება (ბენორი 2008). მათ შორისაა ქართველ ებრაელთა მეტყველებრივი ნაირსახეობაც, რომელსაც ებრაელთა ენების მკვლევრები ებრაელთა ქართულის სახელით მოიხსენიებენ. ებრაელთა ენების დოკუმენტირების აუცილებლობა უფრო მეტად იკვეთება ენათა საფრთხეების, სიცოცხლისუნარიანობისა და სხვა ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური კრიტერიუმების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ებრაული ენების კატეგორიაში ენობრივი სახესხვაობების შეყვანის კრიტერიუმები არ არის უნივერსალური; ბევრ შემთხვევაში ძნელია, განასხვაო ენა და დიალექტი, თუმცა ითვალისწინებენ რა, რომ ამა თუ იმ ნაირსახეობის განსაზღვრა ენად და დიალექტად მხოლოდ ლინგვისტურ კრიტერიუმებს არ ემყარება და ძალიან ხშირად სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ეწევა ანგარიში, ყველა ნაირსახეობას აერთიანებენ ტერმინით „ებრაელთა ენები“ (ბენორი 2008). ვექსლერის კლასიფიკაციით ებრაელთა ენებში ერთიანდება:

ა) ენები, რომლებიც „ენის ჯაჭვის მეშვეობით უკავშირდებიან სალაპარაკო პალესტინურ ებრაულს (მაგ. იდიში)“;

ბ) ენები, რომლებსაც არა აქვთ ებრაული სუბსტრატი, მაგრამ „შემდგომში იძენენ ებრაულ იდენტობას“, როდესაც ებრაელები ან არაებრაე-

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გრანტის ნომერი FR-21-20266 „საფრთხეში მყოფ ენათა დოკუმენტაცია: ებრაელთა ქართული“

ლები დიალექტებს ინაცვლებენ ან როდესაც ებრაელები გადადიან ახალ ენობრივ არეალში (მაგალითად, ბაღდადის იუდეო-არაბული);

(გ) კალკირებული (სიტყვასიტყვითი) თარგმნის ენები (მაგალითად, ლადინო, იუდეო-ესპანურის თარგმნითი სახეობის ტექნიკური ტერმინი);

(დ) „სიტუაციები, როდესაც ებრაელები ყველა რეგიონში ლაპარაკობენ იმავე ენაზე, რომელზეც თანატერიტორიული არაებრაელები, მაგრამ ზოგჯერ საუბარში შემოაქვთ ებრაულ-არამეული ან ებრაული ელემენტები“ (მაგალითად, ებრაული ინგლისური) (ვექსლერი 1981, იხ. ბენორი 2008: 1071).

იმის გამო, რომ ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი კვლევის საგანი მეოცე საუკუნის ბოლომდე თითქმის არ გამხდარა, ებრაელთა ენებს შორის ებრაელთა ქართული მხოლოდ ახლა იმკვიდრებს ადგილს. მას სტატუსი არც ქართულ დიალექტურ პარადიგმაში აქვს ჯერჯერობით მინიჭებული. ებრაელთა ქართულის კვლევების საფუძველზე ჩვენ მას მეოთხე ჯგუფში ვაერთიანებთ, რადგან ებრაელები, ფაქტობრივად, ლაპარაკობენ იმ ქართული დიალექტით, რომელი კუთხიდანაც არიან და სიტუაციის შესაბამისად საუბარში შემოაქვთ ებრაულ-არამეული სიტყვები და ინტონაციითა და ზოგი გრამატიკული მოვლენით ემიჯნებიან ხოლმე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებულ ქართულს (ლომთაძე, ენოხი 2019).

არ შეგვიძლია, ვთქვათ, როგორი იყო ძველ საქართველოში ებრაელთა განსახლების მასშტაბი და გეოგრაფია, მაგრამ ზუსტად შეგვიძლია ვისაუბროთ **XX საუკუნის რეალობაზე**. ფაქტია: ებრაელთა კომპაქტური დასახლებები არსებობდა მთელ საქართველოში; შესაბამისად, **ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქართველურ დიალექტურ გარემოში**: ქართლურში (სურამი, ქარელი, გორი, ცხინვალი...), კახურში (თელავი, ნინოწმინდა), იმერულში (ქუთაისი, კულაში, ვანი, საჩხერე), რაჭულში (ონი), ლეჩხუმურში (ლაილაში), მესხურში (ახალციხე), აჭარულში (ბათუმი), მეგრულში (ბანძა, სუჯუნა, ფოთი, სენაკი); ებრაელები მოსახლეობდნენ ასევე აფხაზეთში (სოხუმი), დედაქალაქ თბილისში და საქართველოს ზოგიერთ რაიონში (ზესტაფონში, ტყიბულში, ოზურგეთში და სხვა), სადაც კომპაქტურ დასახლებებს ვერ ქმნიდნენ

საქართველოში მცხოვრები ებრაელები მრავალფეროვანი ენობრივი რეპერტუარით გამოირჩეოდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ისინი წარმოადგენდნენ მსოფლიოში არსებულ სამ უმსხვილეს ეთნიკურ დაჯგუფებას – **სეფარდებს** (სეფარდული ტრადიციების მქონე), **აშქენაზებსა და მიზრაზებს** (ლომთაძე, გულედანი 2019). სეფარდი ებრაელების უმეტესობა მეოცე საუკუნის 70-იან წლებამდე ქართულენოვანი იყო. საქართველოში განსახლების მიხედვით ისინი ასევე ფლობდნენ აფხაზურს, ოსურსა და მეგრულს. სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელების მეტყველება ეფუძნებოდა ადგილობრივ დიალექტებს, თუმცა ამასთანავე, მათ მეტყველებებს ჰქონდათ საერთო მოვლენებიც, რომლებიც ეთნიკური ებრაელების „კუთვნილებას“ წარმოადგენდა. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ასევე ფართოდ მოიკიდა ფეხი ებრაელთა შორის რუსულმა. ბევრი ებრაელი

რუსულენოვანი გახდა. მცირე ნაწილი სეფარდი ებრაელებისა ებრაულსაც ფლობდა. აშქენაზები, ძირითადად, რუსულენოვანები იყვნენ და ამასთანავე ფლობდნენ და დედაენად მიიჩნევდნენ იდიშს (ლომთაძე 2021). მიზრახთა განშტოებანი – ქურთისტანელი ებრაელები ნეოარამეულად საუბრობდნენ და მათმა უმეტესობამ ქართულიც იცოდა და რუსულიც (კურტანიძე 2020). მიზრახთა განშტოებას წარმოადგენდნენ ასევე კავკასიელი ებრაელებიც, რომლებმაც იცოდნენ რუსული, მაგრამ ამასთანავე ფლობდნენ იუდეოთათურს (ჯუხურს).

ამ მრავალფეროვან ლინგვისტურ რეპერტუარს ებრაელები შერჩევითად იყენებდნენ განსხვავებულ სიტუაციებში. თუმცა ეს ლინგვისტური მრავალფეროვნება არასოდეს გამხდარა კვლევის საგანი საბჭოთა საქართველოში.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართველი ებრაელები ისრაელში რეპატრაციას იწყებენ. მიგრაციები გაგრძელდა 21-ე საუკუნეშიც (გულედანი, ლომთაძე 2019). დღეისათვის საქართველოში დაახლოებით 1200-მდე ებრაელი ცხოვრობს, ძირითადად სეფარდები და აშქენაზები. რაც შეეხება ნეოარამეულენოვან და იუდეო-თათურზე მეტყველებს, ისინი საქართველოში აღარ ცხოვრობენ. აღარ დარჩნენ ებრაელები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც. ამიტომ მათმა ენობრივმა არჩევანმა დიდი ცვლილებები განიცადა. კერძოდ, საქართველოში დარჩენილები უკვე თითქმის აღარ იყენებენ ებრაელთა ქართულისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. რაც შეეხება ისრაელში რეპატრირებულებს, მათი უფროსი თაობა აღნიშნულ ნაირსახეობას ჯერ კიდევ იყენებს. ახალგაზრდა თაობა კი ქართულს და, ამავე დროს, ებრაელთა ქართულს თითქმის აღარ სწავლობს. ასევე აღარ/ვეღარ გადასცეს შვილებს ოსური, აფხაზური, მეგრული. რაც შეეხება რუსულს, ის უმეტესად გადაეცემა თაობებს (ლომთაძე 2020). ენობრივი იერარქიის თვალსაზრისით დღეს ისრაელში საქართველოს ებრაელთა შორის შემდეგი სიტუაციაა: ძირითად ენებად ითვლება: ებრაული, იდიში, ინგლისური, ამ ენებს მოსდევს რუსული, ხოლო ქართული (ებრაელთა ქართული) და ნეოარამეული უმეტესად შემორჩათ საშუალო და უფროს თაობას, ოსურის, აფხაზურისა და მეგრულის მფლობელები ძალზე იშვიათია, უმეტესად უფროს თაობაში.

დღეს არსებული ვითარების გათვალისწინებით ებრაელთა ქართული საფრთხეში მყოფ ებრაელთა ენებს შორისაა. შესაბამისად, ამ მეტყველების მასალის ჩაწერა და დოკუმენტირება საჩქარო და გადაუდებელი საქმე გახდა.

ჩვენი მიზანია ისეთი ტიპის ტექსტების ჩაწერა და დოკუმენტირება, რომლებიც გამოსადეგი და ფასეული იქნება როგორც ლინგვისტიკისათვის, ასევე, ეთნოლოგიისათვის, ფოლკლორისტიკისათვის, კულტუროლოგიისა და, საერთოდ, ფართო საზოგადოებისათვის.

ებრაელთა ქართულის დოკუმენტირებისას თავს იჩენს პრაქტიკულ, კულტურულ და ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, პრაქტიკულიდან შეიძლება დავასახელოთ მასალის ჩაწერასთან

დაკავშირებული რამდენიმე სირთულე: რესპოდენტების მოძებნა (ებრაელები თავს არიდებენ კამერის წინ საუბარს), ენების ცოდნა (ინტერვიუს ჩაწერისას საჭიროა, კარგად იცოდეს სტანდარტული ქართული, ქართულის დიალექტები, ებრაული და სხვადასხვა „ებრაული ენა“, როგორ უნდა განასხვავო, რესპოდენტი ძველი ებრაულიდან იყენებს ნასესხობას თუ ესა თუ ის სიტყვა თანამედროვე ებრაულის გავლენაა); განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ინტერვიუს სტრუქტურას, მეტამონაცემებს; კულტურული ასპექტებიდან შეიძლება დავასახელოთ განსხვავებულ სიტუაციებში განსხვავებული მეტყველების ფორმების არსებობა და როგორ ვაფიქსირებთ ამას; ასევე გამოწვევაა რელიგიასა და ტრადიციებთან დაკავშირებული ლექსიკური თავისებურებების წარმოჩენა – ქართველი ებრაელები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს განეკუთვნებიან და როცა ინტერვიუერი არა არის მათი ჯგუფის წევრი, საჭიროა რესპოდენტის ინტერვიუსათვის წახალისება; ეთიკური ასპექტის გათვალისწინებისას ეთიკურ კომიტეტებთან და ინსტიტუციებთან ურთიერთობის ნაკლები გამოცდილება. ტრადიციულად, ჩვენთვის ჯერ კიდევ საკმარისია რესპოდენტის თანხმობა ინტერნეტსივრცეში მისი ინტერვიუს განთავსების თაობაზე.

აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით, ებრაელთა ქართულის დოკუმენტირება მოხდება დოკუმენტური ლინგვისტიკის მოთხოვნების შესაბამისად. იგულისხმება ის, რომ პირველადი მონაცემების შეგროვებისას (resp. ჩაწერისას) დაცული იქნება ჩაწერის სტანდარტი, აქცენტი გაკეთდება ენის ბუნებრივ სიტუაციებში გამოყენებაზე და თემატურად შეირჩევა ისეთი ღონისძიებები, რომლებზეც საკვლევი საზოგადოების კულტურული და სოციალური თავისებურებანი წარმოჩინდება: შეკითხვები ისე იქნება აგებული, რომ რესპოდენტისაგან ებრაელებისათვის ნიშანდობლივ ტრადიციებზე, ადათ-წესებზე, რელიგიურ დღესასწაულებზე და ა. შ. გაბმული თხრობის ნიმუშებს მივიღებთ. გარდა გაბმული თხრობის ნიმუშებისა, ჩაიწერება დიალოგები, რითაც წარმოვაჩენთ მოსაუბრეების შიდა ენობრივ ვარიაციებს, რადგან ისინი განსხვავებული აუდიტორიისათვის განსხვავებულად საუბრობენ. დამატებით, დაგეგმილია რესპოდენტებთან პირისპირ ინტერვიუებიც წინასწარ შემუშავებული კითხვარების მიხედვით, რათა მეტად ნათელი გავხადოთ, მეტყველებაში გამოყენებული ებრაული ლექსიკა ისტორიულად იხმარებოდა, როგორც ძველი ებრაულიდან ნასესხები, თუ თანამედროვე ებრაულის ან სხვა ებრაული ენობრივი ვარიანტების ნასესხობას წარმოადგენს.

ჩაწერილი პირველადი მასალის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნება ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცემა თანამედროვე დოკუმენტური ლინგვისტიკის სფეროში, კერძოდ, მეტადოკუმენტირების პრინციპები და თეორიზაცია, რა სად და როგორ დოკუმენტირდება (ვუდბერი 2014).

იმისათვის, რომ მასალა მეცნიერთა ფართო სპექტრისათვის სანდო და გამოსადეგი იყოს, მივუთითებთ ისეთ მეტამონაცემებს, როგორებიცაა: მოსაუბრის ასაკი, სქესი, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი,

განათლება, სამუშაო ადგილი, ენების ცოდნა, რელიგია და სხვა სოციალური განზომილებები. გაკეთდება ჩანაწერების ბაზა სტანდარტული მეტამონაცემებით, როგორებიცაა: დოკუმენტის ფორმატი (wav, mpeg, pdf, eaf და სხვ.), ჩაწერის თარიღი, ხანგრძლივობა, ენები, რომლებიც ჩანაწერშია (ქართული, ებრაული, რუსული და ა.შ.), სათაური, დოკუმენტის ტიპი (ინტერვიუ, ისტორიული აღწერა, გაბმული თხრობა და ა.შ.) და ა.შ.

ჩაწერისას დაცული იქნება ეთიკის ნორმები. დოკუმენტირებისას განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ მათ თანხმობაზე მასალის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ხოლო უკვე არსებული მასალების დოკუმენტირებისას შესაძლებლობის ფარგლებში დავუკავშირდებით მათ შთამომავლებს.

ჩაწერილი მასალა დამუშავდება ენის დოკუმენტირების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით (ჰიმელმანი 1998, ვუდბერი 2014).

ახალი პირველადი მასალა გაიშიფრება ELAN-ის მეშვეობით და ELAN-ის დოკუმენტები ტრანსფორმირდება FLEX-ში, სადაც ტექსტები ანოტირდება. მორფოლოგიური ანოტირება გულისხმობს გრამატიკული მახასიათებლების გამოყოფას, გლოსირების საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო წესების მიხედვით ძირ-აფიქსთა კვალიფიკაციას. მორფოლოგიური ანოტირების გარდა, დაემატება ლათინური ტრანსკრიფცია და ტექსტის ქართულ სალიტერატურო ენაზე განმარტება. FLEX-ის მეშვეობით ავტომატურად დაგენერირდება ლექსიკონები.

როგორც ცნობილია, ებრაელთა ქართულის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სპეციფიკური ინტონაცია (ლომთაძე, ჯანჯღავა 2017), გათვალისწინებულია ამ მოვლენის სპეციალური პროგრამული შესწავლა: ELAN-ში დამუშავებული სანიმუშო მასალის გადატანა Praat-ში და მისი აკუსტიკური ანალიზი სალიტერატურო ქართულთან ინტონაციური სხვაობის სურათს მოგვცემს.

გარდა ახალი მასალისა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია უკვე ჩაწერილი ძველი, 1940 წლის ტექსტების (1940 წელს როზა თავდიდიშვილის ტექსტები) გლოსირება და დამატებითი ანოტირება FLEX-ში და შედარებით ახალი, 2016-2019 წლებში ჩაწერილი აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაციფრულებული მასალის ტრანსკრიბირება, ქართულ სალიტერატურო ენაზე განმარტების მიწერა და გლოსირება უნიფიცირებული მეთოდით.

შედეგად მივიღებთ ციფრულ არქივს, რომელიც უპასუხებს ენის დოკუმენტირების თანამედროვე სტანდარტებს და ადვილად ინტეგრირებადი იქნება ნებისმიერ კორპუსსა თუ საერთაშორისო ბაზაში.

ლიტერატურა

ბენორი 2008 – Sarah Bunin, Beno, Towards A New Understanding of Jewish Language in the 21st Century. *Religion Compass* 2.6: 1062–1080

გიპერტი 2006 – Gippert, Jost, Nikolaus P. Himmelman and Ulrike Mosel. (eds.). *Essentials of language documentation*. Berlin, New York: Walter de Gruyter.

გულედანი, ლომთაძე 2019 – Guledani L., Lomtadze T., Going Up/Aliyah to Israel (On the Structure and Origin of the Expression, *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* 13 (3), 123-130.

გულედანი 2019 – ლ. გულედანი, აშქენაზები საქართველოში, სემი-ტოლოგიური ძიებანი 3, თბ., 2019.

ვუდბერი 2014 – Anthony C. Woodbury, Archives and audiences: Toward making endangered language documentations people can read, use, understand, and admire. In David Nathan & Peter K. Austin (eds) *Language Documentation and Description*, vol 12: Special Issue on Language Documentation and Archiving. London: SOAS. pp. 19-36კ.

კრისტალი 2002 – Crystal, David. *Language Death*. Canto. Cambridge: Cambridge University Press, 2002.

კურტანიძე თ. 2022 – Kurtanidze T., *Neo-Aramaic speaking jews in Georgia*, (to be published).

ლომთაძე 2019 – თ. ლომთაძე, აშქენაზ ებრაელთა ენობრივი კომპუტენციებისათვის საქართველოში, სემიტოლოგიური ძიებანი 3, გამომცემლობა სეზანი, თბ., 2019.

ლომთაძე 2020 – თ. ლომთაძე, საქართველოს ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი, იკე, XLVIII, თბ., 2020.

ლომთაძე 2021 – Lomtadze, T., Russophone Georgian Jews, *New Trends in Slavic Studies*, 2, 322-331, 2021.

ლომთაძე, ჯანჯღავა 2017 – თ. ლომთაძე, ც. ჯანჯღავა, ქართველ ებრაელთა ინტონაციისათვის, იკე, XLV, 109-119, 2017.

ლომთაძე, ენოხი 2019 – Lomtadze T., Enoch, R., Judeo-Georgian Language as an Identity Marker of Georgian Jews (The Jews Living in Georgia), *Journal of Jewish Languages*, 7, 1-27.

ოსტინი, გრენობლი 2007 – Austin, Peter K. and Lenore A. Grenoble. Current trends in language documentation. In Peter K. Austin (ed.) *Language Documentation and Description*, Volume 4. London: SOAS, 2007.

ჰიმელმანი 1998 – HIMMELMANN, NIKOLAUS P. Documentary and descriptive linguistics, *Linguistics*, vol. 36, no. 1, 161-196, 1998.

Tsira Janjghava, Tamar Lomtadze, Maka Tetradze

Why Is It Necessary to Document Georgian of the Jews?

Summary

The development of digital humanities and the emergence of means of electronic documentation of languages and cultures have created a completely new paradigm in the humanities. It has become clear that science in the XXI century requires the creation of interdisciplinary research resources obtained by the latest technological means (Gippert 2006; Austin, Grenoble 2007). It is known that half of the 7,000 languages in the world are currently endangered (Crystal 2002). The same status applies to several Hebrew languages. As a result of numerous migrations, assimilations, or language policies over the past two centuries, the languages or linguistic varieties of the Jewish Diasporas are now being lost (Benor 2008). Among them is the speech variety of Georgian Jews that is called Jewish Georgian by Hebrew language researchers. The need to document the languages of the Jews is even clearer considering language threats, viability and other linguistic or extra-linguistic criteria.

ს ა რ ჩ ე ვ ი

- ნ. ახალაია** – აქტიურ ზმნათა ერგატიული კონსტრუქციისათვის მეგრულსა და ლაზურში..... 3
- N. Akhalaia** – On the Ergative Construction of Active Verbs in Megrelian and Laz..... 10
- ა. ბასილაშვილი** – უდიურ-ქართული მორფოლოგიური პარალელები..... 12
- A. Basilashvili** – Udi-Georgian Morphological Parallels 20
- მ. ბუკია** – მეგრულის დარგობრივი ლექსიკიდან – რძისა და რძის პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულში 21
- M. Bukia** – From Megrelian Specialized Vocabulary – Vocabulary for Milk and Dairy Products in Megrelian..... 46
- თ. ბურჭულაძე** – და კავშირის სემანტიკურ-ექსპრესიული თავისებურება-ნი ზეპირმეტყველებაში 48
- T. Burchuladze** – Semantic-expressive Features of the Conjunction *da* “and” in Oral Speech 52
- გ. გოგოლაშვილი** – დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენა (ნარკვევები)..... 53
- G. Gogolashvili** – Dimitri Kipiani and the Georgian Language (Essays) 74
- მ. საღლიანი** – ორი განსხვავებული პრინციპის შესახებ ქართულ ლექსიკოგრაფიაში. ხორხის/ყორყის/ყანყრატოს... აღმნიშვნელი სომატური ერთეულების ანალიზისათვის სვანურში (ქართულ-ზანურთან შეპირისპირების საფუძველზე)..... 75
- M. Saghlani** – On the Analysis of Somatic Lexical Units Denoting Larynx in Svan (Based on the comparison of Georgian and Zan) 82
- ნ. ფარტენაძე** – საალერსო მიმართვის ფორმები ქართულში..... 83

N. Phartenadze – Forms for Endearment in Georgian	90
მ. ფაღავა – გვარ-სახელები შავშეთში	92
M. Paghava – Surnames in Shavsheti	108
ჭ. კირია – სალექსიკონო ზმნური ფორმის საკითხი მეგრულ-ქართულ ლექსიკონებში.....	109
Ch. Kiria – The Issue of an Entry Verb in Megrelian-Georgian Dictionaries....	123
ბ. ყანდაშვილი – მრავალგზისობის გამოხატვა XII-XVIII საუკუნეების ქარ- თულ ლიტერატურულ ძეგლებში	124
Kh. Kandashvili – Expressing Recurrence in Georgian Literary Monuments of XII-XVIII Centuries.....	130
მ. ჩუხუა – აინუ ენა და ქართველური ენობრივი სამყარო	131
M. Chukhua – The Ainu Language and the Kartvelian Linguistic World	134
ნ. ციხიშვილი – გერჰარდ დეეტერსის ქართველოლოგიური ღვაწლი (დაბადებიდან 130 წლისთავის გამო).....	135
N. Tsikhishvili – Gerhard Deeters's Contribution to Kartvelology (Dedicated to his 130th birth anniversary).....	142
გ. ცოცანიძე – ორი განსხვავებული პრინციპის შესახებ ქართულ ლექსიკოგრაფიაში	143
G. Tsotsanidze – On Two Different Principles in Georgian Lexicography	151
ს. ჭაავა – ქართული ტერმინთმემოქმედების ისტორიისათვის (ქართული თუ საერთაშორისო ტერმინები?! 1920-1927 წლები).....	152
S. Chaava – On the History of Georgian Term-creation (Georgian or International Terms 1920-1927)	164
ც. ჯანჯღავა, თ. ლომთაძე, მ. თეთრაძე – რატომ არის აუცილებელი ებრაელთა ქართულის დოკუმენტირება?	166
Ts. Janjghava, T. Lomtadze, M. Tetradze – Why Is It Necessary to Document Georgian of the Jews?	172

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე

მთარგმნელი რიტა ჯაიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი